

№12(41) 22/III. - 28/III.2001
ფასი 60 ლ.

1168
2001

რა?
სად?
როდის?

გიორგი და ვილია ქართულ-აზერბაიჯანული სიყვარული

„სოროსში
შემკვრალად,
გამოკვებით უკან!“

„კლდის ვეფხვი“ —
მიხეილ ხერგიანი

მთავარი თემა:
ქალაქი ღამით





ჯემალ გახოკიძე:

ნუ წარმოვიდგენთ, რომ ნარკობიზნესს მარტო ქალოვანი სტრუქტურები მფარველობენ. „უაჰი“ სამყაროს დგას მათი უკან. ძნელი დასაჯარებელია, რეალიზატორმა იბოგინოს, თუ ვინმეს „კრიშა“ არ აქვს.

გვ. 8

მინიატურები

მოდით, აიღეთ ღოლარები
და ლარები 3

საზოგადოება

უყურადღებო და
ჩიუბი მოხელეები 4

შააჰონებით თქვენი ცოდვა

ტესტი ერუდისინაზე 7

ნაკოზიზნისი

ამ საქმეში ორასი მილიონი
„შავი“ ფული ტრიალებს 8

პერსონა

ვახტანგ გომბაჯი:
„სტროსში შეშპვრალეპო,
გამოკვერით უკან!“ 11

მთავარი თემა

- ქალაქი ღამით 12
- შარია, შარი ღამით ქუჩაში 14
- ამ აღრე საროსკიპო არ ყოფილა.
არს ჩვენ ვიყავით მებავეები... 16

პროკლევა

„ხელისუფლება გუნებას
მხოლოდ მომხმარებლის
თვალთ აღიქვამს!“ 18

მოთაგაუ

რა? სალ? როლის?
ქართულ-აგერბაიჯანული რომანი 20

კრიმინალი

- ბავშვებს მამა
თვალწინ მოუკლეს 22
- ვინ აიკულა აღიევს
ჩვენების შეცვლა? 24

ანტიფარკუსანტი

ინფორმაციულ-შეშპენებითი
კოლაქი გორა ღვალის
უბის წიგნაკიდან 26

ნაფიქილი აგავი

პროვიზორის ოინი
ანუ „იპოტენტი ლოპი“ 26

აღაშიანი

„ხელები ტანგე მოვისვი –
სხული მიცვალეპულივით
გაქვავებული მქონდა...“ 28


ტესტი

ერთგული მკითხველი 29

სივილიზაცია

როგორ იქმნებოდა სუბმარინა 30

**„სტროსში შეშპვრალეპო,
გამოკვერით უკან!“**



ბოლო დროს, პარლამენტს მიღ-
მა მყოფი სპიკერყოფილი ვახტანგ
გომბაჯე გააქტიურდა. გომბაჯის
ენამზეობის ამბავმა ოკეანის ვალ-
მაც მიადწია და გამწარებულმა
„იმპერილისტებმა“ მისი გაუენე-
ბელყოფისთვის სპეციალური გეგ-
მის შემუშავებას კი დაიწყეს.

11

**„კლდის ვეფხვი“ ანუ მწვერვლი
ვეფლანის ბანსანდელს გავინყვებს**

...ამ დროს ვილაც ინგლისელმა
აღტანება ვერ დამალა და შესტა-
ხა: „როკ ტაიგე“, რაც ქართულად
„კლდის ვეფხვს“ ნიშნავს. მერე სხ-
ვებმაც აიგანეს შეტახილი და
ურთულესი მწვერვალის დამყ-
რობ ქართველს ამ ახალი წოდებ-
ით დიდი ოვაციებით შეხვდნენ.



43

**შარია, შარი
ღამით ქუჩაში**




მთვიდა ერთი მუტრუკი და მით-
ხრა, – ამა და ამ საუნაში წახვალ,
ამა და ამ ქალს იკითხავ და წამ-
თიყვანო. მეც წავედი და... ქალი
კი შემეშალა – სხვა მივეყვანე. ვა-
გიყდნენ – ეს რად გვინდოდა, ამის
ბოში დედლო... თითქოს დანარჩე-
ნები ანგელოზები იყენენ.

14

**ბავშვებს მამა
თვალწინ მოუკლეს**

ლობიდან გადმომხტარა, თოფს
იქნედა და იბახდა – არ მომეკარ-
ოთ, თორემ ყველას დაგხოცავთო.
დათოს და ნიკოს პირველ რიგში
ბავშვები გაუსლიათ იქაურობის-
თვის. ტაგო კი მამამისს არ მომო-
რებია, ყვიროდა და კიოდა – მამი-
კო, არ მოკვდე, გეხვეწებით.



22

ფსიქოლოგიური თავაზი

- ათი რამ ტვინის შესახებ 31
- „ბახუსის სკალა“ 31

სამყარო

- სასა და დელამინას შორის
გამოკიდული ქოლგები 32

წილანები

- დემეტრე თავდაღებული:
„მე ღავსღებ სულსა
ჩემსა ერისათვის ჩემისა“ 34

მოგზაურის დღიურები

- ბრიტანეთი ქართველებზე
სულად მოქმედებს 36

გომონდი

- HOLLYWOOD-ის წყვილები 40

ლეკნა

- „კლდის ვეფხვი“ ანუ
მწვერვალი ყველანაირ
ბანსანელს ბავიწყებს 43

რომანი

- ბესიკ კეკელიძე. ახალი წლის
სანუქარი (დასასრული) 47

ესაიზები

- აღარასოდეს განმეორდება 50

ავტო

- ტიუნინგი – კვირალ ღირებული
დიდი სიამოვნება 52

პარსკვლავი

- მოკრძალებული პარსკვლავი 54

ჯანმრთელობა

- უმილობა – დაკარგული
ცხოვრების ლოგიკური შედეგი 56

ჯადოქრები

- კულიანებზე ნაღირობა ქონებრივმა
ინტერესებმა გამოიწვია 58

სანმორდი

- 61

კოროსკოპი

- კვირის (26.03-1.04)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანტი

- რამდენად დაკვირვებული
აღამიანი ხართ 63

კალენდოსკოპი

- ზრელ-ზრელი ამბები 64

ბარბანაზა: გიორგი შოროშიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთზაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ დამატება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

აღარასოდეს განმეორდება




„ისევ მიღიხარ, ისევ მშორდები, ისევ ეშვება ფარდა“, – დაიწყებდა თუ არა სიმღერას, მაყურებელი ტაშის გრილით ეგებებოდა ამ სიტყვებს... თითქოს ვასო გოძიაშვილის ბედისწერა იყო: „აღარასოდეს განმეორდება“...

50

ბრიტანეთი ქართველებზე სულად მოქმედებს

ჩემდა გასაკვირვად, ლონდონის ქუჩები სისუფთავით არ გამოირჩევა, ელემენტარული მიწების გამო – ქუჩებში სანაგვე ყუთები არ არის. ამას იმით ხსნიან, რომ ეშინიათ, ასაფეთქებელი სამუქალების ჩასაგდებად არ გამოიყენონ გერორისგებმა.



36

HOLLYWOOD-ის წყვილები



ტრავოლტა უარს არ შეუშინდა. მან შეყვარებული შევიცარი-აში წაიყვანა და კვლავ ქორწილზე აღაპარაკდა, თავისი სიყვარულის დასტურად კი კელის შეიდ-ნახევარკარაგიანი ყვითელი ბრილიანტით დამშვენებული ბეჭედი უსახსოვრა.

40


სხალი ნოისის სსსუქარი

ინგა მოჯადოებულებით იღვა. გულის სიღრმეში ახალჩაბულებულ გრძნობას ეფერებოდა:
– დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის, – გაიღიმა ქალმა. შეისისხლხორცა, რომ ბედი კარს მოსდგომოდა და ურცხვად უკაკუნებდა.



47

მოდით, აიღეთ დოლარები და ლარები



საერთოდ ასეა: რა თქმა უნდა, სჯობს, ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, მაგრამ თუ ქვეყანაში ერთი მინისტრი მაინც „ქაჩავს“, იმ ქვეყანას არაფერი უჭირს.

ასეა საქართველოს საქმეც – რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ავის მოსურნეებმა, იუსტიციის მინისტრზე მაინც ვერაფერს იტყვიან ცუდს. ან რა უნდა თქვან – კარგი ბიჭია, დემოკრატიულ-ზრდილობიან-საქმიანი: კვირა არ გავა, რაიმე ახალი არ გამოვიგონოს. უცხოეთში მიუღია განათლება და ხანდახან ისევ იქ ჰკონია თავი (ამას წინათ, ციხეებში ტელეფონები უნდა დავდგათო – განაცხადა), მაგრამ ამას ეშველება – ან თვითონ „გაქართველდება“, ან საქართველო „გაიგვრობელდება“, ბოლოს და ბოლოს.

იუსტიციის მინისტრის ბოლო ნოვაცია, გასულ კვირაში გაკეთებული განცხადება იყო მაკონტროლებელ-გადამხდევინებელი ორგანო-ორგანიზაციების სხვადასხვა საწარმოში თარეშის შესახებ. მინისტრის განცხადებით, ყველას – საგადასახადო სამსახური იქნება ეს თუ სხვა მუქთამჭამლები – წელიწადში მხოლოდ ერთხელ ექნება უფლება, ნებისმიერი ფირმისა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ჯიბეებში ხელის ფათურისა. მოკლედ, როგორც რუსები ამბობენ: **Хорошего понемножку...**

მართალია, იუსტიციის მინისტრის ამ ინიციატივამ მისი კოლეგა და სეხნია, შემოსავლების მინისტრი ცოტათი კი გაანაწყენა, მაგრამ არა უშავს – ცივი წყალი იშოვება.

აქ დასაფიქრებელი სხვა მომენთია და ქვეყნისთვის უკეთესი ის გადაწყვეტილებაა, რომელიც მისი მოქალაქეების უმრავლესობას წაადგება და ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ცოტა სხვაგვარად არის საქმე: მიუხედავად ამ დადგენილების ერთი შეხედვით დემოკრატიულობისა, იგი სწორედაც რომ ერთეული ბობოლქების წისქვილზე ასხამს წყალს. თავად განსაჯეთ – ახლა ერთი კაცი გაიხარებს (რადგან მხოლოდ იგი მუშაობს), მისი ნაშრომ-უშრომელი შემოსავალიც ხელუხლებელი იქნება, სამაგიეროდ, ოცდაჩვიდმეტი მაკონტროლებელ-შემმოწმებელი, რომელიც აქამდე დაუკითხავად მიდი-მოდიოდა მათ საწყობებსა და ბუღალტერიებში, უსაქმოდ რჩება და კალორიულ ჭამას მისწავს მათ ცოლ-შვილსაც იძულებითი დიეტა ელით მთელი წლის მანძილზე.

ახლა მიპასუხეთ, არის თუ არა ეს ქვეყნისა და მისი მოქალაქეებისათვის სასიკეთო გადაწყვეტილება? რა, ის საგადასახადო ინსპექტორები, „მოდრავი ლეგიონის“ რაზმელები, მეკონტროლპალატეები, მესაგზაოფონდები და ათასი სხვა, საქართველოს მოქალაქეები არ არიან? არიან, მათაც ჭამა

უნდათ და მათაც აქვთ მოქალაქეობრივი უფლებები, რომელთა შორის უპირველესი და უწმინდესი, სიცოცხლის უფლებაა.

სხვათა შორის, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ პროფესიული გაერთიანებების შექმნა და ამას მაინც ვერავინ დაუშლის და ალბათ ასეც მოიქცევიან!

ჰოდა, სულ მალე გაჩნდება საქართველოში: „მექრთამეთა რესპუბლიკური პროფკავშირი“, „კორუფციონერთა ლიგა“, „მშვიერ საგადასახადო ინსპექტორთა გაერთიანებული პარტია“, „ჭამასმას მიჩვეულ და ულუკმაპუროდ დარჩენილ ბავშვთა დაცვის საზოგადოება“ და სხვა მრავალი.

სერი მაშინ ნახეთ, მღებრიშვილი და მისი ბიჭები „ჩურჩხელებით“ რომ დაერევიან ახალი ორგანიზაციების მიტინგებსა და მსვლელობებს, მაგრამ უკეთესი ის იქნება, თუ იუსტიციის მინისტრმა „მადლს მარილი მოაყარა“: „ომონსაც“ წელიწადში მხოლოდ ერთხელ უნდა მიეცეს მოპროტესტეთა დარბევის



უფლება, თანაც განსაზღვრულ დღეს, ოღონდ იმ დღეს „გასალახებსაც“ უნდა დაევალოთ, რომ აუცილებლად გამოვიდნენ ქუჩაში, რიგრიგობით.

თუმცა, ვეჭვობ: ვერც „მღებრიშვილი და კომპანია“ აიტანს „ჩურჩხელების“ დაობებს და, მარკშიდერისა არ იყოს, ერთი-ორი კარგი პროფკავშირული მუშაკი იმათაც დასჭირდებათ.


ყველაფრის მიუხედავად, ერთი არცთუ ისე უსაფუძვლო ეჭვი მიღრღნის გულს: წელიწადში ერთხელ კი შეგვლენ შესამოწმებლად, მაგრამ როგორ „შეგვლიენდებიან“, ხომ წარმოგიდგენიათ?! იქნებ, ისევ ყოველ კვირა ცოტ-ცოტათი „გამასპინძლება“ სჯობდეს მთელი წლის მოშიებულები ხალხის დაპურებას?!

P.S. ამ სიბერეში ლექსი დავწერე. არ დაიწყოთ ახლა – გაუფრენიაო! უთქვენოდაც ვიცი!

ერთმა მიშიკომ მეორეს გადაუკეტა „კრანები“, ამით უზომოდ ახარა ბიზნესის ვეტერანები. ერთობ ცუდ დღეში ჩავარდნენ გადასახადის „მამები“: „გაგების ნაცვლად „გაგვიდო“, მაგას დაუდგეს თვალები“. თუმცა „ამ მიშამ“, „იმ მიშას“ ჩაუპატუნა თვალები: „ერთი ხისა ვართ ყლორტები, ერთი ხალხის გვაქვს ვალები. ცოტა მაცადე, სეხნიავე, ისე ავრიო კვალები, ბიზნესმენმა თუ მეწარმემ ტყემალზე ჭამოს ბალები – აქვთ გვეხვეწოს: აიღეთ, დოლარები და ლარები! ერთ ჯერზე იმდენს მოქაფავ, მთელი წელი ვერ დაღვედი...“

პროპოკატორი

„გზის“ წინა ნომერში „თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბის“ მიერ სახელმწიფო მოხელეთა დეკლარაციების მონიტორინგზე ვნერდით. როგორც აღვნიშნეთ, ჩინოვნიკები ხშირად უწყურადღებოდ ავსებენ დეკლარაციებს და ზოგჯერ „ერთი ნულის“ მიწერით, ფსევდომილიონერებიც ხდებიან, ანუ მილიონერობას იბრალებენ — თუმცა, მათ მიერ წარმოდგენილ საბუთებში ბევრი სხვა შეუსაბამობაც ხშირად ხვდება ხოლმე — მაგალითად, ერთ წელიწადში გაჩენილი დიდი ქონება, რომლის წყაროც უცნობია... ჟურნალისტთა ერთწლიანმა მუშაობამ შედეგი გამოიღო: პარლამენტის წევრმა ვასილ მაღლაფერიძემ სადებუტატო ინიციატივა გამოიჩინა და საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტში განსახილველად შევიდა ცვლილებები კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომელიც, თუ ქვეყანაში არსებულ ფონს გავითვალისწინებთ, მარტის ბოლომდე უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. ვასილ მაღლაფერიძესთან ერთად კანონში ცვლილებებზე აქტიურად მუშაობდა „თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბის“ თავმჯდომარე ვახტანგ კომახიძე, რომელსაც ინტერვიუ ვთხოვეთ.



ვახტანგ კომახიძე

უწყურადღებო და ჯიუტი მოხელეები

მანანა იაშვილი

— რა მოგვითხარის საჯარო პირთა დეკლარაციების შესწავლაზე?

— 500-ზე მეტი დეკლარაციის ანალიზი გავაკეთეთ. მონაცემები კლასიფიცირებულია რამდენიმე ნიშნით. ციფრობრივი მონაცემებით ნაჩვენებია, როგორ ცხოვრობენ თანამდებობის პირები და როგორია მათი ფინანსური მდგომარეობა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ დეკლარაციის შევსების წესი არ ვარგოდა და არც დღეს ვარგა.

— რას უნუნებთ?

— დეკლარაციის შემვსები არ არის ვალდებული, დაასაბუთოს იმ ქონების წარმომავლობა, რომლის დეკლარირებასაც ახდენს. არც ერთ სახელმწიფო ორგანოს არ ევალება ამ დეკლარაციების შემოწმება და ფინანსური ანალიზი, რაც კანონის ყველაზე დიდი ხარვეზია. უამრავ, სხვა წვრილმან ხარვეზზე ლაპარაკი კი შორს წაგვიყვანს.

— რამდენად ხშირად უდგებიან თანამდებობის პირები დეკლარაციის შევსებას არასერიოზულად?

— რადგან კანონი არასერიოზულია, მოხელეებიც ადეკვატურად იქცევიან. პირველ ეტაპზე კანონში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არ იდგა. ვინც არ შეავსებდა ქონებრივ

დეკლარაციას, მას მხოლოდ ჯარიმას ახდენდნენ და კანონის ეს ხარვეზი რამდენიმე მოხელემ გამოიყენა... შემდეგ კანონში შევიდა ცვლილება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა მას, ვინც „ჯიუტად თავს არიდებს ქონებრივი დეკლარაციის შევსებას და აყალბებს მონაცემებს“. ცოტა გაუმართავია, ფორმულირება — რას ნიშნავს „ჯიუტად თავის არიდება“, მაგრამ მას შემდეგ ყველა თანამდებობის პირი ავსებს დეკლარაციას, თუმცა მონაცემების სისწორეს არავინ ამოწმებს.

— თქვენ, ზოგიერთი დეკლარაციის სისწორეში ეჭვი შეიტანეთ და მასალები პროკურატურას გადაეცით. როგორია პროკურატურის პასუხი?

— ზოგიერთ თანამდებობის პირს დაუსაბუთებელი შემოსავალი ჰქონდა. მათი ქონება შემოსავალს აღემატებოდა. პროკურატურამ იმსჯელა. ყველა საჩივარზე პასუხი არ მიგვიღია, მაგრამ უმეტესად გამოაქვს „სისხლის სამართლის არალმკვიდრის“ დადგენილებები.

— რა მოტივით?

— განზრახ ქმედებას არახუსტ მონაცემებში ვერ ხედავენ.

— რით მტკიცდება, რომ განზრახ ქმედება არ არის?

— ჩვენ აქციატ კი მოვაწყვეთ, რათა პროკურატურას მოეცა ჩვენთვის სისხლის სამართლის არალმკვიდრის დადგენილე-

ბები. მაშინ შეგვპირდნენ, მაგრამ დღემდე არ მოუციათ.

— რა მოტივით?

— მოტივს არ ასახელებენ, თუმცა გვპირდებიან — მოგცემთო, მაგრამ მხოლოდ წასაკითხად გვიჩვენეს ზოგიერთი მათგანი. იქ იმდენი სისულელე წერია, რომ ზღაპარშიც ვერ წაიკითხავთ. საოცარია, პროკურორების მოხერხება და ფანტაზია.

— თვითონ რამდენად სწორად ავსებენ პროკურორები დეკლარაციას?

— ტენდენცია აშკარაა, რომ ადამიანები, რომლებიც მუშაობენ სამართალდამცავ ორგანოებში, პროკურატურაში, ერიდებიან ქონების დეკლარირებას. მათ ძალიან მოერქმეული დეკლარაციები აქვთ. რამდენადაც შემოწმებული არავინაა, ის არ ასახავს რეალურ ქონებას. ვთქვათ, წერენ, რომ სულზე თვეში 4 ლარი აქვთ შემოსავალი და ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა — როგორ ცხოვრობენ... გამოდის, რომ პოლიციის ჩინოსანს ლეგალური შემოსავალი აქვს 4 ლარი და სხვა შემოსავლით ცხოვრობს, რომლის მითითებაც უჭირს.

— როგორ უნდა აღმოიფხვრას არსებული ხარვეზი? იქნებ ისე, როგორც დასავლეთშია, სადაც ყველა ვალდებულია, შეავსოს დეკლარაცია?

— არ არის ეს მარტივად გადასაწყ-

ყვეტი. დასავლეთში დეკლარაციას კონტროლს უწევენ საგადასახადო სამსახურები, მაგრამ ეს არ არის საჯარო ინფორმაცია – კონფიდენციალურია. ამით უნდა შემოწმდეს, რამდენად სწორად იხდიან მოქალაქეები გადასახადებს. მაგრამ ეს შესაძლებელია იმ ქვეყანაში, რომელსაც გამართული და ძლიერი საგადასახადო სამსახური ჰყავს. სულ სხვა დატვირთვა აქვს თანამდებობის პირების დეკლარაციებს, რომლებიც ღია საზოგადოებისათვის. მას ეთიკური დატვირთვა ეძლევა და ასევე, ერთ-ერთ ანტიკორუფციულ ღონისძიებასაც წარმოადგენს: თანამდებობის პირის ფინანსური მდგომარეობა გამჭვირვალე ხდება და მას კორუფციის ნაკლები შანსი ეძლევა.

— მერედა, უშველის დეკლარაცია კორუფციასთან ბრძოლას?

— ჩვენ საბჭოთა კავშირიდან მოვლივართ. ისეთი ისტორია გვაქვს, სადაც ადამიანები შეგუებული იყვნენ, რომ ვიღაც თანამდებობის პირებს ოფიციალური და არაოფიციალური პრივილეგიები ჰქონდათ. მათზე საზოგადოებრივი კონტროლი არ ვრცელდებოდა და ეს იყო არაოფიციალური პრივილეგია. მათზე მხოლოდ პარტიული ბერკეტები თუ მოქმედებდა. საზოგადოება მიჩვეული იყო, რომ თანამდებობის პირს უკეთესად უნდა ეცხოვრა, მიუხედავად იმისა, რომ მასში ნაც დაბალი ხელფასები ჰქონდათ. დღეს ამ ფაქტორმა სერიოზული ფსიქოლოგიური წინაპირობა შექმნა და დეკლარაციების შესახებ არასრულფასოვანი კანონი მივიღეთ.

— მაგრამ ხომ უნდა გასწორდეს კანონი?

— ჩვენ შევქმენით არსებულ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, სადაც კონცეპტუალურად სხვაგვარადაა გააზრებული დეკლარირების წესი. უნდა შეიქმნას რაღაც ორგანო, რომელიც შევსებულ დეკლარაციებს შეამოწმებს. გათვალისწინებულია ისიც, რომ თანამდებობის პირად დანიშნვის ან არჩევის წინ კანდიდატმა შეავსოს დეკლარაცია, რაც გარკვეული რეკომენდაციის ფუნქციას შეასრულებს: ადამიანები დაფიქრდებიან, შეიძლება თუ არა, ასეთი ადამიანი მოვიდეს საჯარო სამსახურში. ეს შეეხება დეპუტატობის კანდიდატებსაც, თუმცა ამას ამკრძალავი ფორმა არ ექნება, რადგან ხალხმა შეიძლება, აირჩიოს კორუმ-

პირებული პირი, მაგრამ საზოგადოებას ეცოდინება, ვის ირჩევს. ძალისმიერი, მკვეთრი ზომები კანონში ალბათ არ ჩაიდება, მაგრამ მაქსიმალური გახსნილობის, გამჭვირვალობის მცდელობა იქნება, რათა დეკლარაციას აზრი ჰქონდეს. სახელმწიფო ხომ ფულს იხდის დეკლარაციების შევსებაში და ეს ფულიც ტყუილად არ უნდა ვხარჯოთ.

— ახალ ბიუროკრატიულ სტრუქტურას გეთავაზობთ?

— არა, ჩვენთან უკვე არსებობს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო, რომელიც შეძლებს ამ პროცედურების ჩატარებასაც. კანონი, რომელიც დაფინანსებას მოითხოვს, დღეს განწირულია, არ მიიღებენ. თვითონ ბიუროში შეიცვლება დეკლარაციის შევსების წესი. დღეს თანამდებობის პირი თვითონ აფასებს თავის ქონებას და როგორც სურს, ისეთ ფასს ადებს. დეკლარაციაში უნდა აისახოს ისიც, თუ რამდენად და როდის შეიძინა თანამდებობის პირმა ქონება ან ვინ გადასცა მემკვიდრეობით – ერთი სიტყვით, საიდან გაჩნდა ქონება მის საკუთრებაში. მან უნდა წარმოადგინოს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. რა თქმა უნდა, შეუძლია ჩაწეროს, რომ ორსართულიანი სახლი 1.000 დოლარად იყიდა ან გაყიდა და საბუთიც წარმოადგინოს, მაგრამ ჩვენ ხომ ეჭვი შეგვეპარება მის კეთილსინდისიერებაში! ამრიგად, დეკლარაცია იქნება თავისებური ტესტი კეთილსინდისიერებაზე და ჩვენც დაფიქრდებით, ავირჩიოთ თუ არა კაცი დეპუტატად.

— უკვე არჩეულებსა და დანიშნულებს რა ვუყოთ?

— რაც უკვე მოხდა, იმის გამოს-

მერაბ ადგიშვილი



წორება ძნელია – ეს სხვა პრობლემაა. ახლა მომავლისთვის უნდა ვიმუშაოთ. ბიურომ უნდა გამოაქვეყნოს დეკლარაცია და დასკვნა კანდიდატზე. ვთქვათ, მინისტრმა არ გაითვალისწინა ბიუროს დასკვნა და მაინც დანიშნა მავანი თანამდებობაზე. საზოგადოებას ეცოდინება, რომ უარყოფითი დასკვნის მქონე პიროვნება დანიშნა და ეს ცუდად იმოქმედებს ამა თუ იმ მინისტრის იმიჯზე.

— ეს გაზრდის ბიუროს პასუხისმგებლობას...

— ეს ზრდის თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას.

— ხომ არ არის საშიშროება, რომ თვითონ ბიურო გადაიქცეს კორუფციის ახალ წყაროდ?

— ბიუროს პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, იზრდება, მაგრამ საკითხს იგი დახურულად ვერ გადაწყვეტს. აქ უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბიუროს მონაცემები.

— როგორც ვატყობ, თქვენ გან შეთავაზებული კანონპროექტით გარდამავალია და მომავალში მასაც დასჭირდება ცვლილება?

— რამდენიმე კანონია აქ შესაცვლელი, მაგრამ ჩვენგან შეთავაზებული კანონპროექტი დღეს იმუშავებს. თქვენ საყოველთაო დეკლარირება ახსენეთ, მაგრამ ამ მოდელის შემოღებამდე, კანონების გარდა, სხვა დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. პირველ რიგში საჭიროა აღრიცხვიანობა: უნდა იცოდეთ, ქვეყანაში რამდენი მოქალაქე მუშაობს. ადვილი გასაკეთებელი არ იქნება, მაგრამ შეუძლებელიც არ არის. ამ საქმეში დახარჯული ფული კი, სულ მალე დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემდა და ქვეყნის ბიუჯეტს ერთიორად შეავსებდა.

დასაწყისში თანამდებობის პირთა და ცნობილ პიროვნებათა დეკლარაციებში არსებული შეუსაბამოები ვახსენეთ. „თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბის“ მიერ მოპოვებული ინფორმაცია მართლაც ბევრ მრავლისმეტყველ ცნობას შეიცავს, რომელთა ნაწილს გაავაცნობთ.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს – მერაბ ადგიშვილს 1998 წლის დეკლარაციის მიხედვით, ბანკის

ანგარიშზე ჰქონდა 24 ათასი ლარი. 1999 წლის დეკლარაციაში მას მითითებული აქვს ისევ 24 ათასი ლარი, მაგრამ 2000 წლის დეკლარაციას ახლავს მისივე განცხადება, რომელშიც აცხადებს, რომ 1999 წლის დეკლარაციაში შეცდომით მიუთითა 24 ათასი ლარი და სინამდვილეში მას ანგარიშზე ჰქონდა 42 ათასი ლარი. 1999 წლის დეკლარაციის მიხედვით, მის ოჯახს შემოსავლების სახით ჰქონდა მხოლოდ 8.524 ლარი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, თამაზ ნადარეიშვილს (არ ვამახვილებთ ყურადღებას იმ ფაქტზე, რასაც თამაზ ნადარეიშვილი ირწმუნება, რომ მისი აფხაზეთში დატოვებული ქონება 3 მილიონი ლარია, რომელიც 1999 წელს 2.300 ლარი ღირდა და 1998 წელს საერთოდ არ ჰქონდა დეკლარირებული) 1998 წელს ჰქონდა 35 ათას ლარად შეფასებული სამოთახიანი ბინა თბილის-

თამაზ ნადარეიშვილი და ლონდერ ცაავა



ში. 2000 წლის დეკლარაციის მიხედვით, ნადარეიშვილის ოჯახის საკუთრებაშია ახალი ბინა, რომელიც 200 ათას ლარად აქვს შეფასებული, ამასთან ერთად, მან შეიძინა ავტომობილი, რომელიც შეფასებულია 20 ათას ლარად, როცა მისი ოჯახის მთლიანი ლეგალური შემოსავალი სამი წლის განმავლობაში შეადგენდა 27.309 ლარს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ლონდერ ცაავას ოჯახს 1998 წლის დეკლარაციის მიხედვით ჰქონდა 27 ათას

ლარად ღირებული ერთი ბინა თბილისში. 1999 წლის დეკლარაციის მიხედვით კი, მისმა ოჯახმა შეიძინა 37 ათას ლარად ღირებული მეორე ბინაც. მისი ოჯახის შემოსავლებმა კი შეადგინა მხოლოდ 2.955 ლარი.

საქართველოს უშიშროების მინისტრის 2000 წლის საფინანსო დეკლარაციის მიხედვით, ვახტანგ ქუთათელაძემ ამერიკის მთავრობისგან საჩუქრად მიიღო 1.500 ლარად ღირებული მხატვრული ტილო.

გარდა ამისა, უშიშროების მინისტრი ფლობს 240.000 ლარად შეფასებულ სახლს საირმის ქუჩაზე. ვახტანგ ქუთათელაძე წლების განმავლობაში მუშაობს საჯარო სამსახურში. მისი ოჯახის ამჟამინდელი შემოსავლებიდან გამოდინარე, მას ასეთი ოდენობის თანხის დაგროვების შესაძლებლობა არ ჰქონდა. უცნობია, შემოსავლის რა წყაროები ჰქონდა ვახტანგ ქუთათელაძეს, როცა 240.000 ლარად შეფასებული სახლის მშენებლობა წამოიწყო.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ჯონი ფირცხალაიშვილმა, 1998 წლის დეკლარაციის მიხედვით, საჩუქრად მიიღო 18.000 ლარი აბრაამ ოსეფაშვილისგან. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის თანახმად, საჩუქრის მიღების ზედა ზღვარი 2.000 ლარია. ამ ფაქტის გამო თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბის ჟურნალისტთან წერილობით ინტერვიუში ჯონი ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ საჩუქარი მან თანამდებობაზე დანიშვნამდე მიიღო და იგი დეკლარაციაში გულახდილობის გამო შეიტანა, რისი გადამოწმების შესაძლებლობაც არასამთავრობო ორგანიზაციას არ გააჩნია.

ამის გარდა, 1998 წლის დეკლარაციაში ჯონი ფირცხალაიშვილის ოჯახი ფლობდა 5.000 ლარად ღირებულ ავ-



ვახტანგ ქუთათელაძე

ტომანქანას, რომელიც შემდგომ დეკლარაციაში დაფიქსირებული აღარ არის. ინტერვიუში ჯონი ფირცხალაიშვილი აცხადებს, რომ ავტომანქანა გაყიდა. ასეთ შემთხვევაში, კანონის თანახმად, ავტომანქანის გაყიდვის ფაქტი დეკლარაციაში უნდა დაფიქსირებულიყო.

უშიშროების მინისტრის მოადგილის სიმონ ნოზაძის 1999-2000 წლების დეკლარაციების მიხედვით, სიმონ ნოზაძემ სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან, კერძოდ, ხორბლის მოყვანიდან და რეალიზაციიდან ორი წლის ჯამში მიიღო 25.000 ლარი. ამ შემოსავალს დაუმატა მის საკუთრებაში არსებული თანხა და 2000 წლის დეკლარაციის მიხედვით, ბინათმშენებლობაში დახარჯა 50.000 ლარი, ცხადია, ხორბლის მოყვანა და რეალიზაცია, დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, აგრეთვე, ხორბლის მოყვანისთვის საჭიროა მიწის ნაკვეთის ფლობა ან იჯარით სარგებლობა. კანონის მიხედვით სიმონ ნოზაძეს დეკლარაციაში უნდა მიეთითებინა, როგორი ფორმით იყენებდა მიწის ნაკვეთს ხორბლის მოსაყვანად – ანუ იჯარით ჰქონდა მას მიწის ნაკვეთი აღებული, თუ ეს მიწის ნაკვეთი მის საკუთრებაშია. აგრეთვე იხილეთ, თუ რა ხარჯი გაწია მან იმისათვის, რომ ხორბლის წარმოებიდან, ორი წლის ჯამით, 25.000 ლარი შემოსავალი მიეღო. ყოველივეს გათვალისწინებით, მას არ ჰქონდა კანონიერი შემოსავალი, რომელიც 50.000 ლარად ღირებული ბინათმშენებლობის წამოწყების საშუალებას მისცემდა. ექსპერტებთან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, 25.000 ლარის ღირებულების ხორბლის მოსავლის მისაღებად, ამ თანხის, სულ ცოტა, ნახევარი მაინც (ადგილის და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით) მოსავლის მოყვანას უნდა დასჭირვებოდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ვალერი ჩხეიძის ოჯახი 1999 წლის დეკლარაციის მონაცემებით, ნაღდი ფულის სახით, ფლობდა

25.920 ლარს. 2000 წლის საფინანსო დეკლარაციის მიხედვით კი, ნაღდი ფულის რაოდენობა გაიზარდა 46.100 ლარამდე. 2000 წელს, ვალერი ჩხეიძის ოჯახის შემოსავალმა, დეკლარაციის მიხედვით, შეადგინა 6.424 ლარი და 29 თეთრი. 2000 წლის დეკლარაციის მიხედვით, მისი ოჯახის წევრმა შეიძინა 8 ათას ლარად ღირებული მსუბუქი ავტომანქანა. იმავე წლის დეკლარაციის მიხედვით, ოჯახის შემოსავალი შეადგენდა 6.424 ლარსა და 29 თეთრს. დეკლარაციაში მითითებულია აგრეთვე, რომ ჩხეიძე ფლობს 20.000 ლარად შეფასებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც ვალერი ჩხეიძის 1999 წლის დეკლარაციაში ჩაწერილი არ ყოფილა.

ბანკი „რესპუბლიკის“ სარეგისტრაციო საბუთების მიხედვით, ბანკის ერთ-ერთი პარტნიორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი და მას საწესდებო კაპიტალში ეკუთვნის წილი 2 პროცენტის ოდენობით (70.000 ლარი). 1999 წლის 19 აპრილს როინ მეტრეველმა აღნიშნული წილი გადასცა (ჩუქების ხელშეკრულებით) ვიქტორ მეტრეველს. მეორე დღეს, 1999 წლის 20 აპრილს, როინ მეტრეველმა შეავსო თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. კანონის მიხედვით, როინ მეტრეველს დეკლარაციაში უნდა შეეტანა ინფორმაცია „საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში, მისი და მისი ოჯახის მიერ დაღებულ, ნებისმიერ მოქმედ ხელშეკრულებაზე, რომლის საგნის ღირებულება აღემატება საარსებო მინიმუმის თხუთმეტმაგ ოდენობას“. 1999 წლის 20 აპრილს შევსებულ დეკლარაციაში

როინ მეტრეველი



ვალერი ჩხეიძე

როინ მეტრეველმა არ შეიტანა მონაცემები ბანკი „რესპუბლიკის“ წილის ვიქტორ მეტრეველზე გადაცემის შესახებ.

გარდა ამისა, ბანკის რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 4 მარტის დადგენილებაში საწარმოს დამფუძნებლების სიაში, როინ მეტრეველს საცხოვრებელ ადგილად მითითებული აქვს ბინა, რომელიც თბილისში, კვეკელიძის ქუჩაზე მდებარეობს. 1999 და 2000 წლების დეკლარაციებში კი, როინ მეტრეველს ნაჩვენებია აქვს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა, რომელიც ვაკის ქუჩაზე მდებარეობს.

საქართველოს შსს-ს სატრანსპორტო დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტებისა და ტვირთების დაცვის სამმართველოს უფროსი ზურაბ ძნელაძე 1999 წლის დეკლარაციის მიხედვით, ნაღდი ფულის სახით ფლობდა 7.000 ლარსა და 2.000 აშშ დოლარს. 2000 წლის დეკლარაციის მიხედვით, ნაღდი ფულის რაოდენობა გაიზარდა 74.000 აშშ დოლარამდე. იმ წელს ზურაბ ძნელაძის ოჯახის შემოსავალი შეადგენდა 2.424 ლარსა და 2.000 აშშ დოლარს.

ბოლნისის რაიონის გამგებლის ზურაბ ჯაფარიძის ოჯახი, 1999 წლის დეკლარაციის მიხედვით, ნაღდი ფულის სახით ფლობდა 9.800 ლარს. 2000 წლის დეკლარაციის მიხედვით კი ნაღდი ფულის რაოდენობა 57.800 ლარამდე გაიზარდა. ზურაბ ჯაფარიძის 2000 წლის დეკლარაციის მიხედვით, მისი ოჯახის შემოსავალი, 2000 წელს 2.800 ლარს შეადგენდა.

ტესტი ერუდიციზე

1. ნულოვანი მერიდიანი
გადის ქალაქ:




- ა) გრინვიჩზე;
- ბ) გლაზოგოზე;
- გ) ერევანზე.

2. რამდენი ტომისგან
შედგება კარლ მარქსის
„კაპიტალი“?




- ა) 1;
- ბ) 8;
- გ) 12.

3. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ჭეშა-ქუხილის
ღმერთი?



- ა) ოლინი;
- ბ) ზევსი;
- გ) ტარანი.

4. ფიზიკის ერთი კანონი
აბაზანაში აღმოაჩინა:



- ა) ნიუტონმა;
- ბ) არქიმედემ;
- გ) ლავუაზიემ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ჩვენს ხელისუფალთ ახლავს გაახსენდათ, რომ ნარკოტიკებს ქვეყანა მიაქვს. გასულ კვირას უშიშროების საბჭოში სკანდალური განცხადება გაკეთდა.

„საქართველოში ნარკობიზნესში საშუალოდ, 200 მილიონ დოლარი „შავი“ ფული ტრიალებს და 120 ათასამდე ნარკომანია“.

ექსპერტები თვლიან, რომ საქართველო უკვე კარგა ხანია, თავისი დაუცველი საზღვრების წყალობით, ნარკობიზნესის სატრანზიტო მაგისტრალად იქცა, თუმცა რატომღაც, შესაბამისი ორგანოები, მრუმე ფონის დახატვის პარალელურად, ამ ფაქტს ბოლომდე არ აღიარებენ. ერთი რამ ცხადია: კოლოსალური თანხები იმ უწყებების ჯიბეებშიც აქტიურად იღებება, რომელთა უშუალო ფუნქცია ე.წ. „თეთრი სიკვდილის“ წინააღმდეგ ბრძოლაა. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ გასულ კვირას ნარკომანიის წინააღმდეგ ატეხილი აჟიოტაჟი და ამ პრობლემის გამწვავებაც შს მინისტრის შენიღვას ისახავს მიზნად. ამ საკითხებზე სასაუბროდ, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, ჯემბალ ბანსკიძეს შევხვდით.

მარინა მამისაშვილი

— ბატონო ჯემალ, კვირის სკანდალად შეიძლება ჩაითვალოს ნარკობიზნესის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. არადა, ნარკობიზნესმა საქართველოში კარგა ხანია ფეხი მოიკადა. რატომ გახდა ეს თემა ასეთი მნიშვნელოვანი მაინცდამაინც დღეს?

— მე ვერ დავარქმევდი ამას მხოლოდ ამ კვირის სკანდალს. ჯერ კიდევ დეკემბერში პრეზიდენტისაგან მივიღეთ სპეცდავალება, რომ ამ მიმართულებით შეგვესწავლა განვლილი ორი წლის მდგომარეობა. მაქსიმალურად ვცდილობდით, დასკვნა რეალურ სიტუაციას დაფუძნებოდა. იმის გამო, რომ, სამწუხაროდ, ნარკომანთა აღრიცხვიანობა, ნარკოტიკების შემოტანისა და გატანის ოდენობა ქვეყანაში აღწუსებული არ არის, ძალიან გვიჭირდა რეალური სურათის მიღება. დღევანდელი მონაცემებით, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მხოლოდ 12 ათასი პიროვნებაა აღრიცხული. რა თქმა უნდა, ამ ციფრს არავინ დაიჯერებს, რადგან სინამდვილეში მეტია. ამიტომ შევეცადეთ, მოკვლევისას, სხვა ქვეყნების გამოცდილება გამოგვეყ-



ამ საქმეში ორასი მილიონი „შავი“ ფული ტრიალებს



ენებინა. ავიღეთ ისრაელის მაგალითი, სადაც ოფიციალურად აღრიცხულ ნარკომანებს 10-ზე ამრავლებენ და თვლიან, რომ ეს არის ქვეყანაში ნარკომანების საშუალო რაოდენობა. აქედან გამოდინარე, საქართველოში 120 ათასი ნარკომანი გვყოლია. ეს რაოდენობა უკვე იმაზე მიუთითებს, რომ საგანგაშო ვითარებაა.

— აქამდე რატომ ვერ ხერხდებოდა მათი საშუალო აღრიცხვა?

— ეს პრეზიდენტის უშუალო დავალება გახლავთ უშიშროების საბჭოსადმი, თორემ ისე, სამართალდამცავი ორგანოების ყოველდღიური საქმიანობისა და საზღვრუნივის საგანია.

— ამ პრობლემის შესწავლა პრეზიდენტის ინიციატივა იყო თუ მისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მიიღეთ დავალება?

— განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, პანკისის ხეობაში, უკვე ძალიან საშიში ტენდენციები გაჩნდა. ჩეჩენი ლტოლვილების გამოჩენამდე, კახეთში ნარკოტიკების გავრცელების რაიმე საფრთხე არ არსებობდა. დღეს მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ჩაითრიეს ამ უბედურებაში. მე ამას, უბედურების გარდა, სხვა სახელს ვერ დავარქმევ...

— ძირითადად, ჰეროინი შემოდის, სომ?

— ფაქტობრივად, ნარკოტიკების ამოღების ყველა ღონისძიება მთავრდება მხოლოდ ჰეროინის ამოღებით. ოპიუმი იშვიათობა გახდა, რადგან ჰეროინი უფრო სარფიანია. 1კგ ჰეროინი თუ გაძლევს 100 ათასი დოლარის მოგებას, ოპიუმი — მხოლოდ 10 ათასს.

— თუმცა ამბობენ, ეს ნარკოტიკი იმდენად დიდი რაოდენობით შემოდის, რომ საკმაოდ გაიაფდა...

— გეთანხმებით. თავიდან თუ 600-500 დოლარი ღირდა, ახლა 150-200 დოლარზე ჩამოვიდა. თუმცა, ეს ფასები თბილისის უბნებშიც კი იცვლება. თუ რეალიზატორის მუდმივი კლიენტები

ფასდაკლებით ყიდულობენ, შემთხვევითი პიროვნება ამ შეღავათს ვერ იღებს. უცხო კლიენტთან რეალიზატორი რისკავს გაყიდვას, ამიტომ უფრო ძვირად ყიდის. იანვარ-თებერვალში ჰერონის ამოღების 48 შემთხვევა დაფიქსირებული.

— მართალია, რომ უცხოეთის სპეცსამსახურებმა ჩვენს მთავრობას მიაწოდეს ინფორმაცია — ნარკობიზნესიდან საქართველოში 200 მილიონი „შავი“ ფული ტრიალებსო?

— როგორ უნდა დამიანგარიშოს უცხოელმა, რამდენი ნარკოტიკი იყიდება საქართველოში?! რა, საზღვარზე ღვანან და ითვლიან, რამდენი შემოდის?! ეს ხომ აბსურდია... თუ გავითვალისწინებთ, რომ ნარკომანი 100-120 ათასი კაცია, აქედან 15-20% მოიხმარს ჰერონს, ამას თუ დღიური მოხმარების დოზას დაუმატებთ, მთლიანი თანხა დაახლოებით 200 მილიონზე ავა. თუმცა, პოლიცია გვედავება — 1 გრამი 500 დოლარი ღირსო. თუ ასეა, გამოდის, რომ ჩვენი ერთი წლის ბიუჯეტის ოდენი ფული მარტო ჰერონის ბაზარზე ტრიალებს. ამ ფულის შოვნის გზები კი დაკავშირებულია ყაჩაღობასთან, მარცვასთან, ადამიანის გატაცებასთან. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში უცხოელებზე გახშირებულ თავდასხმებზე ჩემი მოსაზრება მაქვს — ადრე საგამოძიებო განყოფილებაში ვმუშაობდი. გამახსენდა ნარკომანების საქციელი: ისინი უმიზეზოდ სცემენ კაცს, ფულსაც ართმევენ, თუმცა, მაინც სცემენ. ასეთ დროს ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ არიან, ან ნარკოტიკულ შიმშილს განიცდიან. ისინი შემთხვევის ადგილზე ზედმეტ კვალს ტოვებენ, რაც პროფესიონალ დამნაშავეს არ მოსდის.

— თქვენ გამორიცხავთ პოლიტიკურ შეფასებას — რომ უცხოელებზე თავდასხმები საქართველოს დისკრედიტაციის მიზნით კეთდება?

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ უმეტეს შემთხვევას, მაინც ნარკომანებს მივაწერ.

— ხომ არ სჯობს, ზოგიერთი ევროპული ქვეყნის პრაქტიკის მიხედვით, ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია მოხდეს და ბიუჯეტში შევიდეს ეს თანხები?

— წარმოუდგენლად მიმაჩნია. ეს იქნება ანტიკონსტიტუციური და უზნეო ნაბიჯი. ალბათ უპრაბი იქნება, გავმიჯნოთ ნარკომანები ნარკორეალიზატორებისა და

ნარკოკონტრაბანდისტებისგან. ნარკომანი პირველ რიგში, ავადმყოფია და თუკი ოდნავი შანსი არსებობს, რომ მას ვუძკურნალოთ, სახელმწიფო უნდა იყოს ამისათვის მზად.

— გინდათ თქვათ, რომ დღევანდელი კანონი, რომელიც სისხლის სამართლის წესით ნარკომანის დასჯას ითვალისწინებს, გადასასინჯია?

— პირდაპირ გეტყვით — დღევანდელ სიტუაციაში, როცა ციხეში სამკურნალო დაწესებულებები არ გვაქვს, მომხმარებელი იქ უფრო პროფესიონალი ნარკომანი ხდება და წამალი რომ იშოვოს, ათასგვარ უწესობაში ითრევენ. ჩვენ კანონპროექტს ვამზადებთ. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ნარკომანებისთვის გათვალისწინებული იყოს სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა და ციხე. დღეს ნარკორეალიზატორისთვის სასჯელის ზომა 6 თვიდან 10 წლამდეა, ეს არასწორი მიდგომაა. ვერც ერთი ქვეყანა ვერ ვნახეთ, სადაც ამხელა სხვაობაა მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის. ნარკორეალიზატორებისთვის 5-დან 10 წლამდე სასჯელს ვვარაუდობთ. თუ ის დიდი რაოდენობით რეალიზაციას ეწევა, სასჯელის ზომა უფრო დიდი უნდა იყოს. შუა აზრის რესპუბლიკებში დღემდე არის შემორჩენილი რეალიზატორების სიკვდილით დასჯაცა და სამუდამო პატიმრობაც.

— ბატონო ჯემალ, ბრძანეთ, რომ საქართველოში 200 მილიონი „შავი“ ფული ტრიალებს და ქვეყანა ნარკოტიკებს მიაქვს, ნუნავს თუ არა ეს განცხადება იმას, რომ საქართველო დღეს უკვე არის ნარკობიზნესის სატრანზიტო მაგისტრალი?

— ამის საშიშროება უკვე რეალურია. ორი წლის წინ თურქეთმა ტრანზიტის ორი შემთხვევა დააფიქსირა. სტამბოლში დააპატიმრეს დამნაშავეები, მათ შორის, ნარკობარონი კურნაზი, რომელსაც 20 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი. რასაკვირველია, ნარკოტრანზიტის ემბოსო ვეღარ შევადგინებთ, დაუბრკოლებელ გზებს. ჩვენ კი არც ერთ საბაჟო გამტარ


ბუნქტზე არ გვაქვს დეტექტორები. ეს ერთ-ერთი სერიოზული ხელის შემშლელი პირობაა. ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ნარკობიზნესი სწავლობს ნაკლებსარიისკო მარშრუტებს. საქართველო ამ სივრცეიდან ვერ ამოვარდება. მით უმეტეს, თუ თურქეთამდე მოხდა გატანა, მერე მთელი ევროპა წინ არის. სხვათა შორის, საუცხოო მარშრუტია აფხაზეთიდან — საერთოდ უპატრონოა ეს გზა... ახლა მიდის მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თუ კარგად ვიმუშავებთ და მონდომება დავანახებთ, სერიოზულ ფინანსურ დახმარებას მივიღებთ. უშიშროების საბჭოზე, როცა ამ საკითხს ვინილავდით, პრეზიდენტმა თვითონ განაცხადა — მე ვითავებ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკების დაწყებასო. თუ ისინი არ დაგვეხმარებიან, ნარკოტიკებთან ბრძოლას ცარიელი ხელებით ვერ შევძლებთ.

— გამოსავალი მხოლოდ ეს არის?

— ეს არის იმდენად დიდი ჭირი და ბოროტება, რომ მასთან სერიოზული ბრძოლა საჭირო. რაღაც ლოკალური ოპერაციები ამას ვერ უშველის. უნდა იყოს მუდმივი მუშაობა და, რაც მთავარია, ის, ვინც ამ დანაშაულს ებრძვის, სუფთა უნდა იყოს.

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. მაშინ, როცა ძალღვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს თვეობით არ აუღიათ მიზეზული ხელფასი და მათთვის ნარკომანის წინააღმდეგ ბრძოლა თავის რჩენის შესანუნავ საშუალებად ქცეულა, რომელ სისუფთავეზეა ლაპარაკი?

— 1 გრამი ჰერონი 20 გრამი ოქროს ტოლფასია. წარმოიდგინეთ, რამხელა



ცდუნება ახლავს ამას. არადა, ამ სფერო-ში მრუდე საქმის ჩადენა, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ უზნეობად მიმაჩნია. აქ სრული ზნეობრივი სისპეტაკეა საჭირო. სხვაგვარად, სულ უფრო მეტი სამართალდამცავი შეიძლება ჩაითრიონ „ჭაობ-ში“.

— **ბატონო ჯემალ, შეიძლება კი არა, უკვე ჩათრეულუბი არიან. თქვენ თუ გაქვთ სწორედ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა დანაშაულთა მონაცემები?**

— ჩვენ არც ამის თქმისა გვემინია. რამდენიმე თანამშრომელი თვითონაა ასეთ საქმეზე დაპატიმრებული. მათ შორის სამკორის ნარკომანიის სამსახურის უფროსი. ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს?! დაჭერილია ასევე ჩულურეთის რაიონის პოლიციის კაპიტანი, ერთ-ერთი უშიშროების პოლკოვნიკი, გამოვლენილი არიან სხვა თანამშრომლებიც.

— **ბატონო ჯემალ, 200 მილიონი ვახსენეთ. ვის ჯიბეში მიდის ეს ფული?**

— ძალიან ჩააცვივით ამ 200 მილიონს. ისე, უფრო მეტია... ყველაზე მეტი, შემომტანის ჯიბეში მიდის. ნარკოტიკები ჩვენში ძირითადად, ტაჯიკეთიდან შემოდის, ტაჯიკეთში — ავღანეთ-პაკისტანიდან. ძალიან დიდი ნაწილი რუსეთისკენ მიდის, დანარჩენი — კავკასიისკენ. თბილისამდე ჩამოტანას ხომ სჭირდება ადამიანების რამდენიმე ჯგუფი და უამრავი ხარჯი, მერე რეალიზაციის პროცესი თბილისში... დანარჩენი ის ადამიანები არიან, ვინც მათ მფარველობენ.

— **ანუ ძალოვანი სტრუქტურები, ხომ?**

— ახლა ნუ წარმოვიდგენთ, რომ მართლ ძალოვანი სტრუქტურები მფარველ-

ობენ. „შავი“ სამყაროც დგას მათ უკან. ძნელი დასაჯერებელია, რეალიზატორმა იბოგინოს, თუ ვინმეს „კრიშა“ არ ჰყავს. ამას გამოვრიცხავ. ეს ხომ არ არის ერთჯერადი გაყიდვა.

— **თქვენ გამოირიცხავთ, რომ შესაძლოა, ამ უზარმაზარი თანხის ნაწილი შს და უშიშროების სამინისტროების მაღალჩინოსანთა ჯიბეებშიც მიდიოდეს?**

— ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. ასე ორგანიზებულად ამ ფულის განაწილება მაღალჩინოსნებში გამოირიცხულად მიმაჩნია. სხვაგვარად რომ იყოს საქმე, გარწმუნებთ, არაფერს მოვერიდებოდი.

— **ბატონო ჯემალ, თავი რომ დაგანებოთ უშიშროების სამინისტროს, რომელსაც ევალება ამ კუთხით საზღვრის გაკონტროლება, ასევე შსს-ს, რომელიც ვალდებულია, აკონტროლოს შიდა ბაზარი, თქვენ პირადად, როგორც უშიშროების ყოფილი მინისტრი, დღეს უკვე უშიშროების საბჭოს წევრი, შინაგანად, თავს დამანაშავედ არ გრძნობთ, რომ რაღაც ჯეროვნად ვერ გააკეთეთ ამ სფეროში, რამაც ნარკომანიის აღზევება გამოიწვია?**

— სავსებით გეთანხმებით... როცა მინისტრი გავხდი, ვთვლიდი, რომ საჭირო იყო ღებარტამენტის შექმნა, რომელიც ამ სახეობის დანაშაულს შეებრძოლებოდა. ახლა ყველა მინისტრს თავისი პოზიცია აქვს. თავისთავად, აქამდე რომ მივიდა საქმე და ურთულესი სიტუაცია გვაქვს, ამაზე ვერც ჯემალ გახოკიძე მოიხსნის პასუხისმგებლობას და ვერც ქუთათელაძე, ვერც თარგამაძე და ვერც სხვები.

— **და მაინც, სად არის დაშვებული შეცდომა?**

— იცით, შეცდომაში არ არის საქმე... ჩვენ გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ უფრო მეტად უნდა გამოგვეფხიკა ყურები. წითელი ხიდი, პანკისის ხეობა, ცხინვალის რეგიონი, გალი... ნუ გამოვიცხავთ ყაზბეგსა და დარიალის ხეობას — ეს

არის მარშრუტები, საიდანაც ნარკოტიკები შემოდის. აქედან გამოძინარე, თუ რაიმეს შეიძლება დივერსია ვუწოდოთ, მე ამას ნარკოდივერსიას დავარქმევდი, რადგან ამ საწამლავით შეგინდან საქართველო შეიძლება ისე „ააფეთქო“, რომ აღარც ტერაქტი დაგვჭირდება და აღარც შენობების დანგრევა...

— **სხვათა შორის, ჩვენში ტაბუდადებულ თემად ითვლება იარაღის უკანონო ბიზნესი. არადა, ფაქტია, რომ ის, ნარკობიზნესთან ერთად, დედამინაზე ყველაზე მომგებიან სფეროდ რჩება და შეიძლება ითქვას, უერთმანეთოდ არც არსებობენ. იმედია, არ მეტყვიოთ, რომ დღეს იარაღის უკანონო ბიზნესი საქართველოში არ არსებობს...**

— რაიმე კონკრეტული ფაქტი, რომ ვინმემ იარაღი გაცვალა ნარკოტიკზე ან პირიქით, ჯერ არ დაგვიფიქსირებია. გეთანხმებით, სადაც ნარკოტიკია, იქ იარაღიცაა, მაგრამ ოფიციალური ფაქტი არ გვაქვს და ჭორზე დაყრდნობით ვერაფერს გეტყვიოთ.

— **ხომ არ ფიქრობთ, ნარკობიზნესის ირგვლივ ატივხილი აფიოტაფი და ამ პრობლემის გადაუჭრელობა თარგამაძის სკამის შეწირვას ისახავს მიზნად?**

— არა, არა. გამორიცხულია.

— **დაბოლოს, როგორც უშიშროების საბჭოს წევრი, რას იტყვიოთ პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, თითქოს ქვეყანაში გადატრიალება მზადდება?**

— იცით, რა არის? — როცა ქვეყანაში კრიმინალური და პოლიტიკური სიტუაცია იძაბება და ეს საშიშ მასშტაბებს იძენს, იქმნება ნოყიერი ნიადაგი დესტაბილიზაციის დასაწყებად. ასეთი სიგნალები რომ გაჩნდა, სწორედ ამიტომ შემოჰკრა პრეზიდენტმა განგაშის ზარი და სავსებით კანონზომიერადაც.

— **ბატონო ჯემალ, ყოველ გაზაფხულზე მოსალოდნელ დესტაბილიზაციასა და ტერაქტებზე საუბარი საზოგადოებაში უკვე ღიმილს იწვევს...**

— არ სჯობს, თადარიგი დავიჭიროთ იმისთვის რომ არ მოხდეს, ვიდრე თუ მოხდება, მერე ვიყვიროთ?!..



ბოლო დროს, პარლამენტს მიღმა მყოფი სპიკერყოფილი ვანტანგ გოგუაძე გააქტიურდა და ძველი თემა — „ამერიკა — სატანაა, რუსეთი — „სუპერანგელოზი“ ახალი ანეკდოტებით გაახალისა. მასთან დაახლოებული ერთი კაცის განცხადებით, გოგუაძის ენაშეობის ამბავმა ოკეანის გაღმაც მიაღწია და გამწვანებულმა „იმპერიალისტივმა“ მისი გაუფრთხილებლობის სპეციალური გეგმის შემუშავებაც კი დაიწყო. ეტყობა, ცოტა გაუჭირდათ, რადგან პატრიოტული მოძრაობის წევრებს ჯერჯერობით არც სავენტილაციო მიღში „შემთხვევით“ გაჭედვილი „ჟურნოკი“ უპოვიათ და არც ტერაქტის მოწყობის მცდელობას ჰქონია ადგილი.



ვანტანგ გოგუაძე:

«სოროსი შემძვრალაბო, გამოძვრით უკან!»

შემოღებამ მდგომარეობა. ამ თემაზე საუბრის დაწყებისას, მოსკოვში მცხოვრებმა, გავლენიანმა „ახალმა ქართველებმა“ ჩვენი გვერდის ავლით სცადეს პუტინთან „საქმის ჩაწყობა“, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, იმიტომ, რომ მათ სწორედ იმ საყრდენი წერტილის არსებობა არ იცინა და კიდევ იმიტომ, რომ თავში ტვინის ნაცვლად, ფული უყრიათ. პუტინს კი არ უნდა გაუგზავნონ წერილები („ჩვენ არ გვინდა თქვენთან, ჩვენ მივიღვართ ნატოში, მაგრამ თქვენ უნდა მოგვცეთ ელექტროენერგია და ა.შ.“), წერილი ჩვენი პრეზიდენტისთვის უნდა გამოგზავნათ. როდესაც ალიევი მოსკოვში ჩავიდა, იქ პრეზიდენტთან შეხვედრამდე, აზერბაიჯანულ დიასპორას შეხვდა. მათ მოკლედ უთხრეს — თუ ვერ მოაგვარებ პუტინთან ურთიერთობას, ჩვენ აქედან გაგვყრიან და თქვენ ვეღარ იქნებით პრეზიდენტი. ყველა დიდი პოლიტიკოსი აღიარებს რუსეთს, როგორც ანგარიშგასაწევ ქვეყანას ნებისმიერ ასპექტში, თუმცა თვითონ რუსეთი საბოლოოდ, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა ამერიკის გავლენისგან.

— მაინც რატომ აიყარეთ ასე გული ამერიკაზე?

— იმიტომ, რომ იქ არის ნამდვილი ბოროტების იმპერია. ჩემი აზრით, ერთადერთი ჭეშმარიტი პრეზიდენტი კენედი იყო. დღეს ამერიკელები უკვე ღიად წერენ, რომ დემოკრატიულად მოაზროვნე

პრეზიდენტი აღენ დალესმა მოაკვლევინა. კაცმა, რომელმაც შეიმუშავა ამერიკული იდეოლოგიის კონკრეტული აღმსრულებლის — „ცერეუს“ გეგმა. აღენ დალესის კონცეფციასთან შედარებით, „მაინ კამპფი“ აკაკის „სულიკოდ“ მოგეგვენებათ. მსოფლიოში ერთადერთი, ქართველი პოლიტიკოსები არიან, რომლებსაც იმდენად დიდი ფანტაზიის უნარი აქვთ, რომ ჰუმანურ ამერიკას შედავენ. დიდი ხანია, რაც ეს ჰუმანური ქვეყანა მსოფლიოს ტელევიზიას აკონტროლებს. რუსეთის არც ერთი არხი არ არის „ცერეუს“ კონტროლის გარეშე. იდეოლოგიური ომის მოსაგებად კი მილიარდები იხარჯება. რატომ გვაძლევს კოსმოპოლიტი ამერიკელი ფულს? ვითომ ასე ავლევებს ჯორჯ სოროსს საქართველოს პრობლემები? ხანდახან მთელი ხმით მინდა ვიყვირო: „სოროსი შემძვრალაბო, გამოძვრით უკან!“ თავი დაანებეთ ამერიკის პატრიოტობას და მიხედეთ საქართველოს!

ახლახან ჩემთან, სოროსის ფონდში დასაქმებული ქართველი ახალგაზრდები მოვიდნენ — იქ ისეთი რაღაცები ხდება, გვრცხვენია ჩვენი ხალხის, წამოსვლას ვაპირებთო... მე ვურჩიე — დარჩით, შვილებო-მეთქი და იცით რატომ? როდესაც ნოე ჟორდანიას საქართველოდან მიემგზავრებოდა, გემიდან მის გასაცილებლად მისული ატირებული ხალხი დაინახა. ჩამოვიდა, მოეხვია ყველას და უთხრა: შვილებო, შედით ბოლშევიკურ პარტიაში — ერი ხომ უნდა გადარჩესო... სოროსის ფონდიც ისეთივე „ბლეფია“, როგორც ნატო. ამასთან დაკავშირებით სულ ერთი ანეკდოტი მასსენდება: მოკვდა კაცი, მოხვდა სამოთხეში და არის მოსვენებული — არც სავალუტო ფონდი აწუხებს, არც ვალები და არც საქვეყნო საქმეები. უცებ, კედლის მეორე მხრიდან საინტერესო ხმა მოესმა. ისმის კვნესა, მუსიკა, ქალების სიცილ-კისკისი, შამპანურის თქეში და ა.შ. დაინტერესდა, მივიდა საიქიოს „უფროსთან“ და ეუბნება — უნდა ვნახო, კედლის იქით რა ხდებაო. ბეგრი უშალეს, მაგრამ არ დაიშალა. გაუღეს კარი და გადაეშვა ტიპი წელამდე კუპრში. კი, მაგრამ, ის რა ხმა იყო — იკითხა. ის რეკლამა იყო, უბასუხა ტარტაროზმა და ქვების მორევა განაგრძო. ასეა ჩვენი საქმეც: თუ ჭკუას არ მოგუხმეთ, იმ კუპრში ამოვყოფთ თავს.

ნანა ქიბიშაური

— ბატონო ვანტანგ, თქვენ, როგორც რუსეთზე ცალსახად ორიენტირებულ პოლიტიკოსს, პოლიტიკონაზე კიდევ ერთი მსხმიიარე კონკურენტი გამოგინჩნდათ. ვგულისხმობ „ვაზის პარტიას — რუსეთთან ერთად“.

— ჩემი პრაქტიკისა და გამოცდილების კაცს ყველაფერი მინახავს, მაგრამ პირველად ვნახე პარტია, შექმნის დღიდანვე დაშლილიყოს. ამ პარტიის ლიდერმა გიორგი შენგელაიამ გამოაცხადა, რომ არ სურს კომუნისტებთან და „პატრიოტებთან“ თანამშრომლობა. ერთი მე მკითხონ, მინდა მათთან თანამშრომლობა? ძალიანაც მჭირდებიან, აი! მაგათ რუსეთთან ურთიერთობა უჩვენოდ უნდათ? კი ბატონო, მაგრამ როგორ, როცა არ იციან, რაზე წამოვა რუსეთი, გზაკვალი არ იციან... მხოლოდ ჩვენ ვიცით, სად არის საყრდენი წერტილი. თუ ჩვენთან არ ითანამშრომლებენ, ვერც ერთი პარტია გზას ვერ გაიგნებს და დარიალის ხეობას ვერ გასცდება. ყოველივე ამის მიუხედავად, მე მივესალმები ამ ლოზუნგს: რუსეთთან მტრობას, მეგობრობა სჯობს. გვაბრალებენ, თითქოს რუსეთთან გვინდა შეერთება. ეს ისეთი სასაცილოა, ქათმებიც დაიხოცებიან სიცილით. ჩვენ მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისთვის ვიბრძვით. ხომ ხედავთ, როგორ გაართულა სავიზო რეჟიმის

თბილისი ერთ დროს მთელ საბჭოეთში საოცნებო ქალაქი იყო — გართობის, პოეტებისა და ბოჰემის ქალაქი. ცენტრში მოსვენებული უცხო კაცი იმისგან დიდ განსხვავებას ვერც ახლა შეამჩნევს — ბარიც საკემარისზე მეტი გვაქვს, „ბუტიკიც“ და „ვოლვო“-„მერსედესიც“ კიდევ უფრო მეტი დაქრის. რაც შეეხება მათხოვრებს, ეს მოვლენა არც დასავლეთის დიდი ქალაქებისთვის არის უცხო.

მკითხველი ალბათ იფიქრებს — თქვენი აზრით, გამოდის, აღარაფერი გეიტირს, დალხენილი ცხოვრება გექონიაო... ჩვენ არა და, თუ ვინმე მართლა ასე ფიქრობს, სჯობს, ქალაქის უკეთ გასაცნობად, გარეუბნებს მიაშუროს. თუმცა, „გარეუბანი“ ამ შემთხვევაში, არც ისე ზუსტი განსაზღვრებაა, რადგან, კეთილმოწყობის თვალსაზრისით, გარეუბანი, ფაქტობრივად, უკვე რუსთაველის ბოლოდან იწყება.



ქალაქი

ღარი ბრძელივითი მარინა ბაბუნაშვილი

კაკე. საღამოს 6-7 საათი. უნივერსიტეტის გვერდით, გადასასვლელთან ვოგონები ღვანან. მიუხედავად, გამოვეცნაურე და საუბარი ღამის ქალაქზე, ღამიურ დროს ტარებაზე ჩამოვუვლე.

— ღამის ქალაქი? რა ვიცი, ჩვენთან ასეთი რამე მარტო რჩეულთათვის არსებობს, — მპასუხობს ერთ-ერთი მათგანი. — შარშან, ზაფხულში ვერმანაში ვიყავით სტუდენტები, გაცვლითი პროგრამით. აი, სტუდენტური დროს ტარება რა ყოფილა, იქ ვნახეთ, — გინდა დღისით და გინდა ღამით. საღამოს 10-დან დღის 6 საათამდე...

— გამახსენებელი კაფერესტორნები ხომ ჩვენთანაც არის...

— საქმეც მაგაშია, რომ ჩვენთან მხოლოდ კაფერესტორნებია ღამით განათებული — ყველა თავის „ზავედნიას“ ანათებს...

საუბარში მეორე ვოგონაც ჩაგვეერთო:

— „პეროესკაიაზე“, კაფე-ბარებში კოქტეილებით უნდა გაიჭყიპო, ან რესტორანში უნდა გამოძღე — სხვა „პრასვეტი“ არ არის. ამ დროს, გარეთ რომ გამოხვიდე, მაშინვე მანქანები „წაგიტორბუნებენ“ — ჩვენთან ხომ ღამით მარტო „პუტანკები“ დასეირნობენ...

ამასობაში ვოგონების „მარშრუტკაც“ მოვიდა, თავაზიანად მომიბოდიშეს და ჩასხდნენ. გადასასვლელთან ფიქრებში ვართულოს, ვიღაცამ მკლავზე მომქანა:

— დღაშევიღობას, იქნებ გზაზე გადამიყვანო — სამი გაჩერებაა, ფეხით მოვიდვარ და არსად შუქნიშანი არ მუშაობს, მაინც რაფერ დაშლივიზიონენ ეს გასაწყვეტები... — მუდარით მეუბნებოდა მოხუცი ქალი. გზას

კაცზე — უკვე შეზინდებულიყო, ჭავჭავაძეზე კი შუქნიშნები არ მუშაობდა და მანქანები ისე დაჭრდნენ, ერთი პირობა მეც კი შევფიქრინდი, გადასვლას თუ მოვასწარებ-მეთქი. ქალბატონი, როგორც იქნა, გზაზე გადავაცილე და იქვე, ვაგზისიკენ მიმავალ „მარშრუტკაც“ დაველოდე; დაღამებისთანავე, ჩვეულებრივ, ინტერვალებს ზრდიან ხოლმე და კარგა ხანს მომიწია ლოდინი...

— 7-8 საათის შემდეგ ხალხი არ მოძრაობს და მანქანებს ტყეილად ხომ არ ვაგრიზინებთ, — თავი იმართლა მძლოლმს.

— ყველაზე მეტი ხალხი როდის გყავთ ხოლმე?

— დილით, როცა სამსახურში და სასწავლებელში მიდიან, და საღამოს 8-მდე, როცა შინ ბრუნდებიან...

— ღამით არ მუშაობთ? ვაკეებულმა შემომხედა:

— შენ, ბიბია, ან ჟურნალისტი ხარ, ან ინტრიგანი, ისე ჩამაცივდი... — მითხრა სიცილით. გამოვუტყდი, ჟურნალისტი ვარ-მეთქი — აბა, ინტრიგანობა ჩემს მტერს...

— უბრალოდ, მაინტერესებს, ღამის ქალაქში თუ გამოდის ხალხი გასართობად...

— ღამის ქალაქშიც და დღის ქალაქშიც მარტო „ესენი“ ერთობიან, გენაცვალე... — მიმითითა „მერსედეს 600“-ზე, გზა რომ უხერხულად გადავკვივრა. — უბრალო ხალხი, ბიბია, იმას ფიქრობს, პურის ფული სად იშვოვოს, აბა, ჩემი დანჯღრეული „მარშრუტკით“ წაავა კაცი კაზინოში სათამაშოდ?

— მარტო კაზინო ხომ არ არის, ხომ შეიძლება, თეატრში წაიყვანო ცოლი, მერე კაფეში შესვიდე...

— ეჰ, ხომ გაგიგია, რომ მღერინ — „ის

ცხოვრება აღარ არისო“... კომუნისტების დროს ტაქსიზე ვმუშაობდი, საღამოობით რუსთაველზე ტევა არ იყო ხოლმე — გარეუბნებიდან მოსული ხალხის მიყვან-მოყვანას ვერ აუვლიდი, შაბათ-კვირას — მით უმეტეს. თან მაშინ ავტობუსიც, „მარშრუტკაც“ და ტროლეიბუსიც ღამის 1-2 საათამდე მუშაობდა — ბიჭი იყავი და ადრე შესულიყავი გარაჟში...

ვაცხადი, ბაზრის მიძღებარე ტერიტორია.

საღამოობით აქაურობა ნელ-ნელა წყნარდება. გარემოვარენი დახლებს ალაგებენ და ფაციფუციით მიჩქარაიან შინისკენ — ხვალ მათი დღე კვლავ უთენია დაიწყება, რათა საღამოს 7-8 საათამდე ტვინის წამლებ ყაყანში გაილიოს... მგერამ არიან ადამიანები, რომელთაც არსად არ ეჩქარებათ — წასასვლელი არა აქვთ: ისინი სოფლიდან ჳირნახულის გასაყიდად არიან ჩამოსულიები და ღამის თევა აქვე, ბაზარში უწევთ. „ღამის ბაზრის“ მომსახურება საკმაოდ მრავალფეროვანია — აქ „შველურ მავიდასაც“ შესვლებით, — რა თქმა უნდა, ქართულ-ხალხურ სტილში გადაწყვეტილს: სულ რაღაც 40-50 თეთრად შევიძლიათ ჳიქს არაყიც გადახუხით და თქვენთვის სასურველი „ზაკუსკაც“ მიაყოლოთ. არჩევანი ფართოა — საეჭვო შეთავსის ძეხვით დაწყებული და ხაშლამის მოძვრო ნაჭრით დამთავრებული.

ბორდითარან შუახნის გლეხკაცი ჩაცუქტულა და დაფიქრებული, სივარტს ეწევა.

— გამარჯობა, ძიაკაცო!

დაკვირვებით ჩამთვალეირა. ქართლელი აღმოჩნდა, მეგვირისხველი. ვაშლი ჳქონია ჩამოტანილი გასაყიდად:

— რუსეთში წასალებად მქონდა გამზადე-

ბული, რაც საზღვარი დაკეტეს, აი, ვერე ვეწვალე. „ოპტივიკებსაც“ არ მინდა ჩავაბარო — კაპიკებში უნდა...

— **ლამეს აქ ათენებთ ხოლმე?**

— მა სად წავიდე?! ნათესავები კი მყვანან, მაგრამ სანამდისინ ერთ ტონა ვამლს გავყიდი, ხო არ ჩაუეცხოვრდები...

— **აბა, აქ ქუჩაში გინათ?**

— არა, შვილო. ქუჩაში რად უნდა დავიბინო? აქ ოთახებში საწოლებს აქირავებენ — ლამე 1-2 ლარი ღირს, მეტი არა. ეგ არი, ღამით ქალები შემოჰყამთ ხოლმე და ისეთი გინასა, დედა შვილს არ აიყვანს...

უკაცრიელი ბაზარი აქამდე არც მენახა. ქარი მეყავს ყუთებსა და ქალაღებს დაფორიალებდა. ალაგ-ალაგ თუ გამოჩნდებოდა ბარბაცით მიმავალი, ვინმე „ბაზარნიკი“...

კუთხეში ძღვომ, უშნო „გლახა ქალებს“ ფასზე ევაჭრებიან — 5 კლარს ფენს არ უცვლის... ბომა ქალები ნავაჭრს თუ ნამათხოვრალს ითვლიან — ზოგჯერ შეჩერდებიან ხოლმე და ერთმანეთს უშვერი სიტყვებით „ამკობენ“... გზის პირზე, მუყავს ყუთში მოკალათებულ ბავშვებს გვერდი აუჯარე და გადასასვლელი ხილით, ნაძალადევის მხარეს გადავიდა — პირველი სათი სრულდება, იქნებ, კიდევ ენახო შინისკენ მიმავალი ტრანსპორტი...

ნაძალადევი. გზის პირას ძღვომი ახალგაზრდა კაცი ხელს გვიწვევს. ტაქსის მძღოლმა კითხვის ნიშნად შემომხედა და ჩემი დასტურის შემდეგ მანქანა გაუჩერა. როგორც ხდება ხოლმე, ნავაჭრები მეზარებები ძალე გავუშინაურდით ერთმანეთს. დრო შეეკურჩხე და გულუბრყვილო შეკითხვით მივმართე:

— **არსებობს ღამის ქალაქი თბილისში?**

— გააჩნია, რას გულისხმობ მაგ „ღამის ქალაქში“. ქერდობის, ყაჩაღობისა და მარცვა-გლეჯვის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა არსებობს.

— **არა, მე უფრო გართობა-დასვენებას ვგულისხმობდი...**

— დამცინი? ისე, ქალაქის ერთ პატარა ნაწილში, ქალაქელთა ერთი მცირე ჯგუფისთვის ეგეთი რამეებიც არსებობს, ოღონდ, არა ჩვენთვის და არა ისეთი ფართო გაგებით, როგორითაც უნდა იყოს.

— **ფართო გაგებით ღამეული დროს ტარება როგორი უნდა იყოს?**

— არა, მე პირადად სულაც არ მაქვს პრეტენზია, მთელი ღამე დროს ტარების საშუალება მქონდეს. ელემენტარულ ადამიანურ გართობაზე ვლაპარაკობ. ჩვენთან, ვაკერუსთაველის გამოძმა, ღამის ქალაქი კი არა, ცხოვრება უკვე საღამოს 6-7 საათის მერე კვდება. ზამთარში მით უმეტეს... სიგარეტი რომ გაგითავდეს კაცს, იმაზეც კარგად უნდა დაფიქრდე, ღირს თუ არა საყიდლად გარეთ გასვლა, შენ კი გართობა-დასვენებაზე მელაპარაკები... მასსოვს, თებერვალში თეატრის ბილეთები ვიყიდე. ვიფიქრე, სამსახურის შემდეგ მეუღლეს ქალაქში გავასეირნებ და სპექტაკლსაც ვნახავთ-მეთქი. წარმოუდგენა 8



სათზე იწყებოდა. სამსახურიდან მომავალი, ჩემი უბნის მეტროში რომ ამოვედი, 6 საათი სრულდებოდა. სინათლე არ იყო და უკუნეთი სიბნელე იდგა. შინ მისულმა, მეუღლეს განზრახვა რომ გავანდევე, სიცილით მოკვდა — გარეთ გაიხედა, რა ხდება, ამ შუადამისას რა თეატრები და გასეირნება ავიტყვია... ამ დროს მარტო რუსთაველი და პეროვსკაია იყო გაჩანჩახებული...

ღამით ცხოვრება ახველიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩაზე მართლაც ჩქეხს — ტყუილად კი არ ეძახიან „თბილისის ბროდვეის“! რატომ? ამ კითხვას ის არ დასვამს, ვინც საღამოს საათებში ერთხელ მაინც ყოფილა ახველიანის ქუჩის რომელიმე კაფე-ბარისა ან მალაზიის სტუმარი.

მაშ, როგორ ცხოვრობს „თბილისის ბროდვეი“? თავდაპირველად, ამ კითხვით ერთ-ერთი მალაზიის გამყიდველს მივმართეთ, რომელიც აქაური სიძვირის მიუხედავად, კლიენტთა ნაკლებობას არ უჩივის.

— ერთხელ, საღამო ხანს ტიპი შემოვიდა. ათვალეირა ტორტები, მერე მე მთხოვა — ყველაზე „საკაიფო“ ტორტი ამირჩიეო. მეც აუჩიეო. ცოტა ხანს უყურა, უყურა და დამიუწა: „საკაიფო“ კი არა — „სამარიყო“ ტორტი მინდაო. თუკი „საკაიფო“ ტორტი 45 ლარი ღირდა, მეც ავდექი და 150 ლარიანი სადღესასწაულო ტორტი მივეცი „სამარიყოდ“. როცა ფასი გაიგო, ცოტა კი შეცბა, მაგრამ უკან აღარ დაიხია და წაიღო.

ამას წინათ, ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი. უფროსობამ გამაბრაზა და აღარაფრის გაყიდვა აღარ მინდოდა, მალაზიაში „ისე რა“ ჩაცმული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. ისე ათვალეირებდა ვიტრინას, ვიფიქრე — ეს არაფრის მყიდველი არ არის-მეთქი, ცოტა ხანში მთხოვა, ვარდის თაიგული გამეკეთებინა. უხალისოდ გავუკეთე. რა ღირსო? — მკითხა. გავეხუმრე — 50 ლარი-მეთქი. არადა, თითქმის მომჭკნარი ვარდები იყო და ასეთებს 5 ლარად ვყიდდი... არ გაიკვირა, ახლა ერთ ტორტზე მიმითითა და ფასიც მკითხა. 30 ლარიანზე, 70 ვუთხარი. ჩაიყო ჯიბეში ხელი და ფული ამოიღო: 120 ლარიც ჩამითვალა და 20 ლარიც ზედ დამიმტა — ამა და ამ მისამართზე ერთ მშვენიერ ქალბატონს მიართვიო...

შუალამეზე კი, მოდიან მანქანებით და მიაქვთ ორ-ორი, სამ-სამი ტორტი. ყოფილა შემთხვევა, ერთი და იგივე ტიპი ერთ ღამეში ორჯერ მოსულა...

ქუჩაში რა ხდება ამ დროს? ამის შესახებ მანქანების ღარაჯზე უკეთ ვინ მოგვევება?

— მაინც რა გაინტერესებთ?

— **ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ ქუჩაზე ღარიბი ხალხი გასართობად არ მოდის... ამბობენ, ღამდამობით „მვირადღირებული გოგონებიც“ გამოდიანო. მართალია?**

— ზამთარში გარეთ იშვიათად ღვებიან. როცა დათბება, აი მაშინ უნდა ნახოთ... განა დგანან — არა! „როლიკები“ აქვთ წამოცმული და აქეთ-იქით დასრიალებენ. 16-დან, დიდი-დიდი 20 წლამდე გოგონები თუ იქნებიან... უცხოური მანქანები ხშირად შემოდიან ამ ქუჩაზე და ის „როლიკებიანი“ გოგონებიც უსხდებიან ხოლმე... ერთხელ, სულ ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა და ისეთ „სურათს“ წავაწყდი, კინაღამ თავი დავანებე აქაურობას.

— **მაინც რა „სურათი“ იყო ასეთი?**

— რესტორნიდან შეზარხოშებული კაცი გამოვიდა, გოგონასთან ერთად. მანქანაში რომ ჩასხდნენ, მათკენ გავეშურე — ჩემი კუთვნილი ხომ უნდა ამელო... მივუახლოვდი თუ არა, ელდა მეცა: ამხელა მუტრუკი, შვილისტოლა გოგოს გამეტებით ურტყამდა და კაბას ახვედა. გოგონას სახეზე ხელები აეფარებინა, წინააღმდეგობას არ უწყვედა — მხოლოდ ტიროდა. ეშმაკმა იცის, რა ხდებოდა მათ შორის, მაგრამ მე, კაცსა და შვილების მამას, ამ სცენისთვის მშვილად როგორ მეყურებინა?! კარი გამოვადე და რინიანად შევძახე — „ახლავე გადმოდი!“ გოგო შეცბა მოულოდნელობისგან, გადმოვიდა და გაიქცა, კაცმა კი მანქანა დაქოქა და ადგილიდან მოსწყდა: ვერ მეთვალყურის ფორმა არ მეცვა და ეტყობა იფიქრეს, „ორგანოს“ თანამშრომელი ვიყავი.

— **ერთ ღამეში რამდენი გამოგდით გასამრჯელო?**

— საშუალოდ, 20 ლარი მრჩება, ყოფილა შემთხვევა, 5 ან 10 დოლარიანიც მოუციათ...

— **ეი. მთლად ურიგო სამუშაო არ ყოფილა.**

— მოსაწონი რა არის, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს — თავი და ოჯახი რაღაცით ხომ უნდა ვირჩინო...



ქალაქში მომრავლებული ტაქსის მძღოლების უმრავლესობა გვიან ღამეებში რესტორნებსა და სხვა გასართობ ობიექტებთან „ჩასაფრებული“ ელის მგზავრის გამოჩენას და კაპიტანების მოლოდინში, ხან კურობებს აწყდება, ხანაც უსიამოვნო სიურპრიზების მსხვერპლი ხდება. ფიქრითა და უმოქმედობით დაღლილი, ბევრი მათგანი საქვეყნო საქმეებზე სასაუბროდ მაინც მზად არის, საკუთარ თავგადასავალზე ლაპარაკი ხომ დილაშივე შეუძლია.

შარია, შარი და ღამით ქურაში

ქაბ ლომიძე

ჩემს რესპონდენტს „ბაბუს“ ეძახიან, მაგრამ არა იმიტომ, რომ მოხუცია – უბრალოდ, სხვებზე უფრო სტაჟიანი „ტაქსისტი“ და შესაბამისად, მოსაყოლივ მუტი აქვს.

– ღამე „ტაქსისტისთვის“ მაგარი „შარია“. რამდენი კაი ბიჭი დაიღუპა ღამით ვიღაც ნადირების ხელით... მოვა ვიღაც „ახვარი“, ფულსაც გადავიხდის წინასწარ, მერე კი უცებ იარაღს დაგადებს და თუ რამე გაქვს, იმასაც წაგართმევს. თუ ცოცხალი გადაურჩი, ამითაც ბედნიერი უნდა იყო. ორი წლის წინ „წითელ ტაქსიზე“ ვმუშაობდი, ორმა ნადირალმა ვაშლიჯვარში წამიყვანა და მძიმე დღე დამადგა. მოულოდნელად გამოჩენილი ხალხი რომ არა, მომკლავდნენ ალბათ. შეეშინდათ, ხელი გამიშვეს, მანქანაში ჩასხდნენ და გაიქცნენ, მაგრამ ჩემდა ბედად, მანქანაც თხრილში ჩაუვარდათ და ისიც მიატოვეს. ტაქსიზე იმდენი ხანია ვმუშაობ, რომ უკვე მაგნიტობის გამოცნობა ვისწავლე და ახალბედა „მოფრებსაც“ ვარიგებ ხოლმე... ერთი სოლანულელი თათარი დაწინააღმდეგებს ახლა საღამოობით და სხვადასხვა უბანში ნადირობს. იმ დღესაც მოვიდა – დოლიდის ქუჩის უბნის რწმუნებული ვარ, საქმეზე უნდა წამიყვანო, მთელი „სუტკა“ დამჭირდები და რამდენი უნდა გადავიხადო? – შეშეშეშე. წამოდი, პოლიციაში ავიდეთ, შენ, ეტყობა, ახალი მისული ხარ და ვერ გცნობ-მეთქი. აბა, რას წამყვებოდა...

– პოლიციელები არაფერში გეხმარებიან? ღამით ხომ დადიან რეიდებზე?

– კარგი, ერთი, რას ამბობ! მაგათ, როგორც წესი, არასდროს არაფერი იცინა, ვერაფერს ხელავენ და არაფერი ესმით. ეგენიც, ჩვენსავით, ფულის საშოვნელად ღვანან ქუჩაში და არა წესრიგის დასამყარებლად. მანქანა რომ მოდის, მის მაგივრად მოფრიალულ დოლარებსა და ლარებს ხელავენ... აქეთ გავწუხებენ – უმიზეზოდ გვაჩერებენ, მანქანაში ახალგაზრდა მგზავრები თუ სხედან, გადმოიყვანენ, გაჩხრეკენ სათითაოდ, იმათ ვერ უნახავენ მიზეზს და მერე მე მომდგებიან – აბა ლიცენზია გვაჩვენე, რომ მართლა ტაქსი ხარო. არადა, ამის უფლება არა აქვთ. ვერხუბები – თქვენი საქმე რაც არის, ის მომთხოვეთ-მეთქი. ღამეა, კაცო, ათასი უბედურება ხდება და ყველა საეჭვო პირი უნდა შევაძოწმოთო. მე ვარ საეჭვო, გაიგე შენ?

– ამბობენ, ბევრი ყაჩაღიც პოლიციელის ფორმით დგას ხოლმე ქუჩაში...

– გადაცემული კი არა, პოლიციელი ყაჩაღებიც ბლომად არიან. ამას წინათ, ერთი ნადირალა ჩამიჯდა მანქანაში, იარაღი დამადო, ჯიბეები „ამომისუფთავა“... 28 ლარი მქონდა, მაგნიტოფონიც წაიღო და წავიდა. ორი კვირის თავზე ერთ ოჯახში, წვეულებაზე სუფრასთან ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდი. რომ დავინახე, გამეცინა. გამხრამო მოულოდნელობისგან. მეხვეწა – არ გამამხილო და მაგნიტოფონს დაგიბრუნებო, ფული კი არ დამიბრუნა. პოლიციის პოლიციელები იყო ის უბედური. ადრე კიდევ, ორი აყლაყულა ჩამიჯდა მანქანაში. იარაღი მომადეს და მითხრეს – მანქანა შეაჩერეო. ბედად, ისეთ ადგილზე მოვხვდი,

სადაც ვიცოდი, მოსახვევში, 100-ოდე მეტრში პოლიციელები უნდა მდგარიყვნენ „მოყუჩებულნი“. „მივაგდე“ იმათთან მანქანა – არიქა, მიშველეთ, მკლავენ-მეთქი. გადავიდნენ ეს აყლაყულები, საბუთები „გააძრეს“ – მერე განყოფილებიდან ვართ, ამ კაცს ვცდილითო... ენა ჩამივარდა, რაში მცდიდნენ, კაცო – მე ვართმეველი მანქანას, ძალით ჩავისვი თუ რა, ვერ გავიგე. არადა, გულით ავადმყოფი რომ ვყოფილიყავი, მარტო იარაღის დანახვაზე გამისკდებოდა გული.

– ღამობით მთვრალი თუ უბრალოდ, ახირებული ადამიანიც ხშირად გხვდებით ალბათ?

– ეს ამბავიც „წითელ ტაქსიზე“ მუშაობისას გადამხდა. ერთი რესტორნიდან გოგო გამოიყვანეს, მანქანაში ჩამისვეს, ფული გადამიხადეს და მითხრეს – გაუაფთველავ მიიყვანეო. გავედით გამზირზე, ვეკითხები – ქალიშვილო, სად უნდა მივიდეთ-მეთქი? ხმას არ იღებს. შევხედე – თვალები დახუჭული აქვს, სძინავს, რა. შევანჯღრიე, არ უგრძენია არაფერი. სახეშიც ვთხლიშე ერთი, ნერვები რომ მომეშალა, მაგრამ თვალი მაინც არ გაახილა. ვიფიქრე, მოკვდა-მეთქი. გავუხსენი პალტო, გულზე ყური დავადე – სუნთქავს. ღმერთს მადლობა გადავუხადე რომ შარი არ ავიკიდე. გავაჩერე მანქანა, გადმოვათრიე ის ბედოვლათი და საბარგულში ჩავაწვინე – ფურგონიანი მანქანა მყავდა. მთელი ღამე ვიშუშავე ასე, მასთან ერთად. დილით მანქანა გავაჩერე, ჩამეძინა. უცებ, მესმის ისტერიკული კივილი – მიშველეთ! სადა ვარ? გავახილეთ თვალი გულგახეთქილმა, ერთი შევეკურთხე და მივაბახე – აქა ხარ, ხანუმ-ჯან, აქა! მაგრად

„გაუტყდა“ თავისი მდგომარეობის გამო, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო?!.. ზოგი მთვრალი კიდე, ძალიან „შეივლია“. ერთმა ზორბა კაცმა გამაჩერა, გოგებაშვილზე, სანამ მელიქიშვილზე ჩამოვედით, ხვრინვა ამოუშვა. ვიფიქრე – დავიღუბე, ამას საბარგულში რა შეათრევს-მეთქი. გავაღვიძე – სად მივიყვანოთ-მეთქი, ვეკითხები. თვალის ყოველ გახელაზე სადღეგრძელოებს მეუბნება... „აჭარის“ წინ ვუთხარი – მივედით-მეთქი. იმანაც, კარი გაღო, გადავიდა და სკამზე 20 ლარიანი დამიდგო. ასეც ხდება ხოლმე...

— ღამით სამწუხარო ამბებსაც გადაეყრებოდით ხშირად...

— მიმეც ცხოვრება დაგვიდგა, მაგრამ გაჭირვებულს გულგრილად არ უნდა ჩავუაროთ ხოლმე. გუმიწვინ ღამის ორ საათზე, ახალგაზრდა კაცი, ბავშვით ხელში მომდგა, კაბიკი ფული არ ჰქონდა, მაგრამ იმას უარს როგორ ვებტყობი?! ღმერთმა თითქოს მე ჩამაბარა იმ წუთში მისი შვილის სიცოცხლე. გიჟივით გავვარდით დილოში, ბავშვთა საავადმყოფოში. მიძღებში კარი მოგვიკეტეს – ფული არ გვქონდა. ავტეხეთ ერთი ამბავი და ძალით მივაღებინეთ ბავშვი...

— ბაბუ, „ნივა“ სატაქსედ არც ისე მოხერხებული უნდა იყოს.

— არა, რას ამბობ? ამასაც თავისი კლიენტები ჰყავს! ერთხელ დილოში რესტორნის მისადგომთან ვიდექი და სიტუაციას ვზვერავდი. ღამის 2 საათი იყო, ჩემ გვერდით ბრიალა „შესოტკა“ „მერსედესი“ იდგა მხოლოდ – იმისი პატრონებია ქეიფობდნენ. ყველა წავიდა, მე კი რატომღაც, ფეხს ვითრევდი. როგორც იქნა, გამოვიდნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ. მესმის მათი საუბარი – ბიჭო, ახლა საჭესთან დაჯდომის თავი არც ერთს არა გვაქვს, მოდი, მანქანა რესტორანს ჩავაბაროთ ხვალამდე და ტაქსით წავიდეთ, აი, ტაქსი – იფერეს და ჩემკენ წამოვიდნენ. ვა, ბიჭო, „ნივა“? წამო, ბაკურიანში წავიდეთ, დილით იქ ვიქნებით და მაგრად „ვიგონკავებთ“ თხილამურებითო. გადაწყვიტეს და... ცოტა ხანში 100 ლარად ბაკურიანისკენ მივაქროლებდი „რომანტიკოსებს“. გზაში ცოტა გამოფხიზლდნენ და მოულოდნელად მითხრეს – ა, შენ, ძმაო, 100 ლარიც და ბათუმში „გავეშვათო“. წავიდით ბათუმში, დილით იქ ვიყავით. კარგად გამოიძინეს, მხოლოდ ბათუმში გაახილეს თვალი. აქ რა გვინდაო – მეკითხებთან. გავასხენე ყველაფერი. მოკლედ, ერთი ასლოლარიანი კიდეც მაჩუქეს იმ დღეს, ბათუმშიც კარგად მოილხინეს იქაურ მეგობრებთან და საღამოს თბილისისკენ გამოვეშვავრეთ. გზაში სიყვარულის ფიალა ავესოთ და თან გად-

ამყენენ: ერთმა ტყავის ქურთუკი დამიტოვა საჩუქრად, მეორემ „პერსტენი“ მოიხსნა, მესამემაც თბილისში რომ ჩამოვედით, „მერსედესიდან“ თავისი ნახშირი ბოტასები ამოიღო და მომცა.

— ესეც „სასიამოვნო შარი“, ხომ?

— სხვათა შორის, ის ბიჭები ხშირად ჩნდებიან ტელეეკრანებზე, საკმაოდ ცნობილი ხალხია. წინათ, სანამ მაგათ შევხვდებოდი, მიმა მაჭავარიანს დავატარებდი ხშირად ტაქსით, მინისტრი რომ გახდა, მეწყინა – ერთი მუდმივი კლიენტი დავკარგე.

— ქალს თუ უცდია ოდესმე უფულოდ ტაქსიდან თავის დაძვრენა?

— ზოგჯერ მართლაც იშვიათი ტიპი შეგხვდება. ერთმა ქალმა მთელი დღე მატარა, ბაზარშიც წამიყვანა, პროდუქტებიც ამატანინა სახლში და მერე მითხრა – ფულის მაგივრად, ბეჭედს მოგცემო. მოიხსნა და მაგილაზე დადო, თან მეუბნება – დაბრძანდით, ყავას დავალევიანებოთო. მეც ჩამოვეჯექი. ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. შემოვიდა ვიღაც წვერგაბურძენილი ახმახი, დამინახა და აღრიაღდა – კიდეც ვიღაც მოათრიე, შე ბოზოო? ეცა იმ ქალს. მე ბეჭედს ხელი დავავლე და გამოვვარდი. მანქანაში გულგახეთქილი ჩავეჯექი და იქაურობას გავეცალე. მერე ბეჭედი მოვიძიე ჯიბეში. დავხედე და... მომატყუეს – ყალბი ყოფილა.

— ბაბუ, ისეთი შემთხვევა ხომ არ გქონიათ, ვინმეს ფული წინასწარ გადაეხადა და ყვავილების, პიცის ან გოჭის მიტანა დაევალებინა თქვენთვის?

— არა, პიცა და გოჭი არავისთვის მიმიტანია, მაგრამ ქალი კი მიმიყვანია. თბილისში ბევრმა იცის, ღამდამობით ზოგიერთ „საუნაში“ რაც ხდება. შეიძლება კაცმა ქალი ამოირჩიოს და იქვე „იგულაოს“ ან სხვაგან წაიყვანოს. ერთხელაც მოვიდა ერთი კაი მუტრუკი და მითხრა, – ამა და ამ საუნაში წახვალ, იქ ამა და ამ ქალს იკითხავ და მერე აქეთ წამოიყვანო. მეც წავედი და... ქალი კი შემეშალა – შეცდომით სხვა მივუყვანე. გაგიჟდნენ – ეს რად გვინდოდა, ამის ბოზი დედაო... თითქოს დანარჩენები ანგელოზები იყვნენ. ის ქალი დავაბრუნეთ უკან და სასურველი „გულის ვარდი“ მივუყვანეთ. მერე მითხრეს – ორი კაცი ვართ და სამი ქალი გვყავს, იქნებ შემოგვი-

ერთდეს – ისე, „პროსტა“, შენი ფული არ გვინდაო. მე უარი ვთქვი, მაგნარებთან ურთიერთობას ყოველთვის შარის სუნი უდის...

— ბაბუ, „ტაქსისტს“ ფული თუ შეიძლება გადაუყვეს ხურდაში ზედმეტი?

— არა, შენ შემოგველე, რას ამბობ – ისედაც კაბიკებს დავკანკალებთ... „გაცურება“ სხვა ამბავია. ერთი სიმპათიური კაცი ჩამიჯდა ღოლიძეზე, სადღაც „არკასთან“ მიმიყვანა – ნამცხვრები უნდა ვიყიდო. გამოვიდა, მართლაც, ყუთით ხელში, დალო უკანა „სიდენიაზე“ და ოცლოარიანი ამოიღო. 17 ლარი მაქვს საცხობში მისაცემი და იქნება დამიხურდავო, ან პირდაპირ 17 ლარი მომეცი და ახლავე მოვალო. ღამე ამტერებს კაცს, ხომ იცი. მეც გამოვშტერდი და 17 ლარი მივეცი იმ კაცს, 20 ლარი კი ისევ ჩაიღო ჯიბეში. ნახევარი საათი პატიოსნად ველოდებოდი. მერე გადავედი, რა საცხობი, რა ნამცხვარი – მსგავსი ვერაფერი ვნახე. მოვბრუნდი მანქანასთან, ყუთს თავი ავხადე – ერთი აგური ჩაუდვია იმ მამამაღლს...

— გაგიგე, ამერიკაშიც ყოფილხართ, იქაც ტაქსიზე ხომ არ მუშაობდით?

— არა, ტაქსიზე არა, ამერიკაში სხვა რამეებზე „ვჩალიჩობდი“ ახლობლებთან ერთად. მაგრამ იქ რაც ვნახე, განსაცვიფრებელი იყო. ნიუ-იორკში არ ყოფილვარ და არ ვიცი როგორია, მაგრამ სხვა ქალაქებში გადამრიეს ტაქსებმა. სადაც უნდათ, იქ შევლენ, იქ მოუხვევენ. ყოველ წუთში არღვევენ წესრიგს. მერე მაგარი ღორები არიან იქაური „ტაქსისტები“. მართლაც ჩაჯდომამ 1,5 დოლარი ღირს, მერე დანარჩენს მრიცხველი წერს და იქ კიდეც 5-6 დოლარს ისე „მოგიტენენ“, გაგიჟდები. „აჭარიდან“ თავისუფლების მოედნამდე რომ არის, იმ მანძილზე 15 დოლარზე ნაკლებს არ გადაგახდევინებენ. მოკლედ, ჩვენი „ტაქსისტები“ ამერიკელებთან შედარებით, ანგელოზები არიან.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პროსტიტუციის ლეგალიზებაზე ჯერაც ჯამათობენ, უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში საროსიპოებიც არსებობს და მეძავებიც. ღამის თბილისი საქმაოდ მრავალფეროვანია – ცალკეულ უბნებში ფეშენებელურ რესტორნებსაც შეხვდებით და ე.წ. „ზაბიგალოვებისაც“, ევროსტანდარტების სასტუმროებსაც და იაფფასიან ღამის გასათევსაც, „ბუტკებისაც“ და ბუტკიებისაც...



ბა ბქა ნათსიპო ბა უთფილა.

არს ჩვენ ვიყავით მქავები...

ღანი ბრკელიშვილი

ქალაქში ყველაზე ცნობილი „თავშესაყარი“ მეძავთათვის და მათი კლიენტებისთვის ალბათ გმირთა მოედნისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიაა. შებინდებულზე აქ ერთმა ჩვეულებრივმა ქალმაც რომ გაიაროს, „იაფი სიამოვნების“ მსურველი არ მოასვენებენ. თუ ადრე „თერთმეტსართულიანი“ საქართველოში ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა „უბანთან“ ასოცირდებოდა, დღეს თბილისელთათვის მისი შემოგარენი გაცილებით განსხვავებულ წარმოდგენებს უკავშირდება. გმირთა მოედნისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორია, განსაკუთრებით ღამის საათებში, სხვადასხვა ტიპის, ეროვნებისა და გარეგნობის მეძავთა თავშეყრის ადგილად ქცეულა. კაცმა რომ თქვას, ახალი და საინტერესო ამ ამბავში არაფერია. დარწმუნებული ვართ, ამ საკითხზე მკითხველიც ხშირად დაფიქრებულა და ჩვენც მორალსა და ზნეობაზე მსჯელობას ნამდვილად არ ვაპირებთ. ამჯერად ერთ ინტერვიუს შემოგთავაზებთ ნახსენებ „ელიტის“ კორპუსში მცხოვრებ ქალბატონთან, რომელიც ყოფი-

თი გაჭირვების გამო იძულებული გახდა, თავისი სახლის სარდაფი საეჭვო რეპუტაციის ბარისთვის მიექირავებინა...
ბარში ერთი მეგობრის წყალობით მოვხვდი, მისი წინადადება ჟურნალისტიკისთვის მაცდუნებელი იყო – ღამის საათებში ბარში ათასი ჯურის მეძავი და მათი კლიენტი იყრის თავს, საინტერესო „ბაზრობა“ იმართება ხოლმე...
მკრთალი შუქით განათებულ ბარში საკმაოდ „პოეტური“ ატმოსფერო სუფევდა. პატარა მაგიდებზე მანდლები ეწყო, ბარის დახლთან, საკმაოდ მშვიდი და ინტელიგენტური იერის შუახნის ქალი იდგა. ერთი პირობა, დავეჭვდი კიდეც – სად საროსიპო და სად ეს „ლიტერატურული სალონი“, ნამდვილად რაღაც გვეშლება-მეთქი... მეგობარმა უმაღლესადამაშობინა – ჯერ ადრეა, მთავარი „სასტაჯი“ თავს 11 საათის შემდეგ მოიყრისო, რაც შეეხება ბარში მდგომ ქალბატონს, ეგ მაგათი „მამაშა“, ადრე ძველ ნაცნობთან ერთად ვიყავი ჩამოსული, რომელმაც მასში სიმკაცრით განთქმული, თავისი ყოფილი მათემატიკის მასწავლებელი ამოიცნო...
– აქ ზოგჯერ ბარის პატრონი, ამ

კორპუსში მცხოვრები ქალიც ჩამოდის ხოლმე. თუ გაგვიმართლა, შეიძლება ვნახოთ კიდეც. ვილაც დიდი „შიშკის“ შვილი ყოფილა...
ბარი ნელ-ნელა ივსებოდა გოგონებითა თუ ქალებით. ზოგ მათგანს სახეზეც ეწერა „პროფესია“, ზოგიც ალბათ დამწყები იყო – სულ რაღაც 16-17 წლისანები იქნებოდნენ... ცოტა ხანში, ბარის სიღრმეში, შიდა კარი გაიღო და ორმოციოდე წლის ქალი შემოვიდა.
– გაგიმართლა, ის მოვიდა, მე რომ გეუბნებოდი, – მითხრა მეგობარმა და ქალბატონი ჩვენს მაგიდასთან მოიპატიჟა. კონსპირაციულობასა და შენიღბვაზე ჟურნალისტურ ბაქიბუქობას ნამდვილად არ მოვყვები – მოსულს გულწრფელად ვუთხარი, ვინც ვიყავი და საუბარიც აეწყო...
– დიდი ხანია, რაც სარდაფი ამ დანესებულებას მიაქირავებ?
– არც ისე, ერთი-ორი თვე იქნება. ისე, რომ იცოდეთ, ეს ჩემთვის თვითმიზანი არ არის – რაღაცნაირად თავი ხომ უნდა ვირჩინო. სხვანაირადაც ვცადა – ჩვეულებრივი კაფე მქონდა მე თვითონ

გახსნილი, მაგრამ ნისიებმა ბოლო მომილო და იძულებული გაგხდი, გამეჭირავე ბინა...

— როგორც ვიცი, ამ ბინებს ხალხს შემთხვევით არ აძლევდნენ, თქვენი წინაპარც ალბათ გამოჩენილი პიროვნება იყო...

— მამაჩემი ერთ-ერთი ცნობილი სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გახლდათ. ვხვდები, რატომაც მეკითხებით: გინდათ თქვით, რომ მამაჩემის შვილს ასეთი საქციელი არ მეკადრება და სხვა ამგვარი... მარტო ჩემზე ვრცელდება ეს „კადრება-არკადრება“?! მამაჩემმა ამ სახელმწიფოს შეკლია მთელი ცხოვრება, ერთი მოფერება და გასეირნება არ მასსოვს მისგან, ისე გავიზარდე — დღე-ღამეში 20 საათს მუშაობდა თავის გამოკვლევებზე... დღეს კი, ხელში რა შერჩა? აკადემიკოსი კაცი 30 ლარიან პენსიას შეჰყურებს — მარტო მისი წნევის ერთი წამალი ღირს 30 ლარი. ისევ ამ ქვეყნისთვის შრომაში გამოიფიტა, დღეს რომ მათხოვრულ პენსიას უგდებს... რას მეტყვი? კიდევ შეგრჩათ მორალის კითხვის სურვილი? მორალი სჯობს იმ „ვირთხებს“ წაუკითხოთ, ეს ქვეყანა რომ გამოზრეს და თავზე დაგვაშეს, თვითონ კი „მერსედესებით“ დაშლივინობენ და კორუფციას „ებრძვიან“... იქნებ, გგონიათ, ძალიან მსიამოვნებს, საკუთარ სარდაფში ბორდელი რომ მაქვს გახსნილი? ჩემსაკვე ეზოში და სადარბაზოში სიარული შემზინდა — მეზობლების ამრეზილი სახეების ცქერა მზარავს... ან, გინდათ, ამ გოგონებს შეხედეთ! ჯოჯოები და ურჩხულები ხომ არ გგონიათ — უმეტესობა სოფლიდან არის ჩამოსული და ორი წლის წინ, თბილისი სად იყო, შეიძლება არც იცოდა... ცხოვრებამ გაათახსირა ასე. ახლა რომც მონილომონ, უკან ვეღარ დაბრუნდებიან...

ასეთ მკვეთრ და ვრცელ პასუხს ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ მაინც არ შევეპუე:

— ჩვენს ყოფაში გაჭირვებულებს ბევრია და გამწარებულიც, მაგრამ ასეთ ნაბიჯზე ყველა ხომ არ მიდის. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს აქ მართლა მორალის საკითხავად ვიყო ჩამოსული და „ცაში დაფერინავდე“ — სულაც არა. ჩათვალე, რომ მეც ერთი უბრალო, თქვენნაირი აღამიანი ვარ და უბრალოდ, ღამის ქალაქის ცხოვრებაში, მის ორომტრიალში მინდა ჩახედვა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ჩემ უკან ათასობით მკითხველი დგას... იქნებ,

ერთად ვცადოთ მათ გულამდე ამ ადამიანების, „ღამის ქალაქის მკვიდრთა“ სატკივრისა და ფიქრების მიტანა...

— როგორც გეგნობთ. შეიძლება, ზედმეტად აველდი, მაგრამ ასეთ რამეებზე ერთ დროს მეც სულ სხვაგვარად ვფიქრობდი — უფრო სწორედ, ისე, როგორც ძირითადი მასა ფიქრობს. არ გეგნობთ, ამ ხალხთან რაიმე საერთო მქონდეს (ბარს თვალი მოავლო), უბრალოდ, ამ დროს ჩემი ოჯახის წევრები ტელესერიალს უყურებენ ხოლმე და მე აქ ჩამოვდივარ — ამაზე კარგ სერიალს სად ნახავ... აქ ჯდომისას ბევრ რამეს მივხვდი და ბევრი რამ სხვაგვარადაც დავინახე. სხვათა შორის, ისეც ნუ გაიგებთ, თითქოს აქ უცოდველი კრავები იყვნენ, გზას ამცდარნი და მიუსაფარნი... მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ადრე აქ საროსკიპო არ ყოფილა: ცხოვრება იყო სხვანაირი და იმიტომ. ეს ხალხი ახალი ცხოვრების პროლექტია, გაჭირვებაში ყველამ თავისი შესაძლებლობა გამოაჩინა...

საუბარში ლურჯოვალეა გოგონა ჩაერთო. ასაკით ღიდი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ „პროფესიის კვალი“ მასაც უკვე ემჩნეოდა.

— ევრეა, ჩემო ძმაო. აქ ადრე საროსკიპო არ ყოფილა... არც ჩვენ ვიყავით ადრე მეძავეები. — გოგონა გვერდით მომიჯდა და უცერემონიოდ მთხოვა, ლუდი შემეკვეთა, თან მომიბოდიშა — პატრონებს რომ არ გავუსალოთ, აქ აღარ შემოგვიშვებენ და გარეთ მოგვიწვევს კლიენტების ტებნაო. თავისუფლად და მოურიდებლად ლაპარაკობდა. შეიძლება, ვინმემ იფიქროს — მეძავს, აბა როგორ უნდა ელაპარაკაო, მაგრამ ეს გოგო აშკარად პატარა იყო — 16-17 წლისა თუ იქნებოდა, გამომეტყველება და ინტონაციები აშკარა კონტრასტში იყო ერთმანეთთან... „ტარანზე“ წავედი:

— დღეში ბევრი კლიენტის მომსახურება გინევს?

— არც ისე. 5-6 კაცი საკმარისია. თან გააჩნია, როგორ გუნებაზე ვარ და ისინიც როგორები შემხვდებიან. თუმცა, ზოგჯერ იმასაც გააჩნია, რამდენად მჭირდება ფული — თუ ძალიან „მშრალზე“ ვზივარ, ასეთ დროს ნიანგსაც კი გავყვები...

— თითქოს, ისეთი დიდიც არ ჩანხარ, სტაჟიანივით კი ლაპარაკობ... როგორ მოხვდი აქ?

ირონიულად ჩაიცინა:
— რაო, ჟურნალისტო, სევდიანი ამბე-

ბის მოსმენა მოგინდა? როგორი ერთნაირები ხართ ყველა, თქვე ოხრებო... ახლა, წესით, თვალეში ცრემლი უნდა ჩამიდგეს და სლუკუნით მოგიყვე, როგორ ავცდი სწორ გზას ანგელოზივით გოგო, არა? სულაც არა ვარ ანგელოზივით და არც არაფერს ვნანობ. ანგელოზი ჩემი იდიოტი შეყვარებული იყო — ღრუბლებში რომ დაფრინავდა და ვიდაც ახალგაცნობილ „ფულავიკს“ შემატოვა სუფრასთან, ვაჟკაცობისა და საქართველოს სადღეგრძელოებით გამომტყვრალმა. ისე, არავინ მეზინდება და არც არავინ მძულს. ადამიანმა ძლიერის და სუსტის გარჩევა უნდა იცოდეს — პირველს მორიგად და მეორე გებრალეობდეს... რომ იცოდეს, ვალში არ დავრჩენილვარ...

— ერთი ეს მითხარი, მეძავეებს ფილოსოფოსობა რატომ გიყვართ? და რადგან ფილოსოფოსობის გუნებაზე ხარ, იქნებ ისიც მითხრა, ამ საქმისთვის ღამეს რატომ ამჯობინებთ — მოსახლეობა დღისით რომ არ მოცდეს? — შევატყვე, ჩემი ტონი არ მოეწონა. — საწყენად კი არ მითქვამს, რაც ვითხარი...

— ჩემი ბრალია, ჟურნალისტები ეგეთები რომ ხართ? ჩვენც ასეთები ვართ, ხომ იცით — ყველა თავის საქციელის ამართლებს. ჩვენც ჩვენი ფილოსოფია გვაქვს... ღამეს რაც შეეხება, აბა რა ვითხრა, მე პირადად, ღამით მუშაობა მირჩევნია: დღისით გამოვიძინებ და სხვა ცხოვრებით ვცხოვრობ, ვითომც წინა ღამის ამბები სიზმარში მენახოს... გატყობ, რომ არ გჯერა, რასაც გელაპარაკები, მაგრამ ევრეა...

...ღილის 5 საათი სრულდებოდა. საყელში თავჩარგული ქუჩაში გამოვედი. ღამის ქალაქი იძინებდა...





სელისუფლეა ბუნებას მხოლოდ მოხსენიების თვალთ ალიქვას!

ტრადიციული კრეფო — „ტყე შეუნახე შევიღებსა“ შინაარსგამოცდილ ფიქციად გადაიქცა. დღეს, საქართველოში, ბუნების დაცვაზე, ფაქტობრივად, აღარავინ ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში, ძლიერთაგან ამა ქვეყნისა. თუ ასე გაგრძელდა, საბოლოოდ, ეროზიით გამოსრულ უდაბნოში აღმოვჩნდებით. თანაც, ქვეყნის გაპარტახების პროცესზე, მავანი ხელს ითბობს და ჯიბესაც ისქელებს.

მელა ბობსაძე

მოკუსმინოთ „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარეს, ბატონ **ბია ბაჩინილაძეს**:

— ეკოლოგიური სიტუაცია საგანგაშოა და დამლუპველ შედეგებს მოგვითანს. ბოლო ოცი წლის მანძილზე, ნახშირორჟანგით ატმოსფეროს ყოვლისმომცველმა დაბინძურებამ, განაპირობა გლობალური დათბობის პროცესი. ამის შედეგია ათასწლეულთა მანძილზე ჩამოყალიბებული ბუნებრივი ფონის რღვევა, რაც კატასტროფულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამედიცინო პრობლემებს შეგვიქმნის და უკვე გვიქმნის. სწორედ ამ პროცესის გამოძახილი გახლავთ საქართველოში ბოლო წლების ვეკლავები; განსაკუთრებით მძიმე გამოდგა უკანასკნელი წელიწადი. ზარალმა 400 მილიონ დოლარს მიაღწია. გლობალური დათბობით დარღვეული კლიმატური ფონი ანგრევს სოფლის მეურნეობის ტრადიციულ სისტემას, რისი შედეგიც შიმშილიანობა იქნება. საქართველოში, მაგალითად, სურსათის დეფიციტმა 1 მლნ 200 ათასი ადამიანი მოიცვა.

— **როგორც ცნობილია, ნახშირორჟანგით დაბინძურების გარდა, გლობალური დათბობის პროცესს ხელს უწყობს ტყეების გაჩენა. საქართველოში კი ეს პრობლემა მალე ეროვნული ტრაგედიის სახეს მიიღებს...**

— სამწუხაროდ, ეს არა მარტო საქართველოს პრობლემაა. ტყეების ფართობი დედამიწის მასშტაბით სერიოზული ტემპებით მცირდება — ყოველწლიურად 10-15 მილიონი ჰექტარით, ანუ 0,3%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგულარულად ნადგურდება ორი საქართვე-

ლოს ტოლი ტყიანი მასივი, რასაც თავისი წვლილი შეაქვს გლობალური დათბობის დამლუპველი პროცესის დაჩქარებაში. საქართველოში ტყის ჭრამ კატასტროფულად იმატა: დამზადებული ხეტყე არალეგალური გზითაც გაედინება. ინგლისის ბირჟებზე, მაგალითად, იყიდება აფხაზეთიდან რუსეთის გემებით გაზიდული ხეტყე. 1991 წლის ნოემბრიდან — 1998 წლის ივნისამდე, თორმეტჯერ აიკრძალა და ისევ დაიშვა საქართველოდან ხეტყის ექსპორტი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მწვანეთა პარტია გამოვიდა ინიციატივით — საქართველოს ხელისუფლების გინესის წიგნში შეყვანის თაობაზე. ამას სრული სერიოზულობით ვაცხადებთ!

— **რით ახსნიდით დაშვება-აკრძალვის ამ სერიას?**

— ახსნა მარტივია — ეს გახლავთ წმინდა წყლის კორუფცია. როდესაც აკრძალავ და ორ თვეში ისევ დაუშვებ, მერე კი იმავეს ბევრჯერ გაიმეორებ, ნიშნავს იმას, რომ აქ დიდი ფული ტრიალებს. რაც უფრო ხშირად გაათამაშებ ამ სცენარს, მით მეტ ფულს იშვოვი, თანაც ხეტყით უკანონო ვაჭრობა შემოსავლის წყაროა გამგებელთათვის, რომლებსაც სახელმწიფო ხელფასს ვერ უხდის. მეორე მხრივ, კორუფციაში ჩათრეული გამგებელი უფრო „დამჯერი“ და მართვადია. 1998 წლის მარტში, დიდი წივილ-კივილის შემდეგ, პარლამენტმა მიიღო მწვანეთა მიერ მომზადებული კანონი, რომლის თანახმად აიკრძალა ხეტყის გატანა. მაჟორიტარები ისტერიკაში ჩაცვივდნენ — სავალუტო ფონდი ტყავს გაგვადრობს, მისი ერთ-ერთი პირობა თავისუფალი ვაჭრობააო. იმავე წლის ივნისში, სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნით, პრეზ-

იდენტმა ამ კანონს „ვეტო“ დაადო და ისევ დაიშვა ხეტყის გატანა. როგორც ხედავთ, ეს საკითხი, გადაჭარბების გარეშე, პოლიტიკური მნიშვნელობისაა. ეკოლოგია, რაღაც დონეზე, დიდ პოლიტიკას უკავშირდება.

— **სავალუტო ფონდის ასეთი კატეგორიული ულტიმატუმი, თანაც საქართველოსთვის საზიანო საქმეში, ცუდ ეჭვებს ბადებს...**

— სავსებით საფუძვლიანად! ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოღვაწეობა ძალზე რთული და გლობალური საკითხია. ორი სიტყვით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ, სინამდვილეში, იგი მოწოდებულია არა ვილაცის დასახმარებლად, არამედ, განვითარებად სამყაროში ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ინტერესების დამკვიდრებას ემსახურება. მათ კიდევ აწყობთ, რომ ჩვენი პრობლემები პრობლემებად დარჩეს და განვითარებული ქვეყნებისთვის გასაღების ბაზარი და იაფი ნედლეულის ბაზა ვიყოთ. აი, რატომ არ სურთ, რომ ვაჭრობაზე რაღაც შეზღუდვები დაწესდეს! რაში ენადვლებათ, თუ ქართველები გაგანადგურებთ ჩვენს მშვენიერ ტყეებს, რომლებიც, შეიძლება, ქვეყნის გაჯანსაღების ერთ-ერთ საშუალებად იქცეს! უკანასკნელ წლებში საქართველოდან კანონიერად



ექსპორტირებული ხეტყის 80-90% სწორედ დაუშუშავებელ ნედლეულზე (მორებზე) მოდის, რომელიც მსოფლიო სტანდარტებზე ათჯერ უფრო იაფად იყიდება. ექსპორტის ასეთი სტრუქტურა შემოსავლებს 6-7-ჯერ ამცირებს.

— ბევრად უფრო გონივრული იქნებოდა ნედლეულიდან ნაწარმის ადგილზევე შექმნა და ამ ნაწარმით ვაჭრობა, რაც ბიძგს მისცემდა მრეწველობის განვითარებას...

— ეს არავის აინტერესებს. ხეტყის ასეთი განიავებით გავიძარცვეთ საკუთარი თავი, სამაგიეროდ, გავამდიდრეთ, თუნდაც, თურქები. თურქეთის ტერიტორიაზე, სარფის მიდამოებში, გახსნილია ქართული ხეტყის გადაამუშავებელი საწარმოები და იქ დამზადებული სამშენებლო მასალები (პარკეტი, კარ-ფანჯარა და სხვა) საქართველოში საღება. წაბრძანდით ლილოში და საკუთარი თვალით იხილავთ!

სხვა საკითხია, რომ ტყეების ასეთი განუკითხავი განადგურებით იზრდება სტიქიურ უბედურებათა ალბათობა და სიმძლავრე. ამ პროცესებით მიყენებული ყოველწლიური ზარალი საქართველოში 300-500 მილიონ ლარს უტოლდება. ცნობისათვის: თუ ჩვენ ამ ტემპებით გავრძელდა, 20-25 წელიწადში ტყე საერთოდ აღარ გვექნება.

— მოკლედ, როგორც ჩანს, ეკოლოგიური ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა იქნას აყვანილი.

— აუცილებლად! ეკოლოგიური კატასტროფები გლობალური მნიშვნელობისაა არა მარტო ეკონომიკურ ასპექტში, არამედ, პირველ რიგში, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აუნაზღაურებელი ზარალის მიყენების თვალსაზრისით. ესარგებლობ შეითხვევით, რათა გავაკეთო განცხადება: კახეთში, მდინარე დურუჯის სათავეებთან, დაგროვილია 300 მილიონ ტონამდე კლდის ნაშალი მასალა, რომელიც თავსხმა წვიმების, ან სეისმური ბიძგის შედეგად, შეიძლება დაეშვას ხეობაში და დაფაროს ქ. ყვარლის ჩრდილო უბანი, ან უფრო ღიდი ტერიტორია. 1949 წელს ღვარცოფმა იმსხვერპლა 50-მდე ადამიანი, 50-იან წლებში ყვარელთან აგებული იქნა 16 კმ სიგრძის დამბა, რომელმაც სამჯერ დაიცვა ქალაქი სტიქიისგან, მაგრამ, ამჟამად, დამცავი სისტემა მწყობრიდანაა გამოსული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1998-99 წლებში გამოიყო თანხა, დუ-

რუჯზე ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად, მაგრამ იგი არ იქნა დანიშნულებისამებრ გამოყენებული. ამ დროს, კრიტიკულ ზღვარზე ვიმყოფებით, ვინაიდან მდინარეზე ღვარცოფები, დაახლოებით, 12-13 წელიწადში ერთხელ, თანაც, როგორც წესი, ზაფხულში აღინიშნება და, უკანასკნელად, 1987 წელს მოხდა. დროის სიმცირის გამო, ალბათ, ვერ მოესწრება სათანადო დამცავი ჯებირის აგება, მაგრამ ეს უმოქმედობის უფლებას არ გვაძლევს. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით: „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში“, ხოლო მე-5 პუნქტით: „ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“. ამის საფუძველზე, ჩვენმა პარტიამ, გასული წლის გაზაფხულზე ოფიციალურად მიმართა ბატონ ზურაბ ჟვანიას და ბატონ ვია არსენიშვილს. დავსვით საკითხი ქ. ყვარლიდან მოხუცებისა და ბავშვების გაყვანის, მოსახლეობის ოპერატიული შეტყობინების სისტემის შექმნის, 1998-99 წლებში გამოყოფილი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის საკითხის შესწავლისა და დურუჯზე ღვარცოფთან ბრძოლის ინჟინრული მეთოდების დანერგვის შესახებ.

— მიღებულია თუ არა რაიმე ზომები თქვენი მიმართვის საპასუხოდ?

— ოფიციალური პასუხი არ მოგვსვლია, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ივლისში, საერთაშორისო დაფინანსებით, შეიქმნა ოპერატიული შეტყობინების სისტემა. არდადეგების პერიოდთან დაკავშირებით, მოსახლეობამ საკუთარი ძალებით გაიყვანა ბავშვები სახიფათო ზონიდან. ინჟინრული მეთოდების დანერგვა, თანხების სიმცირის გამო, არ განხორციელებულა, ხოლო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის საკითხის შესწავლა არც უცდიათ. ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ — საშიშროება ისევ არსებობს. სტიქიამ დაგვიწოდო შარშან, მაგრამ, ვინ იტყვის, რა მოხდება ამ ზაფხულს?! მწვანეები იტოვებენ უფლებას, რომ, უბედურების შემთხვევაში, დაყ-

ენონ ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც მოვალენი იყვნენ, მიედოთ შესაბამისი ზომები.

— როგორ შეაფასებდით ჩვენი ხელისუფლების ეკოლოგიურ პოლიტიკას ზოგადად?

— ჩვენს ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი ეკოლოგიური პოლიტიკა — არც ტაქტიკის, არც, მით უმეტეს, სტრატეგიის ასპექტში. იგი ბუნებას მხოლოდ მომხმარებლის პოზიციიდან აღიქვამს. ხელისუფლება გადაიტყა ერთგვარ „პოლიტიკურ კოლპერატივად“, რომლის ძირითადი მიზანია ნაშოვნის თანხების შენარჩუნება. ჩვენი მონაცემებით, 1996-2000



წლებში სუფთა მოგების სახით ხელისუფლებამ (მინიმუმ) 1.740.000.000 დოლარი იშოვა (წელიწადში, საშუალოდ, 350 მილიონი დოლარი). მხოლოდ პურპროდუქტებსა და ფქვილზე — 650 მილიონი დოლარი, რძის პროდუქტებსა და სივარტზე — 300 მილიონი დოლარი, მარტო ნავთიდან 60 მილიონი დოლარი იშოვეს (ესეც გაუთავებელი ენერგორიზისის ლოგიკური ახსნა!). ცალკე კვლევის საგანია აურაცხელი თანხის მიტაცება კრედიტებისა და გრანტებიდან.

დღესდღეობით, საზღვარგარეთ საშოვარზე წასულია 1.200.000 ადამიანი, რომელიც ყოველთვიურად, ოჯახს 100 დოლარს მაინც უგზავნის, რაც წელიწადში, დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ტოლია. ამ თანხების უდიდესი ნაწილი სმარდება ხელისუფლების მიერ კონტრაბანდული საქონლის შექმნას და ამ გზით ხვდება ისევ ხელისუფლების ჯიბეში.

სამწუხაროდ, ხელისუფლება თავის მოქალაქეებსაც მხოლოდ მომხმარებლის თვალთ აღიქვამს...

1975 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა ინტელექტუალური თამაში — რა? სად? როდის? სხვათა შორის, ეს წმინდა საბჭოური გამოგონება გახლდათ, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არ გავრცელებულა.

რამდენიმე წელია, რაც ახალგაზრდა ინტელექტუალებმა საქართველოშიც დაიწყეს „ბრენ-რინგ ზე“ ჭიდილი. თამაშისა და სატელევიზიო შოუს „მარილი“, „ინტელექტკლუბის“ კრუპიე — გიორგი მოსიძე გახლავთ.



რა? სად? როდის? ქართულ-ფსუკიუმოტოტაგლშ რომანი

ნათია გობსაძე

— დაიბადე 1972 წლის 5 მაისს. ჩემ გარდა ამ დღეს ქვეყანას მოველინენ: ზიგმუნდ ფროიდი, მარქსი, კირკეგორი, ბერი სხვა გამოჩენილი ადამიანი... სკოლის შემდეგ ჩავაბარე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1995 წელს დავაშთავრე. სპეციალობით ექიმი-ინფექციონისტი ვარ. ერთწლიანი ინტერნატურის შემდეგ საჯარო სამსახურში გადავედი: სახელმწიფო კანცელარიაში ვმუშაობდი რეფერენტად, ამჟამად ვარ საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკური ინფორმაციის დეპარტამენტის I მდივანი. ასე რომ, საგარეო უწყებაში მინისტრიც ექიმია და მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომიც.

— როგორ დაიბადა „ინტელექტკლუბის“ შექმნის იდეა?

— იდეა გაჩნდა 90-იანი წლების დასაწყისში. იმ დროს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც ამ თამაშს ფეხი არ ჰქონდა მოკიდებული. მე და ჩემმა მეგობრებმა გადაწყვიტეთ, თამაში ჩავვეტარებინა და პირველი შეჯიბრება გაიმართა 1991 წლის 23 ოქტომბერს, ასე რომ, წელს 10 წელი გვისრულდება და თუ საქართველოში შესაბამისი ვითარება იქნება, გვინდა დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნოთ თუბილე.

— დღეს უკვე პოპულარული ინტელექტუალები — ზურა მალრაძე, გიორგი ბაქრაძე, ლაშა კილაძე თავიდანვე იყვნენ კლუბში ჩართულნი?

— პირველი თამაში სამედიცინო ინსტიტუტში ჩატარდა. იმ დღიდან მომყვებიან ლაშა კილაძე და ზურა მალრაძე, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შემდგომ ჩვენი კლუბი რესპუბლიკური გახდა და სახელმწიფო უნივერსიტეტების ინტელექტუალები შემოგვიერთდნენ: გიორგი ბაქრაძე, ნიკა გვარამია უნივერსიტეტელები არიან. ამის შემდეგ, სამი წლის მანძილზე, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში იმართებოდა ქართული „ბრენ რინგი“.

— როგორ მზადდება გადაცემა, ალბათ კითხვების შერჩევის პრინციპები არსებობს?

— მე-9 არხისა და „ინტელექტკლუბის“ საორგანიზაციო ჯგუფი ერთად მუშაობს. კვირის მანძილზე ტელემაცურებლებისაგან შემოდის 20-30 კითხვა. ჩვენი ჯგუფი განიხილავს და არჩევს საუკეთესოს. ბოლო დროს ელექტრონული ფოსტითაც ვღებულობთ ინფორმაციას. სამწუხაროდ, შემოსული კითხვების 95%-ს ვიწუნებთ, მაგრამ ზოგჯერ ხდება მათი გადაშუაება და თამაშშიც ვიყენებთ. თუმცა, შეცდომები მაინც გვებარება. უმეტესად, სადავო ხდება საქართველოს ისტორიის შესახებ მოსული შეკითხვები, რადგან სხვადასხვა ისტორიკოსი ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვანაირად გადმოგვცემს.

— თქვენ საკმაოდ დიდი უფლებები გაქვთ, თქვენი ჩარევა ხშირად,



გიორგი მოსიძე

ინტელექტუალთა ბედს წყვეტს ხოლმე...

— კრუპიე ფაქტობრივად ყველაფერში ერევა, ამიტომ თამაშის პროცესი, ბუნებრივია, დიდად არის ჩემზე დამოკიდებული. ხშირად ინტელექტუალები ორჭოფობენ, გაუბედავად აყალიბებენ პასუხს. ასეთ დროს კრუპიე ლებულობს გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, მეც მაქვს ჩემი სიმპათია-ანტიპათიები, რაც ალბათ, იგრძნობა ხოლმე. ეს არის თამაშის დრამატურგია, მე ხომ ფეხბურთის მსაჯი არ ვარ, რომ აბსოლუტურად მიუკერძოებელი ვიყო. პირველ რიგში, მე ვთამაშობ ტელემაცურებლების მხარეს: მთავარია, კარგი და საინტერესო შოუ გამოვიდეს.

— ზოგჯერ ძალიან სასტიკი და დაუნდობელიც ხართ ხოლმე...

— ამას წინათ ერთ-ერთი მოთამაშე, ლევან ნამორაძე დასმულ კითხვაზე პასუხობს: „ენა“ ან — „რუსული ენა“. მე ვკითხვები: „ენა“ თუ „რუსული ენა“? სწორი პასუხი იყო „ენა“. მაგრამ ჩემი დაჟინებული კითხვების შემდეგ, ის დაიბნა და „რუსული ენა“ თქვა. წაავო კიდევ: ჩემი პრეროგატივაა, მოთამაშე უნდა დავაბნო, ის კი, თუ ძლიერია და ფინალში გასვლის პრეტენზია აქვს, არ უნდა დაიბნეს.

— თამაშის დროს ძალიან მკაცრი ხართ, ეკრანს მიღმა როგორი ურთიერთობები გაქვთ ინტელექტუალებთან?

– ჩვენ 10 წელია ერთ კლუბში ვართ და ის მოთამაშეები, რომლებიც მაყურებელსაც ძალიან უყვარს, უკვე ჩემი ძალიან ახლო მეგობრები არიან – თამაში რომ მთავრდება, ხშირად მოდიან და მეუბნებიან – რას მერჩობი, რა გინდოდაო? მაგრამ შოუ შოუა, თამაში – თამაში, ის ნაღდ ემოციებს იწვევს. მაგალითად, ზოგჯერ მაღიზიანებს ბაქრაძე, რომელიც მარტივ შეკითხვას ვერ პასუხობს, ამიტომ უხეშად ვექცევი ხოლმე, ის კი ამით უფრო იბნევა. მეორე მხრივ, ტელემაყურებლის სიმპათია ბაქრაძისადმი იხრება და ჩემს საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ეს გადაცემის დრამატურგიაა.

— რა კავშირი გაქვთ რუსეთის „Что? Где? Когда?“-სთან?

– ჩვენი გუნდი რამდენჯერმე იყო წასული „სასპარეზოდ“. გიორგი ბაქრაძემ ითამაშა რუსეთის „ელიტარტა კლუბში“ და დაახლოებით 350 დოლარი მოიგო. ასე რომ, თვითმფრინავით მგზავრობის ფული „ამოიღო“. იქ მხოლოდ ინდივიდუალურად იწვევენ მოთამაშეებს. გარდა ამისა, არის „ბრენ-რინგი“, სადაც საქართველოს ნაკრები იყო წასული, დსთ-ის ფინალში გავედით. მართალია ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ თვით ფინალში გასვლა, იმით მოედანზე, როდესაც თამაში რუსულად მიმდინარეობს და კრუპიეც რუსია, დამეთანხმებით, მაინც დიდი წარმატებაა. ხშირად მოსკოვიდან ჩამოგდის კითხვები, კიევის, ერევნის, აშხაბადის კლუბებთანაც გვაქვს შეკითხვების გაცვლა-გამოცვლა.

— მოსკოვში „ინტელექტულებში“ საკმაოდ დიდი ფულია ჩადებული და გამარჯვებასაც ერთ-ორად ემატება ფაქტი. ქართველი ინტელექტუალების საპრიზო ფონდი რამდენია?

– რუსეთში მართლაც ამ საქმეში დიდი ფული ტრიალებს. იქ უკვე „ინტელექტულებში“ თამაში პროფესიულად აქვთ ქცეული. ჩვენთან საპრიზო ფონდი მხოლოდ 600 ლარია, აქედან თუკი შეკითხვებს ვერ გამოიცნობენ, ფული მოთამაშეების ნაცვლად, შეკითხვის ავტორს გადაეცემა. სამწუხაროდ, ჩვენი ერთადერთი სპონსორია ბანკი „ქართუ“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მაგიდაზე ბევრი ფული არ ტრიალებს, თამაში მაინც ძალიან დაძაბულად მიმდინარეობს. ერთხელ თამაშობდა ბესო ბუთურიშვილის ექვსეული – საკმაოდ ძლიერი გუნდი. თუკი ბოლო შეკითხვას გამოიცნობდნენ, ფინალში გადაიდნენ. ამასთანავე, რაც უფრო ცოტა მოთამაშე დარჩებოდა მაგიდასთან, მით უფრო დიდ თანხას მოიგებდნენ. გუნდმა გადაწყვიტა, საკუთარი ბედი ყველაზე გონებასხვეილი მოთამაშეებისათვის – დიმა ქიტოშვილისა და დათო ლაშხისათვის მიენდო. დაიწყო თამაში. შეკითხვა ასეთი გახლდათ: რა აერთიანებდა ჩამოთ-



ლილ ქალაქებს; დასახლებული იყო 6 ქალაქი, მათ შორის: ნიუ-იორკი, ჯორჯთაუნი, ქეიფთაუნი... სამწუხაროდ, სხვა სახელწოდებები აღარ მახსენდება. ამ ქალაქებს ის აერთიანებდა, რომ ყველა ზღვის დონიდან საკმაოდ დიდ სიმაღლეზე მდებარეობს.

მოთამაშეებს სჯეროდათ, რომ ჩამოთვლილ ქალაქებს აერთიანებდათ სიტყვა „ქალაქი“. დადგა პასუხის დრო და ის-ის იყო, ქიტოშვილს უნდა ეთქვა თავისი ვერსია, რომ უეცრად სწორი პასუხი დარბაზიდან უკარნახეს. მე ეს შევამჩნიე და მიკროფონი ლაშხს გადავეცი, რომელსაც არაფერი გაუგონია. მან თავის თავში სრულიად დარწმუნებულმა, მშვიდად მიპასუხა მცდარი ვერსია. თამაში წააგეს. ქიტოშვილი გამწარებული წამოხტა, მაგიდასთან მოვარდნენ მისი სხვა თანაგუნდელებიც. ატყდა ცემა-ტყეპა, ჩხუბი, გინება და ეს ყველაფერი ეთერში გავიდა. ასე რომ, „ინტელექტულებშიც“ ხდება ექსცესები.

— რა ინტენსივობით იმართება ჩემპიონატები?

– წელიწადში, დროთა მიხედვით, 4 ჩემპიონატს ვატარებთ. გადაცემებს ვიდუოდირზე ვიწვევთ.

— იმისათვის რომ მოიგო, რა უფრო მნიშვნელოვანია — განათლება, სხარტი აზროვნების უნარი თუ ორივე ერთად?

– „რა? სად? როდის?“ სპეციფიკური თამაშია. ჭადრაკის სვლები ყველამ იცის, მაგრამ კარგად ყველა ვერ თამაშობს. არიან ორი ტიპის ადამიანები – ერთი, ვისაც განათლება აქვს, მაგრამ შეზღუდულ დროში, 20 წამში არ შეუძლია გამოიყენოს თავისი ცოდნა და მეორე, ვინც ლოგიკის კანონების გამოყენებით თამაშობს. თუ ეს ორივე თვისება შეერწყვა ერთმანეთს, მაშინ ძალიან კარგ მოთამაშესთან გვაქვს საქმე. ასეთები არიან: ბაქრაძე, მალრაძე, კილაძე, გვარამია.

— გასულ ზაფხულს ბაზალიის ტბაზე ახალგაზრდობის დღეები მოწყობდა, სადაც „რა? სად? როდის?“ ჩატარდა. მაშინ თქვენც ერთ-ერთი მოთამაშე იყავით და წააგეთ...

– თამაში უფრო რთულია, ვიდრე კრუპიეს როლში ყოფნა. სხვათა შორის,

მეორე გუნდში იყო პროფესიონალი მოთამაშე – ლაშა კილაძე, მაგრამ მაინც წააგო, რადგან, როდესაც ერთი ძლიერი პარტნიორიც არა გვაქვს, ძნელია თამაში.

— თქვენი ოჯახის შესახებაც გვიამბეთ. როგორც ვიცო, თქვენი მეუღლე აზერბაიჯანელია?

– ეს იყო ლიკანში... 1995 წლის შემოდგომაზე ევროპის ახალგაზრდულმა ფორუმმა ჩაატარა სემინარი ახალგაზრდა ლიდერებისათვის. იქ გავიცანი ემილია, იქ ვაჩუქეთ ერთმანეთს პირველი კოცნა, რომელიც კარტში მოვიგე. 1999 წლის 26 ივნისს შევეუღლეთ.

— ალბათ, თქვენი ქორწინება მხოლოდ სამოქალაქო წესით გაფორმდა...

– დიახ. მე ქრისტიანი ვარ, ემილია კი თავისი სარწმუნოების ერთგულია. ჩვენი სიყვარული ყველაფერზე მაღლა დგას. თუმცა პრობლემებიც გვინდობს ხოლმე: ჩემი მეუღლე ვერ იტანს ფეხბურთს და „ინტელექტულების“ თამაშებს, რადგან ეს ორი რამ ჩემს თავს ართმევს ხოლმე...

— თქვენს მეუღლეს რა პროფესია აქვს?

– ფილოლოგია. ამასთან, არის საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდა აზერბაიჯანელთა ასოციაციის თავმჯდომარე. საკმაოდ აქტიურ საქმიანობას ეწევა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით.

— თქვენს შოუში პოლიტიკოსების მონაწილეობაზე სომ არ გიფიქრობთ?

– დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარლამენტარების 75% წააგებს, ამიტომ ვფიქრობ, არ ღირს. სხვათა შორის, ზურაბ ჟვანია ამდენჯერ ერთხელ თამაშის სურვილი. მოვიწვიეთ. მან შეკითხვა შემოგვთავაზა და ჩვენმა ინტელექტუალებმა გამოიცნეს. აი, თქვენი კოლეგები კი გვინდა გამოვცადოთ: ამ გაზაფხულზე „ინტელექტულების“ თამაშებს ქართული მასშტაბის წარმომადგენლებისთვის მოვაწყობთ.

— იმედია, „გზა“ და „კვირის პალიტრა“ არ გამოგრჩებათ.

– ბუნებრივია, არა. თქვენ პირველები იქნებით. წინასწარ გისურვებთ წარმატებას!

მეზი სანაპი

2000 წლის 2 მაისს გარდაბნის რაიონის პროკურატურაში მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დამნაშავე, რომელმაც სანადირო თოფიდან გასროლით 39 წლის მამუკა ოშაყმაშვილის სიცოცხლე შეიწირა, მისი თანასოფელი და ყოფილი თანაკლასელი, სამი შვილის მამა, 1963 წელს დაბადებული თემურ მუხიაშვილი აღმოჩნდა. იგი სამართალდამცავებს საკუთარი ნებით ჩაჰპარდა.

მომხდარი ფაქტის გამოძიების შედეგად პროკურატურამ მუხიაშვილს ბრალი 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, დამამძიმებელ გარემოებებში) წაუყენა. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი 10-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, სასჯელის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო მიიღებს, სადაც ამჟამად ამ საქმის განხილვა მიმდინარეობს.

მკვლელობა აღდგომის დღეს, 2000 წლის 30 აპრილს, სოფ. მარტყოფში მოხდა. როგორც გაირკვა, წინა დღეებში აღნიშნული სოფლის მკვიდრმა მამუკა ოშაყმაშვილმა შვილის ხელით მუხიაშვილს მაგნიტოფონი გაუგზავნა შესაკეთებლად. მუხიაშვილი ადრე ტელევიზორების ქარხანაში მუშაობდა და ყველამ იცოდა, რომ მას რადიო-ტელევიზორების შეკეთება ეხერხებოდა. თუმცა, მან ყოფილ თანაკლასელს თხოვნა დროულად ვერ შეუსრულა, რის მიზეზადაც დაზიანებული ნაწილის შესაცვლელად საჭირო დეტალის უქონლობა დაასახელა. 30 აპრილს, საღამოს, დაახლოებით 8 საათისთვის მამუკა ოშაყმაშვილმა თავის 6 წლის შვილთან – ტატო ოშაყმაშვილთან, სიძესთან – ნიკო გორგიშელთან და მეზობელ დათო ნიკოლიშვილთან ერთად, საკუთარი ავტომანქანით მუხიაშვილს სახლში მიაკითხა, რადგან მისგან მაგნიტოფონის წამოღება გადაწყვიტა. იქვე, ჭიშკართან, ოშაყმაშვილის უფროსი ვაჟი – 11 წლის გივი და დისშვილი – 13 წლის ლევან გორგიშელიც აღმოჩნდნენ, რომლებიც, თურმე, მათ მანქანას უკან ველოსიპედით გამოჰყოლიან. მამუკა ოშაყმაშვილმა მუხიაშვილს დაუძახა, შეხვედრისას კი მას ჰკითხა, თუ რატომ არ შეაკეთა დროულად მაგნიტოფონი. ორივენი ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ, რის გამოც მათი



გაუგუეს მამა თვალწინ მოუკლეს აღდგომის დღეს ჩადენილი მკვლელობა

საუბარი მალე ურთიერთშელაპარაკებასა და ერთმანეთის მისამართით უცენზურო სიტყვებით ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა. ოშაყმაშვილმა მუხიაშვილს სახეში ხელი გაართქვა, ისინი ეზოს ღია ჭიშკარში შევარდნენ და წაიქცნენ. მათთან, გამკვლელების მიზნით, ნიკო გორგიშელი, დათო ნიკოლიშვილი, მუხიაშვილის მამა და მეუღლე მიცვიდნენ. მოჩხუბრები ერთმანეთს დაშორეს, თუმცა სიტყვიერი შეურაცხყოფა კვლავ გრძელდებოდა. ამ დროს, თემურ მუხიაშვილი, რომელმაც იცოდა, რომ ეზოში სამი მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა, სახლში შევიდა და იქიდან მალულად სანადირო თოფი გამოიტანა, გადადგრა, დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლის მეზობლის ქვის ღობეზე, ამოეფარა მას და 10-12 მეტრის მოშორებით ჭიშკრის მიმართულებით გაისროლა. სამართალდამცავთა თქმით, მან ღობიდან თოფი მამუკა ოშაყმაშვილს დაუმიზნა. ამ უკანასკნელს ტყვია კისრის არეში მოხვდა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ოშაყმაშვილის მიწაზე დაცემის შემდეგ გორგიშელმა და ნიკოლიშვილმა ბავშვები იქაურობას გაარიდეს, იმის შიშით, რომ მუხიაშვილს თოფი მათთვისაც არ ესროლა.

მომხდარის შესახებ ადგილობრივ პოლიციას აცნობეს, თუმცა იმ დამით სამართალდამცავებმა დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს. მკვლელობის დღეს თემურ მუხიაშვილმა სოფელი დატოვა, 2 მაისს კი თბილისში, გლდანის რაიონის პოლიციაში თავისი ფეხით მივიდა. თუმცა, მას მამუკა ოშაყმაშვილის განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ უცნია და დღესაც ირწმუნება, რომ დაშინების მიზნით გაისროლა, ოშაყმაშვილს კი ტყვია

შემთხვევით მოხვდა. სამართალდამცავთა თქმით, ის პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებასაც გაეცნო, მაგრამ წარდგენის შესახებ დადგენილებას ხელი არ მოაწერა. მას შემდეგ თემურ მუხიაშვილი ღუმულის უფლებას იყენებს, მან ჩვენების მიცემაზე სასამართლოსაც უარი უთხრა.

აღექსი კობაძე, განსასჯელის ადვოკატი:

„თემურ მუხიაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და არც შეიძლება, რომ ცნოს, რადგან მას მკვლელობა განზრახ არ ჩაუდენია. 2000 წლის 30 აპრილს, ოშაყმაშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, მუხიაშვილის ოჯახს თავს დაესხა. მათ სცემეს როგორც განსასჯელი, ასევე მამამისი და მისი მეუღლეც. მართალია, მუხიაშვილმა სახლიდან თოფი გამოიტანა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ დაშინების მიზნით გააკეთა. იგი მეზობლის ღობიდან გადადიოდა, რა დროსაც თოფიდან ტყვია შემთხვევით გავარდა. თანაც, ოშაყმაშვილის მოკვლა რომ ჰქონოდა განზრახული, მას კისერში არც დაუმიზნებდა. აქედან გამომდინარე, პროკურატურას მუხიაშვილის ბრალდების მუხლი არასწორად აქვს დაკვალიფიცირებული, ამიტომაც მოვითხოვთ, განზრახ მკვლელობა სამართლიანად შეიცვალოს აუცილებელი მოგერიების, უფრო მეტიც, გაუფრთხილებლობის შესაბამისი მუხლით“.

ადვოკატი ცდილობს დაგვაჯეროს, რომ მკვლელობა გაუფრთხილებლობით მოხდა, თუმცა საინტერესოა, რისთვის დასჭირდა მუხიაშვილს სამ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მისული მამაკაცების თოფით დაშინება, თუკი მისივე თქმით, ისინი გააშ-

ველეს, ხოლო სახლიდან იარაღით ხელში რომ გამოვიდა, ეზოში არავინ დახვდა, ოშაყმაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად ჭიშკრის გარეთ იყო გასული. კობაიძის თქმით, მუხიაშვილს ტყვია შემთხვევით გაუვარდა, თუმცა განსასჯელი, ექვმიტანილად დაკითხვის დროს, გამოძიებას განსხვავებულ ჩვენებას აძლევს.

აღნიშნული ჩვენების მიხედვით, 2000 წლის 27 თუ 28 აპრილს მუხიაშვილს ოშაყმაშვილის შვილებმა მაგნიტოფონი მიუტანეს, რომელსაც ხმა არ ჰქონდა, და სთხოვეს მისი შეკეთება. მაგნიტოფონს მიკროსქემა აღმოაჩნდა დაზიანებული და იმის გამო, რომ მას ახალი ნაწილის შესაძენად საჭირო თანხა არ ჰქონდა, მაგნიტოფონის დროულად გაკეთება ვერ შეძლო. ყოველივე ეს მან 30 აპრილს, დაახლოებით 5 საათზე, მაგნიტოფონის წასაღებად მისულ ბავშვებს აუხსნა, თუმცა შეატყო, რომ ისინი პასუხით აშკარად უკმაყოფილონი დარჩნენ. იმავე დღეს, მოგვიანებით, დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის მასთან საკუთარი მანქანით მამუკა ოშაყმაშვილი მივიდა. მას ორი პიროვნება ახლდა. მუხიაშვილის თქმით, ისინი ნაცნობები იყვნენ, თუმცა მათი სახელები და გვარები არ ახსოვს. ოშაყმაშვილი მანქანიდან გადმოვიდა და მას ლანძღვა-გინებით ჰკითხა, თუ რატომ არ გაუკეთა მაგნიტოფონი. მიზეზის ახსნის მიუხედავად, კვლავ შეაგინა და უთხრა, გამოეტანა მაგნიტოფონი. ოშაყმაშვილს თანმხლები პირები არ აწყნარებდნენ, მის დამშვიდებას მხოლოდ მუხიაშვილის მამა შეეცადა. რაც შეეხება მცირეწლოვან ბავშვებს, ისინი მოშორებით, სოფლის გზაზე იდგნენ და ექვმიტანილი აღნიშნავს, რომ არ იცის ესმოდათ თუ არა მათი კამათი. შელაპარაკების დროს ოშაყმაშვილმა მას სახეში ხელი გაარტყა, რასაც მან ხელის გარტყმითვე უპასუხა. ისინი ნასვამები იყვნენ და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ორივე წაქცეულიყო. ძირს დაცემულ მუხიაშვილს წინი და მუშტი მოხვდა თავის არეში. მათთან მამამისი და ორი ბიჭი მიცივიდნენ და გააშველეს. გარეთ მუხიაშვილის ცოლიც გამოვიდა (ექვმიტანილის თქმით, მანამდე იგი შვილებთან ერთად სახლში ტელევიზორს უყურებდა), ოშაყმაშვილმა მასაც გინება დაუწყო. ამან მუხიაშვილი საშინლად გააბრაზა, იგი შევიდა სახლში, გამოიტანა მის სახელზე ოფიციალურად გაფორმებული ორლულიანი სანა-



მოკლული ოშაყმაშვილი შვილებთან ერთად. მარცხნივ, 11 წლის გივი ოშაყმაშვილი, რომელმაც ჩვენება მისცა

ღირო თოფი და როცა დაინახა, რომ ეზოში არავინ იყო, ავიდა დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლის ბლოკის ღობეზე, შენიშნა, რომ ჭიშკრის გარეთ გასული ოშაყმაშვილი კამათს კვლავ განაგრძობდა და მისი მიმართულებით თოფის ერთი ლულის სასხლეტს ხელი გამოჰკრა. მან დაშინების მიზნით გაისროლა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ტყვია ოშაყმაშვილს მოხვდა და იგი ძირს დაეცა, მასთან ერთად მყოფი პირები კი სადღაც გაიქცნენ.

მომხდარის შემდეგ მუხიაშვილმა თბილისის, გლდანის რაიონის პროკურატურაში გამოცხადება არჩია.

ნელი ოშაყმაშვილი, გარდაცვლილის მეუღლე:

„ჩემი უფროსი შვილი – გივი სახლში რომ მობრუნდა, მამამისს უთხრა – მამა, იმ კაცმა მაგნიტოფონი არ გამომატანა, მერე კი შემგინაო. მამუკას არაფერი უთქვამს, საერთოდ, არ იყო აგრესიული პიროვნება, მხოლოდ ის უპასუხა ბავშვს – ალბათ არ იცის, ჩემი შვილი რომ ხარ, თორემ გინებას არ დაგიწყებდაო. მოგვიანებით მან ჩვენს სიძესთან, ნიკო გორგიშელთან ერთად შესაკეთებლად დატოვებული „რაფის“ შესახებ ამბის გასაგებად წასვლა გადაწყვიტა. მათ თან ჩემი უმცროსი შვილი – 6 წლის ტატო გაჰყვა, გზაზე კი მანქანაში მეზობლად მცხოვრები დათო ნიკოლიშვილიც ჩამჯდარა. მანქანის შემკეთებელიც სოფლის იმ მხარეს ცხოვრობდა, სადაც მუხიაშვილები. ამიტომაც

განსასჯელი თემურ მუხიაშვილი. წინა პლანზე შუაში ადვოკატი ალექსი კობაიძე

აქეთობას, მამუკას თემურთან გამოვლა და მაგნიტოფონის წამოღება მოუნდობია. მე შემთხვევის ადგილზე არ ვყოფილვარ და ზუსტად რა როგორ მოხდა, არ ვიცი. ყველაფერი ბავშვმა – ტატომ მომიყვა. ერთადერთს, მას დაუნახავს სროლის მომენტი. მისი გადმოცემით, მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი და მუხიაშვილი გააშველეს და ერთმანეთს დააშორეს, ამ უკანასკნელს უთქვამს – შევალ და გამოვიტან მაგნიტოფონსო. დათო, ნიკო და მამუკა ბავშვებთან ერთად მანქანასთან მდგარან და მის გამოსვლას ელოდნენ. ამ დროს მუხიაშვილის მამას დაუყვირია, თემური ახლა მაგნიტოფონს კი არა, თოფს გამოიტანსო. ჩემს ქმარს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რას იფიქრებდა, თუ ყოფილი თანაკლასელი, რომელთანაც ადრე ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, მის მოკვლას მოინდობდა? ამასობაში, სახლიდან მუხიაშვილის ცოლი გამოსულა, თან მაგნიტოფონი მოჰქონდა და მას მამუკას აწვდიდა. ტატო მანქანაში, ფანჯარასთან მჯდარა და სწორედ იმ მომენტში დაუნახავს, როგორ ადიოდა მუხიაშვილი ქვის დიდ ღობეზე. ამბობს – დავინახე, ღობიდან ხელები რომ გადმოაწყო, მეგონა ჯოხი ეჭირა, მერე თავი ხელებთან მიიტანა, თითქოს იჭვრიტბოდა და მიეხვდი, რომ ჯოხი კი არა, თოფი იყო. იმავე წამს გასროლა მოხდა, მამუკას ტყვია ისე მოხვდა კისერში, რომ თავის მიტრიალებაც ვერ მოუხსრია. მუხიაშვილი ამასობაში ღობიდან გადმოშტარა, თოფს თურმე აქეთ-იქით იწვევდა და იძახდა – არ მომეკაროთ, თორემ ყველას დაგხოცავთო. დათოს და ნიკოს პირველ რიგში ბავშვები გაუცვლიათ იქაურობისთვის. ტატო კი მამამისს არ მოშორებია, ყვიროდა და კიოდა – მამიკო, არ მოკვდე, გეხვეწებიო. ძირს დაცემული მამუკასთვის, რომლის სხეულიდან სისხლი ასხამდა, მუხიაშვილების ოჯახის არც ერთ წევრს ყურადღება არ მიუქცე-



ვია, ტატოს მამამისის თავი ხელებში ნახევარი საათი ეჭირა, თავადაც სულ მთლად გასისხლიანებული იყო, მაგრამ არც ის მოუშორებიათ იმ ადგილს. ცოტა ხნის მერე ბავშვთან მეზობლად მცხოვრები ქალი მისულა, სახლში შეუყვანია და მისთვის სისხლი მოუწმენდია.

იმ დღის შემდეგ ჩემს ორივე შვილს ფსიქიკა სავრძობლად შეერყა, იძულებულიები ვავხდით, მათთვის ნევროლოგიის ინსტიტუტში გვემკურნალა. მდგომარეობიდან საბოლოოდ ჯერაც არ გამოსულან. ტატო მთელი დამეები, ძილში – თოფი, თოფით – გაიძახის...“

სასამართლო კოლეგიამ 11 წლის გივი ოწყამაშვილი და 13 წლის ლევან გორგიშელიც დაჰკითხა. მათ, ისევე როგორც დათო ნიკოლიშვილსა და ნიკო გორგიშელს, სროლის მომენტი არ დაუნახავთ. თუმცა, ის ფაქტი, რომ ღობიდან თავის ეზოში გადმომხტარი მუხიაშვილი თოფით ხელში იძახდა – არავინ მომეკაროს, თორემ ყველას დაგხოცავთ – მათაც დაადასტურეს.

რაც შეეხება 6 წლის ტატო ოწყამაშვილს, იგი არც სასამართლოს და არც წინასწარ გამოძიებას არ დაუკითხავს. ამის მიზეზი, მცირე ასაკთან ერთად, ბავშვის ნერვული სისტემის არაჯანსაღი მდგომარეობაც გახლავთ.

განსასჯელმა თემურ მუხიაშვილმა თავის ადვოკატთან შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. ალექსი კობაიძის თქმით, მუხიაშვილი ღუმილის უფლებას მანამ გამოიყენებს, სანამ გარდაცვლილის სხეულზე ჩატარებული ექსპერტიზის რუსულად დაწერილ დასკვნას ქართულ ენაზე არ თარგმნიან.

„კანონის შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნა ისევე, როგორც სხვა ოქმები, შედგენილი უნდა იყოს საქმის სამართალწარმოების ენაზე. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა რუსული კარგად არ იცის, ამ ენას სრულყოფილად ვერც მე ვფლობ, რის გამოც ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი კარგად ვერ გავიგეთ. არადა, შესაძლოა, იქ ბევრი დეტალი გასარკვევი იყოს...“ – განაცხადა პროცესზე ალექსი კობაიძემ და დასკვნის თარგმნის შესახებ მოსამართლის წინაშე შუამდგომლობა დააყენა. თუმცა, სასამართლო კოლეგიამ შუამდგომლობის მიზეზი არაღამაჯერებლად მიიჩნია და იგი უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.

ვინ აიძულა ალიევს ჩვენების შეხველა?

„გამომძიებელმა მითხრა — თუ არ დანარ, რასაც გავყვით, „სამუდამოს გაპირალიჩაბო“

მეზი ტანაშა

7 წლის წინ სიღნაღის რაიონში ჩადენილი მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა კვლავ ჩიხში მოექცა. სახელმწიფო ბრალმძღობისა და განსასჯელის მხარეთა კამათი, რომელიც წინა პროცესისთვის გახლდათ დაგეგმილი, მოულოდნელად ისევე გადაიდო. ამის მიზეზი ამჯერად 40 წლის გუგულა ღვინიაშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებული გუმბათ ალიევის წერილი გახდა, სადაც ის დანაშაულში თანამონაწილეობისთვის სამართალში მიცემული ზვიად ყოჩიშვილის უდანაშაულობაზე მიუთითებს.

ამ საქმის შესახებ „გზის“ №38-ში ვწერდით, ამიტომ დანაშაულის გარემოებებს აღარ დავუბრუნდებით. მკითხველს შევასვენებთ მხოლოდ, რომ მკვლელობა 1994 წლის 22 ოქტომბერს სოფელ საქობოში მოხდა და მასში ბრალი ედებათ 23 წლის გუმბათ ალიევსა და 18 წლის ზვიად ყოჩიშვილს.

გუმბათ ალიევმა, რომელიც მომხდარი ფაქტიდან ორი წლის შემდეგ სიღნაღის რაიონის პოლიციელებმა მზესუმზირის ქუჩის ფაქტზე დააკავეს, დასძინა, რომ გუგულა ღვინიაშვილის მკვლელობა მასთან ერთად, ზვიად ყოჩიშვილმაც ჩაიდინა. მისი თქმით, დაღუპულის სახლის დაყჩაღება, სწორედ, ყოჩიშვილის იდეა იყო.

თუმცა, მოგვიანებით, როცა უკვე ზვიად ყოჩიშვილიც დააკავეს, მან თავისი სიტყვები უარყო და სამართალდამცავებს აღიარებითი ჩვენება მისცა. ჩვენებაში იგი აღნიშნავს, რომ 1994 წლის 22 ოქტომბერს მან თავად სთხოვა ყოჩიშვილს, გაჰყოლოდა ღვინიაშვილთან სახლში. მისი თქმით, ამ უკანასკნელთან ერთად, ის კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, ღვინიაშვილს მისთვის, ჩაბარებული საქონლის სანაცვლოდ, გარკვეული თანხა ჰქონდა მისაცემი, კუთვნილი ფული დროულად ვერ გადაუხადა და მორიგი შეხვედრა მას 22 ოქტომბერს საკუთარ სახლში დაუნიშნა. ალიევის მტკიცებით, ღვინიაშვილი არც იმ დღეს აპირებდა მისთვის თანხის მიცემას, რის გამოც, ცოტა ხანში მათი საუბარი კამათსა და ჩხუბში გადაიზარდა. მსჯავრდებულის თქმით, ამ მომენტში ყოჩიშვილი საპირფარეოში იყო გასული, როცა დაბრუნდა, ალიევს ღვინიაშვილი უკვე მოკლული ჰყავდა. გუმ-



ზვიად ყოჩიშვილი

ბათმა მას უთხრა — მომხდარის შესახებ არავისთვის გაენდო, თორემ ყველაფერს მას დააბრალებდა.

თავის წერილში, რომელიც ალიევმა სასამართლო კოლეგიას წარუდგინა, იგი აღიარებით ჩვენებას კვლავ იმეორებს და იმასაც მიუთითებს, რომ სიღნაღის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ალიევი კონკრეტულ გვარებს ასახელებს — დათო მარტაშვილს (ამჟამად ლაგოდეხის რაიონის პროკურორი), ზურაბ ზურაბაშვილს (სიღნაღის რაიონის პროკურორი), ნუგზარ ლაზარიაშვილს (სიღნაღის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი). მსჯავრდებულის თქმით, აღნიშნული პირები მას სცემდნენ, ემუქრებოდნენ და ყოჩიშვილის საწინააღმდეგო ჩვენების დაწერას სთხოვდნენ. „მარტაშვილმა მითხრა, რასაც გეუბნები, იმას თუ არ დაწერ, „სამუდამოს გაგიჩალიჩებო“ — აღნიშნავს ალიევი.

ამ წერილმა სასამართლო პროცესზე ბევრი შეკითხვა წარმოშვა, პროკურორმა კი იგი საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა: ეჭვი მეპარება, რომ ეს წერილი გუმბათ ალიევის დაწერილია, — განაცხადა მან. ასეთი რეაქცია, ერთი მხრივ, იმან გამოიწვია, რომ, პროკურორის თქმით, ალიევს, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს მისი გასამართლების დროს მარტაშვილის მხრიდან მუქარასა და ყოჩიშვილის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემის კატეგორიულ მოთხოვნას, ამ უკანასკნელთან სასამართლო პრო-

ცესზე დაპირისპირების დროს მსგავსი არაფერი უთქვამს. სახელმწიფო ბრალმდებლის მტკიცებით, მსგავსი რამ ოქმებში დაფიქსირებული არ არის, თუმცა ალიევი საპირისპიროს დაჟინებით იმეორებს: „მარტაშვილის დაკითხვა დაიწყო თუ არა, მაშინვე ვუთხარი — შენ არ იყავი, ჩვენების დაწერას რომ მაძალბებდი მეთქი; ოქმებში არის თუ არა დაფიქსირებული, მე არ ვიცი. თქვენ თუ მინდობდით, ჩემს სიტყვებს არც ჩაწერდით... მარტაშვილთან ერთად ორი თანამშრომელი იყო — ერთი, როგორც შევითქვე, დაიღუპა, მეორეს კი სოსო ერქვა, გვარი არ მახსოვს, თუმცა მის ამოცნობას შევძლებ. მათ კაბინეტში ვყავდი და იქ მცემდნენ...“

რისთვის დასჭირდებოდა გამოძიებას ალიევის აღიარებითი ჩვენების მიცემის შემდეგ, მაშინ, როცა საქმე ფაქტობრივად გახსნილი იყო, ზვიად ყოჩიშვილის დანაშაულში გარევა? განსასჯელის ადვოკატის ვარაუდით, სამართალდამცავებს ფულის გამოძალგა სურდათ. ყოჩიშვილი კი შეკითხვას იმით ხსნის, რომ სიღნაღის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა, მათ შორის წნორის პოლიციის თანამშრომელმა, ვინმე ბურღულმა იგი ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში აითვალწუნეს:

„1993-94 წლებში პაპაჩემი — სილიბისტრო ნიკვაშვილი ბოლბისხევის ბაზრობაზე ბენზინს ყიდდა. მე მას ვეხმარებოდი ხოლმე. ერთ დღეს იქ თეთრი 06 მარკის ავტომანქანა გაჩერდა, ბენზინი ჩაისხეს, მაგრამ ფულის გადახდა არ მინდობეს, რის გამოც პაპაჩემსა და მათ შორის ჩხუბი ატყდა. რამდენიმე დღის მერე მე ჩამსვეს მანქანაში, „თანამშრომლები“ აღმოჩნდნენ, ცემა დამიწყეს. შენ იმ დღეს ვის ურტყამდი? — მიყვიროდნენ. მას შემდეგ გასაქანს არ მაძლევდნენ, ოთხჯერ თუ ხუთჯერ ამედევნენ, ცდილობდნენ, რაიმე მიზეზი ეპოვათ ჩემთვის და ეს შემთხვევა გამოიყენეს კიდევ“.

რაც შეეხება დაზარალებულს, გარდაცვლილის დას — მარინა ღვინიაშვილს, იგი გუმბათ ალიევის აღიარებითი ჩვენების სიმართლეს თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებდა:

„ალიევი ყოჩიშვილის მხარემ მოისყიდა. ამ ჩვენების სანაცვლოდ, მას ციხეში სასმელ-საჭმლით, ჩასაცმლით უზრუნველყოფენ და მომავალში პატრონობას ჰპირდებიან, რასაც იგი, თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში, ადვილად დასთანხმდებოდა“, — აცხადებს მარინა ღვინიაშვილი.

და ამის საბუთად, ციხეში ყოჩიშვილის დედის ალიევთან ვიზიტები მოჰყავს. „დაფიქსირებულია, რომ განსასჯელის დედა ალიევთან შეიძვერ იყო მისული, თავის შვილთან კი მხოლოდ ერთხელ“.

ამ განცხადების შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელმა ციხის მონაცემების გამოთხოვნის საკითხი დააყენა. მიღებული პასუხის თანახმად, ყოჩიშვილის დედა ალიევთან მართლაც იყო მისული, ოღონდ არა შეიძვერ, არამედ ოთხჯერ, შვილთან კი ერთხელ. თუმცა, ის გუმბათ ალიევთან მოლაპარაკების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, ვიზიტებს კი იმით ხსნის, რომ ანტერესებდა, სინამდვილეში რა მოხდა 22 ოქტომბერს. წარმოქმნილი გაურკვევლობის გამო, გუმბათ ალიევი ხელახლა დაკითხეს. პროკურორის შეკითხვაზე, რისთვის წაიყვანა მან ღვინიაშვილთან მინცდამინც ზვიად ყოჩიშვილი და არა სხვა ვინმე, ან რატომ წაიღო თან შამპანურები ისეთი ადამიანის ოჯახში, რომელთანაც ფულის გამო დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, ალიევმა ასეთი პასუხი გასცა:

„იმ დღეს, ყოჩიშვილის გარდა, ღვინიაშვილთან წაყვლა სხვებსაც ვთხოვე, მაგრამ მათ უარი მითხრეს. მარტო წასვლა კი არ მინდოდა, რადგან იმ კაცს სახელი ჰქონდა გატენილი. ამიტომაც ვთხოვე ყოჩიშვილს, ჩემთან ერთად წამოსულიყო... შამპანურები გზაში მე ვიყიდე, ღვინიაშვილი დამპირდა, ფულს მოგცემოდა ვიფიქრე, ვალს გამისტუმრებს და ერთ-ორ ჭიქას დავლევთ-მეთქი“.

საქმის მასალების მიხედვით, გუგულა ღვინიაშვილთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს სოფელში მამათმავლის სახელი ჰქონდა, გუმბათ ალიევი ადრე 3-ჯერ თუ 4-ჯერ იყო მისული. წინა პროცესზე ალიევმა ეს უარყო და განაცხადა, რომ ღვინიაშვილთან სახლში იგი ადრე არასოდეს ყოფილა და მას მხოლოდ ბაზარში ხვდებოდა. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომელიც ალიევისა და ყოჩიშვილის მამათმავლობას ეხებოდა, იგი არ დადასტურდა. ეს ფაქტი განსასჯელის ადვოკატთან ერთად, ყოჩიშვილის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმაც უარყვეს. ვერსიის საფუძვლიანობასა და მის რეალურ წყაროებზე არ მიუთითებს არც სახელმწიფო ბრალმდებელი და არც დაზარალებული.

გუმბათ ალიევი, თავდაპირველად ყოჩიშვილის დადანაშაულებას, პოლიციელთა ზეწოლის გარდა, იმითაც ხსნის, რომ ეგონა, სწორედ მისი „ჩაშვებული“ იყო

და გაბრაზებულმა საპასუხოდ, მკვლელობაში ისიც გარია. თუმცა, რა მოხდა სინამდვილეში, ამის გარკვევას სასამართლო კოლეგია მომდევნო პროცესზე, სიღნაღის რ-ის პროკურატურის გამოძიებლის, გურაშვილის დაკითხვის შედეგად აპირებს. გურაშვილი სწორედ ის გამოძიებელი განლაგდა, რომელსაც გუმბათ ალიევმა პირველად აღიარებითი ჩვენება მისცა.

მერაბ ჯორბენაძე, ზვიად ყოჩიშვილის ადვოკატი:

— ალიევი პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ზეწოლაზე ადრეც მიუთითებდა, თუმცა წერილი აქამდე რატომ არ დაწერა, არ ვიცი. ვფიქრობ, ახლა მის დაწერას აზრი არ ჰქონდა, ამით ალიევმა სასამართლო გამოძიება უფრო გააჭინაურა, თორემ რეალურ შედეგს მისი განცხადებები ვერ მოიტანს. არც ერთი პოლიციელი არ იტყვის — ზეწოლას ვახორციელებდით...

— ის, რომ წერილი ალიევის დანერვილია, პროკურორმა საეჭვოდ მიიჩნია. მართალია, ვისზე ეჭვობდა, არ უთქვამს, მაგრამ ცხადია, რომ ის — თქვენ, ან განსასჯელის მხარის სხვა წარმომადგენელს გულისხმობდა...

— რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მან აქცენტი ჩვენზე გააკეთა და ალბათ ამასთან დაკავშირებით, პროკურორთან ურთიერთობების გარკვევა მოგვიწევს. ალიევი თუ წერილის დაწერას აპირებდა, ნამდვილად არ ვიცოდი. პირიქით, მაშინ, როდესაც ის მოსამართლეს გადასცა, მე შევახსენე, რომ ამის აუცილებლობა და საჭიროება არ იყო, რადგან მას ჩვენება სასამართლოსთვის უკვე მიცემული ჰქონდა. პროკურორს ლოგიკურად უნდა ემსჯელა და მიხვდებოდა — ეს წერილი ჩვენ რომ დაგვეწერა, ცოტათი სხვა შინაარსის იქნებოდა და არც ისეთ შეკითხვებს დაბადებდა, რაც ბრალდების მხარისთვის ხელჩასაჭიდი გახდა. ნათლად ჩანს, რომ ის ანერვიულებული, დაბნეული კაცის დაწერილია...

პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, სასამართლოში მოკლულის ბებიის მომვლელი ქალი — თინა თანდიაშვილი და მეზობელი — ქეთევან მარუშაშვილი დაიბარეს. თანდიაშვილის ერთ-ერთი ჩვენებით, ოთახში მან ორი პიროვნება დაინახა, თუმცა მერე ეს გადათქვა. მარუშაშვილი კი დასძენს, რომ თანდიაშვილმა მას მოუყვა, თითქოს იქ ორი ბიჭი იყო. მომდევნო პროცესზე ეს ქალბატონები ერთმანეთს უნდა დაუპირისპირონ. ■

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. აირწინაღი რუსეთში გამოიგონეს.
2. რასულ გამზათოვი ლექსებს სუნძურ ენაზე თხზავდა.
3. ბემბის მეგობარ ფურირემს ფალინა ერქვა.
4. ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომელიც წალმა-უკულმა ერთნაირად იკითხება, პალინდრომი ეწოდება.
5. ერთ გინეაში 21 შილინგი შედიოდა.
6. „ფულს სუნი არ უღის“ – ეს გამოთქმა რომის იმპერატორ ვესპასიანეს ეკუთვნის.
7. მრავალი მონეტები ორმხრივი ტიფურით პირველად ძველ საბერძნეთში მოიჭრა.
8. აქემენიდების სამეფო ქალაქ პერსეპოლისს სპარსულად თანთევდემიდი ერქვა.
9. ემელიანე პუგაჩოვი თავს ეკატერინე მეორის მიერ ჩამოვდებულ პეტრე მესამედ ასაღებდა.
10. პიკასოს სახელგანთქმული „გოგონა ბურთზე“ მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში ინახება.



11. დროვანის ყვითელი, ხარისგულა, ფრანცისი, ესპერენის ბეგარო, ბაგრატიონი და ელტონი ბლის ჯიშები გახლავთ.
12. ტომ სოიერი, ჯო ჰარბერი და ჰეკლბერი ფინი ჯეკსონის კუნძულზე დღეობით კუს კვერცხებისაგან მომზადებული ერობკვერცხით საუზმობდნენ.
13. „ცოლად თუ არ გამოყვება,

შუბლში ვირტყამ პატრონასო, რა სიკვდილი მოუხერხო უპატრონო მატრონასო“. ეს ლექსი ილარიონ შევარდნაძეს პირველმა სიყვარულმა დააწერინა. P.S. ნეტა, რა ნამუსით დასცინოდა ზურიკელას?!

14. დიდი ბრიტანეთის კოლონიებში მომსახურე ინგლისელ ჯარისკაცებს ღლეში ორ გინეას უხდიდნენ.

15. ბასკერვილების ძაღლის ძებნისას ჭაობებში დამალულ შერლოკ ჰოლმსს მისი ახალგაზრდა თანაშემწე – კარტრაიტი – უხიდავდა საჭმელს.

16. „მიჩიგანი 500“ ყველაზე სწრაფი რბოლაა მთელ მსოფლიოში. P.S. ამ რბოლისთვის განკუთვნილი მანქანის კარგ



პროვოზორის თიხი ახუ „იმპოცენცი ლომი“

მახტანბ ხონელი

ჩემი მეგობარი გენო (გენალი) ცინცაძე პროვოზორია. ახალგაზრდობა ლენინგრადში გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროფესიული გზა ავირჩიეთ, სულ ერთად ვიყავით. მრავალი ფაქტორი და თავგადასავალი გამოვივილია... ღლეძე მოგვცა უღალატო ურთიერთობა. ხშირად მივდი-მოვიდივართ ერთმანეთთან ოჯახებში და ვიხსენებთ „გარდასულ ღლეძა ამბებს“.

ისე, კაი ცულულოტი ვინბეა ჩემი გენო: ზოგჯერ ისეთ „მაკვარანცხულს“ მოიგონებს, რომ მერე შინაურულ წრეში დიდხანს იღადაოს და ისორხიცოს.

რა დამავიწყებს ერთ კურიოსს, რომელიც გენომ „ძალად“ შეამთხვია თავის მეზობელს, ბერბეჭა შუქრის.

70-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ „სასწაულმოქმედი“ პრეპარატების ხსენებაც არ იყო, გენო (ნიჭს ნამდვილად ვერ დაუკარგავ) სხვადასხვა ფუნქციისა და მცენარისგან ისეთ წამლებს ამზადებდა, რომ აფთიაქშიც და სახლშიც მუდამ რივი ევდა.

ერთხელაც, იენისის ცხელ საღამოს მძაკაც ვეწვიე. ლოტკინზე სასიამოვნოდ გრილოდა. ის-ის იყო, ტრადიციულად თუთის ხის ქვეშ გააჩაღეთ ნარდის თამაში, რომ ჭიშკრის კარი მძიმედ გაიღო და მეზობელმა შუქრემ შემოყო თავი.

„აუ, ამან ხომ შემოკლა, სანამ ერთ „მტუკას“ არ გავუკეთებ, მანამ არ დამანებებს თავს“, – ჩამწურწულა გენომ. „რა უნდა, რას გთხოვს?“ – ჩურჩულითვე ვკითხე. „ბიჭო, მაგისთანა მექალთანე ცხოვრებაში არ მინახავს, მარა ასაკს თავისი მაქვს და ძველებურად ვეღარ ახერხებს „გავლა-გამოვლას“. ამას წინათ შემომიხინდა, იქნებ, მამაკაცური პოტენციის ასამაღლებლად რაიმე დამიზნადო. მეც დაუუმზადე. ეტყობა, ეფექტურად იმოქმედა და იმ დღის მერე, კვირაში ერთხ-

ელ მოხოვს ფუნქციის დამზადებას. არადა, სადაცაა 50 წელს მიუკაცუნებს. საწყალი ღელამისი რამდენჯერაც სოფლიდან ჩამოვა და სუფრას გამლის, მეხვეწება – შენ პატივს გცემს და უთხარი, რომ ცოლი მოიყვანოს, აუცილებლად დაგიჯერებსო. ამით მე მამაღმერთი ხომ არ ვგონივარ ნეტავ?“ „შე შეჩვენებულა, ისეთი არაფერი „უხიმანდრო“, რომ თავბედი იწყველოს, ცოლა“, – მივხვდი, რომ გენო კარგს არაფერს აპირებდა და ალაღად შემეცოდა თავომბორა შუქრის. „შენ დაუკა...“ – თვალი ჩამიკრა გენომ და შუქრის გასძახა: „შემოდი, კაცო, რა უცხოსავით იქცევი!“

მე რომ დამინახა, ცოტა კი ეუხერხულა შუქრის, მაგრამ გენომ დაამშვიდა: რა მოხდა მერე, ვახოს პირველად ხომ არ ხედავ, ჩემი მძაკაცია და ყველანი კაცური კაცები ვართო. ერთი სიტყვით, გენომ თავისი ადგილი ცოტა ხნით შუქრის გადაულოცა, თვითონ შინ შევიდა წამლის დასამზადებლად. სამი ხელი შუქრემ ზედიზედ წააგო. „რა გჭირს, ჩემო შუქრი. შენ ხომ ცნობილი მონარდე, მონავარდე ხარ?“ – ვერ დავმაღლე გაცვირვება. „ბატონო ვახტანგ, რა მენარდება, იმისთანა ქალი „გამოვიჭირე“, რუსი ოფიცრის ცოლი, რომ ღმერთქალს ჰგავს. კამათელს ვერც ვუყურებ, სულ ამ საღამოსთვის დანიშნულ შეხვედრაზე ვფიქრობ. გენოც იმიტომ შევაწუხე – კარგ ფორმაში უნდა ვიყო. ლარისას უნდა ვათქმევინო – ქართველები ლომები ყოფილხართო. როცა დაგბრუნდები, შთაბეჭდილებებს მერე გაგიზიარებთ“.

ამ დროს გენოც გამოვიდა. უჩვეულოდ უბრწყინავდა თვალები, ხელში კონხად დაკეცილი ქაღალდის რამდენიმე პატარა შეკვრა ეჭირა, რომელშიც, ალბათ, ფუნქცილი ეყარა. „ჩემო შუქრი, მართლაც ვუფხვივით კაცი ხარ, ამის გარეშეც იოლად გახვალ“, – „სუსტად“ გავიბრძოლე, მაგრამ გენომ გამაწყვეტინა სიტყვა: „ლომით კი არის, მა-

გრამ ათვერ ლომი იქნება ამის მიღების მერე. აბა, გამომართვი... იმდენი დავამზადე, ერთი თვე თავისუფალი ვიქნები შენგან". ალტაცებულმა შუქრიმ გამოართვა „ძვირფასი“ წამალ-საჩუქარი, მადარიჩი ჩემზეაო — მოგვაცხადა და „გაფრინდა“.

— არც კი გრცხვენია, ლუპავ კაცს? — ვუსაყველურე გენოს.

— კაი, ახლა. არაფერი უჭირს, დიდი-დიდი, კუჭი აქვს. „ბურგენი“ დაფეშვენი და ის გავატანე. მე მგონი, კარგ საქმესაც ვაკეთებ. აბა, რაღა დროს მავისი „სეირნობა“? მოიყვანოს აწი ცოლი და დაჯდეს სახლში. მე თუ მკითხავ, „ის“ ფხენილი ცოლისთვის უფრო გამოადგება! — მითხრა და ენერგულად გააგორა კამათელი.

შეინდებისას, როცა წასვლა დავაპირე, თავი გაიგოფა გენომ — დარჩი ჩემთან, ხვალ იმისთანა სეირნ გაყურებინებ, მთელი ცხოვრება სასაცილოდ გეყოფაო. ცოლდა გამხედილი სჯობს და მეც მაინტერესებდა შუქრის თავგადასავალი, ამიტომაც დავპირდი, რომ მეორე დღესაც ვესტუმრებოდი.

მოსალამოდღა თუ არა, ფეხით აუყვევი ლოტკინის აღმართს. გზაში ვფიქრობდი: „ვინ იცის, ისეთი მარცხი განიცადა იმ ქალთან საბრალო შუქრიმ, რომ ინტერესი სულ დაეკარგოს „საქალეთის“ მიმართ...“

აი, გენოს სახლის ჭიშკარიც გამოჩნდა. შევალე კარი და რას ვხედავ: მასპინძელი თავზე დასდგომია სველი პირსახოცი თავგაკრულ შუქრის და რაღაცას ხელებით უმტკიცებს. ძლივს შევიძარგე პირზე მომდგარი სიცილი და მიუვახლოვდი საგონებელში ჩავარდნილ შუქრის.

— როგორ ხარ, ლომო? როგორ „მოინადირე“?

შუქრიმ ქვემოდან საწყლად ამომხედა და წაიკანავლა:

— ლომი კი არა, კურდღელივით გამოვიპარე იქიდან. ეს რა მომივიდა. რას ვიფიქრებდი, რომ წამლის დაღვევის მერე ღორის ხორცის ჭამა არ შეიძლებოდა... შევრცხვი კაცი, რას იფიქრებდა ღორისა?!

თავი ვეღარ შევიკავე და ავნარხარდი. — მომიყვი, თუ კაცი ხარ, ყველაფერი! შუქრიმ ორივე ხელი თავზე შემოიღო და დაიწყო:

„შნაი მივიღე, გამოვიპრანჭე. ორი ცალი ფხენილი სახლშივე დავლიე და ყვავილები თავიუღლით ღორისას მივადექი. მისი ოფიცერი ქმარი ხანგრძლივი მივლინებით იყო მოსკოვში წასული. ქალი კარგად მომზადებული დამხვდა: სუფრა გაემალა. ხაჭაპურის შეკვეთა მიუცია მეხობლისთვის და ახლა სუფრიდან იმერული ხაჭაპური მაცდურად მიმზერდა. „მოსკოვური“ სალაითი და „სელიოდკაც“ ორიგინალური მოკაზმულობით მოეთავსებინა თუფებზე და მომასხარა: „ღუნოვკაში“ კარტოფილთან ერთად „ჟარკოსი“ ვწვავ და მაგას შენ მიხედეთ. ამ ყველაფერზე მაცდური კი თავად ღორისა გახლდათ. მწვანე თვალები უელავდა, ქერა

დალალები მხრებზე გადმოემალა და ორივე მხრიდან კარგა გვარიანად ჩაჭრილ („პრორეზს“ რომ ეძახიან) სარაფანს აქეთ-იქეთ დააფრიალებდა. აბა, უარს როგორ ვეჭყოდი თხოვნაზე, მით უმეტეს, როცა საქმე მწვადს ეხებოდა და ჩემებურად დავტრიალდი. სანამ სუფრაზე მივიტანდი, სულმა წამძლია და ორი დიდი ნაჭერი სამზარეულოშივე დავიგემოვნე. მერე ერთი ფხენილიც მივაყოლე და სუფრას მივუსხელით. კარგად მოვილხინეთ, ცოტა წავიცეკვეთ კიდეც და როცა მთავარ საქმეზე მიდგა საქმე, მუცელში სამინე-ლი ტკივილი ვიგრძენი. თითქოს შიგნიდან დანიტ მჭრიდნენ და მსურავდნენ. ლოგინში ვნებებანდა წამოწოლილ ქალს ბოდიში მოვუხადე და ტუალეტში შევედი. თქვენს მტერს, იქ დღე დამადგა. ან რა ვკვამე იმდენი, რომ ვერა და ვერ ავედლითზე უნიტაზს. როგორც იქნა, თვალები გადამეწმინდა. ცოტა ამოვისუნთქე. ჩავთვალე, რომ ყველაფერმა ჩაიარა. ისევ მივახლე ქალს, მოვეფერე, ვაკოცე, ღარისამაც თვალები მილულა და... ისევ შემოძიტია მუცელმა. ბოდიშის დრო აღარ იყო, მისწრებაზე მქონდა საქმე. ტკივილისგან ვიგრინებოდი, ფეხზე წამოდგომა აღარ შემეძლო. იმ წუთებში ყველაზე დიდი სიამოვნება უნიტაზზე ჯდომა იყო და სხვა არაფერი. რა გაბრაზება სცოდნიათ რუს ქალებს, კაცო?! უცებ კარზე ბრახუნი მომესმა, მერე კარიც გაიღო (ჩაკეტვა ვერ მოვასწარი), ჩემი შარვალი და პურანგი სახე-ში მომამყარა და განჩხლებულმა დამიყვირა: აქ რისთვის მოხვედი, მუცელი რომ დაგეცალაო? აქედან მომწყდი, თორემ მილიციას გამოვუძახებო. ხან ქართულად „ამტრევდა“, სიტყვის მარაგი რომ გამოელოდა, მერე ისევ რუსულზე გადადიოდა. რაღა უნდა მექნა? ავიკარი ჩემი „გულანახადი“, ღარისას კვლავ ბოდიში მოვუხადე და ის-ის იყო უნდა გამოვებრუნებუ-ფიყავი, რომ ქალმა უკანასკნელად დამაფრქვეა ლანძღვა-ვიწყება: „არაბრის ტავი ტუ არ გკონდა, აქ რას მოდიოდი? Ах ты, педераст-импотент, сейчас-же уходи, чтоб мои глаза тебя больше не видели.“ ხმა აღარ გამიცია, ისე წელათრეული წამოვედი. თქვენი ჭირიმი, არსად გამამხილოთ, მხოლოდ თქვენ ორმა იცით ეს ამბავი.“ — შუქრიმ თხრობა დაასრულა და საწყლად შეგვეხვეწა, რომ ამ ეზოს გადაღმა არ გასულიყო მისი სამარცხვინო კურიოზი.

— ჩემო კარგო, დროა ცოლი მოიყვანო. კუჭი არც ავემლება და არც შეგეკვრება, მაგრამ კაცნი ვართ, ყველაფერი ხდება და თუ მაინც მოვივიდა, ცოლი ის პურსონაა, რომელიც ამის გამო ქოქოლას და მესხთა მტრევეას არ დაგაყრის თავზე — დიმილით უთხრა გენომ, თან თვალი ჩამიკრა იმის ნიშნად — ხომ კარგი „მტუკა“ გაუკეთეთ... მართლაც, ერთი წლის მერე დაოჯახდა ჩვენი შუქრი. გენო კი მის ქორწილში... თამადა იყო.

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკოდან:

მღვთმარობაში შენახვა წელიწადში 7 მილიონი დოლარი ჯდება.

17. თური გაგარინი პოლიკონიკის ჩინით გარდაიცვალა. P.S. მისი სახელი მთვარის ერთ-ერთ კრატერს უწოდეს.

18. ილუზიონისტებს ძველად პრესტიდ-იტიტატორებს ეძახდნენ.

19. ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანაში ელუარდ შევარდნაძეს არცთუ პატარა წვლილი მიუძღვის. მოლაპარაკებების პერიოდში მას მინიმუმ თოთხმეტჯერ მოუწია ამ ქვეყანაში ჩასვლა.

20. კონსტანტინე გამსახურდიამ ქუთაისის ქართული გიმნაზია დაამთავრა, რის შემდეგაც ლაიფციგის, ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში სწავლობდა.


21. პიტლერს სტალინგრადის აღება მოსკოვის აღებაზე უფრო ძალიან, სრულებით გასაგები მიზეზით ეწადა — ეს ქალაქი სტალინის სახელს ატარებდა და მის დაცემას მოწინააღმდეგის მებრძოლი სულის გატეხვა უნდა მოჰყოლოდა. P.S. რეალურ გამარჯვებას ფიურერმა სიმბოლური ტრიუმფი არჩია. P.P.S. სტალინგრადის დაცვისას რუსებმა 300.000 გერმანელი ჯარისკაცი ჩაივლეს ტყვედ.

22. „უქმიერიონის“ მწერტინელი, ფეოლა, რომლის როლიც ბრწყინვალედ შეასრულა იპოლიტე ხვიჩამ, შეხვედრებს სტალიონ „პიშქევიკზე“ მართავდა.

23. ნაპოლეონის დროს საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ პარტიზანულ ბრძოლას ესპანეთში ვერილია ერქვა.

24. მოჰანდას კარამჩანდ განდი ინდუსთა შოინისტური ორგანიზაციის წევრმა მოკლა. მისი მუტსახელი — „მაჰთამა“ — ქართულად „დაიდ სულს“ ნიშნავს.

25. საბჭოთა კავშირის ყველაზე პატარა მოქალაქემაც კი იცის, როგორ გამოიყურება ქართველი და არც ერთ სხვა ეროვნებაში არ ეშლება იგი — სწორედ ეს აზრი ჩადო გიორგი დანელიამ „მიმინოს“ ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც სინიციანების ოჯახში ვალიკო მიზანდარის მისვლა პატარა გოგონამ მამამისს შემდეგი სიტყვებით აუწყა: „პაპა, კ ტებე გრუზინ პრიესხალ!“





„ხელეპი ტანზე მოვიხვი – სხეული მისვალავულივით გაქვავებული მქონდა“ ...

ნოდარ ხმალაძე რედაქციაში თავად გვეწვია. მას თურმე ჩემი წერილის „ჯოჯობეთიდან სამოთხეში ორჯერ დავბრუნდი“ („გზა“, №32) პერსონაჟმა თავისი წარსული გაახსენა...

ნიწო შევარდნაჲ

– არ მინდა ცხოვრებაზე, ბედისწერაზე დავიწყო საუბარი, რადგან შეიძლება ძირითადი სათქმელი გვერდზე დამჩნეს. გეტყვით იმას, თუ როგორ აღმოვაჩინე ჩემი თავი 60 წლის შემდეგ, როგორ ჩავწვი ადამიანის რაობას და საკუთარი სულის ძახილი გავიგონე. ღვთის შეწევნით, აღსარებითა და წმინდა ზიარებით მომეცა საშუალება სწორ გზაზე დადგომისა, განწმენდისა. ყველაზე დიდი სასწაული კი ის იყო, როცა ხელში კალამი ავიღე და ორ ენაზე – ქართულად და რუსულად, ლექსების წერა დავიწყე. აი, ჩემი კრებული, რომელშიც 100-მდე ლექსი და ორი პოემაა. მას „სულის ზეიმი“ დავარქევი. – ბატონი ნოდარი თავის კრებულს გადმოცემს და თხრობას განაგრძობს:

– თბილისელი კაცი ვარ, პლენანოვზე დაბადებული და გაზრდილი. დავამთავრე რუსული საშუალო სკოლა. მამაჩემი ხელოსანი იყო, დედაც უბრალოებით გამოირჩეოდა. ჩემ გარდა, მათ კიდევ ქალიშვილი ჰყავდათ. მშობლები ცდილობდნენ, არაფერი მოგვეკლებოდა, მაგრამ მე სწავლა არ მინდოდა, წიგნის ხსენებაზე მაჟურჟოლებდა. ჩემი სტიქია ხეტიალი, რომანტიკა, მოგზაურობა იყო. მაშინ იმაზე არ ვფიქრობდი, რომ უსწავლელი ადამიანი ნახევრად ბრმაა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ავდექი და სახლიდან წავივი: ჩავივი მატარებელში, რომელმაც სვერდლოვსკში ჩამიყვანა. ასე, უფულოდ დავადექი გზას.

პირველი დამე სადგურში გავათენე. გამოვიღვიძე – მშია. ვხედავ, დიდი მაქვს პერანგზე აწვევტილი. ე.ი. ნემსი და ძაფია საჭირო. მე და რეალობა ჯიუტი თხებივით შევეჯახეთ ერთმანეთს. საჭირო იყო დათმობაზე წასვლა. ცხოვრებაც საჭირო ნაბიჯებს გადაგადგმევიწებს და რაღაცას გკარნახობს. ვიფიქრე, განცხადებით მოვნახავ სამსახურს-მეთქი, მაგრამ რომ იმუშაო, საბუთებია საჭირო. შემთხვევით გავიგე, რომ ერთ-ერთ კანტორაში იძლეოდნენ დროებით სამუშაოს, ასევე – ავანსად ფულს და ტაიგაში ავზავნიდნენ, ხეტყის დამზადებაზე. ასე მოვხვდი ტაიგაში. ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი.

შემდეგ ქვანახშირის მალაროშიც მომიხდა მუშაობა. ვატყობდი, ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება მიჭირდა, ამიტომ ისევ ხეტიალი განვაგრძე. მოვიარე ყარაყუმი, ტაშკენტი, ხორეზმი და

ბუხარა. მაშინ არც მიცდია, მესწავლა ცულისა და კარგის გარჩევა. დღეს კი ვხვდები, რომ უქმად გავატარე წლები, ჩემს სულს კარგი ვერაფერი შევმატე. მღევრის ბედი გავიზიარე, სული დავიმცირე და ზორცის ნდომად ვატარე.

ასეთ ცხოვრებას ციხის კართან მიჰყავს ადამიანი. მე და რამდენიმე ბიჭმა რიგაში ოქროულობის მაღაზია გავტეხეთ და ოთხი წლით თავი საკანში ამოვყავი. იქიდან ქურდი არ გამოვსულვარ. ამ ცხოვრებამ უფრო მაქცია ქურდად, რადგან ურწმუნოდ ვიზრდებოდი და ამიტომაც ჯიჯგნიდა ყორანი ჩემს თბილ ხორცს.

8 წლის შემდეგ თბილისში დავბრუნდი. მივიხედ-მოვიხედე და კვლავ გამიცრუვდა იმედი. მივხვდი, რომ ცხოვრებას ჩამოვრჩი: სამსახური კვლავ არ მქონდა, თავად უსაქმურს, ისევ უსაქმურებთან მომეცა საქმე. მოვხვდი „პლანაქემების კულტოკში“, ზედმეტსახელად „მონბლანი“ დამარქვეს. გიტარაზე ვუკრავდი „ბლატნოი“ სიმღერებს. ხან ავლაბარში, ხანაც ორთაჭალაში ვკლავდი ახალგაზრდულ წლებს. 8 წელიწადი ნარკომანი ვიყავი. ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ეშმაკს მთელი ძალით ვყავდი ჩაბლაუჭებული და გაშვებას არ მიპირებდა. ნარკოტიკების შემდეგ სმა დავიწყე. 10 წელი ვსვამდი, რის გამოც ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც მომიხდა მკურნალობა.

შემდეგ ოჯახი შევქმენი. ღმერთმა ორი შვილი – ქალ-ვაჟი მარუქა. მძლოლად დავიწყე მუშაობა. ეშმაკს კი მაინც არ ეძინა და ყურს უგდებდა ჩემს ყოველ მოძრაობას, ეძებდა მომენტს, საბოლოოდ ჩემზე რომ ეზეიმა. და ეს მომენტიც დაღვა. ისევ



ღვინისა და ლოთობის ჭკობმა დამიღო ხახა და მის ლუკმად ვიქეცი. დროც არეული იყო, უმუშევრად დავრჩი. მომიძულეს ოჯახში, მეგობრებსაც აღარ სურდათ ჩემი დანახვა. მეც ყველანი თავს მახეზრებდნენ და სმას მოვუმატე. გამოფხიზლება რა იყო, არ ვიცოდი. ბოლოს, მათხოვრობაც დავიწყე – მხოლოდ იმისათვის, რომ დამეღია. ერთხელ ჩემმა სიძემ თავისი ბინის გასაღები მომცა და მითხრა: აქ იცხოვრე და ჭკუაზე მოდიო. 10 დღის მანძილზე გადაბმულად ვსვამდი... და აი, დადგა ჩემი გარდაცვალების დღე. არ გეგონოთ, რაიმეს ვაჭარბებდე: იმ დღით თვალები, მართალია, გავახილე და ინსტინქტურად ხელებიც მოვისვი ტანზე, მაგრამ სხეული მიცვალებულივით გაქცევებული მქონდა. უეცრად ზემოდან (ასე, ჭერის სიმალიდან) დავინახე ჩემივე სხეული, რომელიც იატაკზე ეგლო. ბოთლებით გავსებულ ოთახში. ეს დაახლოებით 2 წუთს გაგრძელდა.

— გინდათ თქვით, რაღაც სხვა განზომილებაში აღმოჩნდით?

— არ ვიცი, სად აღმოვჩნდი, მაგრამ იმ დღის შემდეგ მე გაეთავისუფლდი, სულიერად ფერი ვიცვალე და გარდავისახე. დიდი ხნის შემდეგ მივხვდი — დემეტმა მხოლოდ იმიტომ გადამარჩინა, რომ გაუბეღურებული ადამიანებისთვის მაგალითად ვქცეულიყავი. ამიტომაც გადამისვა უფალმა სიყვარულით თავზე ხელი და სიბერის ჟამს, ნეტარება მაგრძნობინა. დღეს ბედნიერი ვარ, რომ წარსული აღარ მზარავს და მომავალის იმედს უფალი მისახავს.

— თქვენს ასეთ ცვლილებას როგორ შეხვდნენ შვილები, მეუღლე, ახლობლები?

— ნელ-ნელა დავიწყე „შერიგება“ ცხოვრებასთან. ეკლესია გახდა ჩემი ნავსაყუდელი. დავიწყე რელიგიურ თემებზე წიგნების კითხვა. „ახალი აღთქმა“ რწმენით მავსებდა. ახლა წარსულს ისე აღარ ვკრულავდი, რადგან რომ არა ის, ვერ შევიმეცნებდი ყოველივეს. ირგვლივმყოფნი თავიდან გაკვირვებულები იყვნენ ჩემში მომხდარი ასეთი ცვლილებით. შვილებს, მეგობრებს არ სჯეროდათ ამისა. მეუღლემ (მასთან დიდი ხნის დაშორებული ვიყავი) მითხრა, — იცოდე, არავის არაფერი მოუყვე შენი წარსულიდან, თორემ შეგიძულეებნო. მე კი რა მაქვს

დასამალი — პირიქით, მინდა, ვიძახო მხოლოდ ერთი რამ, რომ განიშოროს ყველამ ეშმაკი, რათა სულს ზეიმის საშუალება მისცეს.

დღეს შვილები ყურადღებას არ მაქვს. მე და ჩემი ვაჟი — მიხეილი ერთ დაწესებულებაში, სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში ვმუშაობთ: მიხეილი კბილის ტექნიკოსია, მე კი ამ ფირმის ღამის დარაჯი ვარ უკვე 3 წელიწადია. აქ არაჩვეულებრივი პირობებია.

პირველი წიგნის დაბეჭდვა 300 დოლარი დამიჯდა, რომელიც ჩემი ხელფასიდან დავზოგე. როცა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა, მურმან ლებანიძემ ლექსები მომიწონა, სიხარულით ცას ვეწიე. ჩემი სურვილია, ვუთხრა ყველას, სულის დასასხნელად ცოდვები გამოისყიდონ, რათა ღვთის მაღლი გადავიდეს მათზე. მიხარია, რომ ქვეყანაში მორწმუნეთა რიცხვი მატულობს. წელს, შემოდგომაზე იერუსალიმში, წმინდა ადგილების მოსანახულებლად ვაპირებ წასვლას. მე ყოველ დღით ვლოცულობ, რომ ჩემი ცოდვები არ გადავიდეს ჩემს შვილებსა და შვილიშვილებზე. „სულის ზეიმი“ ჩემს უმცროს შვილიშვილს, დავითს მივუძღვენი. რამდენი დაჩოქება, ცრემლი და სულის ზეიმი უნდა გავიარო, რომ ცოდვებს გზა გადავუკეტო.

დააკვირდით ამ ფოტოს, სადაც ბატონი ნოდარია გამოსახული. შეიძლება ნებისმიერ თქვენგანს ხელში ჩაუვარდეს მის მიერ ექსპრომტად დაწერილი ლექსი. ნუ გაიკვირვებთ, თუ ის მეტროს ვაგონში მოგაწვდით მას. ან შეიძლება ეს იისა თუ ენძელის პატარა კონაც იყოს...



ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი მთაცხველი ვერ მალავს კლანჭებს?



- ა) ლომი;
- ბ) ძეგელი;
- გ) ავაზა.

2. სად ინახება აშშ-ის მძროს მარაგი?



- ა) ბევერლი ჰილზში;
- ბ) ფორტ-ნოქსში;
- გ) სან სეზ ბიჩში.

3. ვინ ესროლა ლენინის მოედანზე დამით სიჩუმას თოფი?



- ა) ლადო ასათიანმა;
- ბ) გურამ რჩეულიშვილმა;
- გ) კონსტანტინე გამსახურდიამ.


პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

როგორ იშენებოდა სუბმარინა

უცნობია, როდის სცადა ადამიანმა პირველად წყალში ჩაყვინთვა. ისტორიამ მრავალი გამოგონება შემოგვინახა, რომელიც ხალხს წყლის ქვეშ ყოფნისას ეხმარებოდა. მაგალითად, ჩვენს ერამდე I საუკუნეში თურმე ერთი რომელი თხის ტყავის გარსით შეიმოსა და მტრის ხომალდებს შორის შეუძინევლად გაცურა. VI საუკუნეში კი სლავი ხალხი არაკეთილმოსურნეებს წყალსატევის ფსკერზე მჯდარი ემალებოდა, სუნთქვას კი ბალახის ღეროთი ახერხებდა. შუა საუკუნეების გერმანულ პოემაში „სალმანი და მოროლფი“ გმირი ორ კვირას წყლის ქვეშ სპეციალურ ნავში მყოფი ატარებს. ჰაერით სასვე ზარი, რომლის ქვეშაც წყლის სიღრმეში შეიძლება ყოფნა, პირველად ტოლედოში, ესპანეთის მეფე კარლოს მეხუთეს, რომელიც ბერძენმა ხელმძღვრებელმა წარუდგინეს, მაგრამ ყველაფერ ამას წყალქვეშა ნავის წინამორბედად მაინც ვერ ჩავთვლით.

სიღრმისეული ხომალდის პირველ მამად აღკმაარელი ჰოლანდიელი გამოგონებელი კორნელიუს ვან დრებელი ითვლება. 1615 წელს მან ტემზაზე ნავი ააგო, რომელიც თორმეტ მონიხესა და მგზავრებსაც იტევდა და 15 ფუტის (1 ფუტი – 0,3048 მ) სიღრმეში შეედლო ჩასვლა. ინჟინრის მთავარ საიდუმლოდ ის „ქიმიური სითხე“ იქცა, რომლის საშუალებით ნავის შიგნით სუნთქვა ზედაპირზე ამოუსვლელად რამდენიმე საათის განმავლობაში შეიძლებოდა. აღნიშნული ნავით სადემონსტრაციო გაცურვა ვესტმინსტერიდან გრინვიჩამდე, ერთხელ თვით მეფე იაკობ პირველმაც განახორციელა.

პირველი გამოცდის გავლისთანავე ნავის სამხედრო საქმეში გამოყენება სცადეს. ჰერცოგი ბუკინგემი 1626 წელს



ცდილობდა, ხომალდი ლა-როშელის ალყის მოსახსნელად გამოეყენებინა, თუმცა ამ იდეამ, ისევე როგორც ამ სახელმწიფო მოღვაწის ბევრმა სხვა წამოწყებამ, განხორციელება ვერ პოვა. აღექსანდრე დიუმა კი ჰერცოგი თავის „სამ მუშკეტერში“ ზომაზე მეტად რომანტიკულ ადამიანად წარმოგვიდგინა. ინგლისში ამის შემდეგ საუკუნე-ნახევრის მანძილზე წყალქვეშა ნავი აღარ აუგიათ, თუმცა თავად ვან დრებელის კარიერაზე ეს არ ასახულა: 1634 წლამდე – სიკვდილამდე ის კოლოსალურ ხელფასს – თვეში 150 გირვანქას იღებდა.

1653 წელს როტერდამში ფრანგმა დე სონმა საკუთარი ნახაზების მიხედვით წყალქვეშა ნავი ააგო. ისტორიამ მისი ნახაზები შემოგვინახა: ეს იყო 72 ფუტი სიგრძის, 12 ფუტი სიგანისა და 8 ფუტი სიმაღლის ხომალდი. გამოგონებელი ტრახანობდა, რომ ერთ დღეში დაფარავდა


მანძილს როტერდამიდან ლონდონამდე და უკან, ხოლო ექვს კვირაში – ინდოეთში ჩავიდოდა. არც ერთი დაპირება გამოგონებელს პრაქტიკულად არ განხორციელებია, რადგან მთავარი პრობლემა გადაუჭრელი დარჩა: წყლის ქვეშ ნიჩბების ხმარება ძალიან ჭირდა.

1680 წელს ინგლისელმა რობერტ ჰუკმა ისეთი აღმოჩენა გააკეთა, რომლის მნიშვნელობაც ბოლომდე ალბათ თვითონაც არ ესმოდა. მან ქარის წისქვილის ფრთების მსგავსი სრახნი გამოიგონა, რომელიც წყალშიც მუშაობდა. კიდევ დიდი ხნის მანძილზე ქმნიდნენ წყალქვეშა ნავის პროექტებს ინჟინერთა ახალი თაობები, მაგრამ მხოლოდ ერთ მათგანს მოუვიდა აზრად პრობლემის გამოყენება – ეს წყალქვეშა ხომალდის მეორე მამა, ამერიკელი დევიდ ბუშნელი იყო. 1775 წელს ბუშნელმა

ხისგან რალაც კვერცხის მაგვარი შექმნა და „კუ“ უწოდა. მის შიგნით მხოლოდ ერთი ადამიანი თავსდება და ჰაერი წყლის ქვეშ ნახევარი საათის გასატარებლად იყო საკმარისი. „კუ“ თავისი ყველა მონაცემით წინამორბედებს ჩამორჩებოდა, რომ არა პრობლემური, რომლის წყალბოთი, წყალქვეშა ნავმა სიჩქარე და მანევრირების უნარი შეიძინა. იმ პერიოდში აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა და ახალი ხომალდი მაშინვე საქმეში ჩაერთო: სერჯანტმა ეზრ ალიმ მდინარე ჰუდსონის შესართავთან 64 ზარბაზნიან ინგლისურ ფრეგატზე მიიტანა იერიში, თუმცა უშედეგოდ: ტორპედოს აპარატების დაზუზვების გამო, შედეგი არც შემდგომ ცდებს მოჰქონდა. ბუშნელმა არათუ დიდება ვერ მოიპოვა, არამედ საერთოდ მიატოვა ცდები და დაცინვისგან თავის არიდების მიზნით, გვარიც კი გამოიცვალა.

როცა ბუშნელი ჯერ კიდევ თავისი „კუს“ შექმნით იყო დაკავებული – წყალქვეშა ნავის კონსტრუირების ცდამ პირველი მსხვერპლი შეიწირა: 1772 წელს ქალაქ სუფოლკის მკვიდრმა, ვინმე დეიმ თავისი შექმნილი ნავით წყლის ქვეშ პირველად განახორციელა საკმაოდ ღრმა ჩასვლა. მას 100 ფუტი სიღრმის დაპყრობა სურდა, მაგრამ ხომალდმა წყლის სიმიძიეს ვერ გაუძლო და მსხვერპლთა სავალალო სიაც გაიხსნა.





ათი რამ ფინის შესახებ ათი რამ ფინის შესახებ ათი რამ ფინის შესახებ ათი რამ ფინის შესახებ

1. ტვინი კუნთებს ჰგავს: რაც უფრო ხშირად ავარჯიშებთ, მით უფრო მატულობს ზომაში. მოზრდილი მამაკაცის საშუალო ტვინი 1424 გრამს იწონის, სიბერის მოახლოებისას ტვინის მასა 1395 გრამამდე მცირდება. ქალის ყველაზე დიდი წონის ტვინი 1565 გრამს აღწევს. მამაკაცის ტვინის რეკორდული წონა 2049 გრამია. ტვინი ევოლუციას განიცდის: 1860 წელს მამაკაცის ტვინის საშუალო წონა 1372 გრამი იყო. ნორმალური, არაპათოლოგიური, ყველაზე მცირე მასის ტვინი 31 წლის ქალს ეკუთვნის და 1096 გრამს იწონის. დინოზავრს, რომლის სიგრძე 9 მეტრს აღწევდა, კაკლის ზომის და სულ 70 გრამი წონის ტვინი ჰქონდა.

2. ტვინი ყველაზე მეტად, 2-იდან 11 წლამდე ასაკში ვითარდება.

3. სისტემატური ლოცვა სუნთქვის სისხშირეს არეგულირებს და თავის ტვინის ტალღური რხევა ნორმაში მოჰყავს. ამით კი ხელს უწყობს ორგანიზმის თვითგანკურნებას. მორწმუნეები 36 პროცენტით ნაკლები სისხშირით მიმართავენ ექიმს, ვიდრე დანარჩენი ადამიანები.

4. რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ნაკლებია ტვინის დაავადების რისკი. ინტელექტუალური აქტივობა დამატებითი ქსოვილების გაჩენას უზრუნველყოფს, რომელიც დაავადების კომპენსაციას ახდენს.

5. უცნობი საქმით დაკავება – ტვინის განვითარების საუკეთესო მეთოდია. ურთიერთობა (უმჯობესია დაქორწინება) მასთან, ვინც ინტელექტით უფრო მაღლა დგას, ტვინის განვითარების ძლიერმოქმედი საშუალებაა.

6. ადამიანის ნერვულ სისტემაში სიგნალები 288 კმ/სთ სიჩქარით ვრცელდება. სიბერისას ეს სიჩქარე 15 პროცენტით მცირდება.

7. მსოფლიოში ტვინის ყველაზე დიდი ღონორი მინესოტის შტატში, მანკატოში მდებარე მონაზონ-პედაგოგთა

ორდენია. მონაზვნებმა თავიანთ ანდერძებში მეცნიერებას დაახლოებით 700 ერთეული ტვინი დაუტოვეს.

8. ინტელექტუალური განვითარების ყველაზე მაღალი დონე (IQ ინტელექტის კოეფიციენტი) მისურის შტატის მცხოვრებმა მერილინ მარ ვოს სავანტმა გამოამჟღავნა. ათი წლის ასაკში მას ოცდასამი წლის ასაკის ადამიანის საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა. მან პრივილეგიურულ საზოგადოება „მეგაში“ შესასვლელი ურთულესი ტესტი გაიარა. საზოგადოებაში მხოლოდ ოცდაათამდე ადამიანია გაერთიანებული, რომელსაც IQ-ის ისეთი მაღალი მაჩვენებელი აქვს, რომლითაც 1 მილიონი ადამიანიდან მხოლოდ ერთი გამოირჩევა.

9. IQ-ის ყველაზე მაღალი საშუალო ნაციონალური კოეფიციენტი აქვთ იაპონელებს და ის 111-ის ტოლია. იაპონელთა 10 პროცენტის IQ 130-ს აჭარბებს.

10. უმაღლესი ფოტოგრაფიული მეხსიერებით კრეიტონ კარველო გამოირჩევა, მას შეუძლია ერთი შეხედვით დაიმახსოვროს ექვს დასტაში მოთავსებული 312 კარტის განლაგების თანამიმდევრობა.



„ბახუსის სკალა“

სპეციალისტები ისეთ რჩევებს სთავაზობენ მამაკაცებს, რითაც შეიძლება საკუთარი სიმთვრალის დონის განსაზღვრა და კონტროლი. თქვენ წინაშეა სიმთვრალის ათი ძირითადი სტადია:

1. ჯანსაღი ალბური სახეზე.
 2. ნაპერწკალი თვალებში და მოჭარბებული ენერგია.
 3. საკუთარი თავის უკეთ შეცნობის სურვილი.
 4. სწრაფვა ხალხური და გმირულ-ლაშქრული სიმღერების შესრულებისკენ.
 5. იგივე, რაც მე-4 ეტაპზე, ოღონდ უფრო ხმამაღალი ფორმითა და ცეკვის ელემენტებით.
 6. საკუთარი ფიზიკური ძალის დემონსტრირება გარემომყოფთა გამხიარულების მიზნით.
 7. ორივე სქესის წარმომადგენლების სიყვარულის მგზნებარე ასხნა, უფრო ხშირად – ქალებისთვის, რასაც თან ახლავს სხეულის სხვადასხვა ადგილზე კოცნა-ალერსი.
 8. მოძრაობის კოორდინაციის საგრძნობი დარღვევა. ცეკვა-თამაშში გარშემომყოფთა იძულებითი ჩართვა, განსაკუთრებით ქალების; თანდებულების – აჰ! ეჰ! უჰ! – ხშირი გამოყენება ლექსიკაში.
 9. მოძრაობის უნარის ნაწილობრივ დაკარგვა, ახლობელთა დახმარებაზე უარის თქმა, უცნაურ სიტყვების ხშირი გამოყენება, სიმთვრალის კატეგორიული უარყოფა.
 10. ცოცხალი ლეში. ნემსით ძლიერ ჩხვლეტასაც კი არავითარი რეაქცია არ მოჰყვება.
- როგორც ხვდებით, შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტი. ყოველი ადამიანი, განსაკუთრებით მსმელი – ნამდვილი გამოცანაა!*

ნავილოთ თან თუ არა ქოლგა? ამინდის პროგნოზს დაუფუჯეროთ თუ საკუთარ ინტუიციას? ოდესღაც ადამიანებს ასეთი კითხვა არც კი ებადებოდათ. ქოლგა ნებისმიერ ამინდში, ნებისმიერ სამოსის განუყოფელ ატრიბუტად ითვლებოდა.

ქოლგა ინდოელი პრინცესების როტულ ვარცხნილობას მზისგან იფარავდა, ჩინელი იმპერატრიცებისა და ლუდოვიკო მეცამეტის კარის ფრეილინების კანის სიქათქათეს იცავდა. ნამდვილი ლედი სახლიდან ქოლგის გარეშე არ გადიოდა. ე.წ. სეირნობისთვის განკუთვნილი ქოლგები მცირე ზომისა იყო, სულ 50 სანტიმეტრს არ აღემატებოდა. მზისგან დასაცავ ქოლგებს ხშირად აბრეშუმის ან ხავერდისგან ამზადებდნენ. დახელოვნებული ოსტატები კი მას ნაქარგებით, აპლიკაციებით ამშვენებდნენ ან ხელით მოხატავდნენ ხოლმე (ამ ქოლგებს წვიმის დროს არ იყენებდნენ). ქოლგის სახელურებს, რომელსაც თითის გასაყრელი რგოლი ჰქონდა, სპილოს ძვლისგან ან კუს ბაკნისგან ამზადებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს პატარა ზომის ატრიბუტი მამაკაცის სერიოზულ ქოლგად იქცა. ის კარგად შეეთავსა ქვაბ-ქუდას, ფილეთიან კოსტიუმს და ნისლიანი ღონდონის ქუჩებში მოსიარულე ჯენტლმენის გარეგნობასაც საუკეთესოდ მიესადაგა. ნამდვილი ინგლისელის წარმოდგენა ხომ შეუძლებელია ქოლგა-ტროსტის გარეშე.

ინგლისელები ევროპაში ქოლგის დამამკვიდრებლის პრივილეგიას არ თმობენ. 1830 წელს ინგლისში გამოცემული იქნა ფუნდამენტური მონოგრაფია სახელწოდებით „ქოლგა და მისი ისტორია“. მასში მოთხრობილია ალბიონის ნაპირებზე, ქოლგის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ. დადგენილია,

სასა და დედაინას უორი ქოლგა



რომ ქოლგა ჯერ კიდევ მარია სტიუარტს ჰქონია.

თუმცა კი დღემდე დაუდგენელი რჩება, თუ ვის ეკუთვნის წვიმის დროს ქოლგის გამოყენების დამკვიდრების პირველობა. 1716 წელს საფრანგეთში, პარიზში პონტ-ნეფის ხიდზე არსებობდა ქოლგების გასაქირავებელი პუნქტი, უამინდობის დროს ხიდზე გადასასვლელად. ცნობილია, რომ ინგლისისა და ესპანეთის ჯარებში ერთდროულად მიიღეს ქოლგა შეიარაღებაში. სწორედ ამიტომ პირველი ქოლგა, რომელიც არ სველდებოდა, დამზადებული იყო მუქი მწვანე - ე.ი. შემნიღბავი ფერის ნაჭრისგან. კლასიკური, შავი ქოლგები მოგვიანებით გაჩნდა, ვიქტორიანულ ინგლისში.

ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება - თანამედროვე ქოლგას ჰყავს ავტორი და ის მართლაც ინგლისელია. მისტერ ფოქსმა გამოიგონა კონსტრუქცია, რომელიც ლითონის ჩხირებისა და ვეშაპის

ულვაშისგან მზადდებოდა და საოცრად მსუბუქი (350 გრამი, ძველი 1,6 კგ-ის ნაცვლად) და მოხერხებული იყო.

ქოლგები ძალიან განსხვავებულია როგორც ფორმით, ასევე ზომით, ზოგი მათგანი მეტისმეტად „სერიოზულია“, ზოგიც - „ქარაფშუტული“, ძველმოდური ან ექსტრავა-

იგალიური საფეხბურთო კლუბი	იგალის ეროვნული გმირი ჯუშუკა ...	საგელე-ფოწო ტერმანი	წვევიანი გოდორი	... ბოლივარი	„ურაკლ“	კოლ
სახელმწიფო სამხ. ამერიკაში	ლორის ბალანი	მასკრა-დი	ორი კატის საუბარი	მეგროს ხალგურ „გოცირიფის“ ძველი სახელი	ჯუჯა სამეფო ევროპაში	ბოსტონი


გაეროკიდული მობი



განტური — მფლობელის ხასიათის მიხედვით. 70-იან წლებში მადამ კურაჟმა გამოიგონა და ძალიან მომგებიანად დაამკვიდრა გამჭვირვალე, მრგვალი ქოლგა. ამგვარ ქოლგათა მოდამ აპოგეას 80-იანი წლების შუა პერიოდში მიაღწია. დიზაინერების ინიციატივით, თითქმის წაიშალა ერთ დროს მკაცრად დამკვიდრებული „გაყოფა სქესის მიხედვით“, — და მკაცრად დამკვიდრებული ქალისა და მამაკაცის ქოლგებს შორის. გოგონები სიამოვნებით ატარებენ უხეშ შავ ქოლგა-ტროსტებს, ზოგიერთი მამაკაცი კი ჟან-პოლ ვოტიეს სტილში მოხატულ ქოლგას ამჯობინებს.

რაც შეეხება ქოლგის ფორმას, ბოლო დროს, უფრო ხშირად, კლასიკური ტენდენცია შეიმჩნევა — ამ წლის კოლექციებში დიდი ქოლგა-ტროსტები მკვიდრდება. ფერთან დაკავშირებით კი მოდელიერები გვირჩევენ, ქოლგა კოსტიუმს, ფეხსაცმელს ან ჩანთას მიკუსადაგოთ.

კომფორტის მოყვარულთ კი



ამერიკელი და იაპონელი ექსპერიმენტატორების ნამუშევარი გამოადგებათ — ქოლგა ყველა შემთხვევისთვის. დღეს უკვე პოპულარულია ღამის გასეირნებისთვის განკუთვნილი ქოლგა-ფარნები, ძალიან პატარა — 200 გრამი წონის ქოლგები, რომელთა ზომა დაკეცილი სახით 14 სანტიმეტრია. ბიზნესმენებს კი განსაკუთრებით ბრტყელი ქოლგები უყვართ, რომელიც ქალაქში სახლში ნებისმიერ კეისში თავსდება.



დმერთების მთა საბერძნეთში	ტუნის საცხი	რიგველი სედა	ნიპილიზმის მიმდევარი	ქმრის და	ნოტი	სილა
	X	X		X	X	X
მდინარე მოზამბიკში	ბოკანი	არსენას საზომი	ფორმულა I-ის ყოფ. ჩემპიონი ლეიმონ ...	წახალისება		ბრიუს
	X			X		X

წმინდანად შერაცხულ მეფეთა შორის ქართველებს გვყავს დემეტრე მეორე. 11 წლისა იყო იგი, როცა მეფის გვირგვინი დაადგეს თავზე და 29 წლისა, როცა მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა.

გარეგნობითა და ხასიათით ბაბუამისს – გიორგი-ლაშას ამსგავსებდნენ ჭაბუკ მეფეს. მასაკით მომხიბლავი ვაჟკაცი და სამხედრო წესებით გაწვრთნილი ყოფილა. მდაბალთა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, ღამდამობით თურმე, ფულით სავსე ქისით სასახლიდან ჩუმად გავიდოდა და ქალაქში გაჭირვებულებს ფულს ურიგებდა. ყველა უქონელიც ღამით ქუჩაში დაეხეტებოდა, რათა მეფეს შეხვედროდა. დემეტრე ასევე უხვად გაცემდა ხოლმე ეკლესია-მონასტრებისათვის შესაწირს, ლოცვით შესთხოვდა უფალს თავის ქვეყანაში მშვიდობასა და ერის გამთლიანებას.

10 წლისა იყო დემეტრე, როცა მამამისი, დავით VII ულუ გარდაიცვალა. დედა, კიდევ უფრო ადრე მონღოლებმა მოუკლეს. მაშინ ხომ ქართველი ხალხი მონღოლთა უღლის ქვეშ გმინავდა. მტერი ქუსლით აწვებოდა მის სულს. იმ დღიდან, როცა აბაღა ყაენი აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დიდი თამარის შვილიშვილის შვილის გამეფებას დასთანხმდა, თითქოს ჭაბუკ მეფეს აჩრდილივით თან აედევნა ბოროტი ძალა...

უკვე 17 წლისამ 3000 მეომრით ეგვიპტის სულთანს გაუმართა ბრძოლა. საოცარი სიმამაცე გამოიჩინა მაშინ დემეტრემ, რომელიც ძვირად დაუჯდათ ქართველებს. ვერც 1278 წელს შეძლო გამარჯვება გილანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მონღოლ-ქართველთა ლაშქარმა. 1280 წელს კვლავ მხარში ამოუდგა აბაღა ყაენს ეგვიპტელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფე დემეტრე 5000 ქართველით გამოვიდა. მომდევნო წელს ეგვიპტის სულთანმა 12000 მეომარი დაუყენა წინ 200 ქართველთან ერთად მებრძოლ დემეტრეს. 4800-მა თანამემამულემ მიუსწრო, მაგრამ ამაოდ: ბრძოლის ველზე ეგვიპტელთა და თათართა გვაშებში 4000 ქართველი იწვა.

... 1284 წელს მონღოლეთის ახალი ყაენი არღუნ აბაღას ძე გახდა. მისი უპირველესი მრჩეველი კი ბუღა



მე დავსდებ სულსა ჩემსა პრისათვის ჩემისა

დემეტრე თავდადებული (1260-1289)

ნონი, დემეტრე მეფის მძახალი (დემეტრეს ასული, რუსუდანი ცოლად გაჰყვა ბუღას ძეს). ახლა დემეტრეს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო, სახელმწიფო გაეძლიერებინა და აღმშენებლობისათვის მოეკიდა ხელი. შიგადაშიგ მონასტრების მშენებლობაც მრავლად მიდიოდა. სწორედ მაშინ აშენდა მეტეხის დიდებული ტაძარი.

... მალე არღუნ ყაენი კვლავ დაარღვევს დემეტრეს სიმშვიდეს და იხმობს დასახმარებლად. დარუბანდის მთავარი ციხის, ანიყის აღებას დაავალებს და თვითონ თავისი მხედრობით ხელსაც არ გაატოკებს. გამარჯვებული ქართველები დიდძალი ნადავლით უკან ბრუნდებიან. სწორედ მაშინ სთხოვს ყაენი დემეტრეს ჯაჭვის პერანგს. წამი შეაყონებს დემეტრე, მაგრამ სწრაფადვე გაიხდის და ყაენს მიაერთმევს. ამ დროს ამოიკითხავს ქართველთა მეფე არღუნის თვალეშში თავისკენ მომართულ ეჭვსა და ბოღმას... მალე არ-

ღუნ ყაენი იქნება ის, ვინც შეთქმულთა შორის, ბუღა ნონთან ერთად, დემეტრესაც იგულვებს. ის არ აპატიებს ბუღა ნონს, მთელ ქონებას ჩამოართმევს და თავს მოჰკვეთს მას და მის ვაჟსაც. შემდეგ ბუღას ერთგულ მოხელეებსაც შეესევა და გაანადგურებს.

და აი, ახალი 1289 წლის დარბაზობაზე მეფე დემეტრე კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, გარეჯელ მამთა, ვაზირთა და ერისმთავართა წინაშე სიტყვით გამოდის... ყაენი განრისხებული ჩემზე, პირისპირ სურს შემხედეს. მთიულეთში რომ დავიმძლო და მას არ ვეახლო, ქვეყანას მოაოხრებს.

ეკლესიებს, ხატსა და ჯვარს შეგვიგინებს. ისიც ვიცი, თუ გამოვცხადდები, უსათუოდ მომკლავს. ვფიქრობ, დაუყონებლივ მევალება წასვლა... „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთშიმე ცოდვითა განვდე სოფლისა ამისგან? აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვკონებ, რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს“.

დარბაზი ღელავს. ასეთი ვაჟკაცური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მეფისადმი მოწიწება და სიყვარული ასმაგდება. აქამდეც იცნობდნენ მეფეს, როგორც მკვლავმოუღლე რაინდს, ახლა კი სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულ მეფეს, ერის გადასარჩენად, სამსხვერპლოზე მიჰქონდა თავი... უცებ გაიყინა აღრინდელი შეხედულება კათალიკოსთა გონებაში – ისინი ხომ ერთგულ ქრისტიანად არ მიიჩნევდნენ მეფეს მისი მრავალცოლიანობის გამო. ცამეტი წლის ყმაწვილმა ცოლად შეირთო ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც ხუთი შვილი შეეძინა: ვაჟები – დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველი და ერთი ასული – რუსუდანი. მეორე ცოლად მონღოლი ქალი – სოლდარი ჰყავდა, რომლისგანაც გაუჩნდა კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი: ბაადური, იადგარი და ჯიგდა-ხათუნი. მესამე ცოლთან, ბექა ჯაყელის ასულ – ნათელასთან ჰყავდა ძე – გიორგი, მომავალი მეფე, რომელსაც ხალხმა „ბრწყინვალე“ უწოდა.

... კრახანასავით ბზუოდა ხალხში ფიქრი. უცებ ერთხმად წამოიშლება და დაიძახებს ყველა: „არა, არ წახ-

ვიდე, მეფეო!“ „შენ რომ მოგკლან, შვილი შენი მიმოდაიბნევიან“. „წადი, მეფეო მთიულეთს“, „ან აფხაზეთს!“ „ქუთაისს!“. მეფე დემეტრეს კი კვლავ ერთი აზრი უტრიალებს: „მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოსა წასვლას!“ ერთადერთი, აბრაჰამ კათალიკოსი შეეპასუხება მხოლოდ: არ არის საჭირო სულის გაწირვა, რადგან შენამდე მრავალ მეფეს მოურიდებია და დაუცავს თავისი თავიო. ყველაფერი კი ისე გადაწყდება, როგორც იყო მეფის მიერ ნაფიქრი...

... ასე გაუდგა მეფე დემეტრე გოლგოთას გზას. რამდენჯერ გაუვლია ამ გზაზე, ნორჩი სიმწვანე თრთოლა მაშინ მის ფეხქვეშ. კანჯარივით ურბენია აქ გოგო-ბიჭებთან ერთად. ახლა მილიოდა ამაყად, თითქოს წვეულებაზე მიეჩქარებოდა. მისი ფილტვები ახლა ხარბად ნთქავდა კამკამა ჰაერს, იცოდა, ვეღარ შეისუნთქავდა მეტს. ბიჯნას რომ გაიარა, მეფემ თან წაიყვანა თავისი უფროსი ვაჟი – დავითი, რათა ყაენი დარწმუნებულიყო მის უღალატობაში.

არღუნ ყაენთან დაკითხვაზე მისულმა დემეტრემ გულწრფელად თქვა, რომ ბუღა ნოინის შეთქმულებასთან არაფერი აკავშირებდა. ყაენისათვის ისიც კმაროდა, რომ ქართველი მეფე სიკვდილით დასჯილი ბუღას მძახალი იყო. დიდხანს დასტრიალებდა მის ფიქრს კითხვა: მოკლა თუ არა ქართველი მეფე და როცა წამოსცდა – ვინ იქნება შემდეგ მეფობის ღირსიო? ამაზე იქვე მყოფმა, ქართველმა იუდაამ – ხუტლუბულა მანკაბერდელმა ქუთაისიდან დავით ნარინის ძის – ვახტანგის თბილისში ჩამოყვანა ურჩია: ორივე საქართველო შენ დაგემორჩილებაო. ეს აზრი მოწონებულ იქნა...

სიკვდილის წინ მეფე დემეტრე დაჰკითხეს, გაიგეს, თუ სად ჰქონდა სიმდიდრე. საქართველოში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც მონღოლებს მეფის საგანძურთა საიდუმლო სამალავები მიასწავლეს. ამ სიმდიდრემ გააოცა არღუნი. საკანში მყოფ მეფე დემეტრესთან ღამით რაღაც სასწაულით ქართველებმა შეაღწიეს და უთხრეს: წამოდი, გარეთ ცხენები გველოდებაო. მეფემ გაიკვირვა მათი ნათქვამი, უაზროდ საფრთხეში თავის ჩაგდებაც და მიმართა: „სიკვდილი რომ



მელოდა, განა არ ვიცოდი?! მე ხომ ჩემი ერისათვის დავდევი თავი ჩემი და სული ჩემი, განა მე შემიძლია ეს ამოებით აღსავსე და წარმატალი საწუთრო იმისთვის დავიბრუნო, რომ მის საფასურად ქართველი ხალხი მოისრას?!“

აღსასრულის მოლოდინში მყოფი დემეტრე მხოლოდ თავის შვილზე ფიქროდა, რომელიც იქვე ახლოს ჰყავდათ დამწვევდელი მონღოლებს. მალე არღუნ ყაენმა შეიტყო, რომ მეფე დავითი ნარინი თანახმაა, მისცეს მას თავისი ვაჟი – ვახტანგი სიძედ და ქართლის მეფედ. მეორე დღესვე არგებთ სცემეს მეფე დემეტრეს. მონღოლთა წესის თანახმად, სიკვდილმისჯილებს არ სცემდნენ. ამან ქართველებს იმედი ჩაუსახა. ნაცემი მეფე საღამოს კვლავ დაჰკითხეს. მსაჯულებმა ყაენს მოახსენეს, რომ ქართველ მეფეს არაფერი ბრალი არ ედება და მიუტევეთო, მაგრამ ასე არ მოხდა...

1289 წლის 12 მარტი – მეფე დემეტრეს წამების დღე. მონღოლებმა უნდა აწამონ ადამიანი, რომელსაც კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია მათთვის. აქვე ხუტლუბულაც. მოსე მღვდლის წინ კი დემეტრე თავის შვილს – დავითს ზედავს გადარჩინოს. სისხლი ეყინება ძარღვებში და ქვითინებს ქართველთა გუნდი, როცა მსაჯულის ხმა დასერავს ჰაერს: დემეტრე, მეფე ქართველთა, ისჯება სიკვდილით, თავის მოკვებით!

მეფე დემეტრე ყველას ამშვიდებს და ემშვიდობება. გულში იხუტებს თავის დავითს და იქვე მდგომ ხუტლუბულას თვალებით უმართავს დიალოგს. მერე კი მაინც ეტყვის: „უკეთუ

ძალგდის, იღვაწე, რათა ძე ჩემი დავით არა მოიკლას გულისწყრომითა ყაენისა“. ხუტლუბულას ზღუქუნს მოჰკრავს ყურს მეფე.

სიკვდილმისჯილი მეფის უკანასკნელი წუთები საქართველოსათვის, ქართველთათვის ლოცვაში განიღვება. მერე თავად დემეტრე ანიშნებს ჯალათებს – მზად ვარო და მოიდრიკება. იელვებს ხმალი ჯალათისა, მეფის მშვენიერ ტანს და თავს ერთმანეთს დააშორებს. შეწყდება მისი ამქვეყნიური სიცოცხლე, სამაგიეროდ, უფალი გააბრწყინებს მეფე დემეტრეს... იმ ღამით სიკვდილს გადაურჩება დემეტრეს პირმშო – დავითი. მეორე დღეს მოსე მღვდელი სარდალ-ტაჩარის შემწვობით დავითს გამოიხსნის. ის შემდეგში მეფე დავით მერვედ იქნება ცნობილი.

თათარი გუშაგები მეფის თავსა და ტანს არავის მისცემენ დასამარხავად. აბრაჰამ კათალიკოსი და მოსე მღვდელი მოისყიდნიან გუშაგებს და გამოიხსნიან ნეშტს. შუადამეზე თბილისელი მეთევზის ურემზე დაასვენებენ მის ნაშთებს, ზემოდან თევზს დააყრიან და ასე ჩამოვლენ მცხეთაში.

... ერისათვის დიდი თავგანწირვის გამო, ქართველი ხალხი მეფე დემეტრეს „თავდადებულს“ უწოდებს. გაირბენს საუკუნენი და ილია ჭავჭავაძე პოემას მიუძღვნის მეფე დემეტრეს... 713 წელიწადი გვაცხადებს მეფე დემეტრეს წამების დღეს, სამაგიეროდ, ყოველი წლის 25 მარტი გვახსენებს მისი წამებისა და გაბრწყინების უკვდავ ამბავს...

განვაგრძობთ ახალი გეგმავას სამოგზაურო დღიურების ბეჭდვას, რომლებიც ჩვენი ჟურნალის №36-სა და №39-ში გამოქვეყნდება.

დღანიაში, როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძობთ თავს. არ მინდოდა ქვეყნის დატოვება, მაგრამ დარჩენა აღარ გამოდიოდა – სავიზო დრო გაძლიოდა. შემედლო დამერღვია, ვერავინ შემიშლიდა იქ ყოფნას, მაგრამ ეს საომავლოდ არ ივარგებდა: ევროპაში ერთიანი კომპიუტერული სისტემა მოქმედებს და ყველა ინფორმაცია ნებისმიერი პიროვნების შესახებ საყოველთაოდ ხელმისაწვდომია და თუ ერთ ქვეყანაში დაარღვევ კანონს, სხვაგან პრობლემა მაინც შეგექმნება – რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, როგორც წესი, უარს გეტყვიან შესასვლელ ვიზაზე...

ვერ გადამეწყვიტა, თბილისში დავბრუნებულიყავი თუ მოგზაურობა გამეგრძელებინა. გამახსენდა ჩემი თბილისელი ნაცნობი, დათო ბაკურაძე, რომელიც 1990 წლიდან ინგლისში ცხოვრობდა. იქაური გოგო მოეყვანა ცოლად და უკვე ორი შვილიც შესძენდა. დაუკავშირდი და მოწვევის გამოგზავნა ვთხოვე, რაზედაც გაურკვეველი პასუხი მივიღე: ვიზას ვერ გამოგიგზავნი, მაგრამ თუ ჩამოხვალ, შემიძლია შეგხვდეთ. ასეთ პასუხს არ ველოდი, მაგრამ ვინაიდან წასვლა გადაწყვეტილი მქონდა, უკან აღარ დამიხვეია.

ცნობილია – რაც უნდა განვითარებული და ცივილიზებული იყოს ქვეყანა, ჩრდილოვან მხარეებს ყოველთვის უპოვი. როგორღაც „მოვაკვარახვინე“ მოწვევის საქმე და დიდი ბრიტანეთის საკონსულოში შევედი. საკონსულოში საკმაოდ ამომწურავად დამკითხეს: ვისთან? რატომ? რა საშუალებით? ყველა კითხვაზე დასაბუთებული პასუხები გავეცი და ორთვიანი ვიზაც მომცეს.

ცოტა რამ გეოგრაფიაზე

დიდი ბრიტანეთის კუნძულებს დასავლეთიდან ატლანტის ოკეანე აკრავს, ჩრდილოეთით – ირლანდიისა და ჩრდილოეთის ზღვა, ევროპის კონტინენტს ლა-მანშის სრუტე აშორებს. კუნძულების დასავლეთ ნაწილი ძირითადად, მთებით არის დაფარული, აღმოსავლეთი კი თითქმის სულ ვაკეა, რომელიც მდინარეებით არის დასერილი. საუკუნეების განმავლობაში ეს ადგილები ტყის მასივებით იყო დაფარული. ახლა ეს ტყეები გაჩეხილია. როგორც „მწვანეები“ ამბობენ, ასე თუ გავრძელებ, რამდენიმე წელიწადში დიდი ბრიტანეთი მხოლოდ ბუჩქების ამარა დარჩება.

ქვეყანაში რბილი და ტენიანი კლიმატია. წვიმიანი დღეები უმეტესად, სექტემბრიდან იანვრამდე პერიოდზე მოდის. ყვე-



britaneti gartvelebze cudad mogmedebs

აქაკი გეგმავა

ლაზე „სველი“ ქალაქებია ლივერპული და მანჩესტერი – აქ წელიწადში 220-230 წვიმიანი დღეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიდიდან სადამომდე განუწყვეტლივ წვიმს – აქ ძალიან სწრაფად მოძრავი ღრუბლები აღინიშნება და ამინდი დღეში რამდენჯერმე შეიძლება შეიცვალოს. საყოველთაოდ ცნობილია – როდესაც ორი ინგლისელი ხვდება ერთმანეთს, მათი პირველი სიტყვები და საუბარი ამინდზე ლაპარაკით იწყება.

ინგლისი კაპიტალისტური ქვეყნის კლასიკური ნიმუშია, მაგრამ დღემდე შეგიძლია მოხვდე ისეთ ადგილას, სადაც ადამიანს ფეხიც არ დაუდგამს. ასეთი ადგილები იზიდავს ტურისტებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებსაც შეუძლიათ სათანადოდ შეაფასონ მკაცრი ბუნების მქონე მხარის სილამაზე. ადამიანს გულგრილს არ დატოვებს აქაური ტბების განუმეორებელი არემარე. შოტლანდიაში განთქმული ტბა – ლონენესი ვნაზე, რომელიც ნესის სახელით ცნობილი იდუმალი ურჩხულის გამოა ცნობილი მთელ მსოფლიოში.

თხილამურების და მთამსვლელობის მოყვარულ ტურისტებს შოტლანდიის მთები განსაკუთრებით იზიდავს. თუმცა, ყველაზე მაღალი – 1085 მეტრის სიმაღლის მთა ბრიტანეთის კუნძულებზე – უელსშია.

არქეოლოგიური გათხრებით დადგინილია, რომ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ადამიანები ჯერ კიდევ პალეოლი-

თის ეპოქაში სახლობდნენ (ჩვ.წ.აღ. 40000–10000 წწ.).

ბევრი ინგლისური ქალაქი, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, რომაელთა მიერ არის დაარსებული. არქიტექტურაში XI საუკუნემდე ბატონობდა ანგლოსაქსურ-რომანული სტილი. შემდეგ საუკუნეებში კი, ვითარდებოდა არქიტექტურის ყველა მიმართულება, რაც კი არსებობდა.

დროთა განმავლობაში, დიდ ბრიტანეთში ერთმანეთისგან დამოუკიდებელი (თავისი პარლამენტითა და მთავრობით) და ერთმანეთზე ურთიერთგადაჯავჭვული ოთხი სახელმწიფო შეიქმნა: ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია. ოთხივე ქვეყანას საერთო დელოფალი და ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრი ჰყავს.

პირველად ლონდონში

წყნარი დანიის შემდეგ, ლონდონი ხმაურიან სტადიონს მაგონებდა. პირველი, რამაც აქ შემაწუნა, იმის შიში იყო, თუ როგორ უნდა გამეკვლია გზა ამ ხმაურსა და ხალხმრავლობაში... ნავსადგურის დარბაზი პოლიციელებით იყო სავსე. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ყურადღებას არავინ მატკევდა, მაგრამ საკმარისი იყო გაჩერებულიყავი და რამეზე დაფიქრებულიყავი, იმწუთშივე ფორმიანი კაცი ამომიდგებოდა გვერდში და თავაზიანად შე-

მომთავაზებდა დახმარებას. პირველი დახმარება ფულის გარეგნის დროს დამჭირდა: დათოსთან მიხედვით დარეკვა, ტელეფონის ავტომატთან რომ მივიდო, დავიბენი — არ ვიცოდი, რომელი ფული უნდა გამოვიყენებინა — გირვანქა, შილინგი თუ ცენტი? გულახდილად გეტყვით, დღესაც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ შეცდომა არ მომივა ინგლისური ფულის გარეგნისას.

პოლიციელმა დამარეკინა. დათოს მეუღლემ მაცნობა — დილაძე არ იქნებაო. რა უნდა მექნა? უბირველესად, თავისუფალი უნდა მეპოვა. კვლავ პოლიციელი დამეხმარა — ლონდონის რუკა გამომიწოდა და სასტუმროების ადგილებზე მიმითითა.

ლონდონში სასტუმროების მეტი რა არის — გააჩნია, რომელს აირჩევ და ჯიბეში რამდენი ფული ვიდექ: ზოგან ერთი ლამის გათევა 1.500 გირვანქა სტერლინგიც ჯდება. ჩემდა სამწუხაროდ, 400 გირვანქაზე ნაკლებფასიანი ვერ ვიპოვე. ამხელა თანხის გადახდის საშუალება, არ მქონდა, ხუთ დღეში სამშობლოში უნდა წამოვსულიყავი. ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. დახმარებისთვის კვლავ პოლიციელს მივმართე. მან ტაქსების გაჩერებასთან მიმიყვანა — ამით იციან ყველაფერი — მძღოლებზე მიმითითა. მსოფლიოს ქალაქების უმეტეს ნაწილში, ტაქსი ყველაფერი ფერისაა, ლონდონში კი — შავი. მას Cab-ს ეძახიან. Cab-ი ძველებური სტილის ავტომობილია. მძღოლსა და მგზავრს შორის შუშის კედელია, რომელსაც პატარა ფანჯარა აქვს. ცნობისმოყვარე და ხუმარა მძღოლი შემხვდა.

- როგორ მოვწონს ლონდონი?
- რა ვიცი, ჯერ ერთი საათიც არ არის, რაც ჩამოვედი.
- საიდან ხარ?
- საქართველოდან.
- ლონდონში ბევრი არაბია. იმ ადგილას მივიყვან, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ, — გამიღიმა მძღოლმა. ეგონა, გამიხარდებოდა.
- ბოლოში, მაგრამ მე არაბი არ ვარ. თუ შეიძლება, იქ წამიყვანეთ, სადაც სტუდენტები ცხოვრობენ და იაფი სასტუმროა.
- ოკეი... ნოუ პრობლემა...

სასტუმროში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოვეწყვე. ვერ ვიტყვი, რომ კომფორტული იყო, სამაგიეროდ, ხუთი გირვანქა ღირდა. ერთ ციციქნა ოთახში ორნი ვცხოვრობდით. ჩემი მეზობელი, რუსი ბიჭი იყო, ივანი ერქვა. ვანია ფულის საშოვნელად იყო ჩამოსული და უკვე თითქმის ერთი წელი ცხოვრობდა ლონდონში. იქ ყოფნით კმაყოფილი იყო, ამბობდა — რაც აქ ცოტა ხანში ვიპოვე, ჩემს ორენბურგში მთელი წლების მან-

ძილზე ვერ ვეღირებოდიო. თავიდანვე კარგად შევეთვისეთ ერთმანეთს. ერთი რამ აწუხებდა ვანიას — სავიზო რეჟიმი ჰქონდა დარღვეული. მართალია, არავინ აწუხებდა, მაგრამ საიმიგრაციო სამსახურის მაინც ეშინოდა. სასტუმრო საერთო საცხოვრებელს ჰგავდა. მეპატრონე ეგვიპტელი იყო. სასტუმროს ბინადარნიც ჩემი და ივანისნაირი, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები იყვნენ. სასტუმროს მეპატრონე, მუჰამედი ამბობდა — მთავარია, არაფერი დაამავოთ და აქ საუკუნის მანძილზე პოლიცია არ მოვაო...

სამი დღე გადაბმულად ვურეკავდი დათოს. ხან შინ არ იყო, ხან კიდევ, წასული იყო სადღაც. ბოლოს თავმოყვარეობა შელახულად ვიგრძენი თავი და რეკვა შევწყვიტე: კაცს ჩემთან შეხვედრა არ უნდა და რას ვერგები-მეთქი?!.. გული კი დამწყდა — რატომ უნდა მომხდარიყო ასე, ნუთუ ერთი სატელეფონო საუბრის დროს მიხინჯ არ ვარ-მეთქი? — მაგრამ რას ვიზამდი...

თავიდანვე სამსახურის ძებნა არ დამიწყია — დათოს იმედიც მქონდა და თან, ქალაქის დათვალიერებაც მიხდოდა.

ქალაქის გაცნობა Cab-ით ან ავტობუსით უნდა დაიწყო. ავტობუსების უმეტესი ნაწილი ორსართულიანია. სინამდვილეში, ლონდონი არა მარტო დიდი ბრიტანეთის, არამედ, ბევრის გაგებით, მთელი მსოფლიოს დედაქალაქია. პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების შუაგულში ყოფნის გარდა, როგორც ცნობილია, ის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია ევროპაში. ამჟამად ლონდონში 7 მლნ ადამიანი ცხოვრობს. ყოველწლიურად ქალაქში მილიონობით ტურისტი ჩადის.

ქალაქის ყველაზე ძველი რაიონის სახელწოდებაა City. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში — თავისი პოლიციით, მერიითა და ეპისკოპოსით, რომლებიც პრაქტიკულად არ ექვემდებარებიან ლონდონის ხელმძღვანელობას. ზუსტად ამ ადგილიდან დაიწყო ქალაქის მშენებლობა. აქ შემონახულია ძველი ციხესიმაგრის კედლები, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით 45 წელს აშენდა. თავისი არსებობის მანძილზე ქალაქმა ბევრი ხანძარი გადაიტანა. XVII საუკუნეში მიწათფლობელმა კრისტოფერ რენმა მიხნად დაისახა 50 სალოცავის აშენება, რომლის არც ერთი გუმბათი ერთნაირი არ იქნებოდა. მანვე ააშენა წმინდა პავლეს გრანდიოზული ტაძარი, რომელიც სიტის სიმბოლოა. მეორე მსოფლიო ომის დროს ამ ტაძრის გარდა, თითქმის ყველა შენობა დაინგრა, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბევრ ურწმუნოზე და

ტაძრის უსაზღვრო ძლიერებაში დაარწმუნა.

სიტში განლაგებულია რამდენიმე საფონდო, სასაქონლო და სანავთობო ბირჟა, დიდი ბრიტანეთის სასამართლო, მრავალი საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანია. ფაქტობრივად, მსოფლიოს ფინანსური და ეკონომიკური ცვალებადობა სიტში მიმდინარე პროცესებზე დამოკიდებულია.

სიტის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ტემზის სანაპიროზე ლონდონის სახელგანთქმული ტაუერი დგას. ტაუერი მეფე ვილჰელმ დამპყრობელმა, როგორც ციხესიმაგრე, ისე ააშენა, შემდეგ სამეფო რეზიდენცია იყო, ბოლოს კი, ციხედ იქცა. დღეს ტაუერი მუზეუმი, სადაც სამეფო საგვარეულოს რელიკვიები ინახება. ნაგებობის გვერდზე ტაუერის ულამაზესი ხიდი იწყება. როგორც კი ხიდს გადახვალთ, ტრაფალგარის მოედანზე მოხვდებით. აქ აღმირალ ნელსონის 60 მეტრიანი ხუროთმოძღვრული კოლონაა აღმართული, რომელზეც 1805 წლის ომისა და ფრანგულ-ესპანურ ჯარზე ინგლისელთა გამარჯვების ამბავია აღწერილი. მოედნის გვერდით ტრაფალგარის მოედნიდან ჩრდილოეთით თუ წახვალთ, ბუკინგემის სასახლესთან — სამეფო ოჯახის რეზიდენციასთან მოხვდებით. ზაფხულობით სასახლე ღიაა და ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეუძლია, შევიდეს და დაათვალიეროს. გამორიცხული არ არის, ამ დროს თავად დედოფალიც შეხვდეთ.

ბუკინგემის სასახლიდან აღმოსავლეთით განლაგებულია პანთეონი, სადაც დაკრძალულია ინგლისის ყველა მეფე, უმაღლესი სასულიერო პირები და ცნობილი ადამიანები. პანთეონის მახლობლად არის დიდი ბრიტანეთის პარლამენტის შენობა, რომელიც 1042 წელს აშენდა. თანამედროვე სახე პარლამენტმა 1840-1888 წლებში მიიღო. იმავე პერიოდში დაიდგა ცნობილი საათიანი კოშკი (Clock Tower), რომელსაც 102 მეტრის სიმაღლეზე ზარი (Big ben)-ი ამშვენებს.

უბანი Sokho რესტორნებით არის განთქმული. აქ თავმოყრილია ღამის კლუბები, რომელთა შორის ნებისმიერი გემოვნის ადამიანი იპოვის თავის შესაფერისს.

უბნის ცენტრში, რასაც Picadilly Circus-ს ეძახიან, მუსიკოსები და მსახიობები იყრიან თავს. თუ თავის გამოჩენის პრეტენზია გაქვს, ამაზე კარგ ადგილს ვერსად ნახავ. თუ პროფესიონალი ხარ და შენი შესაძლებლობებისა გჯერა, აუცილებლად დაგიფასდება. ბევრ ხელოვანს თავისი კარიერა სწორედ აქედან აქვს დაწყებული.

სოხო აღმოსავლეთით მდებარე უბანს Covent Garden-ს ეძახიან. აქაურობა ფე-

შენებელური მალაზიებითა და თეატრებით არის ცნობილი. აქვე მოქმედებს სამეფო ოპერა. ლონდონში იმდენი რამ არის სანახავი, კაცი რამდენიმე დღეში კი არა, კვირაობითაც ვერ აუვა. გადავწყვიტე, როგორც კი თავისუფალი დრო მექნებოდა, ამ საქმისთვის დამეთმო.

შეხვედრა მაინც მოხდა

ვანია გულიანი ყმაწვილი აღმოჩნდა. რაც იცოდა, ყველაფერი დაწვრილებით გამიზიარა. სამსახურის დაწყების რამდენიმე შესაძლო ვარიანტიც შემომთავაზა. მადლობის მეტი რა მეთქმოდა, მისი ინფორმაციის წყალობით, ხვალინდელი დღის შიში ნამდვილად აღარ მქონდა.

დათოსთან შეხვედრის სურვილი მაინც არ მასვენებდა. პატივმოყვარეობის ჭია მდრღნიდა. როგორც იქნა, ტელეფონით „დავიჭირე“ და შეხვედრის დროც დავთქვით. თბილისში დათო სვანეთის უბანში ცხოვრობდა. ერთ-ერთი ქუჩური გარჩევის დროს გავიცანი. ერთი-ორჯერ სუფრასთანაც ვმსხდარვართ, კარგის მეტს მაგ კაცზე ვერაფერს ვიტყვოდი. 1990 წელს ქალაქ სტატბორდში დასახლდა, რომელიც ლონდონიდან ასიოდე კილომეტრით არის დაშორებული. ხუთი წელი არ მენახა.

კარი მისმა ცოლმა გამიღო. ბევრ უცხოელს ვიცნობდი, მათ გუნება-განწყობას, ასე თუ ისე, ვგრძობდი ხოლმე. დათოსთან შესვლისთანავე უარყოფითად დავიძუხტე – რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობა დამეფულა. დათო, რომ იტყვიან, „ნელ-თბილად“ შემხვდა. გარეგნულად დიდად არ შეცვლილიყო, მაგრამ შინაგანად აშკარად სულ სხვა ჩანდა. უხალისოდ მელაპარაკებოდა. მეკითხებოდა საქართველოზე, ნაცნობებზე, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია თავის ცხოვრებაზე. მხოლოდ ის გავიგე, რომ ფაბრიკაში მუშაობდა ოპერატორად.

გარკვეული დროის შემდეგ, მის მიერ

გამოტანილი კონიაკის გრადუსმა ცოტა იმოქმედა და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– დათო, შეცვლილი მქნენები, რაღაც ის არა ხარ, რაც თბილისში იყავი.

ირონიულად შემომხვდა:

– რა, არ მოგწონვარ?

– არა, ეს არ მიგულისხმია, უბრალოდ, მოტეხილი მქნენები.

– შენც, ჩემს ადგილას ასეთი იქნებოდი. დავიღალე... დავიღალე ყველაფრისგან. მომხებრდა, ყველას ჩემგან რაღაცა უნდა, დახმარებას მიხოვენ... ჰკონიათ, რომ მილიონებს ვაკეთებ და თავზე გადამდის. თბილისიდან მაწუხებენ, აქაც არ მასვენებენ. აღარ შემიძლია, გამოვიფიტე...

უხერხულად ვიგრძენი თავი:

– კარგი, დამშვიდდი, ყველაფერს მოვევლება.

– ახლა არ მითხრა, „ისე“ მოვედიო...

დავიჯერო, სამსახურის შოვნაზე არ დამიწყებდი ლაპარაკს?.. – ემოციისგან დათოს თვალები დაუწვრილდა.

სისხლი თავში მომაწვა, მაგრამ თავი შევიკა:

– საიდან მოიტანე? რამე იგრძენი ჩემგან?

– რა გრძნობა უნდა? აქ ყველა დახმარებისთვის მოდის, – კვლავ ირონიულად გაიღიმა.

– არ მეგონა, თუ ასეთი საუბარი წავიდოდა ჩვენ შორის. ვატყობ, აზრი არა აქვს ლაპარაკს და სანამ რამე არ მომხდარა, სჯობს წავიდე. – ავდექი და კარისკენ გავეშურე.

– ვა... კიდევ მემუქრები? ეს შენ საქართველო ხომ არ გგონია, ბიჭო... აქ ინგლისია, ყველამ თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს, გაიგე?!.. და კარდაკარ კი არ უნდა იაროს, ბიჭო... – ისე ყვიროდა, მისი ცოლი, ბავშვთან ერთად, საძინებელი ოთახიდან გამოვარდა.

ერთი პირობა კი გავიფიქრე – მივუბრუნდები და ცხვირ-პირს დაფულეწავემეთქი, მაგრამ ბავშვიანი ქალი რომ დავი-

ნახე, გაჩერდი. კარი ისე მოვიხურე, უკან არც გამიხედავს.

დამცირებულად ვგრძნობდი თავს. რატომ? რისთვის? რა გავაკეთე ისეთი, რომ ასე მომქცოდა ის, ვისაც, ასე თუ ისე, პატივს ვცემდი. დრომ თავისი გაიჭანა და მეც ნელ-ნელა დავწყნარდი. შემდეგ უკვე მეცოდებოდა კიდევ, ვფიქრობდი – არ შეიძლება, კაცი, როგორც არ უნდა ვიჭირდეს, ასე დაწვრილმანდე და ადამიანის სახე დაკარგო-მეთქი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჩემი თანამემამულე, ასეთ დღეში ჩავარდნილი ვნახე უცხოეთში. შემდეგ სხვა ქვეყნებშიც, არაერთი დათოსნაირი ქართველი შემხვედრია, რომელიც თავის საქციელს კაპიტალისტური წყობის სიძნელებებს აბრალებდა...

ინგლისში ყველაფერს იშოვი

ლონდონის პარკები ქალაქის განუყოფელი და საამაყო ნაწილია. ბევრ კოხტა სკვერსაც ნახავთ. ეგრეთ წოდებულ სამეფო პარკებს ეკუთვნის: სენტ-ჯეიმსის, ჰაიდ-პარკი, რიდჯერ-პარკი და გრინ-პარკი. თითოეულ მათგანს თავისი განუყოფელი სახე და დანიშნულება აქვს. გრინ-პარკში ბოტანიკური ბაღია, რიდჯერ-პარკში – ზოოპარკი. ჰაიდ-პარკი მთელ მსოფლიოში, ცნობილია, როგორც ორატორთა დახელოვნების ადგილი. აქ ყველაფერზე ლაპარაკობენ – სპორტიდან დაწყებული, პოლიტიკით დამთავრებული. თუ რამე გამორჩეულად უყვართ ლონდონელებს, მათ შორის Pab-ებია, სადაც ნებისმიერი სახეობის ლუდს შემოგთავაზებენ და ეს ლონდონელთა სიამაყის ერთ-ერთ საგანსაც წარმოადგენს. ერთ დღეს მე და ვანია ბარში შევედით. ახლა ნახე, ამ ხალხს როგორ გავაწითლებ-მეთქი, – ეუთხარი და ქართული ლუდი მოვითხოვე. ჩემდა გასაოცრად, ოფიციალტმა თვალიც არ დაახამხამა და Castel-ი მომიტანა.

– ეს რა არის? ფრანგულია? მე ქართული მინდა, – მკაცრი გამომეტყველება მივიღე.

– ბოდიში, სერ, მაგრამ ფირმა Castel-ი საქართველოში აწარმოებს ამ ლუდს, – თავაზიანად მიპასუხა მიმტანმა.

– არ ვიცი, Castel-ი სად აწარმოებს, მე მინდა ქართული ლუდი – ქართული წარწერით, – უფრო მოვიღუშე.

ცოტა ხანში ბარის მეპატრონე თვითონ მოვიდა.

– მაპატიეთ, სერ, ამჟამად საწყობში ქართული ლუდი არ გვაქვს, მაგრამ თუ ცოტა ხანს მოითმენთ, ნახევარ საათში მოგართმევთ.

სხვა რა გზა მქონდა – უნდა დავლოდებოდი. დათქმულ დროში ოფიციალტმა,



მოდირი და გამარჯვებული სახით, ქართული ლუდი – „ყაზბეგი“ მომიტანა. იმ საღამოს, სანამ ვიხილები არ დაგვიცარიელდა, ბარიდან არ გამოვსულვართ.

პაბები ქალაქს აშკარად არ ჰყოფენ და თუმცა დღისით ფაქტობრივად ცარიელია, სამაგიეროდ, საღამოს ისეა გადაჭვდილი, რომ დასაჯდომს კი არა, დასადგომ ადგილს ვერ ნახავ. ისეთი წარმოდგენა გრჩება, თითქოს ლონდონელები მიუღიან დღე ამ მომენტს ელოდებიან, რათა ერთი კათხა ლუდი მანც მიირთვან. ბევრჯერ წავსწრებივარ სიტუაციას, როდესაც დარბაზში ადგილი არ ყოფილა და კაცები გარეთ, თავსხმა წვიმაში, ბოთლიდან წრუპავდნენ ლუდს. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, თუ როგორ ახერხებდნენ დახლამდე მისვლას.

ვინც ეძიებს, ის მუდამ პოულობს კიდევ

დიდი ბრიტანეთი უზარმაზარ შესაძლებლობათა ქვეყანაა. საკმარისია, რაიმე სფეროში გამოამჟღავნო ნიჭი და უმაღლესი დაგიფასდება. უბრალოდ, უნდა იცოდე – როდის, ვისთან და როგორ მოიქცე. თუ ესეც ვერ მოახერხებ, მანც მიღწევ რაღაცას: პურის ფულს ყოველთვის იშოვი, მთავარია, არ დაიზარო და ხელი გაანძირო. ოფიციალურად, ჩასულთა მუშაობა აკრძალულია, მაგრამ ეს კანონი ზედმიწევნით არ სრულდება და ამით ინგლისი ბევრს არაფერს კარგავს. ქვეყანაში ყველანაირ შავ სამუშაოს ძირითადად, სწორედ ჩასულელები ასრულებენ. მკვიდრი მოსახლეობა ამისთვის თავს არ შეიწყუბებს. მეც არ გამჭირვებია უბრალო სამსახურის შოვნა.

მუშაობა ნავსადგურში დავიწყე. დილის ოთხ საათზე უნდა მივსულიყავი და თევზსაჭერი გემიდან ცოცხალი თევზი გადმომეტვირთა. გარდა იმისა, რომ მძიმე სამუშაო იყო, გარშემო სულ თევზის სუნი იდგა. შემდეგ სულ ცოტა, ორი საათი მანც უნდა მებანავა, სუნი რომ მომეშორებინა. ეს სამსახური კი იმით მომწონდა, რომ კარგადაც მიხდიდნენ და დილის 8 საათზე უკვე თავისუფალი ვიყავი, ეი დღის განმავლობაში ბევრი რამის ნახვა შემეძლო. სამსახურის დაკარგვის შიშიც არ მქონდა: ნავსადგურში მტვირთავები ყოველთვის სჭირდებოდათ. ასე თუ ისე, ლონდონში ცხოვრება ავაწყვე და თავსაც ძალიან კარგად ვგრძნობდი.

საკმარისია დიდი ბრიტანეთის მუზეუმში შეიხედო და იგრძნობ, რომ უძლიერესი იმპერიის დედაქალაქში იმყოფები. რაც კი სიმდიდრე მოუპოვებია ინგლისს, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, ყველაფერი აქ არის თავმოყრილი. შთამბეჭდავია დედოფალ ვიქტორიას ქანდაკება. ეს ის დედო-

ფალია, რომლის დროსაც სამეფომ უდიდეს სიმდიდრეს მიაღწია. ძველის გარშემო განლაგებული ცხოველების ფიგურები, იმპერიის ისტორიულ სამფლობელოთა სიმბოლოებს წარმოადგენს: აქლემი – აფრიკას, ბიზონი – ამერიკას, ძროხა – ევროპას. ავსტრალია ამის მიღმა დარჩა, ვინაიდან იმ დროს იქ მხოლოდ დამნაშავეებს აგზავნიდნენ.

სირცხვილია, ინგლისში ჩახვიდე და ოქსფორდი და კემბრიჯი არ მოინახულო – ეს სასწავლებლები მსოფლიო საუნივერსიტეტო სისტემის თავისებური ცენტრია. ოქსფორდის უნივერსიტეტი XII საუკუნეში, კემბრიჯის კი – XIII-ში დაარსდა. სწავლა აქ პრესტიჟულიც არის და საკმაოდ ძვირიც, მაგრამ თუ დაამთავრებ, მთელი ცხოვრება კარგი სამსახურითა და ადამიანისთვის აუცილებელი ყველა სიკეთით უზრუნველყოფილი იქნები.

თუ სკანდინავიის ქვეყნებზე შეგიძლია თქვა, რომ იქ სოციალიზმია, დიდ ბრიტანეთზე ამას ნამდვილად ვერ იტყვი. სოციალურ ფენებს შორის განსხვავებაც თვალში საცემია. სხვადასხვა ფენის ადამიანთა ერთმანეთისგან გამოსარჩევად არც მისი მანქანის ნახვა გჭირდება და არც ტანსაცმლის შეთვალთვლა: საკმარისია მოძრაობას, ლაპარაკის მანერას დააკვირდე და უმაღლესი მიხვდები, რომელი ფენის წარმომადგენელთან გაქვს საქმე. ლინგვისტები კი, დიალექტითა და გამოთქმით იმასაც ხვდებიან, თუ რომელ უბანშია კაცი გაზრდილი.

ქვეყანაში უფასო სამედიცინო მომსახურება არსებობს. ექიმთან მიღებაზე რომ მოხვდე, გაცხადება უნდა დაწერო და შეიძლება მეორე თვეს მოგიწიოს, ამიტომ ლოდინს, ბევრი მოქალაქე ფულის გადახდას ამჯობინებს და ფასიან კლინიკებს აკითხავს. საქალაქო ავტობუსები გრაფიკით არასოდეს მიდიან დანიშნულების ადგილზე, მატარებლების ნახვეარსათიანი დაგვიანებაც ნორმად არის ქვეული. მოვხვედრილვარ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ავტობუსის მძღოლს, მარშრუტის დასამოკლებლად, საერთოდ არ გაუვლია ის ადგილები, რომელიც უნდა გაველო: არ მოსწონს კაცს უბანი და რა ქნას?..

ჩემდა გასაკვირვად, ლონდონის ქუჩები სისუფთავით არ გამოირჩევა, ელემენტარული მიზეზის გამო – ქუჩებში სანავაგვე ყუთები არ არის. ამას იმით ხსნიან, რომ ემინათ, ასაფეთქებელი საშუალებ-



ის ჩასაგდებად არ გამოიყენონ ტერორისტებმა. ჰოდა ყველა – დახვეწილი მანერების მქონე ქალბატონებისა და ბატონების ჩათვლით, სადაც მოეხასიათება, იქ ავლებს სიგარეტის ნამწვავებსა და საღებავ რეზინს.

ერთი რამ მაკვირვებდა და ვერა და ვერ შევეჩვიე – ყველაფერზე რიგები იდგა: მაღაზიაში, სადგურში, საკონსულოში – აბსოლუტურად ყველგან. ჩვენს რიგებთან შედარებით განსხვავება მხოლოდ რიგის სიგრძესა და რიგში მდგომთა წესიერებაშია: ყველა თანასწორია და იდაყვებით არავინ „მუშაობს“...

ქართველები ლონდონში

ლონდონში ქართველის ნახვა საკმაოდ ადვილია. სლავა კორჩნოი ბათუმში დაბადებული და გაზრდილი კაცია. „საქართველო-ინგლისის“ სანაოსნო კომპანიაში მუშაობს, მისი ინიციატივით კი, ქალაქის პრესტიჟულ რაიონში „ქართული სახლი“ გაიხსნა. კულტურული ღონისძიებების გარდა, აქ ათასნაირი შეხვედრა იმართება, სადაც სამშობლოს მონატრებული ქართველები იკრიბებიან. მეც არაერთხელ დავსწრებივარ ასეთ შეხვედრებს და ყოველთვის ნასიამოვნები დავრჩენილვარ. ვინც ლონდონში წასვლას დააპირებს, უნდა გაითვალისწინოს ეს ამბავი და აუცილებლად მიაკითხოს „ქართულ სახლს“, სადაც თბილად მიიღებენ და ყველაფერზე ამომწურავ პასუხს გასცემენ.

სამწუხაროდ, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სავიზო რეჟიმი არ გამოერქვა. თბილისში ვაპირებდი წამოსვლას. ზამთარი ახლოვდებოდა, ახალი წელიც მოდიოდა. ორი წელი თბილისში არ ვყოფილვარ და არავითარი სურვილი აღარ მქონდა, მესამეც უცხოეთში გამეტარებინა. ერთი სული მქონდა, თბილისში როდის ჩამოვიდოდი.

HOLLYWOOD-ის ნეკროლოგი

კელი პრესტონი და ჯონ ცტაუტლცა

კელი პრესტონს ახალგაზრდობაში საოცარი ამბავი შეემთხვა: 16 წლის მეგობარ გოგონასთან ერთად დასურულ აუზში ცურვით ერთობოდა, ამ დროს, ღმერთმა უწყის საიდან, იქ იხვი შეფრინდა. გოგონებმა გადაწყვიტეს, ფრინველი პატრინისთვის დაებრუნებინათ. კელი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა და იხვი უცებ დაიჭირა, მეგობარმა გოგონამ კი მას სამახსოვრო ფოტო გადაუღო. ნახევრად შიშველი, სველი, მოღიმარი კელის სურათები, ხელში იხვი რომ ეკავა, მეზობლებს დაუგზავნეს. იხვს რა ბედი ეწია, უცნობია, მაგრამ კელის სურათი ტელევიზიის მუშაკს ჩაუვარდა ხელში და გოგონას მამინვე პატარა როლი შესთავაზეს.

ასე გახდა კელი პრესტონი მსახიობი და ჰოლივუდის დასაპყრობად გაემგზავრა. 1987 წელს ფილმ „ექსპერტებში“ ის ჯონ ტრა-

ვოლტასთან ერთად გადაიღეს. მოგვიანებით ჯონმა აღიარა, რომ კელიმ ის დანახვისთანავე მოხიბლა: „აი, ჩემი ოცნების ქალი“ – გაიფიქრა თურმე მამინვე ტრავოლტამ. თუმცა რომანი არ შედგა: კელი მსახიობ ქვენი ქვივის ცოლი იყო, ტრავოლტას კი მეგობარი გოგონა – მსახიობი მერილ ჰანერი ჰყავდა.

ორიოდე წლის შემდეგ კელიმ ქმარი მიატოვა და რომანტიკული თავგადასავლების მორევში გადაეშვა. თითქმის ერთი წელი მას ჯორჯ კლუნისთან ჰქონდა რომანი, შემდეგ – ჩარლი შინთან. 1990 წელს ბედმა კვლავ შეანვედრა ტრავოლტას. ეს განკუთვრულ მოხდა. ჯონს იქ იღებდნენ ფილმში – „მოუსმინეთ, ვინ ლაპარაკობს“. კელი კი სხვა ფილმის გადაღებებით იყო დაკავებული. როგორც იქნა, ტრავოლტამ კელის ყურადღება მიიპყრო და ამის შემდეგ მთლიანად შეიცვალა: გაქრა ის ბერბიკა ჯონი, რომელიც მსუბუქი, ხანმოკლე რომანებით იყო ცნობილი, კატრინ ღენესა და ბრუკ შილდსს ეთავყვანებოდა, თავბრუდამხვევ ტანგოს ცეკვაავდა პრინცესა დაიანასთან და თამამად საუბრობდა ჯეინ ფონდას მიერ საწოლში გამოვლენილ ღირსებებზე.

ჯონმა კელის გული და ხელი ლამისა პირველი შეხვედრისთანავე შესთავაზა. კელიმ მოკრძალებით უარყო წინადადება. შემდეგ კი გამოტყდა, რომ ამ უარით სცადა, ერთი-ორი წლით გაესანგრძლივებინა მისი და ტრავოლ-

ტას ახალდაწყებული რომანით მიღებული საიმოუნება.

ტრავოლტა უარს არ შეუშინდა. მან შეგვარებული შეეცარიაში წაიყვანა და კვლავ ქორწილზე ალაპარაკდა, თავისი სიყვარულის დასტურად კი კელის შეიდ-ნახევარკარატანი ყვითელი ბრილიანტით დამშვენებული ბუქვდი უსახსოვრა. 1991 წლის სექტემბერში წყვილი დაქორწინდა, ქორწილი პარიზში გადაიხადეს. 1992 წლის აპრილში მათ ბიჭი შეეძინათ. ვაჟიშვილს ჯონმა ჯეტი დაარქვა, რაც „რეაქტიულ თვითმფრინავს“ ნიშნავს. ჯონის უზომო სიყვარული თვითმფრინავებისადმი ხომ მთელი ჰოლივუდისთვის არის ცნობილი. 2000 წლის აპრილში კი კელის და ჯონს გოგონა – ელა ბლოუ შეეძინათ.

ჯონს უზომოდ უყვარს თავისი ოჯახი. მათ რამდენიმე ძვირად ღირებული ვილა აქვთ, სადაც ოჯახის სიმყუდროვეზე მოსამსახურეები, დამლაგებლები, ძიებები, მზარეულები, მძღოლები და მასაჟისტები ზრუნავენ. ცოლ-ქმარს განსაკუთრებით ბრენტვუდში მდებარე 3,7 მილიონად შეფასებული სახლი უყვარს, სადაც უზომოდ დიდ საძინებელში, სამეფო საწოლის გვერდით, დიდი მრგვალი მაგიდა დგას. მეუღლეებს თურმე ძალიან უყვართ ამ მაგიდასთან, სანთლის შუქზე რომანტიკული ვახშმის მოწყობა, რომელსაც, რა თქმა უნდა, განმარტოებით შეეცვებიან ხოლმე...



ციმ ტომინსი და სიუზენ სატანდონი

ახალ ფანტასტიკურ ფილმში „მისია მარსზე“ შესრულებული როლი გამონაკლისია იმ წესებიდან, რომელიც სიუზენ სარანდონმა ტიმ რობინსს დაუდგინა. სიუზენი ტიმის მეგობარი, შეყვარებული და საერთოდ, მისი ცხოვრების ქალია. სიუზენი ხელმძღვანელობს ყველაფერს – როლებიდან, კოსტიუმების შერჩევით დამთავრებული. ტიმი კმაყოფილია, სიუზენი ხომ ძალიან ჰგავს მის მშობლებს, ისინი კი ტიმს მუდამ მიუწვდომელ იდეალად ჰყავდა წარმოდგენილი.

1988 წელს ფილმ „დარჰემის ხარის“ გადაღებაზე 30 წლის ტიმ რობინსმა 42 წლის სიუზენ სარანდონი გაიცნო. ტიმის მშობლების მსგავსად, ქალი პოლიტიკურ ბრძოლაში იყო ჩართული, ბოლო 20 წლის მანძილზე მონაწილეობდა ყველა პოლიტიკურ მანიფესტაციაში, რომელიც ლოს-ანჯელესის შემოგარენში იმართებოდა. ქალი აშკარა ფემინისტი და ქორწინების უარყოფელი იყო, „მწვანეთა“ მოძრაობაში მონაწილეობდა და ხშირად ატარებდა დამეებს პოლიციის განყოფილებაში. ერთ-ერთი მორიგი პოლიტიკური აქციის დროს სარანდონმა მგზნებარე სიტყვა პირდაპირ გადაძღვინა ჯგუფის წინ წარმოთქვა და ტიმზე უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და როცა ქალმა ჰკითხა: „მისტერ რობინს, თქვენ მეთანხმებით?“ – ტიმმა მაშინვე უპასუხა: „სავსებით! მე მზად ვარ, თქვენთან ერთად შიმშილობა გამოვაცხადო, გავიფიცო ან ის გავაკეთო, რაც თქვენ გსურთ“.

იმ დღიდან სიუზენი ტიმს არ მოშორებია. ქალი მგზნებარედ ლაპარაკობდა, თვალები უელავდა, მისი ხმა ზარივით რეკდა, წითური კულულები თავისუფლად ეყრებოდა მხრებზე (როგორც ჭეშმარიტი ფემინისტი, ის პარიკმახერის მომსახურებასაც არ ცნობდა). ყველაფერ ამას ტიმი წინ ვერ აღუდგა და თავდავიწყებით შეუყვარდა ქალი. სიუზენი მის მშობლებსაც ძალიან მოეწონათ. ქორწინების საკითხი თითქოს გადაწვეტილი იყო, მაგრამ სიუზენი აღშფოთდა: „რა იდიოტობაა? რაში მჭირდება ეს ოფიციალობა? რატომ უნდა დავლო ერთი მამაკაცისადმი ერთგულების ფიცი?“

ამას ჩემს თავს არ ვაკადრებ!“ ამან ტიმი ალაფროთოვანა.

უკვე თოთხმეტი წელია წყვილი ერთად ცხოვრობს და სამ ბავშვს უვლის: საერთო ორ ვაჟს – ჯონს და მაილზს და სიუზენის გოგონას, ევას. ძილის წინ, ზღაპრების ნაცვლად, პოლიტიკურ სტატიებს უკითხავენ, ბავშვებიც კმაყოფილები არიან. მათ სჯერათ, რომ ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანი და სამართლიანი მშობლები ჰყავთ.

ახლა სიუზენი და ტიმი ერთად მონაწილეობენ პოლიტიკურ აქციებში, არ თანხმდებიან „პოლიტიკურად დაუხვეწავ“ ფილმებში გადაღებას, ტიმისთვის შეთავაზებულ სცენარებს პირველად, სიუზენი კითხულობს – მის პოლიტიკურ ალღოსა და მხატვრულ გემოვნებას ენდობა. ხანდახან სიუზენი ტიმის მაგივრად თვითონ აძლევს თანხმობას ფილმში მონაწილეობაზე. რობინსი ყველაფერში სიუზენის რჩევას იღებდა, როცა სცენარს წერდა ფილმისთვის „მიცვალებული მოდის“. „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიაზე ტიმი სიუზენის მიერ ამორჩეულ სმოკინგში გამოცხადდა და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა.

დროდადრო მათ კვლავ აპატიმრებს პოლიცია მორიგ პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობის გამო, სხვა მხრივ წყვილი ვერაფერზე დაიწუწუნებს: ტიმის ჰონორარები 3-4 მილიონზე ქვევით არ ჩამოდის, სიუზენის „ოსკარი“ და ტიმის კანის ფესტივალზე მიღებული „პალმის რტო“ მათ საბაზანო ოთახში ინახება. პოლივუდი ამ წყვილს ყველანაირ გამოხდომას ჰპატიობს. ერთხელ ტიმმა და სიუზენმა „ოსკარის“ ცერემონიის მსვლელობაც კი დაარღვიეს და პოლიტიკური სიტყვა წარმოთქვეს, ჰაიტიდან ლტოლვილთა დასაცავად. ცერემონიის მესვეურებმა ვერც გაბედეს იმის გაფიქრება, რომ წყვილი



ბედნიერი წყვილი – ტიმ რობინსი და სიუზენ სარანდონი ლოს-ანჯელესში „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიაზე.

სიუზენის ქალიშვილ ევასთან ერთად.



„ოსკარების“ გადაცემაზე აღარ დაე-
პატიჟათ. როგორც კი ტიმი და სი-
უზენი კვლავ აღმოჩნდნენ „ოსკარებ-
ის“ გადაცემაზე, ისევ დაარღვიეს
რეგლამენტი და ლტოლვილთა თემაზე
საუბარი განაგრძეს.

„რაშია თქვენი ოჯახური ბედნიერე-
ბისა და თანხმობის საიდუმლო? –
ჰკითხეს ერთხელ ტიმს და სიუზენს,
– თქვენ შორის ხომ საკმაოდ დიდი
ასაკობრივი სხვაობაა?!“ „იმაში, რომ
ჩვენ ერთი წრის ადამიანები ვართ და

ცხოვრებაზე ერთნაირი შეხედულებე-
ბი გვაქვს“. – უპასუხა სიუზენმა. ტიმი
დაეთანხმა და დასძინა: „მე ბედნიერი
ვარ, რომ სიუზენი ჩემზე უფროსია.
სწორედ ამის გამო შემიძლია მისგან
ბევრი რამ ვისწავლო“.

დევიდ ბოუი და იმანი

ათიოდე წლის წინ გაზეთ „ნიუ მი-
უზიკლ ექსპრესმა“ მსოფლიოს საუკეთე-
სო როკ-ხუთეულში „ბიტლსი“, „როლინგ
სთოუნსი“, ჯიმი ჰენდრიქსი, ელვის პრეს-
ლი და დევიდ ბოუი შეიყვანა. ოცდა-
ათწლიანი კარიერის მანძილზე დევიდ
ბოუის 72 მილიონი ალბომი გაიყიდა,
ჰოლივუდის ხეივანში, 2083-ე ნომრით
მისი ვარსკვლავიც არის. ბოუის „იმ-
პროვიზაციისა და გარდასახვის უდიდე-
სი ოსტატი“ უწოდეს.

დევიდ რობერტ ჰეიუორდ ჯონსმა
ფსევდონიმი – დევიდ ბოუი 19 წლის
ასაკში აიღო. ფსევდონიმი სასცენო მოლ-
ვაწეობის დაწყებამ მოითხოვა და ის
ინგლისური სიტყვის BOWIE-KNIFE-
ის ნაწილია, რაც გრძელ სამონადირო
დანას ნიშნავს.

ოფიციალურად ბოუი ორჯერ იყო
დაქორწინებული. 1970 წელს მისი
ცოლი, მსახიობი და პოეტი ენჯი ბარ-
ნეტი გახდა, მისგან ბოუის ვაჟი ზოუი
(ან იგივე ჯოი) შეეძინა. ერთად გა-
ტარებული ერთი ეგზოტიკური წლის
შემდეგ ცოლ-ქმარი გაიყარა. ენჯიმ
ყოფილ ქმარს ღვარძლიანი მემუარები
– „კულისებს მიღმა: ჩემი ცხოვრება

დევიდ ბოუისთან ერთად“ მიუძღვნა,
რომელშიც მომღერალი უიმედოდ და-
ვადებულ ნარკომანად გამოიყვანა. თვით
ბოუიმაც აღიარა: „მე ბევრ ნარკოტიკს
ვიყენებდი, მაგრამ ეს ყველაფერი წარ-
სულს ჩაბარდა“.

80-იანი წლების ბოლოს ბოუის ორ-
წლიანი რომანი ჰქონდა მელისა ჰარ-
ლისთან.

1990 წელს ლოს-ანჯელესის იტალ-
იურ რესტორანში დევიდმა იმანი –
სომალიდან ჩამოსული მხეთუნახავი გა-
იცნო. მათი რომანი ერთი წელი გრ-
ძელდებოდა და იმით დასრულდა, რომ
მდინარე სენაზე პატარა სამდინარო გე-
მით სეირნობისას ბოუიმ იმანს გული
და ხელი შესთავაზა.

იმანი მდიდარი აფრიკელების ოჯახის
შვილი, განთქმული სუპერმოდელი, პო-
ლიგლოტი, პოლიტოლოგიის მაგისტრი
და იმხანად ბეისბოლის ვარსკვლავის,
სპენსერ ჰეიუორდის ცოლი
იყო. ბოუიმ ქალი საბ-
ოლოოდ მოხიბლა და
ცოლობაზე დაითანხმა.

თვით ბოუი აღიარებდა,
რომ იმანმა დანახვისთანავე

დაატყვევა ბუნებრივი გრაციოზულობით:
„პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა
და ბევრი დამეც უძილოდ გავატარე.
იმანი – სოფი ლორენისა და ოდრი
ჰეპბერნის საოცარი ნაზავია“.

1992 წლის 6 ივნისს წყვილმა
ჯვარი ფლორენციაში დაიწერა, ამას
კი წინ, ლონანაში გამართული დიდი
საქორწილო ცერემონია უსწრებდა.
ქორწილს ბევრი მეგობარი, ნათესავი,
დევიდის დედა და იმანის მშობლები
ესწრებოდნენ.

წყვილმა თაფლობის თვე საფრანგეთ-
ში გაატარა. მრავალი ჭორის მიუხე-
დავად, ისინი კვლავ ერთად არიან. 45
წლის იმანი რამდენიმე წელია პოდი-
უმზე აღარ ჩნდება. ყოფილი სუპერ-
მოდელი ამჟამად ფერადკანიანი ქალებ-
ისთვის განკუთვნილი კოსმეტიკის შე-
ქმნით არის გატაცებული.





პავლე დევიძე ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა ცხინვალის ქართულ სკოლაში, მაგრამ მისი მასწავლებლობა მხოლოდ გაკვეთილის ჩატარებით როდი შემოიფარგლებოდა. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მთამსვლელობის სკოლას სამაჩაბლოში, ხშირად გაჰყავდა მოსწავლეები ბუნებაში და კლდეზე ცოცვას ასწავლიდა. სხვათა შორის, მიხეილ ხერგიანის მეგობარიც იყო და გურამ თიკანაძესაც კარგად იცნობდა... სწორედ ეს არის ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანი — მოგონებები მიხეილ ხერგიანზე, რომელსაც ძია პავლე მიზიარებს, — თუმცა თავადაც ბევრი მწვერვალი აქვს დაპყრობილი, მათ შორის საოცნებო — უშბა.

„კლდის პეფსვი“

ანუ მწვერვალი ყველანაირ ბანსაცდელს ბავინყებს

მარინა ბაბუნაშვილი

ის შეხვედრისთანავე ჯერ სურათებს მათვალისწინებს, თან მიბოდიშებს: სულ ეს არის, შვილო, რაც ოს სეპარატისტებს გადაურჩა, ჩემთვის ძვირფასი იმდენი ფოტო და ჩანაწერი დამრჩა სახლში, რომ ფულსა და ოქროულობაზე ისე არ დამწყდებოდა გული, როგორც ამ მასალებზე...

ჩხვიმლიანი

ბესარიონ და ფაცუ ხერგიანებს ორი ქალიშვილის მერე, ნანატრი ვაჟი შეეძინათ, რომელსაც ძველთაძველი სახელი — ჩხვიმლიანი დაარქვეს. უდრეკი ხასიათი ადრეულად გამოამჟღავნა ბიჭუნამ. ზამთრის ცივ და გრძელ საღამოებს ოჯახი თუნუქის ღუმელთან ატარებდა ხოლმე, მხოლოდ ჩხვიმლიანი არ ეკარებოდა — ქალაჩუნა კი არ ვარ, რომ სითბოში დავჯდეთ. ყველგან აძრომა უყვარდა: 5 წლიდან ძველი კოშკის მორყეულ კიბეზე დაძვრებოდა, ხშირადც ჩამოვარდნილა, რის გამოც დედას არაერთხელ უცემია. მისი მამა-პაპა მარტო გლეხური საქმიანობით როდი ცხოვრობდა.



სხვადასხვა ნივთს შორის ჩხვიმლიანის მესსიერებას ღრმად შემორჩა ვერცხლისქარქაშმიანი პაპისეული ხანჯალი, სანადირო თოფი და რაღაც იარაღი, რომელიც წერაქვსაც ჰკავდა და თოხსაც და რომლის დანიშნულება არც კი იცოდა. ეს იყო ალპინისტური წერაყინი. მოგვიანებით მამამ აუხსნა, რომ მისი საშუალებით საფეხურებს ჭრიდნენ ცინულში. ოჯახში ყველაზე ხშირად კი მამა სარგებლობდა წერაყინით: ის ხომ ცნობილი ალპინისტი იყო.

ძროხებს გაადევნებდნენ ხოლმე პატარა ჩხვიმლიანს უფროსები, მაგრამ მის ყურადღებას უმალ მიიზიდავდა მთის კლდოვანი თხემი. ბიჭს უსაზღვროდ უნდოდა იქიდან გადახედვა, რათა უფრო ახლოს დაენახა უშბა. უშბის გვერდით წამოჭიმულიყო ჩათინის შავი მასივი, მის უკან მოჩანდა ბუქედუხის თოვლიანი კუზი, მარჯვნივ კი — დალაცორა გრძელი თხემით და ლეხზირი, რომლის გვერდით, ტყეებით გარშემორტყმული მწვერვალი ბანგურიანი იდგა. სწორედ ის იყო მესტიასთან ყველაზე ახლოს. აქეთ-იქით თავი მოეყარა პატარ-პატარა მწვერვალებს, სამხრეთიდან

კი ამ სანახაობას ავირგვინებდა სვანეთის ქედი, დათოვლილი ლაილათი. გასაკვირი სულაც არ იყო, რომ ამ მთებით გარშემორტყმული ბავშვის სამყარო ოცნებით მუდამ ელაციცებოდა ამ ბუმბერაზ ქმნილებებს. მისთვის კაცური კაცობა, სწორედაც რომ სიმაღლეზე ასვლასა და მწვერვალებთან მიახლებასთან იგივედებოდა.

თხუთმეტი წლის იყო, როცა გაჯიუტებულ მამას მუდარით შესთხოვა, ისიც წაეყვანათ ბანგურიანის მთაზე. ალბათ, ვერც დაიყოლიებდა ბესარიონს, შუამდგომლობა სხვებს რომ არ გაეწიათ. მოგვიანებით, უკვე სახელგანთქმული ხერგიანი თავის დღიურში წერდა: „თხემზე მამაჩემის კვალდაკვალ მივაბიჯებდი. ორივე მხარეს უფსკრულებს დაელო ხახა. ერთი ადგილი ისეთი შემაზრუნე იყო, რომ მუხლები ამიკანკალდა. ძლივს მივაბიჯებდი, მეგონა, ვერ გავივლიდი. მამა უკან რომ მოიხედავდა და მე შემომხედავდა ხოლმე, თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს წაღზე თასმას ვიკრავდი, მაგრამ მამა ხვდებოდა ჩემს ეშმაკობას“.

როდესაც მწვერვალზე ავიდნენ და სული მოითქვეს, დიდებული სანახაობა გადაიშალა მათ თვალწინ. უშბის, იაღბუზის, ჩათინის, დალაყორის, ლეხზირის, ლაილასა და თეთნულდის გარდა, მათ დაინახეს მზით განათებული ბეზენგის გოლიათები – გესთოლა, შხარა, დიხთაუ.

ჩხვიმლიანი იდგა მამასა და ბიძას შორის და მოჯადოებული შესცქეროდა თეთრ გოლიათებს. მერე მამამ მთელი ხმით შემოსძახა: „ოოო, ლილე, ოოო...“ ეს იყო სიმღერა მზეზე. სხვა მონაწილეებმაც აიტაცეს სიმღერა და გუნდური საგალობელი მთებს შორის გამარჯვების აღსანიშნავად გუგუნებდა. ასე მიიღო ჩხვიმლიანმა პირველი ალპინისტური ნათლობა და სწორედ იმ დღემ გადაწყვიტა მისი მომავალი ბედიც.

სიყვარული

ჩვიდმეტი წლის იყო ჩხვიმლიან ხერგიანი, კატო ბარლიანი რომ შეუყვარდა. მომზიბულელი გოგო იყო კატო, ტოლებიდან მარტო გარეგნობით როდი გამოირჩეოდა, სიმღერაც კარგი იცოდა, ცეკვაც და სიტყვა-პასუხიც. ჩხვიმლიანს ერთთავად გოგონას სიახლოვეს უნდოდა ყოფნა, მაგრამ ატყობდა, რომ ბევრი სხვა ბიჭიც ეთაყვანებოდა მას და გული

ეწურებოდა. ერთი სული ჰქონდა, კატოსთვის ეგრძნობინებინა, რომ უყვარდა. ახალგაზრდების თავყრილობაზე მუდამ თავს გამოიჩინდა ხოლმე ჭიდაობასა თუ ცეკვაში, სიმძიმის აწევაშიც ტოლი არ ჰყავდა. ნელ-ნელა გოგოსაც შეეტყო, რომ სიყვარულის სასწორი ჩხვიმლიანისკენ გადაიხარა. ერთხელაც, კატომ შემოფოთებით აცნობა ბიჭს, რომ შაქრო მარგიანის ხალხი მოვიდა სამაჭანკლოდ. აქამდე ორ სიტყვას ერთად ვერ უბედავდა მამას, მაგრამ გაჭირვებამ და მოულოდნელობამ ხმა ამოაღებინა ჩხვიმლიანს და ბესარიონს უთხრა: „მამა, დამეხმარე. მე კატო მიყვარს და მხოლოდ მას შევირთავ ცოლად“. რა უნდა ექნა მამას? შვილი მისგან დახმარებას ელოდა, არადა, სვანური ადათ-წესების მიხედვით, სამაჭანკლოდ მისული ხალხის წინააღმდეგ ხმის ამოღება, ტრადიციების დაღატაკება ნიშნავდა. როცა ორივე მხარე დინჯად დაჯდა მოსალაპარაკებლად, გადაწყვეტილება კი ხანგრძლივი და დაძაბული საუბრის მერეც ვერა და ვერ მიიღეს, თვით ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს თავიანთი ბედი. ჩხვიმლიანმა კატო ლალუნვარში, კარავში დაიბარა. ძნელი იყო ქალიშვილისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, არადა, ისიც ატყობდა, მოჩვენებითი სიმშვიდე ორ გვარს შორის დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებამ სახლიდან მოედანზე გადაინაცვლა. კამათში კი მთელი საჯარეულო ჩაება. განთიადისას ყაყანი ერთმა ხმამ დაფარა: „შეხედეთ, ჩხვიმლიანი და კატო ლალუნვარიდან (ადგილია ტყისპირას. – ავტ.) მოდიან!“

სიყვარულმა ყველას სათქმელი თქვა და „აქირილი“ სვანებიც უშალ დაზავდნენ. ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. კატო დანიშნეს. ქორწილი კი ერთი წლის მერე დათქვეს.

ალპინისტური სკოლა და...

შინ რა გააჩნებდა ჩხვიმლიანს – მით უფრო მამინ, როცა ალპინისტებისთვის მთის სეზონი იწყებოდა. მამამ იფიქრა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო და ვაჟს ნება მისცა, ინსტრუქტორთა სკოლაში წასულიყო. აღირსუს ხეობაში ბანაკი „ლოკომოტივი“ იყო, სადაც ალპინიზმის ინსტრუქტორთა საკავშირო სკოლა დააბინავეს. ბიძია მაქსიმემ სათანადო რეკომენდაცია გაუწია ძმისშვილს, ბუღალტერიაში მის სახელზე

საჭირო თანხაც შეიტანა და დაიწყო ჩხვიმლიანის პირველი სეზონი. იგი მალე დაუახლოვდა რუს ბიჭებს. ენის ბარიერი როგორ არ არსებობდა, მაგრამ მთა ვისაც უყვარს, ისინი იოლად უგებენ ერთმანეთს. მისი სახელის წართმემა კი მართლაც უჭირდათ, ამიტომაც ერთ-ერთმა მეგობრულად სთხოვა: ენას ვიტეხთ, სანამ დაგიძახებდეთ და ხომ არ გეწყინება, მიშა რომ დაგარქვათო? ჩხვიმლიანისთვის კი იმ წუთებში ყველაფერი სულერთი იყო, ოღონდ მთების სიახლოვეს ყოფილიყო, ამიტომაც უშალ დაეთანხმა. ასე რომ, ალპინისტურ წრეში მას უკვე მიშა (მიხეილ) ხერგიანად იცნობდნენ, ახლობლებისთვის კი კვლავ ჩხვიმლიანად რჩებოდა. ბანაკში დიდხანს არ დარჩენილა შეუმჩნეველი. მისი სწრაფვა სიმაღლისკენ და კლდეზე ცოცვა თვით გამოცდილ ინსტრუქტორებსაც კი აცვიფრებდა. ბანაკის ხმაურიან და ახალგაზრდულ ცხოვრებაში მიშაც ჩაება. მას მართლაც გულთ მოსწონდა ალპინისტური იდილია, მაგრამ სწორედ იქ, ბანაკ „ლოკომოტივი“ შეემთხვა მიშას ის, რისგანაც თვითონაც საკმაოდ გაცივებული დარჩა. მას, კანონიერი საცოლის კანონიერ საქმროს, – სირცხვილიც კი იყო ამის გაფიქრება – რუსი ქალიშვილი, ნადია შეუყვარდა. კარგად იცოდა, რომ იგი ამ გრძნობით დაღატობდა სვანურ ტრადიციას, მაგრამ თავს ვერა და ვერ იმორჩილებდა. არადა, მართლაც, ალაღად უკვირდა – როგორ შეიძლებოდა კატოს მერე (მან ხომ ძალით გამოჰკლიჯა მარგიანებს ქალი), ვინმე შეჰყვარებოდა? მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა. ნადიამაც თანაგრძნობით უპასუხა. მისი თანდასწრებით მიშა საოცრად უშიშარი ხდებოდა და ურთულეს მწვერვლებს ერთმანეთის მიყოლებით იპყრობდა... სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა. შეყვარებულებმა დათქვეს, რომ ნოემბერში ტერსკოლში შეხვედროდნენ ერთმანეთს. ნადია მოსკოვში გაემგზავრა, მიშა კი სვანეთს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ ისე არასოდეს გასჭირვებია სოფელში ჩასვლა, როგორც ახლა. სათქმელი უნდა თქმულიყო და შვილმა კვლავ ძლივს ამოღერდა: „მამა, ქორწილი უნდა გადავდოთ!“ ახლა კი გაცეცხლდა ბესარიონი, ჯერ იყო და, ლამის შუღლი ჩამოვარდა მარგიანებსა და მათ შორის, დანიშნული ქალი „გააშვებინეს“ ხელიდან, ახლა კი... ეს რა



მარცხნიდან: ევგენი ტური, მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი (ფოტო გადაღებულია ინგლისში)

მოიგონა მისმა ვაჟმა? ალბათ სხვა შეუყვარდა... მამამ მტკიცე და შეუვალი ხმით ბრძანა: „ქორწილი დანიშნულია, ქორწილი იქნება!“ მიშამ ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა ოჯახი. როცა ქორწილის დღე დადგა, კატო წამოიყვანეს ხერგიანებმა. სვანური ადათის მიხედვით, სასიძოს ყოფნა ქორწილში სულაც არ იყო აუცილებელი, ამიტომ არავინ იუცხოვა მიშას არყოფნა. კატო დარჩა ხერგიანების ოჯახში. მიშამ ტერსკოლში ვერ მიუსწრო ნადიას, ფოსტაში კი მისი ბარათი დახვდა: „გავიგე, ცოლს ირთავ. მომილოცავს. რა საწყენად და სულელურად დამთავრდა ყველაფერი. მშვიდობით“.

შინ მობრუნებულს კატო დახვდა ცოლად. გული მოუვიდა – ჩემ გარეშე რატომ მოიყვანეთო, მაგრამ აქ კვლავ ბესარიონმა თქვა თავისი კაცური სიტყვა. მამას ვეღარაფერი შეჰბედა ჩხვიმლიანმა, იგი მარტოსულად გრძობდა თავს, ამიტომაც მოჰკიდა ხელი თავის გულანბადს და კვლავ მთებისკენ გასწია.

მთები და ისევ მთები

1957 წლიდან მიხეილ ხერგიანი ბანაკ „შხელდაში“ გადავიდა მაშველი რაზმის უფროსად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლეგენდარული აბალაკოვის გუნდში ითვლებოდა უკვე „შხელდაში“ მიიწვიეს იოსებ კახიანიც, რომელთანაც მიშა მეგობრობდა და მის რჩევადარიგებებსაც მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

დაიწყო ალპინისტური ცხოვრება ვარჯიშით, წვრთნით, ოცნებებით და იმედებით.

სახლში მისვლა რომ დაუგვიანდა, მამამ ბანაკში ჩააკითხა შეილს. გან-

რისხება სახეზე ეტყობოდა, თუმცა არას ამბობდა. ცოტა ხანში, როცა აქეთიქიდან შეილის ქება-დიდება მოისმინა, ერთბაშად მოლბა, გაიფიქრა: მთებს „მოისურვილებს“ და დაბრუნდება, აბა, რას იზამსო. ჩხვიმლიანს კი ეს უთხრა: ვხედავ, სიყვარულით აკეთებ ამ საქმეს, მაგრამ ცოლს და ოჯახს ნუ დაივიწყებ. გახსოვდეს, რომ შინ მუდამ მოუთმენლად გელიანო.

რადგან მამისგან ერთგვარი თანხმობა მიიღო, უფრო გახალისდა მიშა ხერგიანი და იოსებ კახიანთან ერთად მწვერვალს მწვერვალზე იპყრობდა. დონლუზორუნის შემდეგ შჩუროვსკის პიკის ჩრდილო-დასავლეთი კედელი დაიპყრო. ალპინისტურ წრეებში უკვე ხმაძაღლა ლაპარაკობდნენ ახალი ვარსკვლავის გამოჩენაზე.

1958 წლის ივლისში ბანაკ „შხელდას“ ესტუმრა ინგლისელ ალპინისტთა ჯგუფი. ინგლისელები დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ საბჭოთა მთამსვლელების მიმართ, განსაკუთრებით კი „ახალამობრწყინებული“ ალპინისტი აინტერესებდათ. ჩამოსულთაგან ყველაზე ცნობილი იყო სერ ჯონ ჰანტი, რომელიც ევერესტზე წარმატებით ჩატარებული ექსპედიციის ხელმძღვანელი გახლდათ. მასთან ერთად ჩამოვიდა ჯორჯ ბენდიც, სამყაროს მესამე სიმაღლის – კანჩენჯანგუს პირველი დამპყრობი. ინგლისელებმა კავკასიონზე რამდენიმე მწვერვალზე ასვლის მერე, ქართველებს განუცხადეს: თქვენი მთები ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ველოდით. გვეგონა, ალპური ტიპის ასვლებს ჩავატარებდით და შევცდით. კავკასიონის მწვერვალები გაცილებით რთული ასასვლელი ყოფილა, ვიდრე ალპებით და სტუმრებმა საბჭოთა ჯგუფი ინგლისში მიიპატიჟეს.

1960 წელს ინგლისში წამსვლელთა ჯგუფში შედიოდნენ: მიხეილ ხერგიანი და იოსებ კახიანი (ერთი წყვილი), ანატოლი ოვჩინიკოვი და ევგენი ტური (მეორე წყვილი). ინგლისში ჩასულებს, წარუდგინეს გამოჩენილი ალპინისტი კანჩენჯანგუს დამპყრობი, „უელსის მეფედ“ წოდებული ჯო ბრაუნი. ამჯერად მიშას ჯო მისცეს მეწყვილე. ისინი ჩრდილოეთ უელსის სნოუდონის მწვერვალის მახლობლად მდებარე ურთულეს კლდეზე უნდა აცოცებულიყვნენ. ჯომ ექვსი თითი დაანახვა მიშას და კლდეზე მიანიშნა – „ვერი სივიერლი“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეექვსე კატეგორიის ურთულეს „კედელთან“ ჰქონდათ საქმე. მიშას გაელიმა. ასვლა დაიწყო. ყველაზე რთულ მონაკვეთთან რომ მივიდნენ, ჯო ბრაუნი ნაპრალებში იოლად გაძვრა, მერე მიშა აცოცდა. მტკიცედ და ლამაზად მიიწვევდა მაღლა. არაფრით ჩამოუვარდებოდა მასპინძელს. ამ „ვერი სივიერლის“ კიდევ უფრო რთულ მონაკვეთზე, რომელიც ალპინისტური ისტორიის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე წყვილმა დაძლია, ხერგიანი ისე მიიწვევდა, გეგონებოდა, უბრალო კლდეზე ადისო. სწორედ ამ დროს ვიდაც ინგლისელმა აღტაცება ვერ დამალა და ხმაძაღლა შესძახა: „როკ ტაიგე!“ ეს ქათინაური კი ქართულად „კლდის ვეფხვს“ ნიშნავს. მერე სხვებმაც აიტაცეს შეძახილი და ურთულესი მწვერვალის დამპყრობ ქართველს ამ ახალი წოდებით დიდი ოვაციებით შეხვდნენ. შემდგომში, როცა სხვა ალპინისტებიც წარმატებით განახორციელებდნენ ასვლებს ბრიტანეთის მთებში, ამ ტიტულით იხსენიებდნენ, მაგრამ სამუდამოდ მხოლოდ ერთს – იმას შერჩა, ვისაც პირველად უწოდეს და რომელიც, უდავოდ, საუკეთესო იყო.

საბედისწერო მწვერვალი

1969 წლის ივნისის მიწურული იყო. მიშა ხერგიანი საბჭოთა ალპინისტური ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა. ჯგუფი იტალიაში გაემგზავრა. მასპინძლებმა ექსპედიციის მონაწილენი სამუშაო რაიონში – ჩივეტის მასივისკენ წაიყვანეს და საჭირო ასხნაგანმარტებები მისცეს მწვერვალებისა და კედლის შესახებ. მთავარი კედელი – ჩივეტა, მრავალფეროვანი კლდით გარშემორტყმული, შემზარავად გამ-

ოიყურებოდა. კედლის მარცხენა მხარე თითქმის ერთიანად შევული იყო. 1200 მეტრზე გლუვი კლდე ეშვებოდა. იტალიელები ალფრედოვანებულნი წარმოთქვამდნენ „ლა პერეტე დელე პარეტი“ (კედელთა კედელი)! ამ „კედელთა კედელზე“ მიშა ხერგიანმა თავისი სარეკორდო გზა დასახა. მისი მეწყვილე, უკრაინელი ონიშჩენკო იყო.

4 ივლისს საბჭოთა მთამსვლელები კედლების დასაპყრობად გავიდნენ. იმ დღეს ბევრი იტალიელი ალპინისტი თვალს ადევნებდა მათ. მიშამ და ონიშჩენკომ სუ-ალტოს ექვსასი მეტრი რომ დაძლიეს, ცოტა ხნით შეისვენეს. წყვილს ცოტადა დარჩენოდა ასასვლელი რთულ კლდეებზე. მათ გზას უღობავდა უზარმაზარი გადმოშვერილი ბეჭი, რომლის შემოვლა ორივე მხრიდან შეუძლებელია. ვიჩესლავ ონიშჩენკო ყურადღებით ადევნებდა თვალს მეწყვილის მოძრაობას. მიშამ სამსაფეხურიანი კიბის დახმარებით, ტრავერსით გაიარა ოთხი მეტრი მარცხნივ (კიბე არ მოხსნა, მეწყვილეს დაუტოვა), ბუხარში შევიდა და თვალს მიეფარა. ბუხრიდან სიმღერის ხმა მოისმა. ონიშჩენკომ იცოდა – როცა ხერგიანს ძალიან უჭირდა, მაშინ იწყებდა სვანურ სიმღერას, რადგან მიშას თქმით, სიმღერა მას ძალ-ღონეს მატებდა. უცებ, მოისმა ქვათაცვენა და უკრაინელმა დაინახა ის, რაც მისთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ზემოდან, ქვებთან ერთად, ბუხრიდან გადმოვარდა მიშა. ვიჩესლავმა თოკი მოზიდა, რათა მეწყვილე შეეჩერებინა, მაგრამ თოკი გაწყდა – ქვებმა გადაჭრა. მეორე თოკი

კლდიდან მომწყდარ მეწყვილეს აღარ ჰქონდა – სისწრაფისათვის მიშა ამ სეზონში ცალფა თოკით დადიოდა... ონიშჩენკო ხედავდა, ხელბეგაშვერილი როგორ მიფრინავდა ქვემოთ. ალბათ „კლდის ვეფხვი“ იმედოვნებდა, რომ ამით დაცემის ძალას შეამსუბუქებდა. სუფთა ვარდნით ას მეტრზე იფრინა ჰაერში, მერე კლდის შვერილს მიეხეთქა და კარგა ხნის მანძილზე უკონტროლოდ ეხეთქებოდა კედლისძირა კლდეებს, ბოლოს თოვლზე დაეცა...

მარი

ძველი მთამსვლელი, აბალაკოვის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც მძიმე სამსახურებრივი მოვალეობის გამო, ათეულობით ალპინისტის სამგლოვიარო ბარათი გაეგზავნა, ამჯერად თავს ვერ იკავებდა და ბავშვივით ქვითინებდა.

გაზეთი „კორიერე დელა სერა“ წერდა: „უბედური შემთხვევა მოხდა დღეს, აგორდოს დოლომიტებში, სუელტოს მწვერვალზე, ჩივეტაზე. მისი მსხვერპლია სახელგანთქმული მიხეილ ხერგიანი. იგი მტკიცედ მიიწვევდა წინ, როდესაც მოულოდნელად ქვა დაეცა. დარტყმის ძალამ მთამსვლელი მოწყვიტა განსაკუთრებით რთული მონაკვეთიდან“.

... თბილისის აერობორტის არემარეზე ასობით ადამიანს მოეყარა თავი. მათ შორის ბესარიონისა და მაქსიმეს შავი ნაჭრით წაკრული თავები გამოირჩეოდა. ბესარიონმა იცოდა, სად უნდა დაემარხა შვილი – სვანი მშობლიურ მიწას უნდა მიაბარონ. ამას მოითხოვდა ადამ-წესები. სთხოვეს ბესარიონს

– დიდუბის პანთეონში დაკრძალვით სახელოვანი ალპინისტი. სასტიკად იუარა მამამ... სვანეთის ყველა სოფლიდან მოდიოდა ხალხი, ხერგიანთა სახლის ეზოში ტევა არ იყო. ყოველი სოფლის წარმომადგენლები თავიანთი ზარით შემოდოდნენ. უშგულს თავისი „ზარი“ აქვს, მულახს – თავისი, ლენტეხს და მესტიას – თავისი.

დიდებულად, მაგრამ სვედიანად ჟღერდა ლალამში მრავალხმიანი სიმღერა.

ბოლოთქმა

ამბობენ, ცხოვრებაში მუდამ არის გამირული საქციელის ჩადენის შესაძლებლობა, ოღონდ საჭიროა ადამიანი, რომელიც მზად არის ამისთვისო.

მიშა ხერგიანი მზად იყო საგმირო საქმეებისთვის. მას არაერთი კაცისთვის, მთაში გზაკვალარეული ადამიანისთვის გაუწევია დახმარება; მთა მისთვის ის შეუცნობელი სტიქია იყო, რომელიც, სირთულისდა მიუხედავად, უფრო და უფრო იზიდავდა. ხერგიანი და მთა, მთა და ხერგიანი – ეს ორი სიტყვა ისე შეერწყა და განზავდა ერთმანეთში, რომ დღესაც წარმოუდგენელია ილაპარაკო ბუძებრაზ მწვერვალზე და მიშა არ ახსენო, ან პირიქით.

სერ ჯონ ჰანტი წერდა: „როდესაც მე და მიშა ხელმეორედ შევხვდით ერთმანეთს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის პამირის ერთობლივი ექსპედიციის საბაზო ბანაკში, ხერგიანი უკვე სახელგანთქმული ალპინისტი იყო. იგი განცვიფრებდა თავისი სისწრაფით, სიმტკიცითა და მოხდენილობით. მიშა მართლაც იმსახურებდა „კლდის ვეფხვის“ ტიტულს“.

არმანდო და როიტი: „ოცდაათი წლის მანძილზე მრავალი კლდეზე მცოცავი მინახავს, საშუალებაც მქონდა განმეხორციელებინა ასვლები სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ ალპინისტებთან ერთად, მაგრამ ხერგიანს ვერავინ შეედრებოდა. გარდა ალპინისტური თვისებებისა, მას არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა სიმშვენიერის შეგრძნების, აღტაცებული ვიყავი მისი ადამიანურობითა და საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით. ბედნიერი ვარ, რომ მიშას ვიცნობდი“.

მართლაც, ალპინისტურ მატთანეში მიშა ხერგიანმა თავისი სათქმელი თქვა და მნიშვნელოვანი კვალიც დატოვა.

მარცხნიდან: სერ ჯონ ჰანტი, იოსებ კახიანი, პავლე (გიორგი) დევიძე და ჯორჯ ბენდი



დასასრული
(დასაწყისი იხ. „გზა“ №10,11)

IV

პირველი საათი სრულდებოდა, როდესაც ინგა სამშობიაროს წინ, ტროტუარზე მიმოდინდა. სირცხვილის გრძობა, გათხოვებისა და ოჯახის შექმნის სურვილს დაეჯახა. "მე მინდა შვილი და ნორმალური ოჯახი" - ფიქრობდა თავისთვის, - "რა ქნას, კაცი ასაკშია, ეს მისი ბრალი არ არის. მთავარია, რომ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, ვუყვარვარ, ხომ მითხრა, რომ ძალიან ვუყვარვარ. დიანაც ვუყვარვარ", - იმშვიდებდა თავს. ფიქრებიდან ელზამ გამოიფანა:

- რა ჩაფიქრებული ხარ? ხომ არ ნერვიულობ? - გადააკოცნა დაქალმა.

- არა, არ ვნერვიულობ. ვასიკომ იცის, რისთვისაც მივდივართ?

- მე არაფერი მითქვამს, როცა ვნახავთ, მერე ვეტყვი.

- წამო, ავიდეთ, პირველი გახდა.

- ინგა, ბავშვი მყავს სიცხიანი, მე მგონი, გრიპი აქვს. მე ავყვები, ვასიკოს გაგაცნობ და ის მოგხედავს. კარგი?

- კარგი, რას იზამ. წადი და ბავშვს მიხედე, - დაეთანხმა ინგა.

ქალები მეორე სართულზე ავიდნენ. ელზა ერთ-ერთ კართან შეჩერდა, შეალო:


- ვასიკო, შეიძლება?

- ახლავე, ელზა, ავადმყოფი მყავს, როცა გამოვა, შეძრით, - გაისმა ოთახიდან.

რამდენიმე წუთში კარი გაიღო:

- კარგად ბრძანდებოდეთ, - დაემშვიდობა პაციენტს ექიმი, ელზას და ინგას გადახედა, - შემოდით, - შეიპატიჟა კაბინეტში, - დაბრძანდით, - სკამებზე მოუთითა ქალებს.

ინგამ წამიერად თვალი მოავლო ოთახს. ფარდის უკან კიბორჩხალასავით გაფარჩხული გინეკოლოგიური სავარძელი შეამჩნია, გვერდით მაგიდაზე ლითონის უცნობი ფორმის, პრიალა ინსტრუმენტები დაეწყოთ. გააჟრჟოლა და მზერა ექიმზე გადაიტანა. მის წინ შუახნის, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იჯდა. ილაყვები მაგიდაზე ჩამოედო, მოვლილი, გრძელი თითები ერთმანეთში გადაეჭლო და ქალებს გულისყურით შესცქეროდა:



ბესიკ კეკელიძე

ახალი წლის სჩუქარი

- გისმენთ.
- ვასიკო, - დაიწყო ელზამ, ინგა ჩემი ახლო მეგობარია, შენი დახმარება სჭირდება.
- რაშია საქმე? - სმენად იქცა მამაკაცი.
- მე უნდა წავიდე, ბავშვი მყავს ავად, თვითონ მოგიყვება, - წამოდგა ელზა, - ინგა, ყველაფერი აუხსენი და სახლში რომ მიხვალ, დამირეკე. კარგი?
- ჰო, დაგირეკავ. შენ წადი, ბავშვს მიხედე, - ნერვიულობისგან ძლივს ამოდრდა ქალმა.
- აბა, კარგად იყავით, - იქ მყოფთ დაემშვიდობა ელზა და კაბინეტიდან გავიდა. ინგამ თვალები დახარა, მაგიდას ჩააშტერდა. არ იცოდა, საიდან დაიწყო, რა ეთქვა. მისთვის სიტუაცია იმდენად უცნაური იყო, თავი სიზმარში ეგონა. სახეზე ალმური მოედო, გულის ბაგაბუვი საფეთქლებზე გადაეცემოდა და სულიერ ტანჯვაში გადასდიოდა.
- ინგა, გისმენთ, - დახმარება სცადა ექიმმა.
ქალმა საუბარი ლამის ჩურჩულით დაიწყო. თითოეული წინადადების შემდეგ, უფრო და უფრო თამამდებოდა. როდესაც მოყოლას მორჩა, ექიმს შეხედა. ვასიკოს გაკვირვებისგან თვალები დაეჭყვიტა და ტუჩებზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა:
- დაა, - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა, - ოცი წელია, გინეკოლოგი ვარ, ასეთი რამ პირველად მესმის. პირიქით

კიდეც გამიკეთებია, ქალიშვილობა აღმიდგენია, მაგრამ ქალიშვილობის დარღვევა, - ტუჩები მოპრუწა და თავი გააქნია, - ძილშიც კი არ დამისზმრებია.

- ბატონო ვასიკო, - ინგამ გაბრაზებული მზერა ესროლა ექიმს, - შეგიძლიათ, რომ დამეხმაროთ?

- ინგა, მე ელზას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და შეგეკითხები, ხომ არ გეწყინება?

- არა, არ მეწყინება.

- ამ ცხოვრებამ ქალები საერთოდ გადაგავარათ?! ემანსიპირებული რკინის ქალები, ყოვლისშემძლენი, - ექიმის ტონი ირონიამში გადაიზარდა, - გეკითხები, რად გინდა ისეთი ქმარი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში აქვს! რა, ძალიან გიყვარს, თუ მის

ქონებას უმიზნებ?...
- შეგიძლიათ თუ არა, რომ დამეხმაროთ?! - უხემად შეაწყვეტინა ქალმა.

- ჯერ კითხვაზე მიპასუხეთ, - აღმოფთობას ვეღარ მალავდა ექიმი.
- რა უნდა გიპასუხოთ? მე აქ მღველთან მოვედი თუ გინეკოლოგთან?! - სიბრაზისგან ხმას აუწია ქალმა, - არ მჭირდება მორალის კითხვა! რაც ღირს, გადაგიხდით!

- გადახდაზე არ არის საუბარი, - სიგარეტს მოუკიდა ვასიკომ.
- რა? შვილი რომ მინდა ვიყოლიო და ნორმალური ოჯახი მქონდეს, სირცხვილია?!

- შვილი შეგიძლიათ ხელოვნური განაყოფიერებითაც გააჩინოთ და თქვენი დედობრივი მოვალეობა ისე შეასრულოთ. არ არის აუცილებელი ვიღაც გერმანელ ბებრუცუნაზე გათხოვება. შემდეგ როგორ ფიქრობთ თქვენი სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას?! საყვარელს გაიჩნით თუ ფეხებს აიშვერთ? - სიბრაზისგან სახეზე მიტკლის ფერი დაედო ექიმს, - მე ასეთ რამეს არ გავაკეთებ. წადით და სხვაგან აისრულეთ თქვენი იდეა-ფიქსი, ექიმების მეტი რა არის?!

- ესე იგი, ტყუილად მოვედი?! - წამოდგა ინგა.
- ძალიან გთხოვთ, ნუ მაცდნთ. ავადმყოფები მელოდებიან, - ექიმმა სიგარეტი ჩააქრო, ნამწვავებით სავსე საფერფლე ურნაში ჩააპირქვა, კიდეზე ჩამობერტყა და მაგიდაზე დადო. სახეაშლილ ქალს

დააკვირდა. რამდენიმე წამი ერთმანეთს მიშტერებოდნენ.

"მართალია ეს კაცი!" - გაიფიქრა ინგამ და გასასვლელისკენ შებრუნდა. გაჯავრებულმა კარი ღონივრად გამოაღო და დერეფანში გასულმა მთელი ძალით გაიჯახუნა. ლაბადის სწორებით კიბეს ჩაუყვავა, საათს დახედა:

- ორის ნახევარია, მოვასწორებ, - ჩაილაპარაკა. ფილარმონიის წინ მიწისქვეშა გასასვლელში ჩაირბინა, იქვე იების დიდი კონა შეიძინა. რამდენიმე წუთში გრიბოედოვის ქუჩაზე იყო. აკადემიის ფოიეში შესულმა ერთმანეთთან მოლაქლაქე ხალხში გზა გაიკვლია და მოხუცი მხატვრის სასახლესთან მივიდა. იების თაიგული გულზე დაადო. სახეზე შეხედა, ნიკო სასწაულად დამშვიდებული და დარდლამცხრალი ესვენა. ტუჩებზე შეყინული ოდნავი ღიმილი მისი სულის ნეტარებაზე მეტყველებდა. "შენ და ია, ალბათ, საოცრად ბედნიერები, ახლა ერთად ხართ", - გულში ჩაილაპარაკა ქალმა და იქვე, კუთხეში სკამზე ჩამოჯდა. დარბაზი მოათვალიერა. კედლებზე ნიკო პაპას ტილოები ეკიდა. შორიანხლოს ორი მამაკაცი ერთმანეთს ესაუბრებოდა:

- ეს მისი ბოლო ნამუშევარია, - გადაულაპარაკა ერთმა მეორეს.

ინგამ შეხედა. სურათზე ორი დიდი ცისფერი თვალი იყო გამოსახული. ტილოდან საკუთარი მხერვა ამოიციო. წამოდგა, ახლოს მივიდა, "სიყვარულს მოწყურებული თვალები", - კუთხეში მიეწერა მხატვარს. "მართალი ხარ, მართალი", - გაიფიქრა და ნიკოს უსულო სხეულისკენ შებრუნდა, "მშვიდობით, ნიკო პაპა", - დაემშვიდობა და სწრაფი ნაბიჯით ქუჩაში გავიდა. კიბე ჩაირბინა, უმაღლესსაველზე ამოყო თავი.

- დავიღალე, აღარ შემიძლია. რა უბედურ ვარსკვლავზე ვარ განენილი, - ბუტბუტებდა და ზამთრის სუსხში მოჩადრულ ქუჩაში მიაბიჯებდა. გრძნობდა, რომ გერმანელის მიმართ საშინლად გაცივდა, მიხვდა, რომ ყველაფერი მოჩვენებითი იყო, ექიმის კაბინეტიდან გამოსულმა საკუთარ ალტინებსაც ჯვარი დაუსვა. მომაველის გეგმები ყინულის ლოლუხასავით შემოადნა. ანაზღად ხელზე დაიხედა, ჰერბერტის ნაჩუქარი ბეჭედი ენამუშა, მოიძრო და ჩანთაში ჩაიგდო.

V

ინგას დილით ადრე გამოეღვიძა. ბევრი ეცადა, მაგრამ ძილი ვერ შეიბრუნა.

წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. ლიდა ჩაის ისხამდა.

- დილა მშვიდობისა, - მიესალმა მშობელს.

- დილა მშვიდობისა, - უპასუხა ლიდამ, - გუშინ ისეთ ხასიათზე იყავი, რომ ვერ დაგელაპარაკე. მომიყევი, რა მოხდა.

- არაფერი, გადავიფიქრე, - ყავა დაისხა ინგამ.

- რა გადაიფიქრე? - გაკვირვებული შეჰყურებდა მშობელი.

- მე ამის გაკეთება არ შემიძლია. საშინლად შეურაცხყოფილი ვარ. ასეთი ქმარი არ მჭირდება.

- მართალი ვითხრა, გულის სიღრმეში გამართლებ, მაგრამ ასე როდემდე იქნები? პატარა აღარ ხარ.

- ვიცი, დედა, - ყავა მოსვა ინგამ, - მაგრამ გათხოვებისთვის ყველაფერს ზომ ვერ ვიკადრებ?! ის სხვა ტრადიციების კაცია. რაც ჩემთვის სულერთი არ არის, მისთვის სულერთია. ასეთ ადამიანთან ვერ ვიცხოვრებ.

- გუშინ ელზამ დაგირეკა, იკითხა რა ქნაო. მაგრამ შენ ოთახში იყავი ჩაკტილი და აღარ დაგიძახე. დაურეკე და მოუყევი ყველაფერი, თორემ უხერხულია, გოგო შეწუნდა, წამოგყვა.

- სამსახურიდან დავურეკე, - უპასუხა ინგამ. წამოდგა და თავისი ოთახისკენ გაემართა.

წინა დღის განცდებისგან გადატვირთულს მთელი სხეული უხურდა. გარეთ გასულს იანვრის სუსხი ესაიმოვნა კიდეც. დადიანის ქუჩას მერიამდე ფეხით გაუყვავა. კუთხეში სამარშრუტო ტაქსი გააჩერა და რამდენიმე წუთში სამსახურში იყო. საშინლად უხასიათოდ გამოიყურებოდა, საქმესაც გულს ვერ უღებდა. ერთი სული ჰქონდა, ჰერბერტი ენახა და ბეჭედი დაებრუნებინა. ტელეფონმა დარეკა:

- გისმენთ.

- ინგა, გამარჯობა, ელზა ვარ.

- ჰო, ელზა, გაგიმარჯოს. ბავშვი როგორ არის?

- ბავშვი უკეთ. შენ რომ ვერ დაგიკავშირდი, მერე ვასიკოს დავურეკე. ყველაფერი მიაბბო.

- რაო, რა ვითხრა, ლეგენერატიაო? - ჩაეღიმა ინგას.

- არა, უბრალოდ ნერვებმა ამიყოლია და ზედმეტი მომივიდაო. ისიც დააყოლა, რომ ძალიან მომეწონა და იმ გერმანელისთვის არ მემეტებაო.

- მაგას ვინ ეკითხება, მე ვის ვაკვყები. ისე, თვალი ამიხილა...

- ესე იგი, ფრიცი კაპუტ? - გააწყვეტინა ელზამ.

- ჰო, დავრჩები ასე შინაბერა.

- არაფერიც არ დარჩები, - დაამშვიდა მეგობარმა, - ვასიკოს შენი გაცნობა უნდა, მოეწონე.

- მერე?

- მერე ის, რომ თვრამეტი წლის ასაკიდან დიდი ხანია გამოხვედი. ასაკში შედიხარ, შვილი ზომ გინდა. გაიცანი, დაუახლოვდი, ძალიან კარგი ბიჭია, ძლიერი სპეციალისტია, მშვენიერი ოჯახიდან არის.

- ცოლი არ ჰყოლია?

- ცოლს ახალგაზრდობაში გამოირდა, დაოჯახებული ბიჭი ჰყავს.

- ისე, მისი პრინციპულობა მომეწონა. ფულის გულისთვის სხვა ყველაფერს იკადრებდა.

- ჰოდა, ძალიან კარგი, ვასიკოს დასაწუნი არაფერი აქვს. ცხვარიჭამიაში, აგარაკზე გვეპატიჟება, ბებიასთან.

- როდის?

- თვითონ დაგიკავშირდება და შენ იცი. ახლა წავედი, ბავშვს მიხედავ, კარგად იყავი, - დაემშვიდობა ელზა.

მოულოდნელობისგან ინგა დაიბნა. რამდენიმე წუთი გათიშული ყურმილი ყურთან ჰქონდა მიბჯვნილი, ფიქრმა გაიტაცა:

- „საოცარია ადამიანის ბედი. ყველაფერი ერთმანეთთან ჯაჭვის რგოლივით არის დაკავშირებული. ჰერბერტი რომ არა, ვასიკოს ვერასოდეს შევხვდებოდი. თან დავიღალე, სიმარტოვით დავიღალე. მინდა, გვერდით მეგობარი მყავდეს, ჩემი ოჯახი, შვილი მინდა. გადაირევა დედაქმე. არაფერია, ლიდასაც ეგ უნდა“ - ჩაეღიმა ქალს. ტუუ, ტუუ, ტუუ, - ისმოდა ტელეფონის ყურმილში, დაკიდა. წამოდგა და სარკესთან მივიდა. თმა გაისწორა. გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც მანათობელი წერტილი გამოჩნდა, რომელიც იმედს უსახავდა.

სალამოვდებოდა, როდესაც ტელეფონთან სთხოვეს:

- გისმენთ, - აიღო ყურმილი ინგამ.

- გამარჯობა, ინგა, ვასიკო ვარ. ხომ არ გაცდენ?

- არა, არ მაცდენ. გამარჯობა, ვასიკო, - ლოყები შეუვარდისფრდა ქალს, ესიამოვნა ვასიკოს ხმა.

- გუშინდელთან დაკავშირებით, ზედმეტი მომივიდა, მომიტყევე...

– ალბათ მართალი იყავი, – გააწვევებინა ინგამ, – ჩვენი შეხვედრის შემდეგ თვალი ამეხილა.

– ისე, მოწყენილი ჩანხარ.

– არა, უბრალოდ მომავლის გეგმები თავზე ხუხულასავით ჩამომეხრება. ვეგუები, ადაპტაციას გავდივარ.

– დასანგრევი უნდა დაინგრეს, გული ნუ დაგწყდება, – დაამშვიდა მამაკაცმა.

– ვცდილობ.

– შაბათს რას აკეთებ?

– არაფერს.

– ჰოდა, შენ, ელზას და თამაზს ჩემთან, ცხვარიჭამიაში გეპატიუებით. ბებია მინდა გაგაცნო.

– კარგი, – დასთანხმდა ქალი.

– სამი საათისთვის გამოვივლით და სახლში იყავი. თბილად ჩაიცვი, იქ ეციება. აბა, შაბათამდე.

– ნახვამდის, – დაკიდა ყურმილი ინგამ. საათს დახედა, ექვსი სრულდებოდა. ლაბადა ჩაიცვა, თანამშრომლებს დაემშვიდობა და სახლის გზას ფეხით გაუყვა.

სადილობისას ლიდას ყველაფერი უამბო. ვასიკოს საქციელით მშობელი აღფრთოვანებული დარჩა. სულ, ყოჩაღ, კარგი კაცი ყოფილაო, იძახდა.

როგორც იქნა, პარასკევიც გათენდა. ინგამ, ჰერბერტისთვის სათქმელი გონებაში დალაგა, ბეჭედი ლურჯ კოლოფში ჩაღო და სამსახურში ნაჩქარევად გასწია. თავის ოთახში არც შესულა, პირდაპირ გერმანელის კაბინეტს მიადგა. დააკაკუნა და ოთახში შეაბიჯა. ჰერბერტი სამუშაო მაგიდას მისვდომიდა. ქალის დანახვისას გაიღიმა, წამოდგა და შეეგება.

– ჰერბერტ, – აუღელვებელი ტონით დაიწყო ინგამ, – მე გადავიფიქრე, – ხე-

ლჩანთა გახსნა, ბეჭედი ამოიღო და მაგიდაზე დაუდო.

– რა მოხდა? – გაკვირვება ვერ დამალა გერმანელმა.

– არაფერი, უბრალოდ გადავიფიქრე. კარგად იყავი, – ქალმა შვებით ამოისუნთქა და ოთახიდან გამარჯვებული იერით გამოვიდა.

– ინგა, – ერთი კი დაუძახა უცხოელმა, მაგრამ მისი ხმა კარის მიჯახუნებამ ჩაახშო.

შაბათ დღეს, სამი საათისთვის, ინგას ქუჩიდან ელზამ დაუძახა. ქალმა ფანჯრიდან გადაიხედა, მოვლივარო, უპასუხა, თბილი ქურთუკი ჩაიცვა, საკუთარი თავი სარკეში შეამოწმა, დედას დაემშვიდობა და სადარბაზოში გავიდა.

– დმერთმა ხელი მოვიმართოს, – დალოცა მშობელმა.

– ინგამ მანქანის უკანა კარი გამოაღო და მეგობარს მიუჯდა:

– გამარჯობათ, – მიესალმა იქ მყოფთ.

ვასიკო საჭესთან იჯდა. ინგასკენ შემობრუნდა და იების თაიგული გაუწოდა, გაუღიმა. ქალმა გამოართვა, ერთი წამით თვალებში შეხედა, იგრძნო, როგორი ვნებით შესცქეროდა მამაკაცი, ყვავილები დაეცოდა.

ერთ საათში ცხვარიჭამიაში ჩავიდნენ. ვასიკომ ალაყაფის კარი გააღო და მანქანა ეზოში შეიყვანა:

– არ ჩამოხვედით, ძაღლს დავაბამ, – გადავიდა მანქანიდან, თან ბებიას ეძახდა, სტუმრებს მიიღებო?

მოხუცი ეზოში ჩამოვიდა და სტუმრები სახლში შეიპატოჟა. სასტუმრო ოთახში ბუნარი გიზგიზებდა. ყველანი ცეცხლს მიუსხდნენ:

– ცოტა გათბით და მერე საქმეს მივხედოთ, მწვადები შევწვათ, – მასპინძელმა მამით ნაკვერჩხალი ბუნრის კუთხეში შეაგროვა და შამფურების მოსატანად წავიდა.

ქალები სამზარეულოში დასახმარებლად გავიდნენ. ვასიკო ინგას მიუბრუნდა:

– სანამ ელზა ხორცს დაჭრის, წამომყევი, ღვინო ჩამოვასხათ, – აიღო ღოქი. შიდა კიბით მარანში ჩავიდნენ, ერთ-ერთი ჭურჭლიდან ღვინო ჩამოასხეს, შემდეგ ვასიკომ ორი ჭიქა შეავსო, ერთი ინგას მიაწოდა, – არ დააჭაწნიკებ? ქალმა სასმისი გამოართვა.

– ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! – აშკარად ნერვიულობდა მასპინძელი, არ დაგიძალავ, ძაღლიან მომეწონე. ამ ღვარძლ-ჩაღვრილ ღროში შენნაირი სუფთა ადამიანი იშვიათია. მოხარული ვარ, რომ არსებობ და განგებამ ჩვენი შეხვედრა ინება. მეც შენსავით მარტოსული დავიარები. ორმოცდასამი წლის მანძილზე გეძებდი, გეძებდი და ბოლოს, შენი ფეხით მოხვედი. მომეცი უფლება, რომ ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი და შეგქმნათ ოჯახი, რომლის ფუძე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული იქნება, ძარღვმაგარი და სპეტაკი გრძნობა.

ინგა მოჯადოებულებით იდგა. გულის სიღრმეში ახალჩაბუღებულ გრძნობას ეფერებოდა:

– დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის, – გაიღიმა ქალმა. შეისისხლხორცა, რომ ბედი კარს მოსდგომოდა და ურცხვად უკაკუნებდა, – ჩემი მიზანი, ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვითხარი. მინდა ვიყო დედა, მეუღლე და რაც მთავარია – ბედნიერი, მიყვარდეს და ვუყვარდე, გავინარჯო ამ სიყვარულისთვის და როცა იმქვეყნად წასვლის დრო დამიდგება, ვიგრძნო, რომ ტყუილად არ მიცხოვრია. ჩვენ ხომ ხეებზე ვართ და როგორი ლამაზი, კარგიც არ უნდა იყო, უნაყოფო ხეს ფასი არა აქვს. ჩვენი ნაყოფი – სიყვარულია და ამ სიყვარულში დაბადებული სიცოცხლე, – თვალები ფართოდ გაეღო და მამაკაცს ნებიერი მზერით შესცქეროდა.



ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სცენაზე ვასო გოძიაშვილი, დიდი მსახიობის განუმეორებელი ხიბლი სამუდამოდ დაამახსოვრდა. ხოლო ისინი, ვინც 70-იანი წლების დასაწყისში ასაკის გამო ეს ვერ მოასწრეს, ტელეეკრანიდან მაინც აუცილებლად იცნობენ კუბოკრულ პიჯაკში გამოწყობილ მოხუც მსახიობს: „ისევე მიდინარ, ისევე მშორდები, ისევე ეშვება ფარდაო“, — რომ მღერის... დაინწყებდა თუ არა სიმღერას, მაყურებელი ტაშის გრილით ეგებებოდა ამ სიტყვებს... ტექსტი კი, თითქოს ვასო გოძიაშვილის წინასწარმეტყველება იყო საკუთარი თავის მიმართ: „აღარასოდეს განმეორდები“...



ვასო გოძიაშვილი ილიას საფლავზე

აკანასოდეს განშოხრები

ლელა ღიყაშვილი

ვასო გოძიაშვილი 1906 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა. თვითონვე იხსენებდა: ჩემი ავადმყოფობის გამო მშობლებმა ხატს აჩუქეს ჩემი თავი, იმან მომარჩინაო. რაკი ხატისთვის გადაცემული ვიყავი, თმას არ მჭრიდნენ კარგა ხანს და გრძელ ქერა კულულებს ვატარებდით. არ უჯერებდნენ: ეტყობა, ვინმე სხვა ბავშვის სურათი გაქვს ნანახი, შენ და ქერა კულულებით? ბრაზობდა: ნამდვილად მე ვიყავით.

უსაზღვროდ უყვარდა ცირკი. პატარა რომ იყო, მოხეტიალე ცირკს ჩამოუვლია. აღტაცებული ბავშვი დონატოს ცირკს გაჰყოლია ჩუმად. მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა იმდროინდელ შთაბეჭდილებებს: როგორ დადიოდა მოხეტიალე მსახიობებთან ერთად, როგორ მღეროდა. საცირკო ხელოვნება ყველაზე სერიოზულად მიაჩნდა. მრავალჯერ უთქვამს: თავს ცირკის მსახიობად ვგრძნობო. როცა დონატოს იხსენებდა, ამბობდა: „О, знаешь, каким он был великим“. მის მიერ შექმნილი ბოლო სახეც: მოხუცი მსახიობი, შეკრული ფუთითა და ხელში ლამპრით, დონატოს შორეული გამოძახილი იყო.

1922 წელს თეატრზე შეყვარებული მოხალისე წითელარმიელი – ვასო გოძიაშვილი მისაღებ გამოცდებზე გავიდა აკაკი ფალავას სტუდიაში. გამომცდელთა მაგიდასთან იხსდნენ: კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე იმედაშვილი და აკაკი ფალავა. წითელარმიელის ფარავაში გამოწყობილი ახალგაზრდა კითხულობდა იოსებ გრიშაშვილის ლექსს „ახალი ღმერთი“. გამოცდის შემდეგ ალექსანდრე იმედაშვილი შაქრო გომელაურს სწერდა: „ჩემო შაქრო, გაინტერესებს რა არის თბილისში ახალი? არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ფალავას სტუდიაში ვიყავი, გამოცდას დავესწარი. უნდა გითხრა, რომ საიდანდაც გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც, ჩემის აზრით, ქართული თეატრის მომავალი ვარსკვლავია“.

ასე დაიწყო ვასო გოძიაშვილის დამკვიდრება თეატრალურ ხელოვნებაში.

ყოველთვის უჭირდათ იმის დადგენა, თუ ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, სცენის ეს ხელოვანი – დრამატული თუ ჟანრულ-კომედიური მსახიობი, ტრაგიკოსი თუ უბრალოდ კომიკოსი-ბუფი? ეს განაპირობა მისი სამსახიობო მოღვაწეობის საოცრად ფართო „დიაპაზონმა“. რაც მთავარია, მის მიერ შექმნილი ყველა სახე მარღვიანი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

პროფესიული ცხოვრების მიღმაც ნამდვილ მსახიობად რჩებოდა. სიყალბეს კი არ ვგულისხმობთ, არამედ არტიტულ ექსპანსიურ ცხოვრებას... ხმამაღლა უყვარდა მსჯელობა, ჩხუბობდა კიდევ, როცა რაიმეს ამტკიცებდა... შეიძლებოდა დაღლაც კი გეგრძნო მისი „მზნებარე“ გამოსვლების შემყურეს, მაგალ-

ითად, ჭირის დღესავით სძულდა კომუნისტები. შეიძლებოდა, მთელი დღე მათ ლანძღვა-გინებაზე აეგო და უბრალოდ კი არა, მთელი სერიოზულობით მიეხარჯა ნერვები ამ თემაზე.

ვასო გოძიაშვილი მეგობრობდა ინგლისელ ქართველოლოგთან – დევიდ ლანგთან, ხუმრობით „ბატონ დავითს“ ეძახდა. ლანგს ვასოს არც ერთი სპექტაკლი არ ჰქონდა გამოტოვებული. როცა ის პირველად ჩამოვიდა თბილისში და ვასო გოძიაშვილის სახლში დარჩენა „დაუეგემეს“, ცნობილ მსახიობს წინასწარ სუკ-იდან ეწვივნენ. დაათვალიერეს სახლი – სამოთხიანი ბინა... რაღაც არ მოეწონათ... ურემონტო იყო. როგორ აღიქვამდა დევიდ ლანგი სახალხო არტისტის არასახარბიელო პირობებში ცხოვრებას? ამიტომ უთხრეს: ამხანაგო ვასო, ამ ბინაში ინგლისელის მიღება როგორ შეიძლება, რემონტიც კი არ გაქვთო... ვასო გადაირია: მერე ვისი ბრალია, რომ არ შეიძლება? 300 მანეთი მაქვს ჯამაგირი. ამის მეტი „სტაკაკა“ არ არი... ეგ არი და ეგ! ესეც იმიტომ, რომ სახალხო არტისტი ვარ. როგორ უნდა ვცხოვრობდე სხვანაირად! ამ ემოციურ, ხმამაღალ გამოსვლას ერთი-ორი თავისებური „კურთხევა“ მიაყოლა თურმე...

„ძველი ვოდვეილები“ გადიოდა. ვასო გოძიაშვილმა თეატრში მიიწვია დევიდი, მისი თარჯიმანი, თავისი ქალიშვილი – ნიალა გოძიაშვილი და სიძე, ოთხივენი ერთად იხსდნენ. მთელი დარბაზი გულის წასვლამდე იცინოდა. როცა ქართველები მიწყნარდებოდნენ, დევიდის თარჯიმანიც თავს გაართმევდა თავის მისიას და სიწყნარეში გაისმოდა ინგლისელის თავაწყვეტილი სიცილი: ამ „ჰა-ჰა-ჰა“-ს გაგონებაზე დარბაზი ხელახლა იწყებდა ხარხარს...

უსაზღვროდ ჰყვარებია ვასო გოძიაშვილს დედა – კატო. ძველი ქართული

საექვაკლიდან „ცეკვის მასწავლებელი“



ტანსაცმლითა და ჩინტიკობით დადიოდა თურმე კატო და ვაჟკაცური შემართებით იცოდა ლაპარაკი. ომის დროს დიდი გაჭირვება იდგა. ვასო გომიაშვილი სახალხო არტისტი იყო და ცოტა მეტი პური ეკუთვნოდა ტალღონზე... ოჯახში ძირითადად ლობიოთი და ჩაით იკვებებოდნენ. როცა ზედიზედ სამჯერ მოამზადეს ოჯახში ლობიო, კატო აღმოფთხებულა: „შენ რა „ნაროდნი“ არტისტი ხარ, „ნაროდნი“ არტისტი და ლობიო? ყოველდღე ლობიო?!“

ვასო გომიაშვილის ბუნდუნა ხასიათი ყველასათვის ცნობილი იყო. გამოვიდოდა საგრძობად და სცენამდე მანძილს სულ ბუნდუნ-ბუნდუნით გაივლიდა. განსაკუთრებით ბობოქრობდა, თუ სუფლიორი ავკიანებდა. ტექსტი „ქრონიკულად“ ავიწყდებოდა. ცნობილია, „რიჩარდ მესამეში“ მთავარ როლს რომ ასრულებდა, ერთხელ დასაწყისი ტექსტი დაავიწყდა. შემოუარა სცენას, რომელზეც ჩამწკრივებული იყვნენ ახალგაზრდა „ლორდები“... უნდა დავიწყოს: „მე – გლოსტერი“, მაგრამ ეს სახელი არა და არ ახსენდება. დარბაზისაკენ ზურგით მდგარმა ჩუმი კპიტხა ერთ-ერთ მსახიობს: „რა მქვია, ბიჭო?“ დაბნეულმა მოულოდნელად: „ვასო, ბატონო!“ გადაირია ვასო გომიაშვილი... აქ რა მქვია-მეთქი? რიჩარდიო, – ჩაიფრჩხულა ვილაცამ... – კიდევ რა მქვია, მე ამ პიესის დამწერისო!.. – შეუკურთხებია ჩვეულებისამებრ. სუფლიორიც გამოფხიზლებულა და „მე – გლოსტერი“ – დაუწყია კარნახი... ასე გადარჩა ვასო გომიაშვილი უხერხულ დუმილს.

სპექტაკლის შემდეგ სუფრას მიუსხდებოდნენ ხოლმე. თუ პრემიერა იყო, ხომ ბანკეტს თამაშობდა ბატონი ვასო აუცილებლად.

1966 წელს ვასო გომიაშვილი თეატრის მსახიობების ჯგუფთან ერთად ინ-


გლისში წავიდა. იქ ტაუერის სასახლეში წაიკითხა თურმე რიჩარდის მონოლოგი. ინგლისელებმა ქართულ სტუმრებს აჩუქეს ჩერჩილის ლორდთა პალატაში წაკითხული ბოლო სიტყვის თარგმანი, სადაც ჩერჩილი ამბობდა, რომ მისი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ღირსეული მეტოქის – სტალინის სიკვდილიც იყო. სამშობლოში დაბრუნებული ვასო გომიაშვილი სიამაყით აფრიალებდა ამ ფურცლებს და შვილებსაც უჩვენებდა... როცა ქალიშვილს ხუმრობით უკითხავს: გამაგებინე, როგორ შეგიძლია ერთნაირად გიყვარდე სტალინიცა და ერეკლე მეფეცო, გულდასმით დაუწყია მათი დავაწლის დასაბუთება თავისთვის ჩვეული რიხითა და ემოციებით.

კონსერვატორიაშიც სწავლობდა ვასო გომიაშვილი. III კურსზე ყოფილა, როცა ფიგარო უმღერია. ოპერის მსახიობები, ნიჭიერი სოლისტები მისი თაობისა, ხშირად სტუმრობდნენ მასთან, რჩევებს ეკითხებოდნენ. ვასო გომიაშვილიც საყურადღებო პროფესიულ შენიშვნებსა და მითითებებს აძლევდა... ერთი მომღერალი დადიოდა, „ჯამბაზებში“ ტონიო უნდა ემღერა. რომ მოუსმინა, გააჩერა და უთხრა: „შვილო, რატომ გვეჩხუბები? ერთი საცოდავი „ციროკაჩი“ ხარ, გამოდი და გვთხოვე, მოგისმინო... შენი ხმა და ლა-ბემოლ-სი-ბემოლი ვის რაში სჭირდება? ადამიანური მიდგომაა საჭირო...“ საოცარი პლასტიკით ასწავლიდა სხვას, როგორ უნდა ევლო რიგოლეტოს. ერთხელ ერთ კარგ მომღერალზე უთქვამს: ეს ვერასოდეს იმღერებს „ჯამბაზებსო“. რატომო? – უკითხავს ქალიშვილს. – იმიტომ რომ გადასარევი ცხოვრობს და ძალიან ბედნიერიაო!

სიმღერას ვერასოდეს შეელოა ვასო გომიაშვილი. თეატრში მუშაობის პარალელურად, ხშირად ფილარმონიაშიც ასრულებდა საესტრადო ნომრებს. რა თქმა უნდა, მატერიალურ დაინტერე-



ვასო გომიაშვილი პაგარა ნიალასთან ერთად



სპექტაკლიდან „იქნებ ბავშვები ფრინველებს ჰგავნან“

სებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ სიმღერის სიყვარულიც უსაზღვრო იყო.

ვასოს თეატრი უზომოდ უყვარდა, ვერ გააგონებდი საწინააღმდეგოს ვერაფერს. ზოგჯერ არაობიექტურადაც კი მსჯელობდა, მაგრამ მისი თეატრის „მტვერიც“ კი სხვანაირი იყო. დიდი ავტორიტეტები იყვნენ მისთვის კოტე მარჯანიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი. კომ-

პრომისზე მხოლოდ ერთ თეატრთან წასულა... ოციან წლებში, როცა „მხატვის“ (მოსკოვის სამხატვრო თეატრი) სტუდია გაიხსნა, იქ ნახა პირველად იაპონური თეატრი – კაბუკი. აღტაცებული უყურებდა. პირველ რიგში მჯდარა ცნობილი რუსი მსახიობი – იაბლოჩკინა. სცენის ბოლოში მუხლებზე იდგა საბურაის მოღალატე ცოლი და ქმარს შენდობას სთხოვდა. პირველ პლანზე კი თვით ხმალომწველი საბურაი მდგარა. მას ოდნავ შეურხევია ხმალი, სინათლის კომბინაცია კი ქალს ისე დასცემია, რომ ის უთავოდ დარჩენილი დაუნახავს მაყურებელს. იაბლოჩკინას უკივლია და გული წასვლია. ასე გაუყვანიათ პარტნიორი... აღტაცებულან ვასო გომიაშვილი და მისი თანმხლები მეგობრებიც: სპექტაკლის შემდეგ შევცვივდით კულისებში, რომ გვენახა მსახიობები. იქვე იღო რეკვიზიტი – ხმალი... ძვრა ვერ ვუყავით, იაპონელ მსახიობს კი ცალი ხელით მსუბუქად ეჭირა! მსგავსი რამ მე არ მინახავს და არასოდეს დამავიწყდება ეს თეატრიო...

ეს აქტიური, მუდამ ადევლებული ხელოვანი, იმდენ სიგარეტს ეწეოდა, რომ კვამლში არ ჩანდა თურმე... ვინ იცის, რა საფიქრალს ეძლეოდა, გულში რა დარდით იწვოდა... მძიმედ გახდა კიდევ ავად – ფილტვების სიმსივნე გაუჩნდა. 1976 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა...

ჩვენ კი თითქოს დღესაც ყურში ჩავგვისმის მისი წინასწარმეტყველება – სიმღერა: „ისევ მიღიხარ, ისევ შმორდები, ისევ ეშვება ფარდა... აღარასოდეს განმეორდება...“.

P.S. ავტორი მადლობას უხდის ვასო გომიაშვილის ქალიშვილს – ნიალა გომიაშვილს წერილის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის.



ტიუნინგი

ძვიხად ღიხებული დიდი სიამოვნება

მსოფლიოში უამრავი ისეთი კომპანია არსებობს, რომელიც სრულიად სხვადასხვაგვარი კლასის, სახეობისა და ფორმის ავტომობილებს აწარმოებს. მაგრამ ისეთი ფირმებიც კი, როგორცაა „მერსედესი“, „ბე-ემ-ვე“ თუ „იაგუარი“, მაინც მასობრივ წარმოებას მისდევენ, ე.ი. აბსოლუტურად ერთნაირ მანქანებს უშვებენ. მაშასადამე, აღარ აკმაყოფილებენ იმ დონის მყიდველებს, რომლებსაც სრულიად გამორჩეული ავტომობილის შეძენის პრეტენზია აქვთ. სწორედ ამგვარ მისწრაფებათა დაკმაყოფილებას ემსახურება ე.წ. სატიუნინგო ფირმები, რომელიც ცნობილი მარკების დახვეწა-დამუშავება-დაყვანას ეწევა.

ამ საქმის ერთ-ერთ ლიდერად გერმანიაა მიჩნეული, რომელშიც 300-მდე სატიუნინგო ფირმა საქმიანობს. ბევრი მათგანი მხოლოდ ცალკეულ აქსესუარებს ხვეწს – მაგალითად, საბორბლე დისკებს თუ ამორტიზატორებსა და ზამბარებს. მხოლოდ რამდენიმე ფირმა მისდევენ ავტომობილის სრული „გადასხვაფერების“ საქმეს და იმდე-



ნად მაღალ დონეზე აქვს აყვანილი თავისი ოსტატობა, რომ სრული უფლება აქვს, სახელიც კი შეუცვალოს ავტომობილს. მაგალითად, „მერსედესზე“, რომელსაც სახელგანთქმული „ბრაბუსის“ სპეციალისტები „გადახარშავენ“, შესაძლოა, დიდხანს ვერ მოძებნოთ ყველასთვის კარგად ნაცნობი ნიშანი – სამქიმიანი ვარსკვლავი, აი, „ბრაბუსის“ ლოგოს კი უმაღლესი შეამჩნევთ. ეს არც არის გასაკვირი: ადამიანს, რომელიც ჩვეულებრივი ზომის მანქანაში 200.000 დოლარს გადაიხდის, ყოველ წუთს უნდა შეახსენო, რომ ისეთივე „მერსედესი“ არ ჰყავს, როგორც ასობით დადის მის ქალაქში. ზოგჯერ ავტომოყვარულები ათასობით, ათიათასობით დოლარსაც იხდიან მხოლოდ იმისთვის, რომ მათი მანქანების საბარგულებს BRABUS-ის, CARISSON-ის, AMG-ისა თუ ALPINA-ს სავაჭრო ნიშნები ამშვენებდეს.

მაშ, რით გამოირჩევა ამ ფირმების პროდუქ-

ცია, ესოდენ ძლიერ რომ იპყრობს ელიტური ავტომობილების მოტრფიალეთ? ამჯერად ერთ ასეთ ატელიეზე – „ბრაბუსზე“ შევჩერებთ ყურადღებას. მისი შტაბბინა გერმანიის ქალაქ ბოტროპში მდებარეობს. მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული ეს ფირმა, თურმე არც ისე დიდი ხნის წინ – 1977 წელს, ბოლო ბუშმანის მიერ დაფუძნებულა. მამამისი „მერსედეს-ბენცის“ მანქანებით ვაჭრობდა (სხვათა შორის, ეს სავაჭრო კანტორა დღესაც წარმატებით განაგრძობს ამ საქმიანობას). თავდაპირველად თვით ბოლოც ამ ბიზნესს მისდევდა, მაგრამ მალე გაიტაცა ავტომობილის გადაკეთებამ და კომპანია „ბრაბუსიც“ შექმნა, რომელმაც, ბუნებრივია, იმთავითვე „მერსედესი“ აირჩია.

ატელიეს მთავარ შენობაში სულ ორასამდე ადამიანი მუშაობს. თითოეული მათგანი – თავისი საქმის უმაღლესი კლასის სპეციალისტია. ყველა სამუშაო ხელით სრულდება. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ ეს ადამიანები აწყობენ კვირაში 20 მანქანას. მთელ მსოფლიოში მიმოფანტულია კიდევ 32 განყოფილება, რომელთაგან ბევრს დაკვეთის შესრულების სრული უფლება აქვს მიცემული.

ბუნებრივია, სატიუნინგო ფირმები მხოლოდ დაკვეთით მუშაობს: მოდის კლიენტი ოფისში და მასთან ერთად, ფირმის წარმომადგენლები იწყებენ ყოველ-



მხრივ გათვლილ სამუშაოს – ერთად აღგენენ, ტყავის რა სახეობით უნდა დამზადდეს სალონი, როგორი უნდა იყოს საჭის „ბორბალი“, საბორბლე დისკები და სხვა ყველაფერი – დეტალების ჩათვლით. ამ ხანგრძლივი პროცედურის შემდეგ კლიენტი ვალდებულია, სრულად გადაიხადოს მომავალი შენაძენის ღირებულების თანხა. სრული პროგრამის შესრულებას ატელიე თვე-ნახევარს, ზოგჯერ კი ორ თვესაც ანდომებს.

დაკვეთის გაფორმებისთანავე ფირმაში ურთულესი სამუშაო იწყება. თავდაპირველად, ჩვეულებრივი ავტომობილი მთლიანად უნდა დაიშალოს ნაწილებად. ცხადია, ყველაფერი სამუშაოს დონით განისაზღვრება, მაგრამ ზოგჯერ ხელუხლებელი მხოლოდ კორპუსი რჩება. მაგალითად, ძრავას თავიდან ბოლომდე, ნაწილებად შლიან და ამას მოჰყვება სწორედ ის პროცესი, რომლისთვისაც უზარმაზარ თანხებს იხდიან. მარტო ცილინდრების ბლოკის თავურში ცვლილებების შესატანად „ბრაბუსის“ ოსტატს სრული შვიდი სამუშაო დღე სჭირდება, ამასთან, სამუშაოს ის მარტო ასრულებს, რათა ყველაფერზე პირადად იყოს პასუხისმგებელი.

სალონსაც ხელით კერავენ – საგანგებო საკერავი მანქანებით. აღსანიშნავია, რომ „ბრაბუსის“ სათავო საწარმოში მხოლოდ ორი ასეთი მანქანაა. მას შემდეგ, რაც ყველა აგრეგატი, ცალ-ცალკე გაივლის გამოცდას, მანქანას აწყობენ და კვლავ შეჰყავთ გამოსაცდელ სტენდზე, უკვე საბოლოო ტესტირების ჩასატარებლად.

1994 წლიდან „ბრაბუსი“, „მე-

რსედესების“ გარდა, ავტომანქანა BUGATTI-ს ტიუნინგსაც მისდევს. ერთი შეხედვით, თითქოსდა ასეთ დახვეწილ ავტომობილში ვერაფერს გააუმჯობესებ, მაგრამ თურმე ესეც შესაძლებელი ყოფილა. საქმე აქ ძირითადად, როგორც სალონის დახვეწას, ისე ძრავის სრულყოფასაც ეხება.

„ბრაბუსმა“ იმითაც გაითქვა სახელი, რომ დროდადრო, მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ავტომობილებს აწარმოებს – მაგალითად, E-კლასის „მერსედესი“, ამ კომპანიის „გავლით“, 330 კმ/სთ-მდე სისწრაფეს ავითარებს. ამ დროს ძრავის მოცულობა 7,3 ლიტრამდე, სიმძლავრე კი – 582 ცხ. ძალამდე აღწევს. ყველაზე სწრაფი ოთხადგილიანი კაბრიოლეტის სახელსაც „ბრაბუსის“ ქმნილება ატარებს, ამ მანქანას BRABUS CLK 5,8 CABRIOLET ჰქვია, რომელიც „ასეულს“ 5,5 წამში აღწევს, მაქსიმალური სიჩქარე კი 282 კმ/სთ აქვს.

„ბრაბუსის“ გარდა, კიდევ სამი ფირმა მუშაობს „მერსედესების“ დახვეწაზე. ესენი გახლავთ უკვე ნახსენები AMG და LORINSEN. ბოლო დროს მათ აგრეთვე „კრაისლერების“ ტიუნინგსაც მოჰკიდეს ხელი. მაგალითად, „ლორინსენის“ დამზადებულ CHRYSLER 300M-ს ორიგინალურ ჰაერშემწოვიანი სპორტული




ბამპერი, ბურუსის საწინააღმდეგო სანათები, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული დისკები და ახალი უკანა ბამპერი აქვს. უმთავრესი სიახლე კი, კაპოტქვეშ აქვს „დამალული“: V8 ძრავის მოცულობა 6 ლიტრით არის გაზრდილი, მისი სიმძლავრე კი 394 ცხ. ძალას აღწევს.

ზოგიერთი სატიუნინგო ფირმა კლიენტის ნებისმიერ შეკვეთას იღებს. მათი მომსახურების სპექტრს დღეს, ნებისმიერი მსურველი, ინტერნეტის შესაბამის საიტებზე გაეცნობა.

ბოლოს, შეძლებულთა (თუ – ძალიან შეძლებულთა) ცნობისათვის: BRABUS-ი, რომელსაც 7,3 ლიტრიანი V12 ძრავა აქვს, 254.000 დოლარი ჯდება... ■





მოქრძალაზული პარსკვლავი

— „ტიტანიკის“ შემდეგ მე ყველაფრის მიღება შემძლო, რასაც კი მოვისურვებდი. პროდიუსერები ნებისმიერ პროექტს ჩემი მონაწილეობით ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდნენ. ჰონორარად სოლიდურ თანხას ვითხოვდი და ის მეტისმეტად დიდი არავის ეჩვენებოდა“. — ამბობს ქეით უინსლეთი. ბერლინის 51-ე კინოფესტივალზე მსახიობმა თავისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი წარმოადგინა ფილმში „მარკიზ დე სადის კალამი“.

არავის სჯეროდა, რომ „ტიტანიკი“ ასახული ქეითისა და ლეონარდო დი კაპრიოს რომანი ცხოვრებაში არ გრძელდებოდა, მათაც კი, ვინც გადასაღებ მოედანზე მსახიობებთან ერთად მუშაობდა. ქეითის გადმოცემით კი, „ტიტანიკის“ გადაღება იმდენად მძიმე პროცესი იყო, რომ ქეითი და ლეო ერთმანეთს მუდმივად მხარში ედგნენ, განსაკუთრებით რთული იმ სცენების გადაღება აღმოჩნდა, რომელშიც მსახიობები რამდენიმე საათს წყალში ატარებდ-

ნენ. დაძაბული გრაფიკის გამო დასვენებას ვერ ასწრებდნენ და ყოფილა შემთხვევა, როცა დაღლილ ქეითსა და ლეოს ერთი საბნის ქვეშ ეძინათ. „ის ჩემთვის ძმასავით ძვირფასი იყო — აღნიშნავს ქეითი. — განსაკუთრებით სასიყვარულო სცენის თამაშში გამოვიტყდა — ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ძმას ვხვდები, ეს კი რთული ასატანი იყო.“

მას შემდეგ ქეითი და ლეო ერთმანეთს იშვიათად ხვდებიან. ხანდახან თუ ახერხებენ საუბარს ახალ როლებზე, ერთმანეთს უზიარებენ გეგმებს. ბოლოს ლეო და ქეითი ერთმანეთს ლონდონის ერთ-ერთ ბარში შეხვდნენ. „მარკიზ დე სადის კალამის“ გადაღები ჯგუფი იქ ფილმის დასრულებას აღნიშნავდა. უცერად ბარში ახალგაზრდების ხმაურიანი ჯგუფი შეიჭრა, მათ შორის იყო ლეოც. ის ისევე მხიარულად და უცნაურად იქცეოდა, როგორც ადრე. ქეითმა ლეო ქმარს გააცნო. მათ ბევრი რამ სძენოდათ ერთმანეთზე.

„ტიტანიკის“ გადაღებების დროს არსებობდა მეორე მიზეზიც, რის გამოც ქეითი ირგვლივმყოფი მამაკაცების დაინტერესე-

ბულ მზერას ვერ აჩნევდა. ის მაშინ ძალიან განიცდიდა საყვარელ ადამიანთან განშორებას. მისი რომანი სცენარისტ სტივენ ტრედლისთან ოთხი წელი გრძელდებოდა, წყვილი ერთად თავს კარგად გრძობდა, მათი შეხედულებები ცხოვრებასა და ხელოვნებაზე ერთმანეთს ემთხვეოდა.

მაგრამ ერთხელ... „ჩვენ უნდა დავშორდეთ“ — განუცხადა მამაკაცმა. აცრემლებულმა ქეითმა სთხოვა, აეხსნა მიზეზი, მაგრამ სტივი ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა: „მე ასე გადავწყვიტე“. „ალბათ საქმე სხვა ქალშია“ — გაიფიქრა ბოლოს ქეითმა და თავმოყვარეობის გამო, ზედმეტი გამოკითხვა აღარ დაუწვია. მხოლოდ შემდეგ შეიტყო, რომ მისი გულის სწორი ავად იყო — ძვლის კიბო სიცოცხლის შანსს აღარ უტოვებდა. სტივინი „ტიტანიკის“ პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა და ქეითის ტრიუმფს ვეღარ მოესწრო.

„ტიტანიკის“ შემდეგ ქეითმა მცირე ხანა ფილმში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო „აუტანელი კინი“. ამ როლით ქეითმა საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ წარმატების მიღწევა გამოავნებელი დეკორაციების, კოსტუმებისა და სპეცეფექტების გარეშეც შეეძლო. როცა ქეითს ახალ სცენარს უგზავნიან, ის მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობს — შესაფერისია თუ არა მისთვის შეთავაზებული როლი და ნაკლებად აინტერესებს ანაზღაურების საკითხი. „კინის — ახალგაზრდა ჰიპი-ქალის ამბავი ძალიან მომეწონა, — ჰყვება მსახიობი, — ჩემი აგენტები ყოყმანობდნენ, თვლიდნენ, რომ ეს როლი ჩემს შემდგომ კარიერას არ წაადგებოდა. მე მათ ვუთხარი, რომ ფულს არა რჩევებში, არამედ იმაში ვუხდი, რომ საინტერესო როლების ხელში ჩაგდებაში დამეხმარონ“.

ამ ფილმში მონაწილეობა ქეითს სხვა მხრივაც არ უნანია. „ტიტანიკის“ შემდეგ ორი წელი არავის ხვდებოდა. იდეალის ტენაში იყო. შემდეგ კი საერთოდ გადაიფიქრა და მარტო ცხოვრება გადაწყვიტა. სწორედ მაშინ მოხდა ის, რასაც აღარ ელოდა: ერთხელ ქეითს უთხრეს, რომ გადამღებ ჯგუფში სამუშაოდ რეჟისორის ახალი ასისტენტი — ძალიან სიმპათიური და ყურადღებიანი ყმაწვილი მოვიდა. რატომღაც ქეითს გული მაშინვე აუტყვარდა და გაიფიქრა, რომ ის „ის“ იყო. როდესაც ჯიმი დაინახა, უძალ შეუყვარდა და მიხვდა, რომ ეს სიყვარული მიუღი ცხოვრების მანძილზე გაგრძელდებოდა.

იგივე იგრძნო თურმე დიდი ბრიტანეთის სამეფო ავიაციის ოფიცრის შვილმა — ჯიმ ტრიპლტონმა, მაგრამ წყვილს წინ სერიოზული გამოცდა ელოდა. ქეითს უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი ფილმ „წმინდა კვამლის“ გადაღებაში მონაწილეობის მიღებაზე და ოთხი თვით ავსტრა-

ლიაში გაემგზავრა. მთელი მისი სამსახიობო კონორარი მობილური ტელეფონით საუბარში დაიხარჯა. ქეთი ძალიან ხშირად ურეკავდა ჯიმს, მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონით სარგებლობისთვის, მანქანის საჭეს უნდა მისვლიყო და ასე კილომეტრი გაევილო – მხოლოდ იქ შეეძლო, დაემყარებინა თანამგზავრული კავშირი. თავის მხრივ, ჯიმი ქეთის ავტომობილს უხეზე დღეში 20-ზე მეტ ნახ, სასიყვარულო შეტყობინებას უტოვებდა.

როდესაც შეყვარებულებმა ტელეფონით საუბარში ძალიან სოლიდური თანხა დახარჯეს, მიხვდნენ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და საჩქაროდ დანიშნეს ქორწილის დღე.

წყვილის იმდენად ემინოდა ბოროტი თვალის, რომ მეგობრებისა და ნათესავებისთვის გაგზავნილ მოსაწვევებში სპეციალურად ქორწილის არასწორი დრო აღნიშნეს. ვინც დაურეკავდა, ნამდვილ დროს აცნობდნენ ხოლმე. მხოლოდ ჯვრისწერის წინ, როცა ნათელი გახდა, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ტელეფონს მიუხსდნენ და დანარჩენებსაც ამცნეს ქორწილის თარიღი.

ქეთიმ ბავშვის გაჩენა არ გადადო, მას და ჯიმს ძალიან უნდოდათ შვილი და ქეთის სამსახიობო კარიერაზე არც უფიქრია. ამჟამად მშობლები თვითონ უვლიან პატარას. სექტემბერში ქეთი თავისი საპროდიუსერო პროექტის – ემილი ზოლას რომანის მიხედვით შექმნილ „ტერეზა რაკენის“ გადაღებას იწყებს და ალბათ ბავშვის მოსაველეად ძიძას აიყვანს.

ქეთი ამბობს, რომ ქმარსა და შვილზე ძვირფასი მისთვის არაფერი არის, მაგრამ სამსახიობო კარიერის გარეშე ვერ გაძლებს, რადგან ეს მას გენში აქვს გამჯდარი.

ქეთი თავის ოჯახში მესამე თაობის მსახიობია. მის ბებიას და ბაბუას ბრიტანეთის პროვინციულ ქალაქ რედინგში 60 ადგილიანი პატარა თეატრი ჰქონდათ. მამა – როჯერ უინსლუტი კულისებს მიღმა გაიზარდა და მშობლებთან ერთად გასტროლებზე დადიოდა. პროფესიის არჩევანზე როჯერსაც არ უფიქრია დიდხანს. მისი ადგილი სცენაზე იყო. მისი სამივე ქალიშვილიც – ანა, ქეთი და ბეტი – მსახიობი გახდა. სამსახიობო დინასტიის გაგრ-



ძელებს აპირებს მათი უმცროსი ძმა – ჯოსიფ. ქეთისგან განსხვავებით, მისმა მამამ და დებმა დიდების მწვერვალს ვერ მიაღწიეს, თუმცა, ახლახან ქეთის დამ – ბეტიმ, თმა წითურად შეიღება და „ტიტანიკის“ გმირის ისე დაემსგავსა, რომ ახლა მუდმივად ერევათ თავის სახელგანთქმულ დაიკოში. ქეთი ამის პასუხად მხოლოდ იცინის: „სანამ ბეტს ჩემი თავგანისმცემლები გასაქანს არ აძლევენ და ავტოგრაფს სთხოვენ, მე წყნარად ვუვლი მათ გვერდს, მალაზიაში შევდივარ და არაფერი მიშლის ხელს სასურველი ნივთების ყიდვაში“.

ახალ ნაშრომში „მარკიზ დე სადის კალამი“, ქეთი ფილმის მთავარი გმირზე შეყვარებულ, სულიერად ავადმყოფთა თავმჯდომარის მოსამსახურეს, მაღლენს ასახიერებს. ცნობილია, რომ ეს გოგონა მარკიზს თავისი სკანდალური პროზის გამოქვეყნებაში დაეხმარა.

ქეთი დე სადის ნაწარმოებებს არ იცნობდა. როცა როლზე მიწვევა მიიღო, ცნობილი ნაწარმოები „უესტინა“ წაიკითხა და საზიზღარ პორნოგრაფიად მოეჩვენა, მაგრამ სცენარი ძალიან მოეწონა და გადაღებაზე თანხმობა განაცხადა.

თვით მის განსახიერებულ მაღლენ ლეკლერკზე ბევრი რამ არ არის ცნობილი, მისი პორტრეტიც კი არ არის შემონახული, ამიტომ ქეთიმ ის თავიდან შექმნა. „მე მიყვარს ფანტაზიორობა და ჩემი გმირების ბიოგრაფიის გაზრცობა“ – აღნიშნავს მსახიობი.



ქეთის ქმარი – ჯიმი რევისორის ასისტენტი აღარ არის. ის უკვე დამოუკიდებლად იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმებს ტელევიზიისთვის, თუმცა ჯერჯერობით მათში გადასაღებად ცოლს არ იწვევს.

არაოფიციალური მონაცემებით, „ტიტანიკი“ მონაწილეობამ უინსლუტი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს მსახიობ ქალად აქცია, მაგრამ მას ეს არ ეტყობა: ქეთი მოკრძალებულად იცვამს, უყვარს შავი ტყავის შარვალი და ქურთუკი. ძალიან ბევრ სიგარეტს ეწევა, თუმცა შვილის გაჩენის შემდეგ ძლიერი თამბაქო უფრო მსუბუქ ქალებსთვის განკუთვნილ სიგარეტზე გაცვალა. მისი სიმდიდრის რეალური მაჩვენებელი ორი სახლია: ერთი, რომელიც მსახიობმა 300 ათას დოლარად შეიძინა, კორნუოლში მდებარეობს, ხოლო მეორე – 375 ათას დოლარიანი – ლონდონში, მდინარე ტემზის სანაპიროზე.





უძილობა დაკარგული სსოვრების ლოგიკური შედეგი

„ძალი იმინჯელით ხელისუფლებზე დაჯიჯება და მამინჯე ვაჟ-მინჯება, მაგამც ყი მის დაქრმას შეეცდები“.

ალექსანდრე ვეინი, ვეგეტოლოგი და სომნოლოგი

მეღვა ბოგსაძე

უძილობის სინდრომი იყო და რჩება ერთ-ერთ ყველაზე დისკომფორტულ პრობლემად, რომელიც, ძირითადად, ცივილიზაციის ცენტრებს – დიდ ქალაქებს ეტანება. ხშირ შემთხვევაში, ძილის დარღვევის ხსენებული ფორმა ნევროლოგიური ბუნებისაა, ხოლო ურბანიზებული გარემო, თავისი დაძაბული რიტმით, პირველ რიგში, სწორედ ნევრულ სისტემას აზიანებს.

უძილობა, უფრო სუსტი თუ ძლიერი გამოვლინებით, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. სამწუხაროდ, ადამიანი ხშირად, ექიმს მხოლოდ მაშინ აკითხავს, როდესაც პროცესი უკვე შორს არის წასული და, შესაბამისად, განკურნებას მეტი ძალისხმევა სჭირდება.

რამაზ აბელაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნევროპათოლოგი:

– უძილობა, ანდა ინსომნია, ერთ-ერთი ხშირი ჩივილია ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში. მოზრდილი მოსახლეობის, დაახლოებით 1/3 განიცდის უძილობასთან დაკავშირებულ ნაწილობრივ ან მუდმივ სიმნელებებს. თვითონ ტერმინი – „უძილობა“, სრულად ვერ გამოხატავს ამ დისკომფორტული ფენომენის ბუნებას. ხანგრძლივი დაკვირვებების

შედეგად დადგინდა, რომ სრული უძილობა, როგორც ასეთი, არ არსებობს. იგულისხმება, რომ ადამიანი ახერხებს გარკვეული ხნით ჩაძინებას, მაგრამ საწოლში ხანგრძლივი წრიალის შემდეგ; ანდა თუ იძინებს, ძალზე მცირე ხნით, ძილი ფხიზელი და წყვეტილია – ხშირ-ხშირად ეღვიძება. ცხადია, ორგანიზმი ვერ ახერხებს ენერჯის აღდგენას და ადამიანს დილით გამოფიტულს, დაქანცულს ეღვიძება. ისეთი განცდა აქვს, თითქოს საერთოდაც არ უძინია, რაც ემოციური აშლილობისა და შფოთიანობის მიზეზად იქცევა. ეს უარესად ამძაფრებს მდგომარეობას. ადამიანი შიშით ელოდება დადამებას, წუხს, რომ ვერ დაიძინებს. ასეთ დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოთერაპიას. პაციენტი უნდა დაეხმებოდეთ, დავარწმუნოთ, რომ არ გადაიქცეს „ძილის დამჭერად“.

უძილობის მიზეზები ფსიქიკურ, ნევროლოგიურ და სომატურ დაავადებებთან არის დაკავშირებული. ნევროლოგიური დაავადებებიდან, უძილობას განაპირობებს, მაგალითად, პარკინსონიზმი, ძილთან დაკავშირებული ეპილეფსია, ნევროზი და სხვა. სომატური დაავადებებიდან – სტენოკარდია, ასთმა, ფილტვების ქრონიკული დაავადებები და სხვა. უძილობას ასევე ხშირად

იწვევს სიტუაციით განპირობებული შფოთიანობა და შიშები.

საინტერესო მომენტია, რომ უძილობა ქალებს უფრო ხშირად ეუფლება და ამას თავისი ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს: ქალის ნერვული სისტემა უფრო არამდგრადია. სუსტ სქესში ემოციური საწყისი სჭარბობს, ამიტომ, სტრესის შემთხვევაში, უფრო ადვილად კარგავს წონასწორობას და, იმავე მიზეზით, უჭირს თავის ხელში აყვანა. თუ გამაღიზიანებელი ფაქტორი განაგრძობს ზემოქმედებას, ქალი უარყოფითი ემოციების ტყვეობაში ექცევა და თანდათან ყალიბდება მეტ-ნაკლები სიძლიერის ნევროზი, ხოლო მის ნიადაგზე – უძილობა. ამიტომ, თუ გვინდა, რომ პაციენტი უძილობისგან განვკურნოთ, პირველ რიგში, უნდა მივხედოთ მის მიზეზს – ნევროზს.

მამაკაცის ნერვული და ფსიქიკური სტრუქტურა, შედარებით, მდგრადია, ამდენად, ნევროზი უფრო ძნელად ვითარდება.

გამოჯანსაღების ეფექტი, ძირითადად დამოკიდებულია სოციალურ სიტუაციაზე – თუ ეშველება გამაღიზიანებელს, ეშველება ნევროზს და ე.ი. უძილობას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალური კრიზისის პირობებში, ნევროზების რიცხვი მატულობს და, პარალელურად, მატულობს უძილობაზე ჩივილები. აღსანიშნავია, რომ, დღესდღეობით, უძილობის შემთხვევები ათჯერ და მეტჯერ გახშირდა – ეს სწორედ სოციალური კრიზისით აიხსნება.

როგორც ვხედავთ, დღევანდელ ქართულ საზოგადოებას თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ძილგატეხილთა საზოგადოება“. სტრესოგენული სიტუაცია განაპირობებს უძილებს ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომელიც აისახება ფსიქიკური დარღვევების გავრცელების დინამიკაზე. ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1995-1998 წლებში, მამაკაცები ამ მაჩვენებლით თითქმის ორჯერ უსწრებდნენ ქალებს – რაც, ერთი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება ბატონი რამაზის მოსაზრებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ადვილად აიხსნება ქალის სტაიერული ბუნებით: სუსტი სქესი ვერ უძლებს ძიერ, ხანმოკლე სტრესს, მაგრამ ხანგრძლივი სტრესის მიმართ ადაპტაციის მეტ უნარს ამჟღავნებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, რომ

ძილის გატეხა მხოლოდ წყალს ზემოთა წვერია აისხერვისა, რომელსაც, შეიძლება, უძილობის სინდრომი ვუწოდოთ. მას ახლავს თავის ტკივილი, მოთენთილობა, გაღიზიანებადობა, შიშები და ა.შ. თუ ყოველივე ეს, რაიმე დაავადების ფონზე მიმდინარეობს, ცხადია, მკურნალობაც კომპლექსური დასჭირდება.

ჩვენი სინამდვილე მოქალაქეს სწორედ კომპლექსურად აზარალებს; იგულისხმება – არასწორი, მწირი კვება, სოციალური სიძნელები და, ამ ფონზე, პირადი პრობლემების მოუგვარებლობა. ამდენად, ნოციერი ნიადაგია შექმნილი იმისთვის, რომ ადამიანს უძილობის სინდრომი, ზემოსხენებული სამივე მიზეზის ფონზე ჩამოუყალიბდეს. იგულისხმება, თუნდაც, სტენოკარდია, ნევროზი, მომავლის ურწმუნობით განპირობებული შიშები. სწორედ ასეთ პირობებში ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა აუტოტრენინგს – თვითრეგულაციას. მკურნალობა მაშინ გამოიღებს მყარ შედეგს, თუ ავადმყოფი ექიმს განკურნებისადმი შინაგანი სწრაფვით თვითონვე დაეხმარება.

რამამ აბელაშვილი:

– უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია უძილობის მიზეზის დადგენა და უშუალოდ ამ მიზეზის აღმოფხვრისათვის მუშაობა. მკურნალობა, ძირითადად,

ოთხი სახისაა: მედიკამენტოზური, ფსიქოთერაპიული, აგრეთვე ვარჯიშები და ნემსრეფლექსოთერაპია. თუ უძილობა ნევროგენურია, მედიკამენტოზური მკურნალობისას გამოიყენება როგორც ზოგადი დამაწყნარებლები (ელენიუმი, სიბაზონი), ასევე, საკუთრივ, საძილე საშუალებები. პარალელურად, სომატური დარღვევების შემთხვევაში, ამ მიმართულებითაც უნდა ჩატარდეს მკურნალობა.

სიძვირე ბევრ მოქალაქეს უძნელებს ექიმთან ვიზიტს და მკურნალობის დაწყებას. ასეთ სიტუაციაში, დიდ სამსახურს გაგვიწევს ხალხური მედიცინის უნიკალური რეცეპტები და მეთოდები. ვთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

თუ უძილობა გამოწვეულია თავის არეში სისხლის მოწოლით, სასარგებლოა წვივებზე გახეხილი პირშუშხას ან მდგოვის საფენების გაკეთება. იმავდროულად, დალიეთ ერთი ჭიქა მჟავე კიტრის წყლისა და ერთი სუფრის კოვზი თაფლის ნარევი.

იმავე სიტუაციაში სასარგებლოა კისერსა და კეფაზე წურბლების დასმა. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა ჩასუქებული ადამიანებისთვის. პარალელურად ხუთი წუთის განმავლობაში ჩადექით მუხლამდე თბილ წყალში.

ძილის წინ მიირთვით ცოტაოდენი ხახვი.

დილით, შუადღეზე და ძილის წინ, შუბლზე ცოტა ხნით დაიდეთ პურის, წვრილად დაჭრილი კიტრის ან კიტრის მწნილის, მჟავე რძის და თიხის ნარევი.

ამ მეთოდებს ჩვენი ბებიები იყენებდნენ და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ძველ ხალხს ალლო, თითქმის არასოდეს ღალატობდა.



ნევროზით გამოწვეული უძილობის დროს სასარგებლოა შემდეგი მცენარეული რეცეპტები

1. პიტნა (ფოთლები) – 30,0 გრამი კატაბალახა (ძირები) – 40,0 გ. შროშანა (ყვავილები) – 10,0 გ. დიდი კამა (ნაყოფი) – 20,0 გ. მიღების წესი: 1/4 ჭიქა 2-ჯერ დღეში, 2-4 კვირის განმავლობაში.

2. პიტნა (ფოთლები) – 30,0 გრამი შავბალახა (ბალახი) – 30,0 გ. კატაბალახა (ძირები) – 20,0 გ. სვია (გირჩები) – 20,0 გ. მიღების წესი: 1/2 ჭიქა ნაყენი 3-ჯერ დღეში – ნერვიული გაღიზიანების დროს.

3. კატაბალახა (ძირები) – 25,0 გრამი შავბალახა (ბალახი) – 25,0 გ. ძირა (ნაყოფი) – 25,0 გ. დიდი კამა (ნაყოფი) – 25,0 გ. მიღების წესი: 1/2 ჭიქა ნაყენი 3-ჯერ დღეში – ნერვიული აღგ-

ზნების, გულის ფრიალის დროს.

4. კატაბალახა (ძირები) – 30,0 გრამი შავბალახა (ფოთლები) – 30,0 გ. მელისკუდა (ბალახი) – 20,0 გ. ცერეცო (ნაყოფი) – 20,0 გ. 1/3-1/4 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში – ნევროზების, გულის არეში ტკივილის დროს.

ნაერთი ნაყენის დამზადების წესი: თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი

ნარევის საერთო მასაა 100 გ. აიღეთ 10 გ (1-2 სუფრის კოვზი) ნარევი, ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ მღუღარე წყალი, დაახურეთ სახურავი და მოათავსეთ მღუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ-ით. შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ ოთახის ტემპერატურამდე, გადაწურეთ და 200 მლ-მდე შეავსეთ მღუღარე წყლით. ყველა ეს მცენარე აფთიაქებში იყიდება.

– დაწოლის წინ:

1. ერთ ჭიქა ცხელ წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი თაფლი, შეაგრილეთ ოთახის ტემპერატურამდე და დალიეთ.
2. მიიღეთ 1 ჭიქა თბილი რძე.
3. მიიღეთ ნახევარი სუფრის კოვზი თაფლისა და ნახევარი სუფრის კოვზი ლიმონის წვენის ნარევი ცხელ ჩაისთან ერთად.
4. მღუღარე წყალში გახსენით 2 სუფრის კოვზი ჟოლოს მურაბა, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი თაფლი და დალიეთ.

1692 წლის კუდიანების წინააღმდეგ შემდგარი ცნობილი სეილემური პროცესის შესახებ ასობით რომანი და სოლიდური მონოგრაფია დაიწერა, უამრავი პიესა და ფილმი დაიდგა. საკმაოდ დიდია იმ ვერსიათა რიცხვიც, რომლებიც ხსნიან XVII საუკუნის დამდეგის ამერიკულ ქალაქში გამძვინვარებულ შავ-ბნელ კამპანიას, მაგრამ სულ ახლახან გაჩნდა კუდიანებზე ნადირობის ფენომენის ახლებური, სოციალურ-ეკონომიკური ახსნა.



კუდიანებზე ნადირობა

gonebrivma interesebma gamoiwvia

კუდიანები დაფრინავენ

ძველმა სამყარომ, კუდიანებისადმი ინტერესი სამრეწველო რევოლუციის საუკუნის დამდეგისათვის თითქმის დაკარგა. ამერიკაში კი, განსაკუთრებით პურიტანებით დასახლებული ახალი ინგლისის კოლონიაში, სადაც ქალაქი სეილემი მდებარეობს, ადამიანის მოდემის მტრის მსახურებს, პირიქით, მეტისმეტად სერიოზულადაც კი ეკიდებოდნენ.

ახალმოსახლეთა ცხოვრება ძალზე მძიმე იყო. მკაცრი პირობების გამო, განსაკუთრებით იზაგრებოდნენ ბავშვები – მათ არ ჰყოფნიდათ სათამაშოები, ზღაპრები, საჩუქრები... ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ ნაპერწყმად, რომლისგანაც ქალაქში კუდიანობის ალი აინთო, სწორედ ბავშვური ფანტაზია იქცა.

1692 წლის დასაწყისში ადგილობრივი პასტორის სემუელ პერისის სახლში უცნაური ამბები დაიწყო. პერისის 9 წლის

ქალიშვილი და ნათესავი გოგონა ხან აპათიაში ვარდებოდნენ, ხან იკრუნჩხებოდნენ, სისულელეებს გაიბახოდნენ და უაზროდ ხარხარებდნენ. ამ სიცილს ადგილობრივმა ექიმმა მაშინვე „ემმაკისეული“ უწოდა.

დღეს მისი კოლეგები ყოველივე ამას ტიპურ მოზარდულ ისტერიას (დათრგუნვილი სურვილებისგან გაჩენილი ნევროზი, ყურადღების მიქცევის მცდელობა და ა.შ.) არქმევენ. მაგრამ იმ შორეულ ხანაში კი, არ უნდა გასჭირვებოდათ ერთი გარემოების დაფიქსირება. გულყრების დაწყებამდე ყმაწვილ ქალებს ხელში ჩაუვარდათ ცნობილი ბოსტონელი ღვთისმეტყველის, კოტონ მეზერის წიგნი, რომელიც ეძღვნებოდა კუდიანობას ახალ ინგლისში. წელიწადიც არ გაუა და სეილემელები მეზერს კიდევ გაისვენებენ.

მაღე უცნაური სენი შეეყარა გოგონების ერთ-ერთ მეგობარს და მამინ, საქმეში, თავის-და საუბედურიოდ, პერისის მსახური ზანგი ქალი ტიტუბა ჩაერია. მან, სავსებით კეთილი განზრახვით, იმეორებდა, რომ გაერკვია, ხომ არ იყო ეს ყველაფერი ემმაკისეული ხრიკები. მაგრამ მკითხაობის შესახებ მეზობლებმა, შემდეგ კი თავად პასტორმაც შეიტყო. მან სახლის ბინადართ დაკითხვა მოუწყო, რომელზეც პერისის ერთ-ერთ ქალიშვილს საბედისწერო სიტყვები წამოსცდა: „ყველაფერში ტიტუბაა დამნაშავე!“

ზანგი მსახური ციხეში გაამწყესეს. მისი ბედი გაიზიარა სეილემის კიდევ ორმა მცხოვრებმა – ქალაქის მთხოვარმა, რომლის სახელიც ისტორიამ არ შემოგვინახა და საკმაოდ პატიოსანმა ფერმერმა ქალმა სარა ოსბორნმა. მათზე, პასტორის ნათესავმა ქალიშვილმა მოუთითა მორიგი შეტყვის დროს. ამ დროისათვის 13-დან 16 წლამდე სეილე-

მელ ყმაწვილ ქალთა უმრავლესობა სამინე-ლი კრუნჩხვებით იტანჯებოდა. ქალაქის მკვიდრნი გვარიანად შემინდნენ, მაგრამ ზოგიერთი საღად მოაზროვნის რჩევა – თავგასული გოგონები კარგად გაეწყობათ და მათი სულელური ცილისწამებები დაევიწყებინათ – სეილემელებმა, სამწუხაროდ, ყურად არ იღეს.

შერიფმა კორვინმა და მოსამართლე გორტონმა ჯაფოქრობაზე შექმნილი შრომები შეისწავლეს, ბოსტონელ ავტორიტეტებს (მათ შორის თავად მეზერს) გაესაუბრნენ და გადაწყვიტეს, რომ სეილემში სატანა მოქმედებდა. ჩვეულებრივ, როცა ავსულებზე ნადირობა ცხადდება, დამამტკიცებელ საბუთად ნებისმიერი უსაფუძვლო ბრალდება შეიძლება ჩაითვალოს. აგრეთვე, მსჯავრდებულთა „ნებაყოფლობითი“ – სინამდვილეში, წამებით მიღწეული აღიარება.

ვერც მოსულელი მათხოვარმა და ვერც ენაწყლიანმა ფერმერმა ქალმა ვერ შეძლეს, მოსამართლეები თავიანთ უდანამჯულობაში დაერწმუნებინათ. მეტიც, ბრალდებულთა უარზე ღვიმამ გორტონს უფრო განუმტკიცა აზრი, რომ საქმე ადამიანთა მოდემის მტრის ოინებს ეხებოდა...

სამაგიეროდ, შემინებულმა ტიტუბამ აღიარა ისიც, რომ ცოცხზე შემოძვდარი, კუდიანთა თავყრილობებზე დაფრინავდა და ისიც, რომ უმანკო სულებს მასხრად ივდებდა.

ერთი სიტყვით, გაიძვრა ყველაფერი, რაც ხატოვნად იყო აღწერილი დემონურ ლიტერატურაში. ტიტუბას ალბათ უნდა ეცადა, გამოეპარავებინა ტყუილებში შეტოპილი გოგონები, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი უკვე მათ სასარგებლოდ ჩამოყალიბდა და „ცილისწამება“ უფრო მეტად დაამძიმებდა შავკა-



ნანი მოსამსახურის ისედაც არასახარბიელო მდგომარეობას.

მოკლედ, მან მსგავსი სიტუაციებისათვის დამახასიათებელი ნაბიჯი გადადგა – „გამოძიებასთან თანამშრომლობა“ გადაწყვიტა. რაც გამოიხატებოდა არარსებული თანამშრომლების დასახელებასა და მათი ბინძური ქმედებების აღწერაში. სწორედ ტიტუბამ ახსენა პირველად „მაღალი არაადგილობრივი მამაკაცი“, რომელიც სეილემზე ემშაკეულ თავდასხმას ხელმძღვანელობდა. ეს მამაკაცი შემდგომში კიდევ გამოჩნდება ამ ამავში.

მოსამართლე გორტონი დარწმუნდა, სამი კუდიანის ბრალულობაში. ისინი ციხეში დააბრუნა და მზად იყო, მკაცრი განაჩენი გამოეტანა. შესაძლოა, საბრალო ქალები მაშინვე რომ დაესაჯათ, სეილემელები გამოფხიზლებულიყვნენ და ტრაგიკულ მოვლენებს ფართო მასშტაბი არ მიეღო, მაგრამ საქმე რატომღაც გაკვირვდა.

იმყამად კოლონია ახალ გუბერნატორს ელოდა, რომელსაც ახალი მოსამართლეები უნდა დაენიშნა. მართლმსაჯულების აღსრულება შეეფერხდა, სამაგიეროდ, „ჯადოქრობის მსხვერპლნი“ გმირებდნენ იქნენ და საბოლოოდ გათავებდნენ. ყველა მათი გამოხდომა აღამიანთა მოდემის მტრის ძიებას მიეწერებოდა – მათ შეეძლოთ სულიერობა, ბილწისიტყვაობა, უფროსებთან უხეშობა...

აი, ერთი მაგალითი: ვინმე მარტა კორიძე ქმარი პირველი სამი ავსულის დაკითხვაზე არ გაუშვა – არ არის საჭირო, ყოველგვარ სისულელეს უსმინო. მისმა სიტყვებმა გოგონების ყურადღე მიადგინა და სიტყვას საქმე მოჰყვა: მათ იმთავითვე განაცხადეს, რომ აწვალბდათ მოჩვენება, რომელსაც მარტა კორის სახე ჰქონდა. მისის კორი მაშინვე ციხეში მიაბრძანეს. ამასთან, ტიტუბამ დაასახელა „უწმინდური ძალის კიდევ რამდენიმე „წარმომადგენელი“. შედეგს არ დაუყოვნებია.

ჯადოქრებზე ნადირობას, ბუნებრივია, თან სდევდა აურაცხელი ცილისწამებები. სეილემელები შიშმა შეიპყრო. ნიშანდობლივია, რომ პირველი სამი ავსულის შეწყვლების პეტციას ხელს აწერდა ასზე მეტი ადამიანი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სეილემში ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული ქალი, რებეკა ნერსი დააპატიმრეს, მის დასაცავად გამოხდოდა ორჯერ ნაკლებმა ადამიანმა გაბედა. მოგვიანებით კი, რამდენიმე თვის მანძილზე ქალაქის მცხოვრებლები ბრალდების წერილების გარდა, ხელს აღარაფერზე აწერდნენ.

კუდიანთა თავყრილობა

„მთავარი პროცესი“ ახლოვდებოდა – შესაბამისად, მთავარი ბრალდებულიც შეირჩა. დაადგინეს, რომ სეილემური თემობის ორგანიზატორი „მაღალი არაადგილობრივი მამაკაცი“ ყოფილი ადგილობრივი პასტორი ბეროუზი უნდა ყოფილიყო. ამჟამინდელი

პასტორი სემუელ პერისი მრევლში პოპულარობით არ სარგებლობდა, შუერის თვალთი უყურებდა თავის წინამორბედს და მას ცუდად მოიხსენიებდა. ასე რომ, ერთ-ერთი დამბეზლებელი გოგონასთვის ძნელი მისახვედრი არ ყოფილა, თუ ვინ უნდა დაესახელებინა მორიგ დამნაშავედ.

რადგანაც ორგანიზატორი მოიძებნა, ე.ი. დანაშაულებრივი ორგანიზაციაც არსებობდა. პერისის თანამშრომლების მისახვედრი კითხვების საშუალებით, გოგონები ქალებიდან შეძლებული ოჯახების მამებზე გადაერთვნენ. ბეროუზის თანამშრომელთა საიამო მოხდენენ უძრავი ქონების, გემებისა და ნავსადგურის მფლობელი ფილიპ ინგლიში, გადამდგარი ოფიცერი ჯონ ოლდენი და სასამართლოს ერთ-ერთი მოხელე, რომელმაც „დანაშაული“ აღიარა, შემდეგ კი სეილემიდან გაქცევა სცადა.


მთავარი პროცესი მაისში დაიწყო. იმ დროისათვის სეილემის საქმის შესახებ მთელი ახალი ინგლისი ლაპარაკობდა. მაგრამ ახალდანიშნულ გუბერნატორს ჯადოქრებისთვის არ სცხვოდა, მას სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და ავსულების საქმის განხილვა მთლიანად გადააბრა მოსამართლეთა სამუელს, რომელსაც სათავეში თავისი მოადგილე სტაფუტონი ჩაუყენა. თუმცა, საქმის განხილვა მხოლოდ პროცესის დასაწყად ხდებოდა – შედეგი იმთავითვე ყველასთვის ცნობილი იყო.

19 ივლისს, ოთხი ჯადოქარი და მათი „მეთაური“ ბეროუზი უამრავი ადამიანის თვალწინ, სეილემის ახლომდებარე გორაკზე ჩამოახრჩვეს.

საზრრობელაზე ასვლის წინ ბეროუზმა ხმამაღლა, ყველას გასაგონად ლოცვა წარმოთქვა. XVII საუკუნის მიწურულს კი ნებისმიერმა ბავშვმა იცოდა, რომ ეშმაკით შეპყრობილებს ამის გაკეთება არ შეეძლოთ.

ბრბო ყოფილი მოძღვრის გასათავისუფლებლად დაიბრა, მაგრამ, აქ, საუბურლოდ, ბოსტონიდან მოწვეული დამკვირვებელი, კოტონ მეზერი ჩაერია. ეს სწორედ ის მეზერი გახლდათ, რომლის წიგნმაც აგრერივად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სეილემელ ყმაწვილქალებზე ღვთისმეტყველის მხურვალე გამოსვლამ, რომელშიც იგი სეილემელებს ასხენებდა, რომ ანგელოზისსახიან ეშმაკზე საშიში და ვერავი არაფერია, საქმე გადაწყვიტა: ბეროუზი მაინც ჩამოახრჩვეს.

2 აგვისტოს ჩამოახრჩვეს ექვსი ადამიანი, 22 სექტემბერს – კიდევ შეიდი. წამებაში ამოხდა სული ფერმერ ჯაილს კორის, რომელ-



1692 წლის რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმი სეილემში

საც თავხედობა ეყო და ცოლის დასაცავად გამოვიდა. პროცესზე მან უარი განაცხადა მოსამართლეთა შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე და მათ, ჯერ კიდევ ძველ ინგლისში კარგად ცნობილი კანონი გაიხსენეს, რომლის მიხედვითაც ურჩ მოპასუხეს, სანამ არ ალაპარაკდებოდა, მკვლავ გირებს ადებდნენ. მამაცმა ფერმერმა მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა: „დაამატეთ სიმძიმე“. მორიგი გირი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

22 სექტემბრის აქტი უკანასკნელი აღმოჩნდა. მართალია, სეილემელ „კანონის დამცველებს“ კიდევ უამრავი საქმე ჰქონდათ: 150 ადამიანი – მათ შორის ბავშვებიც – ციხეში იჯდა, რიგში კიდევ ორასამდე კანდიდატი იყო... მაგრამ ნებისმიერი მასობრივი ისტერია, დროთა განმავლობაში სულს ღაფავს. იმავე სექტემბერში, ერთ-ერთმა დამბეზლებელმა გოგონამ ბოსტონელ მღვდელს თავისი ხილვა გაუხიარა: სიკვდილით დასჯილი ჯადოქარი გოგონას უუბნებოდა, რომ მას უსამართლოდ გაუსწორდნენ. ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის სეილემში მომხდარი ამბების წინააღმდეგ კი უკვე მთელი მასაჩუსეტსი ადგა.

შეწუხდა თავად გუბერნატორიც. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სკანდალმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. სერ ფიშმა, პირველ რიგში, მოსამართლე სტაფუტონი დაითხოვა, სასამართლოს განაჩენით (სიკვდილით დასჯის) აღსრულება შეაჩერა და დაკითხვების ოქმების გასაიდუმლოება ბრძანა. პროცესის დოკუმენტები მხოლოდ XIX საუკუნეში შეგროვდა და გამოქვეყნდა – სამი უზარმაზარი ტომი გამოვიდა.

1693 წლის იანვარში კი რეაბილიტაცია დაიწყო. ცოტა ხნით ადრე ჯადოქრების ამოცნობის მეთოდიკა შეცვალეს. ახლა მოსამართლეები ვალდებული იყვნენ, განაჩენი მხოლოდ „ნებაყოფლობითი“ (ანუ წამებით) აღიარების საფუძველზე გამოეტანათ. ამის

შემდეგ 55 ბრალდებული, რომელთაც დაიბრალეს ემპაისეულობა, ემაფოტზე ასვლის პირველი კანდიდატები გახდნენ. მაგრამ, საბედნიეროდ, მათი ჩამოხრჩობა ვეღარ მოასწრეს.

რეაბილიტაცია კი, ეკონომიკური მიზეზების გამო გაჭიანურდა. მაშინდელი კანონების მიხედვით, ხელისუფლება მხოლოდ სიკვდილმისჯილთა ციხეში ყოფნის ხარჯებს ანაზღაურებდა; მათ კი, ვინც გამართლეს, მეციხოვნეთა „მომსახურების“ ხარჯები თავად უნდა დაეფარათ. ყველა „იბლიანი“ როდი ფლობდა საჭირო თანხას.

სეილემში მომხდარ ტრაგედიაში ბრალი მხოლოდ და მხოლოდ პერისს დასდეს. პასტორს ჯამაგირი ჩამართვეს, ხოლო სამი წლის შემდეგ იგი იძულებული გახდა, ქალაქი დაეტოვებინა. პერისის მემკვიდრემ კი კუდიანებზე ნადირობის მოთავე გოგონების ზიარებაზე უარი განაცხადა, რის შედეგადაც მხოლოდ სამმა მათგანმა მოახერხა ოჯახის შექმნა.

1711 წელს დაზარალებულთა ოჯახებზე მცირედი კომპენსაციაც გაიცა და ისტორიაც დასურულად ჩაითვალა.

მაგრამ ამ ტრაგედიამ ფართო რეზონანსი მიიღო. გამოითქვა უამრავი სხვადასხვაგვარი ვერსია სეილემში მომხდარი მოვლენების შესახებ. პირველი და ყველაზე გავრცელებული ახსნა – რელიგიური ფანატიზმი, ბნელეთის მოციქულობა, – სეილემური ფენომენის მკვლევარებმა არასრულყოფილ ვერსიად მიიჩნიეს, რადგან ცნობილია ბევრი მსგავსი ამბავი, რომელიც აბსოლუტურად არარელიგიურ ქვეყნებში ხდებოდა. ასე რომ, სეილემური ფენომენის მხოლოდ XVII საუკუნის პურიტანულთა „სიბნელით“ ახსნა, აშკარად მოვლენათა გამარტივების მცდელობაა.

XX საუკუნეში გაჩნდა მრავალი ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და ფსიქოანალიტიკოსის ახალი და ზოგჯერ ძალზედ ეგზოტიკური ვერსიაც. და მხოლოდ ახლად აღმოჩინეს მატერიალური ხასიათის მოტივები.



მეცნიერ-დემონოლოგი კოტონ მეზერი

უნმინდური მამოდრავებელი ძალა

XIX საუკუნის შუა პერიოდში სეილემის მერმა ჩარლზ ეპჰემმა გამოსცა ორტომიანი გამოკვლევა, რომელიც ქალაქის „1692 წლის სირცხვილს“ ეძღვნებოდა. მის ნაშრომში მოცემული იყო ქალაქისა და მისი შემოგარენის დაწვრილებითი რუკები, კუდიანებზე ნადირობის მსხვერპლთა და დამსმენთა მისამართები. უკვე ჩვენს დროში, ამ რუკების განხილვის შემდეგ ამერიკელი სოციოლოგები

გასათვარ დასკვნებამდე მივიდნენ: სეილემური მოვლენები სრულიად განსხვავებული კუთხით წარმოჩინდა.

გაირკვა, რომ მათი არსი შემდეგში მდგომარეობდა: საზოგადოების დაბალი ფენა სდევნიდა და კანონის სახელით ანადგურებდა მაღალ ფენას და ამასთან, პრეტენზიას აცხადებდა მის საკუთრებაზე.

უბრალო ობივატელებზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა თვით სამართალდამცავები მოსამართლე გორტონის თაოსნობით, როგორც აღმოჩნდა, სასამართლო სხდომებს საშუაო დღის ძალზედ მცირე ნაწილს უთმობდნენ და ძირითადად დროს, ეჭვმიტანილთა (მაშინდელი კანონები საშუალებას იძლეოდა, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე ეჭვმიტანილისთვის ქონება ჩამოერთმიათ) ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებულ პროცედურებზე ხარჯავდნენ.

არსებობს უტყუარი საბუთები იმისა, რომ ნახევარწლიანი სეილემური პროცესების განმავლობაში მოსამართლემ, შერიფმა, ბოქაულებმა და უბრალოდ, პერისის აქტიურმა მომხრეებმა თავიანთი ქონება ერთი-ორად გაზარდეს. ხშირად ციხეში ამწესებდნენ მთელ ოჯახებს – ასე უფრო ადვილი იყო სასურველი სიმდიდრის ხელში ჩაგდება.

დამატებითი საკუთრების მუქთად მიღების სურვილის გარდა, აღმოაჩინეს სხვა,

ნაკლებად შემავლთანებელი მოტივებიც. პურიტანები ამერიკაში ერთობლივად შრომის, დასვენებისა და ერთობლივად ლოცვის სურვილით ჩავიდნენ. ამასთან, მათ საზოგადოებაში მკაცრად იყო დაცული სოციალური იერარქია: ღმერთმა ყველა მოკვდავს დაბადებისთანავე მიუჩინა ადგილი და უფრო მეტისაკენ ლტოლვა ცოცხად ითვლებოდა. მოკლედ, მოხერხებულ და აქტიურ ადამიანებს პურიტანები არ სწყალობდნენ. სალოცავ სახლებში კი პასტორები დაუღალავად ქადაგებდნენ – ეშმაკი გათუდმებით, ერთობის დაშლაზე ფიქრობსო.


აღმოჩნდა, რომ ეშმაკს იმ დროს ჰქონდა სავსებით კონკრეტული განსახიერება – კაპიტალისტური ურთიერთობები და სწორედ ამას გამოუცხადეს ომი სეილემში. ისინი, ვისაც პერისი და „ზნეობის“ სხვა დამცველები სდევნიდნენ, უმეტესად ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. იქ მიწაც უკეთესი იყო და, შესაბამისად, მეურნეობაც გაცილებით ძლიერი (იმ დროის სეილემი დიდ სოფელს წარმოადგენდა). ამასთან, აღმოსავლეთ სეილემელები, სამხრეთელებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ მიწათმოქმედებას მისდევდნენ, აქტიურად ეწეოდნენ ვაჭრობას და „საქალაქო“ მეწარმეობას. რა თქმა უნდა, სამხრეთელებს, რბილად რომ ვთქვათ, არ უყვარდათ თავისუფლად მოაზროვნე და მოხერხებული „ეშმაკის მოციქულები“.

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ „ფემინისტური“ ასპექტიც: კუდიანებზე ნადირობის მსხვერპლნი უმთავრესად, ქალები იყვნენ – რა დაუშავა ამის ფასი მამაკაცებს სუსტმა სქესმა? აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სწორედ მასაჩუსეტსში და სწორედ XVII საუკუნის ბოლოსათვის დაიწყო აქტიური ემანსიპაცია: ქალები ვაჭრობდნენ, დიასახლისობდნენ დიდ ფერმებში და ყოველივეს ერთად უმკლავდებოდნენ – ანუ მამაკაცთა უპირატესობას ეჭვქვეშ აყენებდნენ, რასაც პურიტანები მეტისმეტად მტკივნეულად აღიქვამდნენ.

ამრიგად, სეილემურ მოვლენებს არა რელიგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური სარჩული უფრო ელი.

დღევანდელ სეილემში, ოდესღაც მომხდარ ტრაგედიას მხოლოდ კუდიანებზე ნადირობის საქალაქო მუზეუმში და ბოსტონიდან მიმავალ ტრასაზე მდებარე საგზაო ნიშანი მოგავონებთ. საგზაო ნიშანს, ცოცხზე შემჯდარი კუდიანის სტილიზე-ბული გამოსახულება ამშვენებს, მიმართულების მაჩვენებელ ისარს კი აწერია: „ისტორიული პროცესის ადგილამდე – 10 მილია“.






მუსიკის ღამწერი	გერმანელი პოეტი	ზოლიაკოს ნიშანი	გრამა- ტიკის ნაწილი	თმის საღებავი	კელლის ნათურა
ზღვის სედი სურათი	გზის გამკვლევი რაიმე დარგში	კილონის „კაპი- ტანი“	ნაცია	მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფეხბურთში	მზის ღმერთი (ეგვიპტე)
VI-ის მონასტერი საგურამო- სთან	საქალაქო ტრანს- პორტი	უცნობი სიდიდის ალმნიშენე- ლი ასო	ცეცხლის ენა	იაპონური ფულის ერთეული	„A“ კლასის ქართული სივარეტი

გერმანიის მთავარი მეტალურგ რაიონი	კუზიანი ხარი	ზორცის წვ. ნაჭრები ცხარე სოუსში	საჭმელი სოკო	მომღერა- ლი ... ტერნერი
იაპონური ავტომობ. იაპონური ჭიდაობა	ორსაფე- ხურიანი ინტერუალი მუსიკაში	„მიმინო“ (გვარი)	პაი ქართულად ამინდი	რკინა ჩლიქზე
წვალზე გადასადე- ილებელი სამუალება	პოლო- ნური ცეკვა	კუროსა- ვას ფილმი	უზენაესი ღმერთი ძველ ეგვიპტეში	ქართული სამარკო ღვინი
წინდი მევალი- სათვის	იუპი- ტერის მეუღლე	ანტილოპა	სარკმელი თავდაცვით ნაგებობაში	ესპანელი ფერმწერი

7-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-ბ.
29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-ბ.

კვირის (26 მარტი - 1 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

პირი - 21/III-20/IV



ეცადეთ, დაბადების დღემდე ვალეები გაისტუმროთ და ყველა ვალდებულება შეასრულოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წლის მანძილზე ძველი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. უარს ნუ იტყვით ახლო მეგობრის დახმარებაზე.

კურო - 21/IV-21/V



თქვენს თავზე აიღეთ კოლექტივიში ურთიერთობების დარეგულირება. ამ კვირაში აუცილებლად გამოავლინეთ საქმისადმი ერთგულება და ხელმძღვანელობა თავდადებასა და შრომისმოყვარეობას დაგიფასებთ. მოერიდეთ საიდუმლო, სასიყვარულო ურთიერთობებს, თორემ ყოველივე გამოჟღავნდება და უსიამოვნებას ან აცდებთ.

მარცხი - 22/V-21/VI




აქტიურობა და თავდაჯერებულობა თქვენი კარიერის წინსვლის საწინდარია: ოღონდ, გახსოვდეთ, ეს დაწინაურება კეთილსინდისიერი შრომის ხარჯზე უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდება.

ბირთვი - 22/VI-22/VII



დროა, ინიციატივა გამოიჩინოთ და შეფს განსახილველად რიგი რაციონალიზატორული წინადადებებისა შესთავაზოთ. უარს ნუ იტყვით მივლინებაზე, რაც არ უნდა მოსაწყენად და არაფრისმომტანად გესახებოდეთ ის - რადგან სწორედ ამგვარი მოგზაურობიდან დაბრუნებისას, ყველაზე მკაცრი ხელმძღვანელიც კი დაგაფასებთ.

ლომი - 23/VII-23/VIII



თქვენთვის ძალზედ არატრადიციული მეთოდით შეძლებთ ფულის შოვნას. ახალი გამოცდილება მომავალშიც გამოვალდებათ. ყურადღებით შეისწავლეთ თქვენი თავყანისცემის ობიექტი, რადგან დროა გადაწყვიტოთ, თუ რა მიმართულებით უნდა განავითაროთ მასთან ურთიერთობა.

ქალწული - 24/VIII-23/IX



მაღლიერების გრძნობის გამო, თქვენს ცხოვრებისეულ პრინციპებს ნუ უღალატებთ. ეცადეთ, შეინარჩუნოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ოჯახური პრობლემების მოგვარება მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით - გინდ „დეკორაციები“ შეცვალოთ, გინდ - „მოქმედი პირები“.

სასწორი - 24/IX-23/X



თქვენი სურვილი, ყველა გაჭირვებულს დაეხმაროთ, ნამდვილად მისასაღმებელია, მაგრამ საკუთარ თავსაც ნუ დაივიწყებთ. არავინ იზრუნებს თქვენზე ისე, როგორც ეს თავად გასურთ. სამშაბათისთვის ნურაფერს დაგეგმავთ, რადგან, შესაძლოა, ამ დღეს მნიშვნელოვანი და სასიამოვნო მოხდეს.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



მთავარია, ყურადღება არ მოაღწიოთ, თორემ, შესაძლოა, ყველაფერი დაკარგოთ. თუკი მუშაობის ტემპს არ შეანელებთ, კვირის ბოლოსთვის სასურველ შედეგს მიაღწევთ. ფრთხილად იყავით, დაბაბულმა მუშაობამ ხელი არ შეუშალოს თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას.

მეზოლდოსანი - 23/XI-21/XII



თუკი საოჯახო საქმეები მოსვენებას არ გაძლევთ, შეეცადეთ გაარკვიოთ, ვინ არის დამნაშავე და რა უნდა გაკეთდეს პრობლემის მოსაგვარებლად. რაც მთავარია, ნურავის ჩაახედებთ თქვენს საშინაო საქმეებში და შაბათისთვის ყველა უთანხმოებას ბოლო მოეღებ.

თხის რქა - 22/XII-20/I



ეს კვირა ახალი ურთიერთობების დამყარებას დაუთმეთ. მთელი თვე, შესაძლოა - მთელი წელიც, სწორედ ახალ ნაცნობებთან მოგიწევთ მუშაობა. მოგზაურობა და სატელეფონო საუბრები უამრავ დროს წაგართმევთ, მაგრამ ეს გარდაუვალია. ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა ხუთშაბათს ან კვირას გელით.

მერწყული - 21/I-19/II



იმისათვის, რომ კვლავ მიიქციოთ გარემომყოფთა ყურადღება, გარეგნობა და იმიჯი უნდა შეიცვალოთ. გაიხილეთ მალაზიებში და შეიძინეთ ახალი ნივთები. თუ ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, ვალის აღებასაც ნუ მოერიდებით - თვის ბოლოსათვის ჯიბეც სქელი გექნებათ და სარკეში ჩახედვაც სიამოვნებას მოგვკრით.

თევზები - 20/II-20/III



თქვენში მიმდინარე ცვლილებები, ცოტა არ იყოს, გაღელვებთ. დისკომფორტის დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ოთხშაბათი დღე თქვენთვის სასიამოვნო გარემოში გაატარეთ. კარგი განწყობა დაგებრუნდებათ, თუ სპორტულ დარბაზში, აუზსა ან საუნაში წახვალთ.

რაგონად დაგვირგვინო ადამიანი ხართ

კარგი დაკვირვების უნარის მქონე ადამიანს მოვლენებისა და საგნების გარეგნული ნიშნებით ბევრი რამის განსაზღვრა შეუძლია. გენიალური დაკვირვებულობის უნარის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ლეგენდარული შერლოკ ჰოლმსი. აღნიშნული ტესტის საშუალებით შეძლებთ იმის განსაზღვრას, თუ რამდენად ფლობთ ამ ხელოვნებას. ნაიკითხეთ შეკითხვები და ბევრი ფიქრის გარეშე აირჩიეთ თქვენთვის შესაფერისი პასუხის ვარიანტი.



1) რომელიმე დაწესებულებაში შესვლისას:

- ა) ყურადღებას აქცევთ ავეჯის განლაგებას;
- ბ) აკვირდებით და იმასხოვრებთ ნივთების ადგილმდებარეობას;
- გ) ათვალერებთ, რა ჰკიდია კედლებზე.

2) ადამიანთან შეხვედრისას, უმეტესად:

- ა) აკვირდებით მისი სახის გამოთქმევენებას;
- ბ) მისთვის შეუძნეველად ათვალერებთ თავიდან ფეხებამდე;
- გ) ყურადღებას აქცევთ მხოლოდ თვალებსა და ცხვირს (მაგ.: ცხვირი, სათვალე, ტანსაცმელი).

3) რას იმასხოვრებთ ნანახი პეიზაჟიდან?

- ა) ფერებს;
- ბ) ცას;
- გ) სიხარულის ან წუხილის გრძობას, რომელმაც მისი ხილვისას შეგიპყროთ.

4) დილით, გაღვიძებისას:

- ა) მასწივე იხსენებთ, რა საქმეები გელოდებოდათ წინ;
- ბ) ცდილობთ გაისხენოთ, რა დაგეისიზმრათ;
- გ) ანალიზებთ წინა დღით მომხდარ მოვლენებს.

5) საზოგადოებრივი

ტრანსპორტით მგზავრობისას:

- ა) არავის არ უყურებთ;
- ბ) ათვალერებთ მხოლოდ ახლომყოფ ადამიანებს;
- გ) თავს ირთობთ თანამგზავრთან საუბრით.

6) ქუჩაში ყოფნისას, ჩვეულებრივ:

- ა) თვალყურს ადევნებთ ტრანსპორტს;
- ბ) ათვალერებთ სახლის ფასადებს და ვიტრინებს;
- გ) აკვირდებით გამკვლელებს.

7) მაღაზიის ვიტრინის თვალერებისას:

- ა) აქცევთ ყურადღებას მხოლოდ იმ ნივთებს, რომელიც შეიძლება გამოგადგეთ;
- ბ) უყურებთ იმასაც, რაც მოცემულ მომენტში არ გვირდებოდა;
- გ) ყურადღებით აკვირდებით ვიტრინაში გამოფენილ თითოეულ ნივთს.

8) თუ სახლში რაიმე ნივთის პოვნა გსურთ:

- ა) ეძებთ მხოლოდ იმ ადგილას, სადაც, თქვენი აზრით, ის უნდა იდოს;
- ბ) ეძებთ ყველგან;
- გ) სთხოვთ დახმარებას ოჯახის წევრებს.

9) თქვენი მეგობრების ძველი ჯგუფური ფოტოსუ-

რათის თვალერებისას:

- ა) ღელავთ;
- ბ) გულიანად იცინით;
- გ) ცდილობთ, სათითაოდ ამოიცნოთ სურათზე აღბეჭდილი ადამიანები.

10) თუ შემოგთავაზეს ისეთ აზარტულ თამაშში მონაწილეობა, რომელიც არ იცით:

- ა) ცდილობთ, ისწავლოთ თამაში, ითამაშოთ და მოიგოთ;
- ბ) ცოტა ხნის თამაშის შემდეგ გამოეთიშებით მოთამაშეთა ჯგუფს;
- გ) უარს ამბობთ თამაშზე.

11) თუ ქუჩაში ვინმეს ელოდებით:

- ა) ყურადღებით აკვირდებით გარშემომყოფებს;
- ბ) კითხულობთ ყურნალს ან გაზეთს;
- გ) უბრალოდ, რამეზე ფიქრობთ ან ოცნებობთ.

12) ვარსკვლავიან დამეს:

- ა) ცდილობთ ცაზე გაარჩიოთ თანავარსკვლავედები;

- ბ) უბრალოდ აკვირდებით ცას;
- გ) საერთოდ არ იყურებთ ზემოთ.

13) წიგნის კითხვისას:

- ა) ფანქრით მონიშნავთ ადგილს, სადაც შეწყვიტეთ კითხვა;
- ბ) ტოვებთ წიგნში სანიშნეს;
- გ) ენდობით თქვენს მეხსიერებას.

14) თქვენი მეზობლების შესახებ გასოვთ:

- ა) მათი სახელები და გვარები;
- ბ) მათი გარეგნობა;
- გ) არც ერთი და არც მეორე.

15) ლამაზად გაწყობილ სუფრასთან მოხვედრისას:

- ა) აღფრთოვანდებით დიასახლისის დახვეწილი გემოვნებით;
- ბ) ამოწმებთ, აწყვია თუ არა ყველაფერი თავ-თავის ადგილას;
- გ) ამოწმებთ, ეყოფა თუ არა სკამების რაოდენობა მიპატივებულ სტუმრებს.

თქვენ მიერ შერჩეულ პასუხებს შეუსაბამეთ ქულები ცხრილის მიხედვით და დათვალეთ ქულათა ჯამი:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა	3	5	10	10	3	5	3	10	5	10	10	10	10	10	3
ბ	10	10	5	3	10	3	5	5	3	5	5	5	5	3	10
გ	5	3	3	5	5	10	10	3	10	3	3	3	3	5	5


150-100 ქულა: უდავოა, თქვენ ძალიან დაკვირვებული ადამიანი ბრძანდებით. ამასთან, შეგწევთ უნარი, ანალიზი გაუკეთოთ საკუთარ მოქმედებებს და შესაშური სიზუსტით შეაფასოთ სხვა ადამიანები.

99-75 ქულა: დაკვირვების უნარი საკმაოდ განვითარებული გაქვთ, მაგრამ ხშირად, სხვათა შეფასებისას, წინასწარ შექმნილ წარმოდგენას შეცდომაში შეჰყავხართ.

74-55 ქულა: დიდად არ გაინტერესებთ, თუ რა


იმალეა ამა თუ იმ ადამიანის გარეგნობისა და ქცევის მიღმა. მიუხედავად ამისა, ურთიერთობისას ფსიქოლოგიური პრობლემები არ გექმნებათ.

54 ქულა და ნაკლები: საერთოდ არ გაინტერესებთ და არ გადელევებთ გარშემომყოფთა შეხედულებები და აზრები. ძალიან დაკავებული ადამიანი ხართ და ხშირად არათუ სხვისი, არამედ საკუთარი ქმედების გაანალიზებასაც ვერ ახერხებთ. მოეშადათ და არ გაეწყინოთ, თუ ვინმემ ეგოისტი გიწოდათ.



საჩუქარი სატყფოსათვის

ბრიტანელმა ბიზნესმენმა თავის რჩეულს 20 მლნ დოლარად შეფასებული წყალქვეშა ნავი უსახსოვრა. ძვენი ამერიკული კატალოგი არის შერჩეული და SEATTLE-1000 ეწოდება. მისი სიგრძე 57 მეტრია, 300 მ-ის სიღრმეზე ჩადის, წყალქვეშ 40 დღე შეიძლება იცუროს და 11 ადამიანის კომფორტულ ცხოვრებას უზრუნველყოფს. ნავს მთელი კორპუსის გასწვრივ დიდი ილუმინატორები აქვს, რაც წყლის წიაღის ბინადართა ცხოვრების თვალთვალის საშუალებას იძლევა.



უცნაუხი სტატისტიკა

ყველაზე ხშირად, თვითმკვლელობით სიცოცხლეს მდიდრები ამთავრებენ – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დანიელი მეცნიერები. მათ ფსიქიატრიული კლინიკის ის 811 პაციენტი გამოიკვლიეს, რომლებმაც 1982-1994 წლამდე თავის მოკვლა სცადეს. დაბალშემოსავლიანი, ჩვეულებრივი ადამიანები თუ უფრო ხშირად ეთნოვებიან საკუთარი ნებით სიცოცხლეს, ვიდრე მაღალშემოსავლიანები, ფსიქიკურად დაავადებულთა შორის, ეს პირიქით ხდება. ისმის კითხვა: რატომ უნდა იკლავდნენ თავს ყველაფრით უზრუნველყოფილი, თუნდაც მორალურად გაუწონასწორებელი ადამიანები? შესაძლებელია, აცხადებენ მეცნიერები, რომ ადამიანებზე რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე საზოგადოების პატივსაცემი პიროვნებები არიან, ძალიან ცუდად მოქმედებს ექიმების მიერ დასმული დიაგნოზი და ჩისში ექცევიან.

თამაშით დანყებუდი ბიზნესი

ბრიტანული ქალაქის პერტშირის ერთ-ერთი ოტელის მფლობელს, სტივ ფორდს იმდენად მოაბეზრა თავი მისი მცირეწლოვანი შვილების ავტომობილებისადმი ლტოლვამ, რომ თავისი „ლენდროვერის“ ზუსტი ასლი შეუკვეთა. ავტომობილების ხელით აწყობაში დაოსტატებულმა ფორმამ, სპეცპროექტით დაამზადა „ყველაგანმავლის“ მინიატურული ასლი, რომელიც 10 კმ/სთ-მდე სისწრაფეს ავითარებს. მაგრამ ამით ფორდს პრობლემა არ მოხსნია: ძმები გამუდმებით ჩხუბობდნენ პირველობისთვის და მას, 3 ათას გირვანქა სტერლინგად ღირებული მანქანის „გაორება“ მოუწია. ბიჭები სიხარულით ცას ეწვივნენ, მაგრამ მამას გაწეული დიდი ხარჯის გაბათილებაზე ფიქრი არ ასვენებდა. ვინც ეძებს, პოულობს კიდევ! ფორდმა იფიქრა და მოიფიქრა – მანქანებს დროდადრო ოტელის სტუმრებზე აქირავებს: ვინ არ გადაიხდის შვილის ერთსაათიანი სიამოვნებისთვის სულ რაღაც 49 გირვანქას?!..



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოვზავნილი კვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა ნატო ონიანმა. ბატონებმა ჯანსუღ ჩარკვიანმა და თამაზ წივწივაძემ ვულოცავთ ქალბატონ ნატოს, ბატონ ჯანსუღს და ბატონ თამაზს და ვუსურვებთ წარმატებებს!

აგსოლუბური იჟუნიგაბის ვაჟსინა

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას ვთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეაფსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩაავდეთ სამშაბათის (27 მარტის) 13 საათამდე.

„ფანტაზიკა“

ავსტრალიური
იმუნიზაციის
ვაქცინა



„ფანტაზიკოს“
გაიტხოველი




ტავი მებოზრებო, ტავი!

უღსრუპროქტი

(მალამო და სანთლები)

ბუასილის ეფექტური მკურნალობა



უკან მონჩენილი ჰროზლებები

